

652
2000

ISSN 0134 3459

საქართველოს
საქართველო

3
2000



სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაებწკარა ქაღალდს ლექსები.
ვუმღერ სამშობლოს, ისევ მწყურია
და მის სიყვარულს დავემწყემსები.

გიორგი ლეონიძე

ივერეფი აჭარა

დაარსებულია 1958 წელს

რა მუშენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, კვირვასი გეძიო...
ქალაქი - ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გათუბი

მარტი, №-3

2000

საქართველოს მფარველთა კავშირისა და აჭარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
ქსენალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გურაბ ბორბილაძე (რედაქტორი),
ანდორ კულბა (განყოფილების გამგე), ბენრიეტა ქუთათელაძე
(პასუხისმგებელი მდივანი), ხათუნა შუშანიძე (მხატვრული რედაქტორი),
ტასო ცხიშიძე (ტექნიკური რედაქტორი)

საკონსულტაციო საბჭო: ვახტანგ ასვლედიანი, ნური
ვერუაძე, შოთა გოიძე, ღავით თედორაძე, ოტია იოსელიანი,
ღავით მჭედლური, ალექსანდრე სამსონია, რამაზ სურგანიძე,
თამაზ წიფნივაძე, ამირან ხაბაში, შრიღონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი

პოეზია, პროზა

ბენო კალანდია

ნიმუშიან ავტობიოგრაფიკი ქვაზე

ღვთისმშობლისადმი

ღვთისმშობელო და წმინდანო, - დამბადებელო უფლის,
შენს თვალ-მარგალიტს დახედე შენი კეთილი გულით.

სხვა საქართველო არ მინდა, არც სხვა მზე, არც სხვა მთვარე,
მინდა იმისთვის მწყალობდე, რისთვის მწყალობდი ადრე.

მე შენი მონა-მოწესე, - მზად ვარ ახლავე მოგკდემ,
ოღონდ ეგ წმინდა ტაძარი ოქროს სხივებით მორთე.

ოღონდ ეგ ანგელოზები, ეგ ქალ-ვაჟები ზარდემ,
დედაო, დაო, ქალწულო, - მანათობელო ცამდე.

მან გითხრას საგალობელი, მან ბრძანოს სიტყვა თვისი,
ვინც უწინარეს იქნება შენი კურთხევის ღირსი.

ღვთისმშობელო და წმინდანო, - დამბადებელო უფლის,
შენს თვალმარგალიტს დახედე შენი კეთილი გულით.

ლამარია

მ. ჯ.

ცრემლი ხარ, ნადგელი, - ლამარია,
მიწის ღვთაება ხარ, - ლამარია,
ოიო... ოიო, ლამარია!

შახვში მობრძანდება იფარისა,
ვეფხვის ტყავ-კაბითა, ლამარია,
ოიო... ოიო... ლამარია!

მოდის, მობრძანდება დიდბატონი,
თეთრი ხარ-ჭიხვების ამალითა,
ოიო... ოიო, ლამარია!

ბედი მაპოვნინე მერწყულისა,
ვარდი სინათლისა, - ლამარია,
ოიო... ოიო, ლამარია!

განძი მაპოვნინე უმგულისა,
შავი მარგალიტი თამარისა,
ოიო... ოიო, ლამარია!

წიგნი მაპოვნინე წმინდანისა,
სხივი კითხულისა, - ლამარია,
ოიო... ოიო, ლამარია!

წვიმა ხარ, ღრუბელი სადაფისა,
შუქი კელაპტრისა, - ლამარია,
ოიო... ოიო, ლამარია!

მთვარე ხარ, მნათობი თეთნულისა,
თოვლის დედოფალი სწორფერისა,
ოიო... ოიო, ლამარია!

საქართველო
მეცნიერებათა
აქადემიის
გამომცემი

საყდარს განფენილი სურნელი ხარ,
მინდვრად აკრეფილი თავთავისა,
ოიო... ოიო, ლამარია!

ვაჟი შემომაკვდა იმამისა,
სამტროდ გადმოსული გაღმიდანა,
ოიო... ოიო, ლამარია!

კრავი ხარ... ხატწერა ძველქართული
ადიშის პირველი ოთხთავისა,
ოიო... ოიო, ლამარია!

სუფრა გამიშალე ანდერძისა
ვერცხლის ჯამ-ჭურჭელით, ლამარია,
ოიო... ოიო, ლამარია!

ცხენი დამეკარგა ჩერქეზული
მალი, ალი-კვალი ვარსკვლავისა,
ოიო... ოიო, ლამარია!

მგონი სასიკვდილოდ დაჭრილი ვარ,
ტახტი გამიშალე სიკვდილისა,
ოიო... ოიო, ლამარია!

ავტოგრაფები ქვაზე

არ ამოხვიდე, ყვავილო, მთაზე,
არ ამომიგდო თვალიდან ნემსი,
არ გამიხეთქო, გუგულო, გული.

...რომ ვიყო ბზიფის, ბიჭვინთის მთვარე,
მოქვის, ილორის ახალი მნათე,
ყელა ქრილობას შეგიხვევდით, ბიჭებო, აქვე.

რომ იყოს ცხენი და უფლის ნება,
მე იმ ვერცხლისფერ კიპარისზე ჭვარს დავიწერდი.

არ დადგეთ ძველი ფიჭვების ახლოს
მარტორქასავით გაშლილი შუბლით.

თუ გადმოგიბტეთ სიკვდილი უცებ,
ავტოგრაფები დატოვეთ ქვაზე, -
ხმების, ბგერების, კოდების დარად,
მეტაფორები დატოვეთ ქვაზე
მზედალესული ხოხბების დარად.

ერთი პეპელა დაფრინავს მინდვრად,
ვისი სულია, ნეტავი, ძმებო!

მას რა დარდი აქვს, რა ენაღვლება,
ფრთას-ფრთას შემოჰკრავს და გაფრინდება.

მე აქ დავრჩები, - ნიშა ხარივით
საკუთარ სისხლის მზეში ჩაფლული.

არ მემეტები წყდიადისთვის,
განთიადზე ამოდი, სულო!

კომაოზიხია მამის პორტრეტისათვის

ის სასაფლაოს სიმშვიდეში ისვენებს მარტო,
აქ არც მისი ხმა, არც ნაცნობი სიმღერა ისმის:
“სი, ქოული, ბატა!”

მაყვლების შავი, წებოვანი მარცვლებით იწვის
მიტოვებული სასაფლაო და შემოდგომა.

თვალეები - ძაფზე ასხმული სხივი, -
კრაველის ქუდი, ყაბალახი, რიტორის შუბლი.

რელიგია - სამოთხის საშვი,
მე ხელთ მაქვს უკვე პირველი კლიტე.

დაბერდა რენე,
გაილია ზამთარი კირით,
იზაბელას შელოცვა უნდა,
ვენახს, ჭურ-მარანს პატრონი უნდა,
ორნი აქ ესხედვართ, - აბრეშუმის, ხავერდის გვართ.

ადგილის ღედა მომენტატრა, მამგონას ხვითო,
ყინულის ბორცვი, - გაზაფხულის მსხვრევადი სარკე,
ღრუბლის წითელი ქულაჯები, ქალ-წყალის ბროლი,
ხავსმორეული ჯარგვალის კვამლი.

მე ბურბუშელას ოქროში ვწევარ,
რომ გავიხსენო სახელი ბავშვის.

მოგაჩერდები ლეკვივით უხმოდ, -
რვეული მინდა,
ფანქარი მინდა,
თარაზოს ვერცხლი, შალაშინის შრიალი მინდა,
შენგან გათლილი ჩიჩილაკი, ნაძვის ხე მინდა.

იქ ერთი ქალი, თვალტანადი დიაცი მახსოვს, -
ფიჭვის კვარივით მუდამ უცხო და ანთებული.

- ჩურჩხელა გინდა?
- კომში გინდა?
- ცხენჯოხი გინდა?

- მამა მიინდა...
ჭიანჭველები მესევა ყელზე.

გვიან გავიგე: თაფლის და შხამის
პატრონს - მფარველის სჭირდება ხელი,
სხვაგან რომ აღარ დაიდოს ბუდე,
სხვაგან რომ აღარ გაშალოს ფრთები.

წლები, ვით მკვდარი ფრინველები,
ანოყიერებს თავის ქალას და ტვინის ფორებს,
ჯერ ბიძაჩემი დაიმარხა ვერტიკალურად,
მერე შენთვის გაიჭრა ბორცვი, -
ვაშლის ხესავით კორძიანი და ძვალმავარი.

თითქოს ქორწილში მიდიოდეს,
ისე ელის დედაჩემი შენთან შეხვედრას,
შუბლი ცხელი აქვს, - ანდრომაქეს ჭაღარა დესპანს.

რამდენი დარჩა?
ნაბიჯი ორი.

მე ახლოს ვდგავარ საკუთარი ვეჭილით, ბეჭდით
მიწისფერი და უნაკვებო, - სიკვდილით სავსე.

მუხლმოდრეკილი გვედრები, ვჩურჩულებ თმენით:
- არ ამოხვიდე საფლავიდან, ძვირფასო, ღამით,
- არ გამიცვიდე, არ დასველდე წვიმაში გარეთ.

მეხი მეხს დაჰკრავს... გაიხსნება აკლდამის სკნელი,
გიყურებს... გხედავ: ამოდიხარ ფოსფორის ქუდით,
დახედავ ქალაქს, - აწ უკვე პარტახს
და შებრუნდები ფაიფურის ყვითელი მხრებით.

წმინდა ხარ, როგორც პოეტის სევდა.
ცრემლი, რომელიც დაგიმაღე,
სიტყვა, რომელიც ვერ გითხარი,
ბალახივით ამოდის მზეზე.

მშვიდობით...
ამინ!

სიზმარ-სხადის ლექსი

არ მომიწამლო სიცოცხლე, არ მომიკვეთო უცებ,
მე გაზაფხულის ჩიტივით ვეძებ საკუთარ ბუდეს.

არ განმიკითხო ცოდვილი, არ დამიბრმავო თვალი,
ისედაც ბრმა ვარ, ბოგანო, ჩონჩხი, გამხმარი ძვალი.

იქ დამრჩა ერთი საფლავი, ერთი ლამაზი ბორცვი,
მივდივარ, მიწას ვასწორებ... სულმოუთქმელად ვკოცნი.

არ მომისწრაფო საწუთრო, არ გამიფანტო მრევლი,
არ აგერიოს წვიმაში ობლის, ზიზანის ცრემლი.

უფლისა ჩვენის სახელით, - მოდი, სიზმარში მნახე,
წითელა ბატონებივით რომ გამინათო სახე.

მებუდედ ვივლი, მეაბჯრედ... გამოგალვიძო იქნებ,
წმინდანის სანთლებს აგინებ შვიდი არშინის სიგრძეს.

არ შემატოვო ქარიშხალს, არ ამიცურო ნავი,
მართლა, არ მომაკვლევიან ამ გაზაფხულზე თავი.

ადამის ლექსი

ძღუნად კვამბულს

მწყემსი აღიოდა მთაზე,
მთვარე ჩადიოდა წყალში, -
ქალი ანათებდა მზებერ,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

ტყისპირ, - გაზაფხულის სიზმარივით, -
ქალი ბანაობდა მდინარეში.

ალი ასდიოდა ვარდისფერი, -
ქალი ბანაობდა მდინარეში.

ყანა წითლდებოდა საპერანგე,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

სისხლი თრქიალებდა საფეთქელთან,
გული ფართქალებდა საგულეში,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

ბერი ოცნებობდა სამოთხეზე,
ვარდი ციმციმებდა სასახლეში,

ვაჟი ღუღლუღებდა გაშლოვანში,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

გველი ლოცულობდა ბალახებში,
მწყერი ქვითინებდა სათიფეში,
ბალი იმცვრეოდა სატივესთან,
ველი იშლებოდა საფარდაგე,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

შაშვი ფუსფუსებდა მაყლოვანში,
მგელი კენწლაობდა საფიზნოზე,
დათვი სადილობდა ნალვარევი,
მელა ჩურჩულებდა საქათმეში,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

ჰეი, თქვენ! - ვეფხვის სისხლისანო,
არავის შმაგო ზვირთისანო,
გუშინ აქ, სოფლის სანაოსთან,
ქალი ბანაობდა მდინარეში.

ოლთისურაი და ხათოშურაი



გაზაფხულია.
ქარის მოქრო-
ლაზე ვარდისა და
ტყემალი
ყვავილთა ფიფქი
ვარდის ფერ-

თეთრი მანდილივით მიირჩევა ჰაერში.
ლამაზ ქალსა ჰგავს გაზაფხული. ქალს,
რომელიც თავის სილამაზეს ეკველუცება.
იცის, რომ ლამაზია... ჩურჩულებს,
შრიანებს, მღერის თვისი სილამაზით
გაგიჟებული გაზაფხული. ხან დაკიდებულ
ჩანჩქერებში ბანაობს, ხან ვენახის
ქავლიდან მოწანწკარე ცრემლებით
ქვითინებს და ხან წვიმის ჯავშან-ბეთქარ
მოსხმული, ფეხქვეშ თელავს ალუბლებისა
და ატმების ყვავილს. მღერის, ქვითინებს,
მოძრაობს, მოდის გაზაფხული...

გულქან ნენე ჭინჭარს ხარშავს. ყოველ
წელს, გაზაფხულზე ჯალაბობას ლორთქო
ჭინჭრის ფხალს უშვადებს. კარგია,
მარგებელია, ჩემი დიდნენეიდან მაქვს
ნასწავლიო. ბუხარში, კარდალში მწვანედ
ამოთუხთუხებულ ჭინჭარს ხის კოვზით
რომ ჩააბრუნებს კარდალში, იქით
შვილთაშვილის აკვანს გადაარწევს...
მსხლის ტოტზე გუგული შემოჯდა და
ახლა გულქან ნენე ეზოში გაეარდა.

გუგუ, გუგუ, გუგუ, - იძახის
გუგული.

ჰაერში ყვავილის სურნელებასთან
ერთად, მოჩაღული ყანების ნამწვის
სურნელებაც ტრიალებს... თავადაც არ
იცის გაზაფხულმა, რა ქნას, რა
მოიმოქმედოს, ისეა გაგიჟებული და
შეშლილი თავისი თვალშეუდგამი
სილამაზითა და სიკისკასით...

გუგუ, გუგუ, გუგუ, - იძახის მსხლის

ტოტზე შემომჯდარი გუგული.

- რა ექნა ახლა, ამხელა მსხალზე
როგორ ავიდე. ტოტი მაინც ჰქონდეს
დაბლა, რომ შევატეხო. ყელი ველარ
შევადედე. გუგულდაძახილი ხის ტოტი
უნდა, ორ-სამჯერ მოურევ და შედგება
ქვასავით, მარა ამხელა ხეზე ასვლა არ
გინდა? დაბალზე მაინც ჰქონდეს ჩქოლი,
რომ მოვხეტო...

გულქან ნენე ფეხაკრევით მიიპარება
მსხლისკენ. თუ გაგასწრა გუგულმა. მერე
გინდა წკიპი მოტეხე და გინდა ნახევარი
ტანი. გუგული ხეზე უნდა იჯდეს და ისე
უნდა მოტეხო, თორემ ყელი არ შედგება...
ბედად, ხელის შეწვდენაზე ამოშოლტილი
ახალნაყარი შეამჩნია. ძველი ჩამურის ქვაზე
შედგა, შეიწვავდა თითის წვერებზე. ერთი
პაწია ტოტი შეატეხა და გამარჯვებულის
იერით წავიდა სახლისაკენ, საიდანაც უკვე
ბავშვის ტირილიც ისმოდა...

- რა ექნა, სამჯერ ვულოცე. ყბა
ამახლდა, იმფერი თვალნაცემია. სულ
ცხრა ლოცვა უნდა ვუთხრა, მარა ამდენი
დრო არ მაქვს, რომ აკვანთან დავჯდე
მოუშორებლად. ახალგაზრდები
სამუშაოზე რომ წავლენ, მოვლენ და
კიდევ იქით უნდა ემსახურო. იმდენი დრო
რომ არ გექნება, თვალნაცემ ბაღანას ცხრა
პირი ლოცვა უთხრა, საქმეა ახლა აგი?..

გუგუ, გუგუ, გუგუ, - იძახის მსხალზე
შემომჯდარი გუგული.

გულქან ნენე ისეთი გამარჯვებულის
იერით ბრუნდება მსხლის ძირიდან,
გეგონება ეს-ესაა რაიხსტაგიდან
სვასტიკიანი დროშა ჩამოხსნაო...

- ა, უყურე, კიდევ ხეზეა. აქმა, აქმა,
ბაღანაი შენ გამიღვიძე მგონი, აქმა, აქმა...

- არ შეგატყობინა გულქან, გუგულმა,

როდის მოვფრინდები და როდის გავფრინდებიო, არა? მასე გუგული კი არა, ახლა მოსკოვ-თიფლისის თვითმფრინავები აღარ ფრინავენ დედაბერო, - ჩამოსძახა ნალიის ბანიდან საქმით გართულმა მოხუცმა ცოლს... - რა გინდოდა იმ მსხლის ძირში?..

ერთი კვირაა ყველი ველარ შევადედე. გუგულდაძახილი ხის ტოტი მინდოდა. მოვურევ რძეს კარდალში და შედგება.

- რაიო? ვაი ჩემს თავს, თუ ნამყენი მოტეხე, - შეიცხადა მოხუცმა და ნალიის კბიებზე ძირს დაეშვა ფეხქარა.

გუგული ახლა სხვა ეზოდან ეკეკლუცება გაზაფხულს. გუგუ, გუგუ, გუგუ...

სოფლის ყორეებზე იები ამოჩი-თულან. გეგონება, მოხუც ქალს მკერდზე იისფერი სამკაული მიუბნევიაო. ტყეებში ბიჭები თხმელის ჭიბონს ხდიან. გამოაძრობენ ნედლ ტყავს ღეროს, ჩაპ ბერავენ და ააკვნესებენ თხმელის წვენიტ ტუჩებდაწითლებული ტუჩებით. დაღამებამდე ტირის და ემიზებება გაზაფხულს თხმელის ჭიბონი... მიწა თავად სიტყვაძვირი და მუნჯია. ამ ბიჭების დაწითლებული ტუჩებით მღერის იგი გაზაფხულის სიმღერას. ვისაც ფანდური არა აქვს, მოლანქერებულ მდინარესთან მივა. დადგება ნაპირზე ხუთი-ექვსი ონავარი ბიჭი და მღერის. ეს მოდიდებულ-გაგიჟებული მდინარე თავისი ნაკადულ-სიმეებით პიანინოსა და გიტარის მაგივრობასაც სწევს, მაგრამ ამას მხოლოდ იგი გაიგებს, ვისაც აღიდებული მდინარის ნაპირზე უმღერია... მიწამ ასეთი იღუმალი სიმღერა იცის...

ქმარი სადილობს, ცოლი რძიან კარდალში გუგულდაძახილ ხის ტოტს ურევს. ხანდახან ბაგეებს მოუყრის და დაუწუნწრუტებს: - შველო დადექი, ყველო შედექი... სპილენძის მოწითალო კარდალში ჩამდგარი რძე აგვისტოს სუფთა ცას მოჰგავს, რომელსაც გულქან ნენე

ჯადოსნური მსხლის ტოტით ატრიალებს და აბრუნებს მარადისობის ბორბალივით...

- რაფერაა ძროხა, კუს ქარები დაუცხრა, გულქან ?

- ჯერ რაფერ დაუცხრება. ასე იცის ნაგუგულებმა ძუძუმ. გუგული უნდა გაჩუმდეს, მაი ენაჩასაკტენი და დაუცხრება, მარა გაჩუმდება? რა აქვს საქმე, მე შენ გეტყვი და ცხრა ლოცვა აქვს სათქმელი, თუ რა. კვერცხს დადებს და ისიც სხვის ბუდეში, ბარტყებს ის არ ჩეკავს და იავნანას არ ეტყვის. სულიერი რომ თავის შვილს სხვას მიანდობს, იმისი რა უნდა იწამო... ცხრა მთის გადაღმიდან მოფრინდება და მძინარეს დაგახებს. თუ უქმელი ხარ, იმ წელიწადს შენი ყანობა და ბოსტნობა დამთავრებულია. თუ ნაქამზე გაიგონე, უნდა მიაძახო: - გაჯობე გუგულო, გაჯობე გუგულო... იმ წელიწადს სულ გამარჯვებული იქნები. კატრით რომ დარგა, ფესვით ამოვა, მარა იმფერ დილას შეგირჩევს, რომ წყალიც არ გაქვს გადაცდენილი პირში... არა, არა მწამს მე გუგულისა...

- წელან გწამდა, მზევრავსავით რომ მიიპარებოდი მსხლისაკენ ნაგუგულევი ტოტის მოსატეხად? მაშინ ხომ კაი იყო გუგული...

- ეგხ, დაიწყო ახლა მისი ფილოსოფია ჩემს საქმესთან. ქალი რომ ცხრა ლოცვას ვერ მოასწრებს ბადიშის აკვანთან, რალა ქალობაა აგი... კაი ახლა, რავა მარტო გამოწრუპე მაი ლიტრიანი, ივანაი ხომ არ ხარ, ახვალ მერე ნალიის ბანზე და გადმოეშვები კისრით.

მოხუცმა ბოლო ჭიქა დაცარიე-ლებულ ლიტრიანს მიუჭახუნა და სადილობაც დაამთავრა... ადგა. აკვნის კამარას გადაეყრნო. გამოღვიძებულ ბავშვს ენამოჩლექით მიეფერა და პაწიამაც აკვნის არტახებიდან ხელების გათავისუფლება მოინდომა. მოხუცმა ხელები ამოუშალა და წელსქვევით შიშველი ბავშვი ხელში აიფშვიატა. კარის

ზღურბლს გადაბიჯა და გულქან ნენემა ც მიუსწრო.

- უიმე, უიმე, თვალი რატომ არ დამიდგება. აი, შუათჩაძინებული ბალანაი რაფერ ამოგლიჯე აკვნიდან. ვაი, ბებერო, ვაი, გამობეჩებულო, არ იტყვი, სად მიგყავს?..

მოხუცმა ქალის ხმის გაგონებაზე ფეხს აუჩქარა და ბორძიკ-ბორძიკით ქვის კიბე ჩაიარა.

- სად მიგყავს აი ნანატრი ბალანაი. უიმე, უიმე, მოგვკლავს შვილი და რძალი...

თითქოს დაყრუვდაო, მოხუცი ხმას არ იღებს. ბოსტნისკენ მიდის ფეხარეული და თან ხუთი თვის ბუზრულა ბიჭიც მიჰყავს ტანზე შერჩენილი საბან-გობანიითა და პაწია ჩითის პერანგისამარა. გაზაფხულის ქარები უკანასკნელ პერანგსაც ზდიან პაწიას და ისიც ჩიტივით კაკაჩებს და ჟღურტულებს. როგორც იქნა, გულქან ნენე შუა ბოსტანში წამოეწია ბაბუა-შვილიშვილს.

- არ იტყვი, კაცო, სად მიგყავს აი ხუთი თვის ბალანაი?

- რა გამოემნთე ქალო?.. რა ვქენი ისეთი. ბიჭია, ბოსტან-ბოსტან ჩავატარებ და საზღვრებს ვასწავლი. ბიჭმა მისი და სხვისი კი უნდა იცოდეს.

- უი, უი, ღმერთო, რატომ არ მხედავ... ხუთი თვის ბალანამ რა საზღვრები უნდა იცოდეს. ან ვინ გყავს საზღვარს იქით, გერმანია თუ იაპონია. უიმე, უიმე, რაფერ მომიკლა აი ნანატრი ბალანაი...

- არც გერმანია მყავს და არც იაპონია, მარა, კაცმა მისი ბოსტნის საზღვარი თუ არ იცის, ქვეყნის საზღვარს გაიგებს მერე?

- უიმე, უიმე, რა დარანი და ჭირი დალიე ამფერი... მერე ხუთი თვის ბალანამ უნდა ისწავლოს ქვეყნის საზღვრები?..

- გულქან, არა ხარ შენ ისეთი გაუგებარი ქალი, რომ ვერ მიმიხვდე. მოდი აგერ, სამანის ქვასთან ჩამოვჯდეთ და ერთ ამბავს გეტყვი. წელან მსხლის ტოტი რომ მოტეხე, მაშინ მინდოდა მეტქვა, მარა

ბალნის ტირილმა არ დამაცალა...

- კაცო, აი შიშველი ბალანაი რომ ბოსტანში გამოაქანე, ამბვის მოსაყოლად სკამი არ გვქონდა თუ ბუზრისპირი... წამო, ქარი დაკრავს, გაგვიცივდება...

- ნამეტანი იცით ამ ქალებმა. ქარდაუკრავი და თითგაუკრავი ბიჭები ამ პატარა ქვეყანას გამოადგება?.. დაჯე თუ ქალი ხარ, სულ პატარა ამბავი მინდა მოგიყვე, მე სხვამ მითხრა, იმას მასზე უფროსმა, მას კიდევ მასზე უხნესმა და იმ ვიღაცას თავისი თვალთ უნახავს და გაუგონია.

გულქანი მიხვდა, რომ ქმარი არ ხუმრობდა. ამ სამანის ქვიდან ფეხის მოცლასაც არ აპირებდა. ამიტომ წელზე თავშალი შემოიძრო, ბავშვს შემოახვია და სამანის ქვაზე ჩამოჯდა.

- გულქან, მართლა გგონია, რომ ლიტრაზე დამთვრალი ქმარი გყავს? ან იმისთანა ყბედი, რომ ერთ მსხალს ტოტი შეატეხე, და ამდენად, ურცხვი და შუბლისძარღვგაწყვეტილი, რომ...

- რა ვიცი, კაცო, კი გამაკვირვე და...

იმ ასი წლის მოხუცმა ეს ორი მსხლის სანამყნე ტოტი რომ გამომატანა, იმნაირი ამბავი მითხრა, მერჩივნა ჩემთვის მოგეტეხა ხელ-ფეხი.

- უიმე, უიმე, რა ვქენი ასეთი, არ იტყვი? გეგონა ნამყნე მოვტეხე და პანტის ამონაყარი მომიტეხია. ზომ გადარჩა ორივე ტოტი, რაღა გინდა, აღარ დაამთავრებ ლაპარაკს?

- გულქან, აგერ შენ, აგერ ჩვენი ნანატრი ბაღში და აგერ, სამანის ქვა. მანამ ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ იმ ამბავს არ გეტყვი. იმ ბებერი კაცის ნათქვამს, მაგი ორი მსხლის სანამყნე ტოტი რომ გამომატანა აჭყისთავიდან.

- თქვი კაცო, თქვი, ვხვდები, რაცხა ფარცავი ამბავი უნდა მითხრა. შე დალოცვილო, არ აჯობებდა ბუზართან მოგეყოლა?

- შეიძლებოდა, შეიძლებოდა, მარა სამანის ქვამ და ქვეყნის საზღვარმა

გამახსენა, სიტყვამ მოიტანა ქალო და უნდა აქვე მოვყვე, თუ ასე რატომ მეტყინა დღეს მსხლის ტოტზე შეტეხილი პიწკი. ნამყენი მეგონა, კიდეც კარგი, რომ ხის ამონაყარი აღმოჩნდა. იმ ორი თოთო ნამყენის ტოტი ერთი ოლთისურაია, მეორე ბათომურაი. ვინც ამ ორი მსხლის ჭიშს წამოიღებს, იმასაც აბარებენ, რომ ერთი ხის სხვადასხვა ტოტზე დაამყნოს ორივე, რადგან ცალ-ცალკე არ გაიხარებენ. ნამყენთან ერთად ერთ სულისშემძვრელ ამბავსაც ატანენ და აი, რა ამბავს:

- წინათ, პატარა გოგო-ბიჭების ყოფა-გაყოფა რომ იყო ამ ჩვენს მხარეში, ეს ამბავი ჩემზე უკეთ იცი შენაც. ვინცხა ლომანას შვიდი წლის ბიჭი მოუპარავს და სარფსგაღმა გაუყვია ვიღაც მდიდარ მებატონეზე. ასე მოხვედრილა ბიჭი სტამბულში. იქ კიდეც, ვიღაცას სხვას უყვია. იმ ვიღაცის კარზე ერთი ოლთისიდან მოპარული ასევე შვიდი წლის გოგოც ყოფილა. ერთმანეთს შეჩვევან და ბოლოს, ერთმანეთიც შეყვარებათ. მარა, უცხოობაში მყოფი კაცი ხომ თავისთავის პატრონი არასოდეს ყოფილა. თხუთმეტისა რომ შესრულებულან, მეპატრონეს გოგო სირიელისათვის მიუყვია, ხოლო ბიჭი - ფრანციელისათვის. ზღვას მიერთვოდა თურმე მათი განშორების ცრემლი... დღესაც სტამბულში, ერთ ქუჩას ქართველი გოგოს ქუჩა ჰქვია, მეორეს - ქართველი ბიჭისა... შეყვარებულები განშორების ღამეს ბატონის ბაღში შეხვედრილან უკანასკნელად. უცრემლიათ და უტირიათ თავიანთი უბედობა. გაზაფხული ყოფილა და წყალშესულ ზეებს ტანი ასკდებოდა თურმე. ბიჭს მსხლის ორი ტოტისათვის შეუჭრია. სალამური გაუკეთებია, ორი ტოტი გოგოს თმებით შეუკრავს და აუკვნესებია მშობლიურ ჰანგზე. ეს ხმა გზაზე შემთხვევით მიმავალმა სარფსგამომიდან სტუმრად მყოფმა ქართველმა გაიგონა და შეყვარებულებს შეეხმინა: - ვინ ხართ, რომ ქართულად

უკრავთ სალამურსაო. ბიჭს ყველაფერი მოუყვლია და თანაც უთხოვია იმ ქართველისათვის: - ვიცით, რომ ვერაფერს დაგვეხმარებით, რადგან უკვე გაყდულები ვართ ორივე და ხვალ ჩვენი გემები სამუდამოდ სხვადასხვა მხარეს გასცურავენო. ერთს კი გთხოვ, რადგან უცხო ქვეყანაში, ჩემი რომ ერქვას, ამ სალამურის მეტი ჩემთვის არა გამიკეთებია და არაფერი მებადია, რომ სამშობლოში გავგზავნო. აჰა, ამ ორი მსხლის ტოტითა და ჩემი შეყვარებულის თმებით შეკრული სალამური. გთხოვ, ჩემს სახლში მიიტანე და ჩემს დედ-მამას ჩააბარეო... აუსრულებია თურმე იმ ქართველს ბედკრული ბიჭისა და გოგოს სურვილი. ბიჭის ოჯახშიმიუტანია გოგოს თმებით შეკრული ოლთისურაი და ბათომურაი მსხლის ტოტებისაგან გათლილი სალამური, რომლის ტოტებზე ჯერ კიდეც გაზაფხლის კვირტებს ეძინათ თურმე. უბედურმა დედამ მთელ ღამეს ცრემლით დააღბო შვილის ხელით გამოგზავნილი სალამური. იტირა და იკვნესა, ხან გულში იხუტა თავისი უბედური შვილისა და ბედკრული სარძლოს სიყვარულის ნიშანი. დედის ცრემლი რომ ქვას გააცოცხლებს, ეს ჩემზე მეტად იცი, გულქან და... დილით რას ხედავს დედ-მამა: გოგოს თმებით შეკრულ და დედის ცრემლებით დანამულ ორივე ტოტს კვირტები გამოუხსამს. უბედურ დედას გაკვირტული სალამური იქვე, სახლთან ახლოს, ბაღში ჩაუტანია და მიწაში ჩაუსვია, ისე, რომ გოგოს თმებიც ზედ შეუტევიან. ფესვი გაუდგამთ და ასე ერთურთს გადახვეულ-გადაქობილნი გაზრდილან. კეთილი და ტკბილი ნაყოფი სცოდნიათ და მთელი სოფელი დატანებია მათ სანამყენე კვირტს. ერთი კია, ვისაც ამ ორი მსხლის სანამყენე ტოტი მიაქვს, თან ამბავსაც ატანენ ოლთისელი გოგოს და ბათომელი ბიჭის უიღბლო სიყვარულისა, იმასაც აფრთხილებენ, ცალ-ცალკე არ დაამყნოთ, ერთ ხეზე დაამყენით, თორემ არ

იხარებენო...

- უიმე, უიმე, ხელი მომტეხოდა. კიდევ კაი, რომ ნამყენი არ შევატეხე. უი, უი, დედის გულსა და მის ბედკრულ კალთას. ეს რა ამბავი, მითხარი, კაცო, ლამის ხორცი განმეშოროს ძვალსა. ვაი, ვაი, - ვიშვიშებდა გულქანი...

- თავჩაქინდრულებმა აიარეს აღმართი. ბაბუს მკლავზე შემომჯდარი ბაღში მსხლის ტოტზე მჯდარ ბარტყა ჰგავს... თხმელის ჭიბონით ტუჩებ- დაწითლებული ბიჭები მიწის სიმღერას უკრავდნენ. ბუხრებში გუგუღუღქვილით მოზეილილი მჭადები ცხვებოდა,

მთვარის ქალი

შუალამისას გაიღვიძებდა. საბანს ერთი ხელის გაკვრით გადაადგებდა და ლამის პერანგის ამარა გამოვიდოდა. თავანში შედგმულ კიბეს აჰყვებოდა და სახლის სახურავზე დატანებული სამტრედედან გამოვიდოდა... მთვარე უყვარდა, მთვარეს ეძახდა. დილით რომ მისი გავლილი სავალი გაგეხსენებინა სახლის სახურავამდე, ვერ გაიხსენებდა. იმ დროს მისი გონება მთვარის იდუმალი სითეთრით იყო დაბინდული.... მანამ იდგებოდა სახლის სახურავზე, სანამ ვინმე არ მოძებნიდა. ერთ დღეს მეზობლის ქალმა დაინახა, სახლის სახურავის კიდურზე იდგა, ერთი ნახევარი ნაბიჯი და, ძირს ჩამოვარდებოდა. ეჭიმმა თქვა: ნუ გეშინიათ, ჩამოვარდნით არ ჩამოვარდება, სახურავს იქით ფეხსაც არ გადმოდგამს, ოღონდ ნუ შეუძახებთო. მეზობლის ქალმა რომ დაინახა, გული წაუვიდა შიშით, მთვარის ქალი კი არ ჩამოვარდნილა. მთვარე რომ ღრუბლებს მიეფარა, იმავე გზა-სავალით სამტრედეში გამოძვრა, თავანზე შედგმული კიბე ჩამოიარა და თავის საწოლში დაბრუნდა. დილით არაფერი ახსოვდა...

ღრუბლიან ამინდში მკვდარივით ეძინა. მთვარე კი ცაზე არ ჩანდა.

გუგუღუღადახილი ხის ტოტით შედგებული ყველი დედის თბილ ხელებს ელოდა, ხოლო ორღობეებში ნახირი ბრუნდებოდა და თან მოჰქონდა ნაგუგუღუღევი ძუძუ. ეზოებში მდგარი ოლთისურაი და ბათომურაი მსხლები მარადიული სიყვარულის ნიშნად ერთმანეთს ეკვრიან და ეჩურჩულებიან. სამანის ქვაზე ბოლოქანჭარა ჩიტი ზის და გულის ტოლს უცდის...

...თხმელის ლორთქო კანით ტუჩდაწითლებული ბიჭები ქართული მიწის სიმღერას უკრავენ.

სახურავზეც აღარ ადიოდა. ზეცა მაშინ მისთვის ცარიელი დარბაზი იყო...

მეზობლებმა კარგა ხანია დაივიწყეს მისი ნამდვილი სახელი და ყველა მთვარის ქალს ეძახდა.

მხოლოდ დედა ეძახდა სებილას. ბალიშს დაასველებდა ცრემლით: - მე რომ აღარ ვიქნები, ვინ მომწყემსოს სახლის სახურავზე ასული გოგო, რძალმა თუ შვილმა. რა უბედურ დღეზე გავჩნდი, რომელი სალოცავი დაეწვი. სებილას ტოლ გოგოებს შვილები უმძიმებს კალთას... სადმე დოლ-გარმონის ხმას რომ გაიგონებდა, ერთ პირს იტირებდა და იკვნესებდა:

- ჩემი სებილა ხომ ვერ ეღირსება ფატას და სადედოფლო კაბას. მისი სადედოფლო კაბის ბოლოები ხომ ვერ ჩამოხვეტავენ ჩემი კიბის მტვერს. მე ხომ მის მაყარს ვერ გამოვეგებები და ვერცხლის ფულს ვერ გადავაყრი. მე ხომ მის ბაღნებს ვერ ჩავივორებ კალთაში... ვაი, ვინ დამიწყევლა კალთა. ვინმეზე ნაკლები რომ იყოს, ხათრი არ დამრჩება. მთვარე თუ ცაზე არ არის, მაგისი გამსწრე ქალი მიწაზე არ დადის. მთვარე ურევს ჭკუას და გონებას, მაგისი სახსენებელი კი მოსპო გამჩენელმა. - სძულდა დედას

შვილის ჭკუა-გონების ამრევი მთვარე...

...ბუნებას თავისი კანონი აქვს და თავისი ძალმოსილება. არც მზისთვის უკითხავს ერთ თვალად ჭაბუკს და არც მთვარისთვის, ისე გამოედევნა ერთ მთვარიან საღამოს. ცაზე მთვარე მეფობდა და მთვარის ქალი ფეხჩქარა მიდიოდა სახლისაკენ. მთვარე ძილს გვრიდა, თენთავდა, გონებას ურევდა და მერე მის ჭკუაზე ატარებდა.

მთვარეს უყვარდა სებილა...

მიდიოდა მთვარის ქალი, მისდევდა ჭაბუკი და მიზნობდა მთვარეც, რომელიც ვერცხლისფერით რთავდა მიდამოს, უბეში უძვრებოდა მთვარის ქალს, სახეზე ელაციცებოდა და გონებას ურევდა... სებილას და მთვარეს გულადი ჭაბუკიც მისდევდა ფეხდაფეხ. მთვარემ რომ მაღალი ნაძვები გადაიარა, ჭაბუკი აღონისი ზედ ჭიშკართან წამოეწია მთვარის ქალს:

- მინდიხარ. მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს... მომწონხარ... ჩემი ცოლი უნდა იყო. მაჭანკალს მოგიგზავნი და უარს ნუ ეტყვი. დღეს კი ეს ჩემი ბეჭედი გქონდეს ნიშნად.

ჭაბუკმა ძალად შეაჩეჩა ხელში მთვარის დისკოსავით მბზინავი მცხუნვარე ბეჭედი...

...ცაზე ღრუბელი შეჰყარა მთვარემ. ოკეანეები ააბობოქრა და სადღაც მიწისძვრებიც ქმნა. წვიმის დელგმა მოიყვანა და სიყვარულით გულანთებული ჭაბუკი რომ სახლში დაბრუნდა, სიმშრალის ნატამალი არ შერჩენოდა...

მეზობლებმაც გაიგეს სებილას დანიშვნის ამბავი. გულბოროტს რა გამოლევს, ზოგი ქირკილებდა:

- ბარემ სახლის სახურავზე გაუშალონ ლოგინი და მთვარეც იქ ეყოლება და ქმარიცო.

სებილას დედას ნალველიც სჭირდა და სიხარულიც.

- იქნება სასთუმალის გამოცვლამ კეთილად იმოქმედოს, მთვარე შეიძულოს

და ქმარი შეიყვაროს, - თავს ინუგეშებდა დედა.

ოქტომბრიდან ამინდი შეიცვალა. წვიმიანი ამინდი დაიწყო. ცაზე ღრუბლის დინოზავრები გამრავლდნენ. მთვარე ცაზე აღარ ჩანდა. მთელი ორი თვე სებილა სახლის სახურავზე აღარ ასულა. დედამისი სიხარულით აღარ იყო. მეზობლებში ხმა დაჟარა:

- მკურნალთან ვიყავი. იმფერი წამალი მომცა, ჩემი სებილაი აწე სახლის სახურავზე აღარ აიხედავსო.

...მოვიდა მაყარი. ჭიშკართან შეჩერდნენ. ხელისმომკიდემ საქორწინო ჩემოდანი დედოფლის ოთახში შეიტანა. ამოალაგეს მთვარის სხივებით შეკერილი, მთვარის ცრემლებდაყრილი სადედოფლო კაბა. ფატაზე ჩამოსაცემელი მთვარის რგოლი. მთვარის სიცილჩამდგარი ბეჭედები. საქორწინო ფანჩატურში მთვარე არ ჩანდა, მაგრამ ათი ულამაზესი გოგო მთვარის დაირებით ცეკვავდა. სებილა ულამაზესი ჭაბუკის გვერდით იდგა და მექორწილენი აღტაცებას ვერ მალავდნენ:

- შეხედეთ, ერთ ქვეყანაში ამფერი დედოფალი თუ იქნება, კისერს გამოვიჭრი...

...ჭაბუკმაც იცოდა სებილას ავი ზნის ამბავი. ავმა ენებმა არაფერი დაიშურეს ამისათვის, მაგრამ სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ ხუმრობანარევი კილოთი პასუხობდა ყველას:

- მე რომ ლამაზი გოგო ლოგინიდან გამეპარება და სახლის სახურავზე ავა, ჩემი ბრალი იქნება და არა მისიო.

...მექორწილენი შეზარხოშდნენ. სებილა ირგვლივ შუქსა და სითბოს აფრქვევდა... მთვარე არ ჩანდა ცაზე და მის არსებას ახლა მთლიანად მიწა პატრონობდა...

საპატარძლოს მხარეს ქორწილი დამთავრდა. მაყარი მაშხლებით გაუყვა სოფლის შარავზას. შუა გზა რომ გაიარეს, ცა მოიწმინდა და მთვარე გამოჩნდა...

სადედოფლო კაბისა და დიადემის თვლებში მთვარის სხივები ჩადგნენ. მაყრიონი ნეფის სახლს მიუახლოვდა...

მიდამოს მთვარე დასდგომოდა გვირგვინად. გეგონებოდა, სადღაც წასული იყო, ქორწილის ამბავი გაიგო და მაყრიონს დაედევნაო...

ნეფე-დედოფალს საქორწინო საწოლი გაუშლეს. სებილა გადაღლილი ჩანდა. სკამზე ჩამოჯდა და გაირინდა. სარკმელს მთვარე არ შორდებოდა და საქორწინო სარეცელს დასჩერებოდა...

ჭაბუკმა ფატა მოხადა დედოფალს და ხელი მოსასხამისაკენ წაიღო... მთვარის ქალი მსუბუქად გაუძალიანდა... ჭაბუკი მიხვდა, რომ ის წუთი იდგა, გოგოს ავი ზნის შესახებ ამბავმა ადრე რომ მოაღწია ჭაბუკამდე...

ბიჭს მთვარის ქალი თავდავიწყებით უყვარდა. დაღლილობამ თავისი ქნა. ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. თან სკამზე მჯდარ გოგოს თვალს არ აშორებდა. მთვარის ქალს არც სარკმლიდან მოდარაჯე საესე მთვარე აშორებდა მზერას... გონს მოვა და გადაუვლის... - ფიქრობდა ჭაბუკი. სულისთქმაც გარინდა, რომ გოგოსთვის მყუდროება არ დაერღვია. ერთ-ორჯერ ბალიშიც გაუზიარა, მაგრამ მთვარის ქალმა არა უპასუხა რა...

ჭაბუკს ჩაეძინა. მთვარემ კი დრო იხელთა...

გოგომ კარები გამოაღო. ის ამ სახლში არასოდეს ყოფილა, მაგრამ აახურავისაკენ გზის გაგნება არ კასჭირვებია. სამტრედედან გამოვიდა და მთვარეს შეხედა. მთვარე ახლა მის გონებასა და სულზე ბატონობდა. იდგა მთვარის ქალი სადედოფლო ფატიითა და აბით, იდგა ზღაპრულ ფერისავე და... ეძინა...

ფეხის ხმაზე დედამთილს გაეღვიძა. მანაც იცოდა რძლის ავი ზნის შესახებ, მარა უსაზღვროდ შეეყვარებულ შვილს გული არ მოუკლა...

შვილი გააღვიძა. დიდი წვლებით ჩამოაბრუნეს ოთახში. მხოლოდ ერთხელ ჩაილაპარაკა დედამთილმა: როდემდე ვმწყემსო რძალი სახლის სახურავზეო.

ჭაბუკმა ამ კითხვას რისხვით ნათქვამი პასუხი შეაგება: - მანამ, სანამ მიწაზე არ ჩამოვარდები...

მთვარის ქალი ისევ მარტო წვებოდა ან ხშირად სკამზე იჯდა გარინდებით. გარეთ ვეღარ გადიოდა, რადგან ოთახის გასაღები ჭაბუკს ედო ბალიშს ქვეშ...

დეკემბერი ისევ ღრუბლიანი ამინდებით დაიწყო. მთვარე აღარ ჩანდა. ჭაბუკს ისევ მარტოს ეძინა. მთვარის ქალი გრძნობდა, რაღაც სიმძიმე სტოვებდა, ვიღაცის ბატონობისაგან თავისუფლდებოდა... შესცივდა და აკანკალდა. სიცვიისაგან რაღაც ტკივილნარევი კენესა აღმოხდა. ადგა, ჭაბუკის ლოგინთან მივიდა. საბანი გადახადა მკერდამდე. ჭაბუკს ისევ ღრმა ძილით ეძინა. კისრის ქვემოთ ხშირ ბალანში, ვერცხლის ძეწკვი ბალახში მოკლული გველივით იწვა. მთვარის ქალის გონებაში თანდათან შემოდრიოდა ქორწილი, საქორწინო კაბა, საქორწინო სარეცელი, ქმარი...

იგი თანდათან სტოვებდა ზეცას და ჭაბუკთან ბრუნდებოდა, როგორც აფროდიტე დაუბრუნდება მარმარილოდან გაცოცხლებულ ადონის...

სიზმარი ნახა: მარმარილოდან ტანდახსნილმა ჭაბუკმა კალთაში აღწვლებული ბავშვი ჩაუგორა... მთვარის ქალი მიწაზე დაბრუნდა. მისმა ხელებმა აკვნის რწევა ისწავლეს. იჯდა აკვანთან და ივენანას მღეროდა. ოჯახი სიხარულით აივსო.

ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ღამიღამ ბავშვს აიყვანდა ხელში და ისევ სახლის სახურავზე ადრიოდა...

- როდემდე ვმწყემსო რძალი, რა ვქნა, - ხშირად ისმოდა დედამთილის სამღუარავი. ნათენებმა ღამებმა ჭაბუკიც დაღალა. ერთ დღეს, კარგად რომ იყო,

სებილას ხმამაღლა უსაყვედურა: - ან ეჭმის უნდა იწამო, ან ჩვენი, ან ღმერთის. თუ ამ სამებას გაეჭეცი, სანამდეც გინდა ირბინო.

...და წავიდა მამის სახლში აფშვიატებული ბავშვით. მთვარე გზას უნათებდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ერთ დღეს ბავშვიც აიყვანა სახლის სახურავზე და ვეღარ გაუძლო პაწიამ ღამის თენებას. დილით გაქვავებული აკვანი შერჩა ხელში, რომელშიც პაწია სიკვდილს ეძინა...

...ქვა წამლად უქცეის. მეზობელ სოფელში ერთი ნათელმხილველი ცხოვრობდა. მუდამ რიგი იდგა მის სახლთან, რომლის გარშემო მოსახლეობას მოსაცდელი კარგები გაეკეთებინა და ამ კარგებში ათევდა, ნათელმხილველამდე რიგის მიღწევამდე.

- მოვარჩენო, - შეპირდა სებილას დედას. სამ დღეს დარჩნენ ველზე გაშლილ კარავში სებილა და დედამისი. მინდორს იქით წყალუხვი მდინარე ჩადიოდა და მისი ნელი დუდუნნი ისმოდა. მთვარე სპილენძის ლანგარივით ბრწყინავდა ცაზე...

ერთ ღამეს ადგა მთვარის ქალი. კარვიდან გამოვიდა. თბილი ქარები უფრიალებდნენ ღამის პერანგს. მთვარე სათუთი ხელებით მხარზე ეფერებოდა. მინდორში გავიდა და მდინარის ნაპირზე

შედგა. აქ არც სახლის სახურავი იყო და არც სამტრედე. სივრცე სიარულს ითხოვდა და სურვილს მთვარე აქეზებდა...

- ო, მთვარე... მთვარეულის მეგობარი... და განა ცაზე. მთვარე ძირს ჩამოსულიყო და უხვი მდინარის ტალღებში ბანაობდა. მიცურავდა მდინარეში სავსე მთვარე და ეძახდა სებილასაც.

მდინარის ტალღებს შეერია. არ იძირებოდა, ტალღებზე ზევიდან დადიოდა ფეხების წვერებით. მიცურავდა მთვარე და მისდევდა სებილა.

გალვიძებულმა დედამ კარვიდან გამოიხედა და მინდორში გავარდა... და რას ხედავს: დგას სებილა მდინარის ტანზე და ტალღებზე დადის... დაავიწყდა დედას, რომ მთვარეულისათვის შეძახება არ შეიძლება და შეუძახა: - სებილა, დაბრუნდი, სებილა! დაბრუნდი!... გოგო ტალღებში გაუჩინარდა... აღარც მთვარე ჩანდა და აღარც მთვარის ქალი. მდინარე ზღვისკენ ისწრაფოდა და თან მიჰქონდა მიწაზე დაუსვენარი ერთი სიცოცხლე.

დედის კივილი მდინარის კივილს უერთდებოდა და ცამდე ადიოდა!..

ვერც მკვდარი იპოვეს და ვერც ცოცხალი. ამბობდნენ: - მთვარის ქალი იყო და მთვარემ წაიყვანაო!

ჯოქონდა

მოდილებულმა მდინარემ წისქვილის სათავანი წაიღო. აწუწუნდნენ ქალები: - ფქვილის მტკვრიც არ გვაქვს და ჩვენს ქმრებს ეს არ ადარდებთო.

კაცებმა შარვლები აიკაპიწეს და მუხლამდე წყალში შეაბიჯეს. ვის ქვა და ღორღი მოაქვს, ვის ხის ტოტები და ლელის კალაპოტში გადაგდებას ლამობენ.

ერთ ამბავს წამოიწყებს ვილაცა და მთელი დღე ლეჭავენ მას, როგორც გომურში დაბმული ლურჯთვალა ხარები ზამთრის გრძელ ღამეს ბზეს ცოხნიან.

დაღლილი ხალხი როცა ერთმანეთის თვლებში უსაზღვრო შიმშილს ამოიკითხავენ, ვილაცა მოყვება პაწია ამბავს მქადის ნატეხზე, ზღაპრულ ხალიჩაზე, ნაკლებსასაცილოს და ყველანი გულიანად იცინებენ, მარა, რომ ჰკითხო, რაზე იცინითო, სიცილით მოკვდებიან, როგორ თუ რაზე ვიცინითო...

...ვილაცა ოხრავს... აღარ ღამდება კაცის ჯინაზე. მერე ბილიკზე სინაზით წელში გატეხილი გოგო გამოჩნდება, რომელსაც ტკეჩით მოქსოვილი კალათით

ლამაზი ნატურმორტი მოაქვს... წისქვილთან, პაწია მოლზე, ყველა თავის ადგილას მოიხალვათებს. გოგო მთვარისებლა კეცის მჭადს დატეხავს. ვილაცა ილოცება: ამინ! ბეჭებზე პერანგშემოხეული ახალგაზრდა ბიჭი მზერას გოგოსკენ გააპარებს... და არის სიწმინდის, სინაზისა და სილალის წუთი...

გზაზე მოსწავლე ბიჭი ამოივლის, რომელსაც თეთრი ფინია ახლავს თან. მისი მშვიერი მზერა უნაზეს ტაბლას მიეფერება. ერთი ხნიერი კაცი მიიპატიჟებს სუფრასთან და დაილოცება ბიჭი წითელი ღვინით და შებოხებული ხმით. ბიჭს ხელში ქალის სურათი უჭირავს. რა სურათიო ეს, - ჰკითხავენ. ბიჭი "ჯოკონდას", ხალხისკენ შეაბრუნებს და მადონას ერთი მზერა, ხელოვანთა მიერ ვერახსნილი, ბეჭებზე პერანგშემოხეულ ბიჭს მიაჩერდება. ყველას ეჩვენება, რომ ჯოკონდა სწორედ მას უმზერს, არადა, ჯოკონდა წისქვილის ღია კარებიდან მოცეკვავე სარეკელას უყურებს... წისქვილი კი ამ დროს ფქვილით შეპუდრულ ხნიერ ქალსა ჰგავს, რომელიც წისქვილის რუში ჩამდგარი სარეკელას ტაშზე ცეკვავს...

"ჯოკონდას", სახლში მიიტანს ბიჭი და სურათის ერთი მზერა მის პატარა, ნაღვლიან ოჯახს დასცინებს...

ბიჭი სიზმარს ნახულობს: შიშველ

მზეჭაბუკს ლელვის ფოთოლს მოაგლეჯს ქარი. წისქვილის მოლზე ავხორცი ქარიტები ცეკვავენ, წისქვილის სარეკელები ტაშს უკრავენ და... უცებ ვილაცის დაძახილი აღვიძებს... კედელზე ჯოკონდა გარინდულა და ახლა სხვა გამოხედვით იყურება...

ასი ათასი მზერა აქვს თურმე ჯოკონდას!..

იქ კი, წმინდა ნასუფრალზე, ქარები ცეკვავენ. შემოდგომის ფერმკრთალ ღლებს კლავსინის ნაღვლიანი ლამაზი მუსიკა გასდევს. სოფლის ცხრა ლელეს ცხრა მთვარე მოაქვს დიდი ღელისკენ, დიდი ღელისკენ, მარა, არავინ იტყუებს ჭკუა-გონებას, ყველამ ხომ უწყის, ერთია ამ ქვეყნად მთვარე...

აფქვავს წისქვილი, თოვს სიმინდის ფქვილი... მარა, როდის დაწყნარებულა ტაროსი. კვლავ იავდრებს და წაიღებს წისქვილის სათავანს. ისევ შევლენ მეწისქვილეები მუხლამდე წყალში, ისევ ნახავს ბიჭი ნაცნობ სიზმრებს... ჩამოვა კედლიდან ჯოკონდა და ყვითელი ბილიკით, მხატვრის ყვითელი ზეთით, ლურჯი ტყისაკენ მიდის... დამბადებლის შესახვედრად.

ისევ მოვა წყალდიდობა, რადგან ყველაფერი ბრუნავს და მეორდება...

ისევ...

ორი ნეკერჩხალი

ერთი შუა მდინარეში, ორ ლოდს შორის შეკავებულ ნეშოში ამოვიდა. მეორე მაღლობზე დათესა და ამოიყვანა ქარმა. ტყუპი ძმები იყვნენ. ერთი დედა-ნეკერჩხლის ნაშობი, მაგრამ განგებამ ისე ინება, რომ ერთი შუა მდინარეში მდგარიყო, ხოლო მეორე - შუა მინდვრის გულზე.

გაიზარდნენ და აშრილდნენ, ტანი აიყარეს. ვარსკვლავოვანი ფოთლები

დაისიეს. ჯერ მხოლოდ ხუთი ფოთოლცენა მოესწრათ.

ხუთი წლისანი არიან ნეკერჩხლები.

ღელეში მდგარ ნეკერჩხალს ზაფხული უყვარს. სხვა ხეები ამ დროს ლამის გადახმნენ, ლამისაა, ფოთლები დასცივდნენ. წყალში მდგარ ნეკერჩხალს კი თავზე საყრელად აქვს წყალი.

გაზაფხულისაგან დასიცხული ხეები მალ-მალე ღელისკენ გააპარებდნენ

თვალეხს, სადაც მწვანედ ახასხასებული ნებიერი ნეკერჩხალი ღელის ქარს ჩურჩულებოდა.

- რა ბედნიერი ხარ, ძმაო, რომ ქარმა შუა მდინარეში დაგთესა. მეც რომ მაქვთ გავეტაცე იმ ქარებს, ახლა ფესვი წყალში მეჭნებოდა და თავი მზეზე, - ნატვრით ჩურჩულებს მაღლობზე მდგარი ნეკერჩხალი.

ცხელი ზაფხული ჩაილია და ცივი ზამთარი დადგა. უხვი წვიმებისაგან ადიდებული მდინარე კალაპოტში ვერ ეტეოდა, ვეება ლოდებს მოაგორებდა და მდინარეში მდგარ ნეკერჩხალს ტანზე ახლიდა, ფესვებს უთხრიდა, მდინარის ტალღები ყელამდე სწვდებოდნენ.

- რა ბედნიერი ხარ, ძმაო. ამ ქარს ცოტა მაღლა რომ დაგეთესე, მეც ახლა შენს გვერდით ვიჭნებოდი და ფესვებზე გაყნული წყლის ნაცვლად, თბილი მიწა მეცმებოდა. ახლა კი, ლამის ზღვისკენ გამაქანონ ადიდებულმა ტალღებმა.

ზამთარი ორივემ სხვადასხვანაირად გადაიტანეს. მაღლობზე მდგარ ნეკერჩხალს მიწა უფარავდა ფესვებს და სიცივისაგან იცავდა, ხოლო მდინარეში მდგარი, ძლივს გადაურჩა გაგიჟებულ ღელეს...

ისევ მოვიდა გაზაფხული. მდინარის ნაპირზე კაცმა ჩამოიარა და თვალი ჰკიდა შუა წყალში მდგარ ნეკერჩხალს. მოთხარა, მაღლა აიტანა და ტყუპისცალის გვერდით დარგო.

უსაზღვროდ გაიხარეს, ვარსკვლავისებური ფოთლები ააშრიალეს, ნეტარების ცრემლი ღვარეს.

- რა კარგია, აწი სულ ერთად ვიჭნებითო, - ჩურჩულებდნენ ნეკერჩხლები.

ხეობაში გაზაფხულის ზვავები მძვინვარებდნენ. თოვლისაგან აქა-იქ პირგახსნილი მიწა ხან სად ჩამოშავდებოდა და ხან სად. თურმე, ის მაღლობიც დასერილი იყო, სადაც ახლა ორი ნეკერჩხალი ჩურჩულებდა. ერთ ღამეს მიწა მოშავდა და ორივე ნეკერჩხალი

მდინარეში ჩაიტანა. მღვრიე ტალღებმა ორივენი ღმუილით გააქანა თავქვე.

- რა გვქონდა სადარდელი, - ამბობდა მაღლობის ნეკერჩხალი, ცოტა ზაფხული კი მიჭირდა, სამაგიეროდ, ზამთარში მშვიდად ვიყავი მიწის სითბოთი განებივრებული.

- მე მაინც რა მქონდა საწუწუნო, სხვა ხეები რომ სიციხისაგან სულს ღაფავდნენ, მე ნეტარებით ვიდექი ცივ წყალში და ზაფხულის ხვატი ფეხზე მეკიდა. ახლა კი, ეს გიჟი მდინარე შუა ზღვაში ჩაგვითანს და ზღვის ფსკერზე მოგველის დაღობა.

მდინარე თავქვე მიაქანებდა ორ ნეკერჩხალს. გზად ნაპირზე მდგარ ბებერ მუხას ჩაუქროლეს.

- ეჰ, შვილებო! მესმოდა თქვენი უკმაყოფილო ჩურჩული, მაგრამ ვფიქრობდი, ახალგაზრდები არიან, ასაკი მოემატებათ და დაბრძენდებიან-მეთქი. განა ოდესმე ყოფილა, კიდევ დღე იყოს და კიდევ ბნელოდეს, გციოდეს და გცხელოდეს, გვამებოდეს და გტკიოდეს?... ეჰ, ჩემო კარგებო, წუთისოფელი ასეა: ერთი უნდა ითმინო, მეორის მოლოდინში. განა მე მილხინს? გულგამოხრულსა და ბებერს, მაგრამ მტრის ჭინაზე, ვგუგუნებ და ვშრილებ. რაგინდა ჭირი გქონდეს, ასე უნდა იძახო: - ღმერთო, უარესისაგან დამიფარეო...

- აწი რაღაი, ბებერო მუხაჲ! მშვიდობით! უკან რომ დაგვაბრუნა ჩვენს ადგილზე, კი ვიცით, როგორ ვიცხოვროთ, მაგრამ დიდი მარადისობის გზის მგზავრები ვართ.

- გულს ნუ გაიტეხთ, დაიმახსოვრეთ და გამიხსენეთ, რომ ზღვამდე კიდევ შორი გზაა და სიკვდილამდეც დიდი გზა გაქვთ გასავლელი.

კიდევ რამოდენიმე ასეული მეტრი იარეს გვერდიგვერდ. მდინარის კალაპოტი თანდათან შევიწროვდა და ღელეში ლოდებიც გამრავლდნენ. გზად ერთი დიდი

ლოდი შემოხვდათ. მდინარის ტალღებში დიდი სისწრაფით მჭროლავები უცებ ამ ლოდს დაეჯახნენ, ამის გამო ტალღამ ერთ-ერთი ნაპირზე შეისროლა, მეორე – მეორე ნაპირზე. წვიმებისაგან მოშვავებული მიწაც მაშინ მოზავადა და ორივეს ფეხებზე დაეყარა. დარჩნენ ასე გადაქანებულნი და გადაფერდებულნი. ფესვები მიწაზე აქვთ, ტანი კი მდინარეზე ხილად გადებული. ტოტებით ერთმანეთში გადახლართულან და წვეროებით ერთმანეთს ეხებიან...

ასე გაიზარდნენ, დამსხვილდნენ, მდინარეზე ხილად გადებულნი. მათი ტანის

ქვეშ მდინარე ღმუხის. მათ ტანზე მთელი სოფელი გადის და გამოდის მდინარის გაღმა... ხმას როგორ ამოიღებენ. ისინი ხომ ცოცხლები არიან!

ძნელია, მაგრამ ზღვის ფსკერზე, მარილიან წყალში წოლას ნამდვილად სჯობს... მათ უკვე იციან, რომ ამ ქვეყნად სითბო და სიცივე, დღე და ღამე, ტკივილი და სიამე ერთად არ არსებობენ. ერთი მეორის მოლოდინია!

ვინ იცის, კიდევ რას ელის მდინარეზე ხილად გადებული ორი ნეკერჩხალი!



რომ გაგეცალო

სულშეგებული გაგსცქერი შორეთს,
ანდამატივით მიზიდავ ცაო...
ვერ მივხვდი ქვეყნად თუ რისთვის მოველ,
მაგრამ ჩემს თავთან სულ მუდამ ვდამბ.

ცრემლი, სუფთა და გულწრფელი ცრემლი
მოსწყდება, მიწას ასცდება როდი,
რომ შემძლებოდა თამაში როლის,
სიყვარულის წილს სიძულვილს გთხოვდი.

მაგრამ ეს გული... პაწია გული,
(არა იმიტომ შენ რომ გამიგო...)
რომ გაგეცალო, არც დაფიქრდება,
ძგერას შეწყვეტს და...
ვუფრთხი იმიტომ.

* * *

აოტნა ქარმა ლეგა ღრუბლები,
ცხერის ფარასავით წინ გაილაღა,
შრიალ-შრიალით ჩანვლო ქუჩები,
ღმერთო, მთელი დღე არ დაილაღა.

მე გავყურებდი დამტვერილ ქუჩებს,
დამფრთხალ ღრუბლებს და მზეწაშლილ ზეცას...
ორივე ხელი დავიდე გულზე,
რა ცხადად ვგრძნობდი განწირულ ფეთქვას.

ვგრძნობდი, რომ დადგა წამი - გრიგალი
და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

* * *

შენი ტკივილის ჰერქვეშ ვცხოვრობდე
და როგორ გინდა, რომ არ მტკიოდეს,
გული გულმშვიდად ვით უნდა მქონდეს
და ზედ ცრემლი არ გადამდიოდეს...

შენი ტკივილის სიმწარის გემო
შიგ სულის სულში რომ ჩამდიოდეს,
გული - დაჭრილი ხელში მეჭიროს
და როგორ გინდა რომ არ მტკიოდეს.

* * *

ო! უსაშველო ღელვათა მერე,
ისევ მესტუმრე სიმშვიდის წამო,
ჯერ ტკივილების დაცხრომას ეცდილობ,
მერე მიზეზთა გარკვევას ვლამობ.

წვიმს... ისევ წვიმამ გამიგო, გესმის?!
შენ-კი...ო, შენ-კი... კვლავ მიშლი ნერვებს,
თავის აყვანა მჭირდება ხელში,
რომ შენს თბილ მზერას გავუძლო მერე.

გული, თბილი და მზით საესე გული,
გახშირებული ძგერით მშფოთვარებს...
დამშვიდდი, ისევ ვიხილავთ ერთად,
ცაზე ღრუბლებში მიმალულ მთვარეს.

ო, უსაშველო ღელვათა მერე,
ისევ ვიბრუნებ სიმშვიდის წამებს...

ნაწვიმარია

ნაწვიმარია და მთვრალ ბალახებს
მზე მოენატრათ გაგიჟებამდე,
ღმერთო, რამდენმა გრიგალმა ჩანვლო
და როგორც იქნა, მოველ შენამდე.

შრიანებს ირგვლივ ქარი და წვიმა,
მღელვარედ გითრთის ცისფერი ძარღვი,
მე შენ გპოულობ...
წეროს გუნდს - წერო...
ნეტავ რად ყბუის წყალგაღმა ძაღლი?

ახლა

ახლა, გათელილ იმედთა გარდა
მიტხარ, რა შერჩა სულს საიმედო,
ნუთუ ცხოვრება, ტკივილთა გარდა,
ალარაფერი - გსურს - გაიმეტო.

მოდით, სანამ სულს ჯერ კიდევ ლაფავს
 უკანასკნელი ოცნება ჩემი,
 აღამიანო, რა გეგულება,
 ამაზე მეტად გადასარჩენი.

მერე?!

მერე-კი როცა ეს სხივიც,
 ჩაქრება, როგორც ჩამქრალა ბევრი,
 ცრემლი, ტკივილი და მწუხარება -
 უყალბესია ეგ ყველაფერი.

* * *

ღმერთო, ვინა ვარ,
 რისთვის გავჩნდი,
 ან რას მოველი?!
 რას წარმოვადგენ
 სამყაროსათვის,
 ვიცოდე ნეტავ...
 იქნებ ვარსკვლავი
 ვარ ნათელი,
 სხივმოციმციმე,
 მალე ჩაქრობა რომ დაეხედა.
 არარსებობა -
 ჩემი არსის შეივსო წამით,
 ვუშვებ სამყაროს,
 ცა მაოცებს იდუმალებით,
 სიკვდილს,
 სიცოცხლეს,

მზის ამოსვლას
 თუ ვარსკვლავთ ციალს,
 გაოგნებული შეჰყურებენ
 ჩემი თვალები.
 მარადიული უცვლელობით
 იცვლება მარად -
 სამყარო,
 სული გათანგულა
 უცხო ძალებით,
 ღმერთო მაღალო!
 სასომიხდილს,
 მომეცი ძალა,
 მოგიახლოვდე
 ღია გულით
 და ბრმა თვალებით.

ტ ვ ე თ ი

ვით უფლის თვალზე,
 ღრუბელთა თაღზე,
 დაგორდა წვიმის
 პაწია წვეთი...
 -რა უცნაური
 წვიმაა... -ამბობ,
 გასაუხობ:
 -უფლის ცრემლია-მეთქი.

არვის ვახსოვდით,
 როცა გვიჭირდა,

გული ლამობდა
 გასკდომას ფეთქვით.
 ცას ცისარტყლა,
 გაეკრა მერი,
 გითხარი,
 -ღმერთი გვიღიმის-მეთქი.

ვით უფლის თვალზე,
 ცის მაღალ თაღზე,
 ციმციმ-ციმციმით
 მიფრინავს წვეთი.

* * *

ვხედავ, გადავიღალე,
გულიც გაცვდა ალბათ,
ღმერთო, იერ შვეიცვალე,
სულით დავრჩი ბალღად.

მიყვარს ცა და ფერები...
და რომ მეფერებიან,
ჩემი სუსტი ხელები
მეჩვენება ფრთებია.

ჩემო ფიქრო,
ფიქრის ფიქრო,

ფიფქისფერო ფიქრიავ,
ხედავ წლები
ნისლებივით
ჩნდებიან და მიქრიან?!

სული ფარდას რატომ იხსნის?
დარდი ფიქრმა წაიღო...
რა გაწუხებთ, ქალბატონო,
თქვით, რა მოხდა,
რა იყო?!

გიღალატათ, ვატყობ, გულმა
განუყრელმა დაიკომ.

* * *

მთელი ზამთარი დუმდნენ ჩიტები,
ბელურებიც-კი არ ჩანდნენ არსად,
მხოლოდ მტრედების ჩუმი ლულუნი,
ჩამოჰყვებოდა გაყინულ ფასადს.

მე გავყურებდი თოვლის და წვიმის
ცივ, გამჭვირვალე, ბროლისფერ პროფილს,
არ მოველოდი ახალს არაფერს,
ამიტომ აზრი არ ჰქონდა ლოდინს.

მაგრამ... გაზაფხულს... ლურჯი კარიბჭე
უცხო, ფერადი ღვლვით აივსო,
ამიტომ დღემდე გამომყვა ასე
განწყობა საესე და სამაისო.

ახლა ჩიტები იკლებენ ქუჩას,
სახლებს, ეზოებს, ხეებს და ბაღებს,
ტირის ვაზი და ჰყავის ალუჩა,
მე-კი შენს გამო მიბრწყინავს სახე...

* * *

სიცარიელის შემიპყრო განცდამ,
გაფრინდა რაღაც სულივით ტკბილი,
გულო, შენ დამრჩი დაჭრილი რადგან,
გეფერები და ღუმილით გივლი.

დაკარგა ზეცამ ფერი ფერადი,
შავ-თეთრად მოჩანს სამყარო ახლა,
ვერ აგადელვებს უკვე ვერავინ,
ისე დაგიპყრო ფიქრმა და დაღლამ.

ჩაქნეული გაქვს ხელი ყოველზე,
მოგბეზრდა გასვლა ბგერაში, ფერში,
დარდს ცისარტყლად ვერ გადაევლე,
ისე დაგატყდა ქარი და თქეში.

და ერთადერთი რაც ახლა გინდა,
(არ აგიხდება, ძალიანც გსურდეს)
რომ დაგიბრუნდეს ბავშვობა წმინდა,
რომ დაგიბრუნდეს...

რომ დაგიბრუნდეს...

სიყვარულს....

თემურის

სანამდის მოსვლას ინებებდა
მანამ მეგონა,
ჩემს გარდა ყველას გზა-ბილიკით,
შარით უვლია,

როცა მოვიდა,
ამიყვავდა ისე უაზროდ,
თითქოს სიცოცხლე.
მარტოოდენ სიყვარულია.

მე ვფიქრობ ახლა

მე ვფიქრობ ახლა,
იმქვეყნიურ,
მიღმიერ სულთან
რა პაემანი ასტყდომია
სიზმარს მშფოთვარეს,
იქნებ რალაცის არიდება
ან ახსნა სურდა,
ვიდრემდის ეკლის გვირგვინით
შუბლს შემიმოსავენ...
არა! ნამდვილად სხვანაირი
დიდება მსურდა,
არა მარტვილის, მომნანიის
ანდა ცოდვილის,

მე ამ უაზრო არსებობის
დაღეწვა მსურდა,
რათა ამეძრო სულისათვის,
ხორცის ბორკილი.
მაგრამ მიზანი, გამჩენელო -
შენი სულ სხვაა...
თუკი ვიჩქარე,
არსებობას მომისჯი ისევ...
და ამიტომაც გირიგდები,
ვდგები მორჩილად
და განდობილის
ცრემლიანი თვალებით გიმზერ.

* * *

ეს იყო ამას წინათ,
ან შეიძლება გუშინ,
ცნობისმოყვარე წვიმა
ლამის ჩამიძვრა სულში...

სურდა ყველაფრის ერთად
მოყოლა, თქმა და ახსნა...
მაგრამ ეს იყო გუშინ,
რამ გამახსენა ახლა?!

თაფურის

ხანდახან ხედები,
თუ რაოდენ ვმორეულდები,
ხან შარავანდედს,
ხანაც ჭვალის მასხამ მანტიას,
ნუ შეწუხდები,
უსამანო სურვილ-ოცნებით,
რადგან ძვირფასო,
ჯერ პოეტი,
მერე ქალი ვარ.

საზღის ოკეანა

ნაწილი მეორე

ამ ამბიდან ერთი წელი კიდევ ჩაიმარცვლა. ისევ გვიჭირდა რედაქციაში. არადა, ცხოვრებამ საინტერესო თემები უხვად შემოგვთავაზა. ვწერდით, ვბეჭდვდით კიდევ, მაგრამ საზოგადოებას წასაკითხად არ ეცალა. თითო-ოროლა საშუალო შეძლების სპონსორის იმედად დავრჩით. ჩვენი მწირი შემოსავალი სასტამბო ხარჯებსაც ვერ ფარავდა. ისევ შევამცირეთ ტირაჟი. ჟურნალ "ახალ ჰორიზონტს" გაკოტრების, დახურვის საფრთხე დავმუქრა.

მეც, რედაქტორიც, რამდენიმე შემორჩენილი თანამშრომელიც, ყველას ვაწუხებდით, დახმარებას ვთხოვდით, თუმცა ვისაც შეძლება ჰქონდა, ერთი ლარის გაღებაც არ სურდა, ხოლო ვისაც დახმარება უნდოდა, გახვრეტილი გროშიც არ გააჩნდა.

- რას იზამ, ასეა ცხოვრება! - ამოოხვრით მითხრა ერთ დღეს რედაქტორმა, - რას გააწყობ! კიდევ ერთი ნომერი და... - აღარ დაამთავრა. მივხვდი, რასაც გულისხმობდა. მეც ვდუმდი.

- ისევ შენი იმედი გვაქვს, ლევან! - მომიბრუნდა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - იქნებ კიდევ ერთხელ ჩამოუარო ჩვენს მეგობრებს. ჰა, რას იტყვი, ლევან?

რა უნდა მეტყვა! ყველა ჩემიანს, ყველა ნაცნობს ისედაც მოვაბეზრე თავი, ვისი ვალი არ დავიდეთ, ვის არ ვესესხეთ... გაუმაძღარი სტამბა კი ჩვენს ნალოლიაებს უცბად ნთქავდა და ცარიელ-ტარიელი ვრჩებოდით.

ოო, როგორ მეზარებოდა კვლავ

ფულისა და ათასნაირი ხარჯის გასასწორებელი ანგარიშებისათვის ჩაკირკიმალეობა. არადა, ადრე, კარგ დროს, ქუხდა ჩვენი ჟურნალი, ავტორებიც გვყავდა, მკითხველებიც, და არც გვიჭირდა. იყო პერიოდი, ჩვენმა ჟურნალმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, ახალ დროს კარგად აუწყო ფეხი. საინტერესო, ჩვენი აზრით, ნაღდი, ხალასი მასალების გამოკვეყნებით შექება დავიმსახურეთ. მკითხველის გულიც მოვიგეთ. ზოგჯერ, ჩვენი პოზიციის გამო გვსაყვდურობდნენ, რატომ კრიტიკულ წერილებს არ ბეჭდავთო, მაგრამ რედაქტორი ნოდარ კალმახელიძე, ერთხელ აღებულ-დამკვიდრებულ მიმართულებას არ ცვლიდა. მეც მომწონდა ეს პოზიცია, ანდა რა საჭირო იყო პოლიტიკური დებატები და ერთმანეთის ლანძღვა-გინება? მიყვარდა ჩემი კეთილი, ნიჭიერზე ნიჭიერი რედაქტორი, მისი გულისთვის წყალშიც გადავვარდებოდი.

მივლინებიდან ჩამოტანილ-ჩამოყოლილი ისედაც მცირე თანხა საოჯახო ცხოვრების ორომტრიალმა შეიწირა. რითაც შევძელი, სამსახურსაც წავეშველე. ვის მივადგე, ახლა? ვის ვთხოვო, ანდა დაბრუნების რა გარანტიით? ვისზეც ადრე გვქონდა გამორთმეული, ხელმეორედ როგორ მივდგომოდი? ხოლო ვინაც დაგვპირდა და არ მოგვცა, ახლა რა იმედი იყო, რაიმე გაემეტებინა?

- აი, წერილები, - მითხრა რედაქტორმა, - ადრესატები ძალზე

კეთილი და საქმიანი ბიჭები იყვნენ ადრე. დატრიალდი შენებურად. ერთი-ორი სიტყვაც უთხარი და...

- კი, მეთქი. დავავლე ხელი კონფერტებს და რედაქციის უკვე საკმაოდ დაძველებული ავტომანქანით ფირმებისა და კომერსანტ-საქმოსნების ოფისისაკენ გავეშურე. ზოგმა დაპირებით ამავსო, ბევრმაც ისე შემაცოდა თავი, ნეტა საშუალება მქონოდა, იქით დავეხმარებოდი, ხოლო ვისი იმედიც ყველაზე მეტად გვქონდა, საბოლოოდ გადაგვიწურა წყალი. მთლად ხელცარიელი არ დაერჩენილვართ. სტამბაში დატყვევებული დაბეჭდილი ტირაჟი გამოვიხსენი და რედაქტორს ვაახლე.

პირველ რიგში, ხელისმომწერები დავაკმაყოფილე. სავაჭრო ქსელმა კი ისევ გვიღალატა, ვერ გაასალა, ან - არ გაასალა დარჩენილი პარტია. ავი საბაზრო ეკონომიკა მკაცრად გვიტევდა. მკითხველი კი, ვისაც მსყიდველობითი უნარი გააჩნდა, უფრო მეტად პოლიტიკურ-ეკონომიკურ მძაფრ პოლემიკას, ან პორნოგრაფიას ეტანებოდა. ხალასი ლიტერატურა და ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაშრომ-ნაღვაწი არ აინტერესებდა.

კრიზისი გრძელდებოდა. ვალები იზრდებოდა.

რედაქციაში ადრე მისულს, განყოფილების გამგე მამუკა ჩირაშვილი დამხვდა დერეფანში. სახე გაფითრებოდა, აკანკალებულ-ათრთოლებულ ხელში დაკეცილი ქაღალდი ეჭირა.

- რა იყო, მამუკა? - გვითხე.

- ბატონო ლევან, - მომმართა მორიდებით, - განცხადება გაახლეოთ განთავისუფლებაზე. ოჯახური მდგომარეობის გამო უნდა წავიდე, რედაქტორის ძალიან მერიდება, ვერ ვეტყვი, ჰოდა...

- ისევ ცუდადაა შენი ძმა? - გულმა რეჩხი მიყო. ეს ბიჭი ჩვენთან გადიოდა

პრაქტიკას. მომეწონა. ზრდილი, თავაზიანი, უღალატო და, რაც მთავარია, ძალიან ნიჭიერი ჟურნალისტი იყო. პოეტობდა კიდევ, მაგრამ ისეთ ლამაზ და მიმზიდველ მოთხრობებს წერდა, რეკომენდაცია გავუწიე რედაქტორთან და განყოფილება ჩავაბარეთ.

- კი. შეუძლოდ გახდა წუხელ... ექიმის გამოსაძახებელი ფულიც არ გავგაჩნია. ამ წვიმასა და ქარაშოტში ფეხით მოვიყვანეთ ერთი ახლობელი. უცხოური წამლებია საჭირო...

ჯიბები მოვიჩხრიკე. რალაც ათიოდე ლარს მოვუყარე თავი. ნახევარი ხურდა იყო.

- შეინახე ეს განცხადება! სად უნდა იმუშაო? აჰა, გამომართვი...

მწარედ გაეღიმა.

- ლევან ბატონო, თქვენი ჭირიმე, ნუ დამძრახავთ. ეს ათასად რომ აქციოთ, მაინც არ მეყოფა. ათი ათასიც არ მეყოფა. მიბრმავდება ერთადერთი ძმა. თუ ამ დღეებში მოსკოვში ოპერაცია არ გაიკეთა, ორივე თვალი დავესება. წუხელ კინაღამ საწამლავი დალია. დედაჩემი წუთითაც ვერ სცილდება. როგორღა ვიმუშავო თქვენთან?

- მამუკა! - მივმართე, - შევბუღლებას გაიფორმებთ. იქნებ ცოტაოდენი გავახერხოთ. ხომ იცი, მანქანის რემონტს ვალავდებთ. დაახლოებით ათას ლარამდე ლარი იქნება. რაც სპონსორებმა მოგვეცეს, მთელი ტირაჟის შემოსავალსაც დაგიტოვებთ. წასვლაზე კი არ იფიქრო. სად ნახავ ახლა უკეთეს ადგილს?

თვალი ამარიდა. თავი ჩაქინდრა.

- მე ვერ ვეტყვი რედაქტორს... - ჩაიჩურჩულა.

- ნუ დარდობ, ნოდარი რა კაციცაა, კარგად იცი! ნულარ აყოვნებ. წაიღე ეს ხურდები, პური მიიტანე სახლში, შესვენებაზე კი მე და რედაქტორი გამოვივლით. ვანოს დავამშვიდებთ, ქალბატონ ნატოსაც მოველაპარაკებით,

სპეციალურ ანგარიშს კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველებს, ტელევიზიაშიც უფასოდ გამოგვიცხადებენ. გული არ გაიტეხო, მაშუკა! ვიზამთ რაღაცას...

თვალცრემლიანმა აიღო ფული. უხერხულად ჩაიყარა ჭიბეში და სადარბაზო კარები მორიდებით გაიხურა.

გულდამძიმებული მიეუჩეჭე სამუშაო მაგიდას. ცხოვრების ამოებაზე და ჩვენს გაუსაძლის ყოფაზე დაფიქრებული, ტელეფონის ზარმა გამომარკვია. ჩემი ცუდერ უმელა თამუნა მირეკავდა, შესვენებაზე რომ წამოხვალ, პური და ცოტაოდენი შაქრის ფხენილი მოიტანე, რაც "ფული გვქონდა, ლტოლვილებმა ჩამოიარეს და დედამ ყველა მისცაო."

გამეცინებოდა, სატირლად რომ არ მქონოდა საკმე. პო, კარგი-მეთქი, - ვუთხარი ჩემს გოგოს და ისევ მოვიჩხრიკე ჭიბეები. ერთი თეთრიც არ აღმომაჩნდა.

არა უშავს, ნაცნობ მედუქნესთან ნისიად ავიღებ პროდუქტს, იქნებ მანამდის გამოიღაროს, ფხებით წავალ სახლში-მეთქი, - ვფიქრობდი.

ცოტა ხანში რედაქტორის კაბინეტში ვიჭექე.

ნოდარი გულისყურით მისმენდა. მერე ზარის ლილაკს თითი დააჭირა და შემოსულ, კართან ატუზულ ინგას ბუღალტრის მოძებნა დაავალა.

მაღე ტელეფონიც აწკრიალდა.

ანდრო ბანკიდან რეკავდა, ფულს ველოდები, მიმტკიცებენ, სალაროში ერთი ლარიც არა გვაქვს, ანგარიშზე რაც თანხაა, სალამომდე იქნებ შეგვიგროვოთ, და დამავგიანდებო.

- ანდრო, ანდრო! - უყვიროდა რედაქტორი ყურმილში, - ქვა გააპე და უკანასკნელ თეთრამდე რაც გვაქვს, წამოიღე! ძალიან გჭირდება, იცოდე!

მძლოლი რა ხანია, აღარ გვყავდა. მაქსიმუმ, ოცი დოლარის ანგარიშს გავცემდით ხელფასად. ვეღარ გაუძლო

გაჭირვებას, ვერც ავტომანქანას უვლიდა, წავიდა, ვილაც ახალგამოჩენილი კომერსანტის ავტობუსზე დაიწყო მუშაობა. ჩვენს "მეექვსეს", კი ის დაატარებდა, ვინც ბენზინს ჩაასხამდა.

რედაქციაში სალარო დაცარიელდა.

გარეთ მარტის თქეში იღვრებოდა. ჭირვეული, თოვლქვაპ-არეული ამინდი გამოდარებას არ აპირებდა.

მასალა საკომპიუტეროში ოპერატორ გოგონებს ჩაებაარე, - აბა, თქვენ იცით-მეთქი, - გავებუმრე, პალტო ჩავიცვი და კიბეზე დავეშვი.

რკინიგზის გადასასვლელთან საბურავმა დაუშვა. "ჭიგული, გადავაყენე, უწესრიგოდ მქროლავ ავტომანქანებს განვარიდე, გადმოვედი და უკანა საბურავებს დაეხდე. ორივე გამსკდარიყო. გაცვეთილი, დაჩუტული თვლებიდან შიშინით გამოდიოდა ჰაერი.

- გაჭირვებავე, დაგიდგეს თვალები! - გაგულისებულმა ჩავილაპარაკე, - რა უნდა ვუშველო ახლა ამას?

საბარგულში სათადარიგო საბურავი არ აღმოჩნდა, არც ავტომანქანის ამწევი ჰაერის სატუმბი.

გაბრაზებულმა მთელი ძალით დავარტყი ხელი სარკველს. იქვე ახლოს, პურის მაღაზიის შესასვლელში შევიხიზნე ამ წვიმა-ქარაშოტში, სიგარეტის კოლოფი ამოვიღე ჭიბიდან. ასანთი დასველებულიყო. ვილაც უცნობს ვთხოვე. მანაც, ოდნავდამცინავი ღიმილით გამომიწოდა სანთებელა.

ღრმა ნათავი დავარტყი, ჩუმი ოხვრა კვამლს გავატანე.

- ორივე როგორ გასკდა, ეს ოხვრი! - თანაგრძნობით მითხრა უცნობმა. - აქვე, სულ ახლოს, მეთექვსმეტე სკოლას რომ გასცდები, მაღალი სახლის პირველ სართულზე იუფესკის საოცარ საბურავებს ყიდის...

- გმადლობთ! - ვუთხარი, - საბურავები ახლა ყველა ნაბიჯზე იშოვება.

შემატყო, გაგებრაზდი.

- მაპატიეთ, - მომმართა ისევ, - მე გიცნობთ, ბატონო ლევან! - გამყიდველს ზაური ჰქვია. კარგი კაცია... ძალიან კარგი კაცი... გაგიკეთებ... თავად დარწმუნდებით... უთუოდ გაგიკეთებ...

გამომცდელად შეეხედე ამ არამკითხეს. მერე შეცივებულ, მობუზულ გამყიდველს მივუბრუნდი: - ქალბატონო, შემთხვევით, აქ სადმე ტელეფონი ხომ არ გვევლება?

- ჩვენი არ მუშაობს, - წამოდგა მოწყვნილი გამყიდველი, - გადაუხდელობის გამო გამოგვრთეს. ახლოს, მხოლოდ საზღვაო სანაოსნოდან თუ დარეკავთ.

- გამადლობთ! - პალტოს ღილები შევიკარი და ტროტუარს სირბილით გავუყვი.

რედაქტორთან დარეკვას აზრი არ ჰქონდა. არც ვაპირებდი მის შეწუხებას. ეგებ, მეზობლის ბიჭი, თამაზი ან ზურაბი იყოს სახლში, მოვლენ და მომეხმარებიან.

ვერ დავუკავშირდი.

ისევ ჩვენი მძღოლის ბინის ტელეფონის ნომერი აგრიფე. ქალბატონმა მედიკომ მიპასუხა - ანზორი არაა სახლში, თუ დაბრუნდება, რა გადავცეო?

რალას იზამდი.

შენიმული კარები გამოვალე. გარეთ ისევ თოვლნარეგად წვიმდა. მიმოქროდნენ მანქანები დარდიმანდულად გამოჭიმული მძღოლებით.

ტროტუართან მილიციის მანქანა დაერქო.

- ბატონო ლევან, მიბრძანდებით სადმე? - მინაწამოწყული კარებიდან ფორმიანმა ახალგაზრდამ თავი გამოყო.

- აჰ, შენა ხარ? - გიცანი პოლიციის კაპიტანი.

- დაბრძანდით!.. - კარი ფართოდ გამოაღო.

- არა, ელგუჯა...

- რით გემსახუროთ? - მკითხა ისევ ღიმილით.

- ვერ შეგაწუხებთ.

- პრობლემაა რაიმე?

- რამდენიც გინდა, ელგუჯა!

- მისმსახურეთ, ბატონო ლევან. ვალდებულიც ვარ. ნარკვევი კარგი გამოვიდა. დღეს ყველა მილოცავდა სამსახურში... პურ-მარილი ჩემზეა...

- ჰოო, - გამელიმა, - საბურავები დამისკდა, ორივე... დაგვიძველა მანქანა.

- მორიგეს დავუკავშირდები. სად გაჩერდით?

- მაგას რა აჯობებს! უარს ნამდვილად არ გეტყვით.

სალონში მოვთავსდი, წვიმასა და ქარაშოტს ავერიდე.

ცოტა ხანში პოლიციის მეორე მანქანაც მოვარდა.

ორი ფორმიანი, საზამთროდ გამოწყობილი ბიჭი, ჩვენი "უიგულის", საბურავებთან ჩაცუცქდა.

ავტოსათადარიგო ნაწილების მაღაზიის მფლობელმა ზაურ წითელაძემ ყოყმანის გარეშე დაგვითმო წყვილი საბურავი. მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

ბიჭებმა ყველაფერი მოაგვარეს.

ისევ მივუჯექ საქვს და მაიაკოვსკის ქუჩაზე მქროლავ მანქანებს შევეყრე. გვერდით სავარძელზე ელგუჯას მოცემული მობილური ტელეფონი მეღო. მთელი დღით დამითმო.

საწვავს ნავთობბაზა გვაწვდიდა ადრე. მაღალი მურადი ყოველთვის გვიწყობდა ხელს. ადგილზე არ დამიხვდა რედაქციის მფარველი. შეწუხდნენ, შეეზარათ, მაგრამ ათიოდე ლიტრი ბენზინი მაინც მომცეს.

ისევ წვიმდა და თოვლწყაპს ურევდა.

26 კომისრის ქუჩის განშტოებაზე ბავშვიანმა ქალმა გადამიჭრა გზა. დავამუხრუჭე. კარგად არ დაიჭირა. მარცხნივ ავიღე. ავაცილე და შიშის ჟრუანტელდავლილმა თავისუფლად ამოსუნთქვაც ვერ მოვასწარი, რომ უკნიდან საშინელი ჭახანის ხმა გაისმა, თავში თითქოს ურო დამკრეს, რალაც

ძალამ მანქანა წინ გაიქნია და კისერი ისე მეტყინა, სიმწრით დავიგრძე.

თვალები რომ გავახილე, ორი გაწრიპული ბიჭი ჩემს კარებთან პარქკლავდა ხელებს და უშვერი სიტყვების კორიანტელს მაჭრიდა.

როგორც იქნა, გამოვერკვიე. კარი გავაღე და გადმოვედი კისრის მალეების სრესით.

საბარგულის სარკველი აღებულიყო, ქანაობდა. თეთრი ფერის "მესამეს,, მარცხენა უკანა ფრთა შიგ შეეტანა. ორ უტისკო საბურავს ამორტიზატორის როლი შეესრულებინა და დიდ ავარიას გადამარჩინა.

- ეს მინდოდა, ახლა მე?! - სიმწრით წამოვიძახე.

- გაიყვანე მანქანა! - კვლავ ყვიროდა უცნობი ახალგაზრდა.

მეორე კი, უშნოდ აწოწილი, ერთიანად ამოსველებული კაცი ჩემსკენ იწედა.

- აქ მანქანა გაიჩერება, შენი დედაც...

- არაფერი შეგეშალოთ, ბიჭებო. დამნაშავე თქვენა ხართ და ზარალიც უნდა ზღოთ, სანამ საგზაო პოლიცია ჩაერეოდეს. მერე უფრო ძვირი დაგიჯდებათ!

- გათიშეთ მანქანები! მილიცია-პოლიციის ჭკუაც ვატირე! გათიშე ახლავე! - ყვიროდა და იქაჩებოდა მაღალი ბიჭი.

- არაფერი შეგეშალოთ-მეთქი! - კვლავ გინარჩუნებდი სიდინჯეს, - ფრთა შესაცვლელია. ახლა, სანამ სიტუაცია გამწვავდეს, ჭკუას მოუხმეთ!

- ვინა ხარ ასეთი, აქეთ რომ გვედავები? - არ ცხრებოდა მეორე ბიჭი და ისევ ჩაჩხავდა ხელებს.

- რედაქციაში ვმუშაობ, ნამდვილად არ გირჩევთ ამ ტონით ლაპარაკს...

- რედაქციაში? აქ რას არჭობდი მანქანას! თუ ინტერვიუს ასაღებად გააჩერე? - დამცინავი ტონი გამოკრთოდა მის ხულიგნურ ქცევაში.

მოთმინების ფილა ამევსო. კისრის ტკივილი დამავიწყდა ლამის.

- თქვენს თავს დააბრალეთ, რაც დაგემართოთ! აი, ამდენი ხალხი იქნება მოწმე, არ გაპატიებთ, ვინც უნდა იყო!

მოძრაობა შეფერხდა გადაქედულ ქუჩაზე. უამრავმა ცნობისმოყვარემ, მოლაყემ და მოცლილმა მოიყარა თავი.

ერთმა ისიც კი მითხრა, ესენი კარგი ბიჭები არიან, ამ ქუჩის განაბები, სჯობია, გაეცალო, ვერაფერს გახდები მათთან, ცამდე მართალიც რომ იყო.

- ერთი, თუ კაცი ხარ, ვინმე მომიყვანე, ან პოლიციაში დარეკე! - ვთხოვე "მერსედესში" გამოქიმულ დარბაისელ კაცს. - ამ ღლაპებთან არ მსურს ლაპარაკი.

- გაგიუდი, ტო! მე რა ვიცი პოლიცია!

მდგომარეობა გამწვავდა. ამდენ ხალხში, ახლა აქ რომ იწუწებოდნენ და დაშლას არ აპირებდნენ, ვერავინ ვნახე ჩემი თანამგრძნობი.

უცებ ზიზლი ვიგრძენი მათ მიმართ. არადა, ვიცოდი, ექვიც არ მეპარებოდა, იოტისოდენა დანაშაული არ მიმიძლოდა ავარიის მოხდენაში.

- გათიშე მანქანა! - ყვიროდნენ ბიჭები და მათ დადუმებულ "ჟიგულს,, აწუებოდნენ, მოტორიდან ორთქლი რომ ასდიოდა. ახლომდგომნიც მხარს უზამდნენ, - მათთან არაფერი გამოვივა, გიჯობს დაუჭერო.

სისხლი თავში ამივარდა. მაინც მოვთოვე ემოციები.

- ბიჭებო, სანანებლად დაგირჩებათ თქვენი მოქმედება. მანქანას გამოკეთებთ, დღესვე გავასწორებინოთ. ამდენი დრო სადა მაქვს. მერე ახალ ფრთას მომიტანთ და შემიღებავთ კიდევ...

ალარ დამაცალეს.

- ვახოე, რაღას უყურებ? მიაკერე ერთი. სახვეწარი რა გვაქვს? მე კი ჩვენს მანქანას გავიყვან. ალარ მუშავდება, ეს ოხერი! ბიჭებიც დამეხმარებიან. აბა, რაღას

უყურებთ? მომაწეჭით, ჯიგრებო! კისერიც უტეხია ამ მამაძალღს...

ერთი საჟეს მიუჯდა. ახალგაზრდები მანქანას დაეჯაგურნენ. მაღალი, აწოწილი კი ჩემსკენ გამოეჭანა.

- შეჩერდი, გაფრთხილეთ! - დინჯად, რამდენადაც შეეძლო, მშვიდად მივმართე, - არ დაგინდობ, იცოდეთ!

ყურიც არ მათხოვა.

სამბოს ილეთებს ვფლობდი მეტ-ნაკლებად. მოქნეული ხელი ავიცილე, ყბაში ქვემოდას ამოვკარი და დაბარბაცებული მოძალადე, ალბათ წაიქცეოდა, შეჯგუფებულ მოსერიე ბრბოს, რომ არ შელეწებოდა.

სანამ გონს მოვეგებოდა, პალტო დინჯად გავიხადე, კარი გამოვადე და გაბრაზებით მივაგდე სავარძელზე.

ბიჭოს! აგერ არა მაქვს მობილური ტელეფონი! გადავიხარე, დაწვდი, ავიდე, ნახევრად მიხურული კარი ხელის კვრით მივაჯახე, გავიმართე და სანამ ნომერს ავკრეფდი მოკვითალო ფერად განათებულ ტაბლოზე, ის აყლაყულდა ბიჭი ისევ ჩემსკენ გამოეჭანა მოსერიეთაგან ბრბოსაგან წაქეზებული - მიდი, მიდი, ვახო! ნუ გეშინია!

მომხდურმა ისევ მომიქნია ხელი. აღარ დავაყოვნე. მარჯვენათი ელვისებური დარტყმით ისევ იმ წამქეზებლებს მივუგდე და ტელეფონში ჩავძახე, რაც შეიძლებოდა დინჯად:

- მაიაკოვსკისა და 26 კომისრის გადაკვეთასთან ავარიისში მოვხვდი. ვილაც ხულიგნები დამეჯახნენ. სასწრაფოდ, ოპერატიული ჯგუფი!

მორიგემ მიპასუხა.

- გავიგე! იქნება ოპერატიული ჯგუფი! სამედიცინო დახმარება გჭირდებათ?

- მხოლოდ ოპერატიული ჯგუფი! მე ლივანელი ვარ. ბატონ ელგუჯას შეატყობინეთ!

ისევ გამოქანებული მოძალადე კვლავ მომიახლოვდა. სიბრაზისა და

მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა. ტელეფონი რომ დამინახა ხელში, წამით შეყოვნდა, ცეცხლივით აბრიალებული თვალების უცნაური ელვა შემომანათა და თავგანწირული მეკვთა.

ერთი კოხტად ჩატარებული ილეთი... წამის შემდეგ, ვახო იყო თუ ვილაც ოხერი, ძირს გორავდა სიმწარისა და მოულოდნელი დარტყმისაგან დაგრეხილი. იქვე, ასფალტზე, შიშველი დანა ეგდო. მადლობა ღმერთს, ზედ არ წამოვეგო.

ბრბომ უკან დაიწია. რამდენიმე წამი ჩუმ გარინდებაში ჩაიღია, მე რომ საუკუნედ მეჩვენებოდა. შემართული ვიდექი. ადგილზე გახეებული, ცალ თვალს უკან ვაპარებდი, ზურგიდან არ დამსხმოდა ვინმე, და მომხდართ შეძრწუნებული, იმაზე ვფიქრობდი, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, თვალწინ კი ჯარში, მედესანტეთა ასეულში გატარებული ორი გრძელი, უსასრულო წელიწადის სიმწრიანი დღეები მედგა.

გამოვერკვიე. გავიგონე, ახლომყოფი მანქანების მოტორი ათუხთუხდა. პირველად ლურჯი "მერსედესი", გაქრა. სხვებიც ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

- ვაჰ! რედაქციაშიც არიან კარატისტები?! - ჩაილაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ, მანქანაში ჩახტა და გაუჩინარდა.

ვახო ორმა ბიჭმა წამოაყვნა. რალაცას ლუღლუღებდა. სველი სახელოთი სახეზე სისხლს იწმენდდა. თან იგინებოდა და ისევ ჩემსკენ იწევდა ვითომ, მაგრამ შევატყვე, ნაბიჯის გადადგმის თავიც არ ჰქონდა. მისი ამხანაგი კი, გაშტერებული, პირდაღებული ატუხუშულიყო მანქანის ღია კართან.

რამდენიმე წუთში სირენების ბლაგილით, საგანგაშო ნათებით, ორი "დოლანი", მოვარდა. ხალხი გაიშალა, ადგილი უტია პოლიციას.

ელგუჯა პირველი გადმოხტა.

- ხომ არ დავაგვიანეთ, ბატონო

ლევან? – მომვარდა. დამჯახებული მანქანის შეჭყლეტილ ნომერს შეხედა მერე.

– 03-08 ისევ გამოვიდა?

მობუზულ ხულიგნებს, გასაქცევად რომ ემზადებოდნენ, ჩუმად მიიძურ-წებოდნენ, მრისხანედ, სიმკაცრეჩამდგარი თვალებით შეხედა და იყვია: – ვაზტანგ ჭანიძე, კახა მოდებამე! არ იშლით თქვენსას? ახლავე სამორიგეოში!

პოლიციელებმა ორივე გისოსებიან “დოდანში,“ შელაღეს.

– ბოდიშს გიხდით, ბატონო ლევან!

– გავარკვევთ ყველაფერს. არ ინერვიულოთ, პრობლემა არ გექნებათ. დამიჯერეთ, ბედი გქონიათ, იოლად გადარჩენილხართ. მანქანას ახლავე მიიყვანებენ საუკეთესო მოხელეებთან. თქვენ კი, ჩემი პერსონალური მანქანით მოგემსახურებით! – დაბრძანდით, გთხოვთ!

რა მერესტორნებოდა!

როცა თითქმის მოგვარდა ყველაფერი, ელგუჯამ თავი მოიკლა და “პონტო“ში, ჩამოვსხდით.

სალამო პირს ჩაბნელებულ კაბინეტში მდივანმა ქალიშვილმა სანთელი ამინთო, წასვლის ნებართვა ითხოვა. ის იყო, გავიდა მისაღებში, რომ ისევ შემობრუნდა მორიდებით.

– ბატონო ლევან, – მომმართა, – ერთი ხანში შესული კაცი გელოდებათ. შემოვიდეს?

– ვინ არის? – საკორექტურო გვერდიდან თავი არ ამიღია, ისე ვკითხე.

– სოლომონი ვარო, ამბობს. გვარი არ ვიცი.

– კარგი. შენ წადი! ცოტა ხანს დამელოდოს. ამ სვეტს ბოლომდე ჩავიკითხავ, ბარემ...

კორექტურა გავასწორე და მისაღებში გავედი.

მაღალი, ძალზე სუსტი, მხრებში და წელში მოხრილი ასაკოვანი კაცი მორიდებით წამოდგა კედლის გასწვრივ ჩარჩეხებული ერთ-ერთი სკამიდან,

შეფერთხილი, მოძველებული კოსტიუმი გაისწორა, წამიერად შემომხედა ლამის აცრემლებული თვალებით და მზერა ამარიდა.

– მობრძანდით!

ოთახში ციოდა. გაუქმებული გათბობის მიღები გაყინულიყო. პალტომოხურული ვიდექი უცნობის წინაშე. “ალბათ, ლექსები, ან საგაზეთო მასალა მოიტანა“. გამკრა გონებაში.

მორიდებით აიტუზა კარებთან.

ცივ კაბინეტში სანთელი ლაპლაპებდა. რალაც უშნოდ ადგა პიჯაკი ტანზე. „ალბათ, ადრე მსუქანი იქნებოდა“, – გავიფიქრე.

– არც კი ვიცი, როგორ დავიწყო, – ნელა ჩაიჩურჩულა, ისევ მორიდებული, გათანგული კაცის იერით შემომხედა. – ბოდიშს გიხდით, ბატონო ლევან... მომიტევეთ...

– ბრძანეთ, გისმენთ!

– თქვენ არ მიცნობთ. მე “ახალი ჰორიზონტის“, ერთგული მკითხველი ვარ... – ისევ დადუმდა. ენა დაემა.

– დაბრძანდით. მარტო ამის სათქმელად არ მოხვიდოდით. რით შემიძლია გემსახუროთ?

– ეს... მე უნდა გემსახუროთ და თქვენზე ვილოცო, მუდამ ვილოცო... – ისევ ჩაუწყდა ხმა.

ერთხანს ორივე ვდუმდით, უხერხულად. „ნეტა, რა უნდა? რატომ ღერღვეს სათქმელს?“.

– ადრე რაიკოოპერატივში ვმუშაობდი. მერე ფირმა გავხსენი. მართალია, ახლა არაა მუშაობა და გაჭირდა ცხოვრება, მაგრამ მთლად წაქცეული როდი ვარო. ამას წინათ, ვერ გაგიმართეთ ხელი, ჰოდა, ახლა სპონსორობისათვის მზად გახლავართ, ჩემო ბატონო! რამდენსაც იტყვით, რამდენსაც შეეწვდებით...

რალაც მოულოდნელი მიგრძნო გუჟანმა. ჯერ არ მახსოვს, კაცი

სპონსორობას გთავაზობდეს და ასე მორიდებით, ასე განადგურებული, მიუსაფარი გელაპარაკებოდეს. ეჭვი მღრღნოდა.

- თქვენი რედაქტორის წერილი მივიღეთ... მეორედ. ადრე არ იყო საშუალება, ახლა ცოდაოდენი გაგვიჩნდა და... - ისევ დადუმდა.

- მაღლობის მეტი რა გვეთქმის, - მივმართე, - შემახსენეთ, თუ შეიძლება, რომელი ფირმაა? მაპატიეთ, ვერ გიცანით!

- მე გიცნობთ, ბატონო ლევან! მეციტრუსეობის მეურნეობის მთავარ ბუღალტრად გმუშაობდი ადრე, როცა ეს ჟურნალი დავაფუძნეთ...

- კი, ბატონო! ახლა რა ფირმას ხელმძღვანელობთ?

- „იასამანი“ ჰქვია ჩემს ფირმას. სოლომონი ვარ, მე...

- გვარიც შემახსენეთ, ბატონო სოლომონ, თუ შეიძლება!

სტუმარს წამიერი კრთომის ელვით აენთო თვალები, ისევ ამარიდა მზერა. ბოლოს თავი კიდევ უფრო დახარა და დანანებით, საწყლად ჩაილაპარაკა - ჭანიძე ვარ, მე, ჩემო ბატონო!..

„ხელიკიტლეკიების“... - ალბათ ასეთი ტონით იტყოდა პატარა ცაბუნია, თავის წარმოშობას რომ უმხელდა ჰოსპიტალის დარაჯს.

- ჭანიძე? - ვიკითხე აღელვებულმა.

- ჰო! - ჩაიხურჩულა ისევ.

„ვახტანგ მოდებამე, კახა ჭანიძე!“ - გაიჟღერეს, გაიწივლეს ყურში იმ გარეწრების გვარ-სახელებმა. - მგონი, ჰგავს კიდევ იმ გათახსირებულს. როგორც ჩანს, მამაა!

- მერე?! - თავი მოვთოკე, მოულოდნელი აღელვება დავიოკე. ჩვეული დიქცია შევინარჩუნე.

კაცი დადუმდა და თავჩაღუნული იდგა გაუნძრევლად.

- რამდენსაც ისურვებთ, ჩამოგირიცხავთ. პირადად თქვენც მოგართმევთ...

საწყალობელი თვალებით შემომხედა და კვლავ ამარიდა მზერა.

- რამდენი შეგიძლიათ, მაინც?

- ზედ ორი ათასზე მეტი არა მაქვს. ისე, გავახერხებთ რაღაცას!

ზავს მოკიდებული, წყალწაღებული კაცის იმედის მბჟუტავი, ცრემლიანი თვალები წამიერად გამისწორა და ჩემს გაფითრებულ სახეს, ალბათ, მიტკალივით გაფითრებულს რომ შეეფეთა, ისევ დახარა თავი.

- რატომ, ამდენი? ჩვენ მაშინ ორასი ლარი გთხოვეთ. ახლახან კი... რაღაც, ასიოდენ ლარი! ასე არაა?

- არ გავგაჩნდა, მაშინ...

- ახლა გაქვთ? სად იშოვეთ ამდენი?

- ალალი ვაჭრობით! აგი, მხოლოდ თქვენ, პირადად...

- მე ჩემთვის არაფერი მითხოვია?!

- აი, წიგნი ხომ უნდა გამოსცეთ! თქვენი “ზღვის ზღაპარი”, ამ ჟურნალში რომ იბეჭდებოდა, ყველა წაკითხული მაქვს... ხელს შეგიწყობთ!

მაინც მოვთოკე თავი. ვკითხე: - კახა ჭანიძე შვილია თქვენი?

- მიმიხვდით, ბატონო?! - ისევ შემავლო წამიერი მზერა და ჩუმად, სევდანარევი ოხვრით ჩაიხურჩულა: - შვილია ჩემი... - იმედის სხივი აკიაფდა მის თვალებში, ხმაში სიხარული შეერია, - ერთადერთი შვილი!

- ვაზო... ვახტანგ მოდებამე?

- ვახტანგი? ცოლის დის შვილია...

- მამამისს არა აქვს ფირმა?

- ფირმა... არა! ისე, ისიც ვაჭრობს. კარგი ქვისლობა გვაქვს.

„ნაგავები!“ - ხმამალლა მინდოდა მეყვირა, მაგრამ თავი შევიკავე. ვდუმდი.

- კარგად მიუღის საქმეები? - ვკითხე მერე.

- ამ შვილების პატრონებს კარგად გვეჩვენა? - ტირილი ძლივს შეიკავა, - ან ციხიდან უნდა გამოვიყვანოთ, ანდა - რეანიმაციიდან!

- რენიმაციიდან???

- ხანდახან... დიდი ღოზა მოუდით, და...

- ღმერთო, რა შეგცოდნე! - წამოვიძახე ძალაუნებურად.

- მათი დედები ვერ გადაიტანენ ამ ახალ უბედურებას. ათჯერ დამიმტვრია მანქანა. ჩემსას აღარ ვჩივი, თქვენსასას გავაკეთებ ჯერ.

- მანქანა აუცილებლად უნდა გააკეთოთ!

- ვნახე მოხელე. ახალი ფრთა უკვე დააბნიეს. შუქი როცა იქნება, პირველ რიგში შეღებავენ.

- უნდა დააჩქაროთ. რედაქტორზე არც მითქვამს. ინერვიულებს.

- ეჰ! თქვენ რაღა გექნებათ სანერვიულო! დაგაფინანსებთ, ჰოდა...

- რა, ჰოდა?

- ოღონდ ბატონ ელგუჯას უთხარით, როგორმე დახუროს საქმე. არ გააზვიადოს, მთლად არ მომეჭრას თავი ამ გამწარებულ სიბერეში... ჩემს თავს სულ არ ვჩივი. ცოლი მეცოდება. მან გაათამაშა და ახლა ლოგინადაა ჩავარდნილი. არც ბატონ ელგუჯას დავტოვებთ უპატივცემულოდ!

„ნაგავები!“ - ისევ მინდოდა მეყვირა. ისევ შევიკავე თავი. მწარე ფიქრებში ჩავიძირე წამიერად.

- ვიცო, საშველი არაა იმ არამზადების, მაგრამ ცოლის დის ქალიშვილის, სოფიკოს ქორწილი გვაქვს დანიშნული ამ შაბათს და დაინგრევა ყველაფერი, ჩემო ბატონო. ახალმა მოყვრებმა არ იციან ჩვენი დარდი, თუ არა, ვინღა წაიყვანს? ჩაიშლება ქორწილი...

- მე ამ საკითხში ნამდვილად ვერაფერს დაგეხმარებით, ბატონო სოლომონ! აბსოლუტურად ვერაფერს! მილიონი დოლარიც რომ დამიხვავოთ ახლავე. კარგად ბრძანდებოდეთ! - შეუვალი ტონით ვუთხარი. „ყველაფერს ვაპატივბდი, დედის გინების გარდა! ისე,

კაი ალიყური კი ვაჭამე“. - გამკრა წამიერად. - იჯდნენ ახლა ციხეში. მორფინისტები!“.

ერთხელ კიდევ შემომხედა სევდიანი მზერით და ჩემს ანთებულ, მრისხანე-ბისაგან გაფითრებულ სახეს რომ წააწყდა, ოთხად მოკეცილი, განადგურებული და მომჩვარული ლასლასით გავიდა კაბინეტიდან.

ტელეფონის გაბმულმა წკრიალმა გამომარკვია მძიმე ფიქრებიდან. იმ უცნობ საპატარძლოს ბედზე ვდარდობდი, სადედოფლოდ რომ ემზადებოდა, ხოლო მისი ქორწილის ჩაშლა-ჩატარება ჩემს ხელთ იყო ახლა. გარეწარი ძმისა და დეიდაშვილის უღირსმა საქციელმა შეიძლება სამუდამო დაღი დაასვას მის ვარდისფერ ოცნებებს. რა ვქნა? არადა, როგორ მეთქვა ელგუჯასათვის, ერთ-ერთი პატიოსანი მუშაყისათვის, ბიჭები გარეთ გამოყარე-მეთქი. მორფინისტები! ხანდახან დიდი ღოზა მოუდითო!

გულდამწვარი, განადგურებული, მორალურად გატეხილი მამის გასაცოდავებული სახე არ მშორდებოდა.

ტელეფონი კი ისევ და ისევ რეკავდა. ელგუჯა იყო.

- ბატონო ლევან! - მომესმა ყურმილში, - ძალიან გართულდა მდგომარეობა. ზემოდან დამირეკეს, დაუყოვნებლივ გათავისუფლება მომთხოვეს იმ ბიჭებისა. უარზე ვარ, შენი სწორი პოზიციისა და მხარდაჭერის იმედი მაქვს.

- ჩემთანაც იყო მამამისი, ქანიძე, მართლა სერიოზულადაა საქმე. ხედავ რაიმე გამოსავალს?

- ვერა! - იყო პასუხი, - ბათუმში აკრედიტებული სხვადასხვა გაზეთების კორესპონდენტებმა უკვე იწმინდეს ორი ნარკომანის დაჭერის ამბავი. ჟარგონით რომ გითხრათ, ორივე გაჩხირულში არიან. დასკვნაც მომიტანეს. რომ დავთმოთ,

საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი.

- იმიტომ იყვნენ აგრესიულნი? - ერთმა ძალით გამალახვინა თავი. მართლა შეიძლებოდა გვეპატიებინა, რომ არ შეგვიზებინათ. ხომ იცი, ცუდად მოიქცნენ. ვინ დაგირეკა?

- ჩემი ძმა და მეგობარი კი ხარ, მაგრამ მაპატიე, ვერ გეტყვი... ნუ მიწყენ, კარგი?

- ქორწილის ჩაშლის საფრთხეზე მიმანიშნეს...

- ვიცი. შარშან ნიშნობა ჩაეშალა სოფო მოდებამეს. ორი დღით ადრე, ბრძანაწლავის შეტევის გამო, ოპერაცია გაუკეთეს. არც საქმრომ, არც საქმროს ნათესაობამ აღარ მიაკითხეს. უფრო მეტიც, საავადმყოფოდან გამოწერამდე ცოლიც შეირთო... საპატარძლოს გული მოუკლეს.

- რას ლაპარაკობ, ბიჭო! - ზეზე წამოვევარდი, - ახლაც რომ ჩაეშალოთ ქორწილი, ცოდვა გაგვახარებს მე და შენ?

- რა გქნათ, აბა! ხომ იცი, მერე რა მოჰყვება ამ ამბავს? ჟურნალისტებს ვინ გააჩუმებს!

- დილამდე მაცალე, ელგუჯა. მე ჰუმანისტი ვიყავი ყოველთვის, ასეთ არაორდინარულ დროსაც. გახსოვს, მოსაკლავად რომ მსდევდნენ ნარკომანთა ბუნაგის მხილებსათვის? ისევ შენ მიხსენი მაშინ, გადაცმული მილიციონერები მომამაგრე უჩუმრად, მთელი ორი თვის განმავლობაში? გზაშიც დამხვდნენ, მანქანაც გამიფუჭეს, სამუხრატე მიღები გადამიჭრეს...

- ჰო! როგორ არა, - მწარედ გაეცინა ელგუჯას, - ახლაც დაგემუქრნენ?

- აჰ! რას ამბობ! პირიქით, პირიქით!..

- ჰოო, გასაგებია, დილით დაგირეკავ...

- ნახვამდის, აბა!

ნისიად გამორთმეულ სურსათის პატარა შეკვრას დავავლე ხელი და მისაღებში გავედი. ნატას მაგიდაზე გადაშლილი წერილი დამხვდა სანთელთან

ახლოს.

ნატა მწერდა, - თბილისიდან დაგირეკეს, დღეს ძალიან აღელვებული იყავით, აღარ შეგაერთეთ, არაა ადგილზე-მეთქი, რეზო ბეროშვილმა გიკითხათ, ხვალ ისევ დარეკავს თერთმეტი საათისათვის.

- რეზო ბეროშვილი?! - ვიკივლე. გამოჩნდა ბოლოს და ბოლოს, ჯაკარტაში მომუშავე ექიმი! ვიცი, ჩამოუსვლელს არ იზამს! ჩემს ღარიბულ ბინაში როგორ მივიყვანო ჯიბეგაფხეკილმა და უკაპიკომ?

ესეც ახალი სადარდელი, - სიხარულთან ერთად!

წვიმას და თოვლწყაპს დილითაც არ უჩანდა გადაღების პირი. სადარბაზოსთან „ვოლგა“ იდგა. ქუჩაზე გასასვლელი არცთუ ფართო გვირაბი უშნოდ ჩაეკეტა.

გაბრაზება გულში ჩავიკალი, ახლა ამ მძლოლთან ჩხუბის თავი არ მქონდა. გვერდის ავლას ვაპირებდი. იმ წამსვე გაეღო კარი და ახალგაზრდა, ლამაზი, გემოვნებით ჩაცმული ყმაწვილი კაცი მარღად გადმოვიდა, ჩემსკენ გამოემართა. ნაცნობი მიხვრა-მოხვრა და მანერები ჰქონდა.

- ლადო, ბიჭო! რა არის ეს? როგორ გაგიჩერებია მანქანა? - მიემართე მწყრალი ღიმილით. ჩვენი ავტორი იყო. შესანიშნავ სონეტებს წერდა. რობერტ ბერნსის ჯერ უცნობი, ახლებურად გააზრებული მთარგმნელი იყო. პატივს ვცემდი მის ნიჭს და თუმცა, პოეზიის სფერო მე არ მიმეყვება, დასაბეჭდად ვარჩევდი მის ნაწერებს.

- დაბრძანდით, ბატონო ლევან! ახალი ლექსები და საინტერესო მასალა უნდა გაგაცნოთ, თუ ნებას დამრთავთ.

ხალისიანი, გულღია ბიჭის მიპატიჟებაზე უარი აღარ მითქვამს. წინა სავარძელში მოვთავსდი. შავად შებურთული მინები, ასეთივე ფერის გემოვნებით გაკეთებული ფარდები საოცარ სიმყუდროვეს ქმნიდა სალონში. მანქანა დაიძრა.

მერე?

მერე რაც მოხდა, ნიჭიერი რეჟისორის მომზადებულ სპექტაკლს ჰგავდა, ანდა - ბუნებრივ, ხალას და უზადო ცხოვრებისეულ მოვლენას.

- ზეგ ქორწილია დანიშნული ჩემი და... ერთი კარგი გოგოს ქორწილი, - შეფარული სითამამით დაიწყო ლადომ.

თქვა ეს და ისედაც დაბალ ხმაზე მოსაუბრე რადიომიმღები გამორთო. დადუმდა. იმავე წამს ქალიშვილის გულამოსკვნილმა ქვითინმა შემოფოთებით შემახედა უკანა სავარძლისაკენ. შავ ფრანგულ, საყლოებაწეულ პალტოში გამოწყობილი გოგოს ლურჯი, მინაბული და ცრემლიანი თვალები შემომეფეთა. წამიერად დააფახულა წამწამები, თავი ჩაღუნა და მზერაარადებული გულამოსკვნით ატირდა.

შევცბი. უკვე მივხვდი, ვისთანაც მოვხვდი ამ გაკრილებულ მანქანაში. „ვოლგა“ ნელა მიზუზუნებდა რუსთაველის ქუჩაზე, თავისუფლების მოედნისაკენ. სასიამოვნო შიშინით მიარღვევდა ფეხმოუკიდებელ სველ თოვლს.

- რატომ ტირით, ლამაზო ანგელოზო? - ჩავიხურჩულე უნებურად. სანამ გულით გავიცნობიერებდი და გავერკვეოდი მომხდარში, ეს ვუთხარი მხოლოდ - ლადო გატირებს, ხომ!

გოგო ისევ გულამოსკვნით ქვითინებდა. აბრეშუმის ვარდისფერ ცხვირსახოცს ლამაზ სახესთან მიიტანდა და მარწყვისფერ ტუჩებზე იფარებდა.

- მე არა, ბატონო ლევან! - საჭეს წამით მოაცილა ხელები და გულზე დაიკრიფა ვაჟმა.

- ვიცი... ვიცი... ჩემი მიზეზით ტირით თქვენ! - უნებურად წამოვიძახე.

- მისიანებმა ვერაფერი გააწყვეს თქვენთან. რა იცის ბატონმა სოლომონმა პოეტებთან და მწერლებთან ლაპარაკი. მისი საზოგადოება ფულია მხოლოდ. მომიტყევეთ,

ლევან ბატონო, დღევანდელი სიურპრიზისათვის, მაგრამ ამაღამ საჩუქრებით მიდის მამაჩემი, აი, ამ ფლიკვინა გოგოს ოჯახში. ძმა რომ არ დახვდეს, უკან წამოიღებს საჩუქრებსაც, სიტყვასაც და ამ პატარა ქალაქში ორი ლამაზი ქორწილი აღარ შედგება.

ვაჟი დადუმდა. ქალიშვილმა ტირილს უმატა. ვდუმდი. ისეთი გამანადგურებელი შთაბეჭდილება დამიტოვა ყოველივე ამან, საკუთარი თავი შემზიზლდა.

- დასაკარგავი არაფერი გვაქვს, - განაგრძო ლადომ შეფარული თამამი ტონით. ვიარზე, რაოდენ ღელავდა, ხმა უთრთოდა: - პირდაპირ გეტყვით, ბატონო ლევან! - მამაჩემი ამაყი და დარბაისელი, ამასთან, მკაცრი კაცია. ამაღამ ქანიძეებში ოჯახის მემკვიდრე რომ არ დაგვხვდეს, ზეგ ველარ დავქორწინდებით, ვერც... ვერასოდეს!

ისევ ვდუმდი. ვდუმდი და ვფიქრობდი.

მერე, როცა სამსახურს მივუახლოვდით, ხმამალა გამეცინა და მანქანის კარს წავეტანე.

- მამა ტრადიციის ერთგული დამცველის არის, - იმავე, უცვლელი ტონით ჩაილაპარაკა ვაჟმა.

- კარგი, ლადო! წადით ახლა სახლში. სოფიკო მიაცილე და სანამ წამოხვიდოდე, გუშინდელი გმირებიც მოვლენ... ბედნიერებას გისურვებთ!

ზუსტად თერთმეტზე გაბმული ზარი გაისმა კაბინეტში.

- ჰე! მეზღვაურო! - მიმზიდველი ხმით მესაუბრებოდა შორეული ნაცნობი, - მაღარიჩია შენზე, იცოდე! ასეთი ამბები ჩამოგიტანე, გაგიჟდები!

- ჩე-მო რე-ზო! - სევდანარევი ხმით ვუპასუხე, - როგორა ხარ, კაცო! სად ხარ ამდენ ხანს?

- შენი „მერკურით“ მერსინში ჩამოვედით, მერე ახალნაყიდი „ვოლგოთი“ შინ წამოსვლამდე შავი ზღვის ირგვლივ

ვიგულავე. ერთ თვესაც გერმანიაში დავრჩი, საქმეები მქონდა. აი, სწორედ იქ დამხვდა სენსაცია, რომ იცოდე, რა სენსაცია!!!

„როგორ, ნუთუ ბრემენხაფეში გიგაურის კვალს მიაგნო?“ – გავიფიქრე.

– ჩემი წერილი ნახე? – გვითხე.

– წერილი თუ მთელი სერიალი, ბიჭო! ეს რა გიქნია, შე მართლა მეზღვაურო, შენა! აალაპარაკე ხალხი, ხომ?

– მაგაზე არ გეკითხები, „ჰერეთის“ უფროს მექანიკოსზე თუ იცი რამე?

– გრანდ-ბეში შენთან განშორების შემდეგ... არაფერი. შენი პატარა ბარათი კი, რა თქმა უნდა, ვნახე, ჰოდა, მოვდივარ... სალამოსაკენ მანდ ვიქნები.

– შენი ჭირიმე, ჩემო რეზო! გელოდები!

– ჰოდა, გამოვრეკავ ახლავე. ოჯახში ხომ ყველანი კარგად გაყავს?

– კი. გმადლობთ. თქვენები რას შვრებიან? რა კარგი დედა გყოლია, მომზიბლა პირდაპირ.

– დედა! ჩემი თავი ენაცვალოს, მომიხუცდა ცოტათი, ახლა ჯანდაცვის სამინისტროში გავივლი და როგორც გავთავისუფლდები, პირდაპირ წამოვალ!

გამოძახების სიგნალზე შემოსულ ნატას მამუკას მოძებნა ვთხოვე, თან რედაქტორთან წერილი გავატანე ხელმოსაწერად. რეზოსთვის „ინტურისტის“ ყველაზე საუკეთესო ნომრის აღება მსურდა და მისი ხელწერა უფრო გაჭრიდა.

მამუკა მალე შემოვიდა. გახალისებული, თვალეგაბრწყინებული ჩანდა. ნატამაც დამიბრუნა ღია კონვერტში ჩადებული რედაქტორის მიმართვა. მისაღებში გავიდა და კარები ფრთხილად მოხურა.

– ხომ კარგადაა შენი ძმა? – გვითხე თანამშრომელს.

– არც ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა თქვენ და ბატონ ნოდარის. გოდერძი, მგონი მეორედ უნდა დაიბადოს. „ოფთალმიკი“ ჩვენს ბედზე გახსნილა. სპონსორები გვეხმარებიან. მალე დავაწვევთ... დიდ იმედს გვაძლევენ. შორს წასვლას, რამდენ ხარჯს გადაგვარჩინეთ...

– ძალიან კარგი! დედაც დამშვიდდებოდა, დაიმედდებოდა. ახლა კი „ინტურისტში“ მიირბინე და ეს წერილი პირადად, მხოლოდ პირადად გადაეცი ღირექტორს. თუ რამ გაუგებრობა იყოს, დარეკე!

– კი, ბატონო!

რედაქტორს ჩასწორებული საყურნალო გვერდები შევუტანე ხელმოსაწერად. სტამბაში გადავგზავნე და კაბინეტში დავბრუნდი.

ისევ დარეკა ტელეფონმა.

მამუკა ჩირდაშვილი გაოცებული მეუბნებოდა, ყველაზე საუკეთესო ნომერი გუშინ დაუჯავშნიათ თბილისიდან რეზო ბეროშვილის სახელზე. ღირექტორმა, ამოდ რად ირჯებოდითო!

„ყოჩაღ, რეზო! – მეღიმებოდა, – ტყუილად ვისესხე სამასი ლარი!“

– ავიაკომპანია „უინაიტედ აირლაინსი“ კომფორტული, ზუსტი მომსახურებით იწონებს თავს და კონკურენტებს ყოველთვის უსწრებს. რეკლამასაც ძვირადღირებულს იკეთებს...

რეზომ სიგარეტი საფერფლეში ჩაასრისა და ნოდარის მოუბრუნდა, განაგრძო: – ეს არაფერი. მთავარი ისაა, რომ მათი აგენტები ყველაფერს აგროვებენ, რაც საინფორმაციო საშუალებებით გადაიცემა თუ დაიბეჭდება. ეს ვინ ყოფილა, კაცო! – ახლა მე მომავრო ღიმილიანი მზერა, – ასეთი სენსაცია ჟურნალისტიკას კაი ხანია, არ ახსოვს. თქვენი კოლეგები საზღვარგარეთ ყველაფერს კრიტიკული თვალით უყურებენ, ჩასაფრებული არიან,

ბეწვისოდენა ნაკლი რომ აღმოაჩინონ. ამას კი ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია.

„ინტუისტიის“ მომცრო, განმარტოებულ მცირე დარბაზში ვისხედით. რედაქტორი თამაძობდა. ჩემი სადღეგრძელო ისმებოდა. მე კი ჩუმად მელიმებოდა. მომხდარ-გაგონილით მიღებული სიხარულის ელდა და მღელვარე შეშფოთება უკვე დაძლეული მქონდა, თითქოს.

- „ედელვაისმა“ სიტყვა-სიტყვით თარგმნა და დაბეჭდა მთელი შენი სტატია თვითმფრინავით მგზავრობის შთაბეჭდილებებზე, - განაგრძობდა რეზო, თან დასტად დაწყობილი ჟურნალებიდან ერთ-ერთი აიღო, გადაფურცლა. ეს იყო უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამებული ხუთთაბახიანი ფერადი სურათებით დამშვენებული ულამაზესი გამოცემა - „ედელვაისი“. არც ვიცოდი ამ ჟურნალის არსებობა.

- იმდენად დიდი იყო ინტერესი სტატიისადმი, რომ რედაქციამ შენი „ზღვის ზღაპარიც“ ბოლომდე გადაბეჭდა. წარმოგიდგენიათ, პირდაპირ თქვენი „ახალი ჰორიზონტიდან“. არც ვიცო, როგორ მოხვდა ეს ჟურნალი გერმანიაში. შენს ჩანაწერებში მეც ვარ მოხსენიებული და პირადი საბუთები რომ წარვუდგინე კომერციული სამსახურის მუშაკებს, მთელი ჰონორარი უყოყმანოდ გამომატანეს, ცამეტი ათასი მარკის ეკვივალენტი დოლარის ბანკნოტები.

ჯერ კიდევ ვერ მოვსულიყავ აზრზე, ნოდარის მიმნდობად ელიმებოდა. რეზო კი განაგრძობდა: - ეს, მარტო ჰონორარი. ვალუტის მიღებას ფაქსით დაუდასტურებ. თუმცა, ეს როდია მთავარი. „იუნაიტედ აირლაინსის“ პოპულარობა, შემოსავალიც, რამდენიმე პროცენტით გაიზარდა ამ ბოლო დროს. აქედანაც გეკუთვნის პრემია, ეს კი აღარ ვიცი, რამდენია. ზაფხულში, დაარსების საიუბილეო

თარიღს აღნიშნავენ და შენი მოწვევაც ამ ჟურნალშია დაფიქსირებული. პირად, მოწვევასაც მიიღებ ნებისმიერი ავია-რეისით სამგზავრო ბილეთთან ერთად...

რედაქტორს გულიანად გაეცინა. მერე თქვა: - კაცო, ლევანი ზღვაზე გაგუშვით ორიოდ კაპიკის ასალეზად. ლამის ვალებით დაბრუნდა და ციდან არ მოვევლინა შევლა! გაგიმარჯოს, ჩემო ლევან, ლივანელთა გვარში კი არა, ჩვენს სამშოშიც ბადალი არა გყავს. ღმერთმა გაგახაროს და შეგარგოს ეს წარმატება.

ქიქა მომიტახუნა, ნება-ნება გამოცალა. ხეირიანად მადლობაც ვერ გადავიხადე. დაბნეულმა ჟურნალი ავიღე და უაზროდ დაეწიე ფურცელს. რაღაც მეტყინა და მეწყინა. გული იმაზე მწყდებოდა, ჩემმა სამშობლომ, ჩემმა ხალხმა ვერ გაიგო, ვერ გაითავისა მთელი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგი, ხოლო უცხოელები ფულით მავსებდნენ ახლა.

საშინლად მოვიწყინე.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუტა. ველავდი და ვბორავდი. ხან სუნთქვა მეკეროდა, ხანაც გახშირებული მქონდა და გულს დაგადუფი გაჰქონდა.

ლალი, ჩემი მეუღლე, გამზადებული შპრიცით და წამლებით რომ მომადგა, ისე უმწეოდ გავუღიმე, მის თვალებში შიში, კრთომა შევნიშნე.

- რა გემართება?! - წყრომით და შეშფოთებით მომმართა, აბა, ნემსი გაგიკეთო, რა კარგად გახდები...

- რამე ტაბლეტი მომეცი, ნემსი არ მინდა.

- ნუ ბავშვობ, ჩქარა!

- არავითარ შემთხვევაში! - ვიუარე.

- აბა, რას ნერვიულობ? ხომ გამონახეთ ჰორიკანა გაზეთიკების ყურადღების სხვა თემაზე გადატანის საშუალება? ის მორფინისტები ციხიდან გაუშვით და ახლა შენ უნდა გახდე

საავადმყოფოში დასაწყენი?

- არც კი იცი, რა მოხდა! - შევეცადე, რაც შეიძლება ჩუმად ამომეოხრა.

- ძალიან კარგადაც ვიცი! - მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა, ეშმაკურად აათახულა გრძელი წამწამები. სახეზე ნაზმა სიწითლემ გადაურბინა.

- არაფერიც არ იცი...

ლალიმ ჩაიკისკისა.

- ვიცი, ლევან! გუშინ ჩემთან იყვნენ ლადო და სოფიკო...

- მერე? - საწოლიდან წამოვხტი კინალამ.

- რა, მერე! დღეს, დილით ხომ დაგხვდნენ მანქანით...

- კი...

- ჰოდა, ვერ ხვდები, საქმე ჩემთან რომ ჩააწყვეს?

- აუჰ! შენ რა გითხარი, შე, მართლა ეშმაკის ფეხო! - ხელი მოვხვიე და მოვიზიდე. - ფარმაკოლოგი კი არა, რეჟისორი უნდა ყოფილიყავი. აფსუს, რა თეატრალი დაკარგა საქართველომ!

- რა დროს ეს არის, - გამისხლტდა ხელებიდან, მაგიდაზე ნემსის ყუთს დასწვდა, - ჩაბრუნდი!

- რა მოგიტანეს? - სახე მომეღუშა უცებ, - მაგენი სხვანაირი ხალხია.

- ქურჭი შემომთავაზეს. კინალამ გავგიჟდი. ზოგჯერ პური ვერ გვიყვია და ქურჭი რომ ჩავიცვა, რას იფიქრებენ?

- ესე იგი?... - აღარ დავამთავრე შეკითხვა, ცუდი წინათგრძნობით აღელვებულმა.

- უბრალოდ, დავარიგე, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მეტი არაფერი. იცი, რა კარგი იყო! უკან გავატანე...

- რა თქვი?

- რა მოგდის, ლევან? - შეჰკივლა ცოლმა.

- აბა, დაიფიცე, რომ მართლა უკან გაატანე, არ მიიღე მათი საცოდავი ძღვენი, ჩემზე დაიფიცე!

- არა გრცხვენია, შენ მართლა

რედაქციის ბუღალტერო! - ისეთი ტონით მითხრა, გაკაპსებას არაფერი აკლდა. აქეთ კი მე ველარ ვითოკავდი ნერვებს: - დავწვავ, ცეცხლს მივცემ, ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევ!

ლალიმ შემატყო, როგორ ვღელავდი. უცებ გადაიკისკისა, მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო: - ნაცარქექია, ასე მიცნობ, ასე მენდობი? ავად რომ არ იყო, მართლა დავიფიცებდი!

- დაიფიცე-მეთქი!

- შენ სიცოცხლეს ვფიცავ, ლევან, რა გემართება! - ლამის ტირილი შეერია ხმაში. გულზე რალაც მეტაკა, სუნთქვა ისევ შემეკრა. მართლა და, რა მომდის? დამშვიდება ვცადე.

მაინც დამარტო ნემსი. მშფოთვარეს ჩამთვლიმა, იმ იმედით, რომ რაც დღეს მოხდა, ლამაზი სიზმარი კი არა, ნაღდი რეალობა იქნებოდა. „ხვალვე გადავიხდი ყველა დიდ-პატარა ვალს. გავახარებ მედუქნეებს, ბენზინის გამყიდველებს, ავტოსათადარიგო ნაწილებით მოვაჭრეებს, ყველას, ყველას გადავუხდი ორმაგად, სამმაგად, მაშუასაც დავეხმარები, სხვა გაჭირვებულებსაც“...

- სამივლინებო ხარჯი რომ მოგცეთ, უხერხულიც იქნება, - მეუბნებოდა რედაქტორი, - ძალიან მიხარია ეს წარმატება და არც მიკვირს შენი ხელგაშლილობა, მაგრამ ახლა ფულს ყველაზე მეტად სჭირდება გაფრთხილება. ცხოვრება ისევ ჩვეული სიძნელეებით მიექანება. არავინ იცის, რას გვიქადის ხვალინდელი დღე. გერმანიაშიც ჭკვიანად უნდა იყო!

- რალა ჭკვიანად, - გადავიხარარე მე, - გავანახევრე უკვე.

- ვიცი. წიგნის მოცულობაც საკუთარი ხარჯით გაგიზრდია, ტირაჟიც. ფინანსთა სამინისტრომ გამომცემლობას გადარიცხვა რომ დაუფვიანა, საკუთარი ჯიბით იხდიდი ხარჯებს. სხვა ჭეყანას ფეხზე

დააყენებდა. გულუხვობა კარგია, მაგრამ, ერთიც ვნახოთ და, არ გასაღდა აქ ეს წიგნი? ნამეტანი მფლანგველი ნუ იქნები, მაინცდამაინც.

- „ლუტჰანის“ პრემიის იმედით, ჩემო ნოდარ!

- ცოტა რომ აღმოჩნდეს ეს შენი პრემია? ზვალინდელი დღე კი უფრო ღუხჭირი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის-მეთქი!

- მსაყვედურობ, ბატონო ნოდარ?

- არა, გარიგებ! რედაქციას არა აქვს გასაჭირი - დაეხმარო, საბურავებისა და მანქანის რემონტის ფული იხადო. ქანიშვილებსა და მოდებამეებსაც გაუჭირვე საქმე. კაცს პატივისცემა უნდა, ღირსიც ვართ, შენ კი...

- ოო, ჩემი დამსახურება როდია, ის ბიჭები გამოსწორების გზაზე არიან! ქართულ ჯარში მსახურობენ ახლა და თუ დამიჯერებთ, ცუდი აღარ გაგონილა მათზე!

- გულუბრყვილო ნუ იქნები, ძალიან. როდის იყო, მორფინისტები გამოსწორებულან.

- მე მჯერა იმ ბიჭების! იმდენი ველაპარაკე...

- კარგი, კარგი! სჯობდა საკუთარი ბინის რემონტისათვისაც შემოგენახა ცოტა! ცამდე მართალია ლალი, ამ საკითხზე რომ გსაყვედურობს. აბა, ბედნიერად! წარმატებებს და კეთილ მგზავრობას გისურვებ!

მაინის ფრანკფურტის აეროპორტთან, ავიაკომპანია „უინაიტედ აირლაინსის“ დიდი ოფისის საკონცერტო დარბაზში მეჯლისი გაიმართა. ბედნიერი დღეები დაგვიდგა. ლალი და თამუნა სიხარულით ფრინავდნენ. საჩუქრებით აგვავსეს, ყურადღებასა და კეთილ, ზღაპრულ მომსახურებას არ გვაკლებდნენ.

თამუნა თითქმის მისოდენა, გაბერილი ციყვის თოჯინას მოათრევდა ლამაზ ტროტუარზე და ცივი გერმანელებიც

ილიმებოდნენ მის ანცობაზე.

ყველაზე მთავარი კი ჯიბეში მედო. ოცდაათი ათასი დოლარის ბანკის ბილეთი, რომელსაც ყველა ნორმალური ქვეყნის ბანკში გამინალდებდნენ.

ორი, ორნახევარი წლის „მერსედესი“, შავად მოლაპლაპე, სასტუმროს წინ მეყნა. ტანსაცმელ-ფეხსაცმლით და ათასნაირი საოჯახო ნივთებით გამოტენილი. ლალიმ, რაც მოეწონა, ყველაფერი გამოართვა გოცებულ და გაღიმებულ გამყიდველებს. გაძეძგილი ჩემოდნები კი სასტუმროს ხალიჩებიან იატაკსაც ამძიმებდა.

ხვალიდან გერმანიაში მოგზაურობას ვიწყებთ. რას ვიფიქრებდი, ასე თუ შეტრიალდებოდა ბედი. მართვის უფლების მოწმობა ნოდარმა გამომიგზავნა. აქ კი რამდენიმე სოლიდურმა ქურნალმა შემომთავაზა თანამშრომლობა, ნარკვევები დამიკვეთეს. ზღაპრულ ჰონორარს მპირდებოდნენ. არც თემით და ჟანრით მზლუდავდნენ. „ედელვაისი“ ვარჩიე, ჰონორარის ნაწილიც წინასწარ გადამიხადეს.

მდინარე ვეზერზე ბორანი მოადგა ნაპირს. ისე კოხტად და უხმაუროდ მოეტმანა ლამაზი ავტომანქანებით სავეს მისადგომს, ფანჯარაში თავგაყოფილი თამუნა აღტაცებით ყვიროდა და ტაშს სცემდა. ქალაქ ბრაკემდე ასე უნდა გვემგზავრა. თამუნა გიჟდებოდა ბორანით მგზავრობაზე, ლალისაც მოსწონდა. მე კი გერმანიის საოცარ გზებზე ქროლვა მირჩევნოდა.

მოხერხებულად ავსრიალდით ბორანზე. ლურჯფორმიანმა მაღალმა ახალგაზრდა კაცმა თავისუფალ ადგილზე მიმითითა და მეც იქ გავაჩერე ჩემი საოცარი „მერსედესი“.

მაღე დავიძარი. ათიოდე წუთში მდინარე ვეზერის მარჯვენა სანაპიროზე გადავედით. ცოტა ხანში ქალაქ ბრაკეს კალმით ნახატ ქუჩებში დავხეტიალობდით.

ზომიერად ცხელოდა.

- დედი, მშია! - დაიწუწუნა თამუნამ.

ნანახით მოხიბლული ლალი თვალს ვერ აშორებდა თითქმის ერთნაირ, მაგრამ მაინც განსხვავებული სახლების წყბას, ცვაიგის ქუჩის ორივე მხარეს რომ მიუყვებოდა.

მაღაზიებში არ მიყვარდა შესვლა. ადრე, ჩინეთში თუ სინგაპურში დახლებს რომ ვერ ვცილდებოდი, ახლა რაც მსურდა, მანქანაში დამონტაჟებული საოცარი ტელეფონით შემეძლო მიმეღო. პატარა მობილური ტელეფონი კი ჯიბით დამქონდა და მთელ სამყაროსთან, პირველ რიგში კი, სამშობლოსთან მაკავშირებდა.

დოლარი თუ მარკა ყველა ენაზე ლაპარაკობდა გერმანიაში. კარგად ვიცოდი გერმანული. ლალი და თამუნა კი მშობლიურივით ფლობდნენ ინგლისურს. ამ მხრივ, იოტისოდენა დაბრკოლება არ შეგვხვედრია, აგერ, უკვე თითქმის თვეა, აქ რომ ვართ.

- მომშივდა, დედიკო!

იქვე, ორსართულიან ჩინურ რესტორანში შევედით. თამუნას ძალიან მოეწონა ვიტრინაში გარინდული სქელი, დიდმუცელა და თავბოტორა ჩინელის ფაიფურის ქანდაკება და სიცილით იქაჭებოდა. ლამის შიმშილიც დაეწუწუბოდა.

გემრიელად ვსაუზმობდით.

ცუგრუმელა, ტანმორჩილმა ჩინელმა ქალიშვილმა შემოგვლიმა. რატომღაც, მოიწყინა ლალიმ. შინაურულად, კეკლუცად გვეპყრობოდა ეს ლამაზი ოფიციალტი. ჩინელ გოგონებთან ექვიანობის გართულება ჰქონდა მეუღლეს ჩემი ეკიპაჟის წევრების გაზვიადებული მონაყოლის გამო. შარშანწინ თითქმის ერთი თვე დავრჩით შანჰაიში და ეს ექვიანობაც იქედან საზრდოობდა.

ლალი ხმას არ იღებდა, უგემურად შეექცეოდა ჩემგან ათასჯერ დაქებული-მოწონებულ კერძებს, უხმოდ წამოდგა

მერე, კარებისაკენ გაემართა დაფიქრებული და გაბუტული. ჩურჩულთ ჩაილაპარაკა: - ქუჩაში დაგელოდები!

ფული ერთი ფენინგიც არ მქონდა თან. ბანკში, სადაც ჰონოარარს ვღებულობდი, გადახდის ახალი სისტემით სარგებლობა შემომთავაზეს. ეს იყო პატარა ლურჯ-ყვითლად შეფერილი პლასტმასის მართკუთხა ჟეტონი. შიგ მაგნიტურ ფირზე ეწერა იმ თანხის რაოდენობა, რაც ჩემს პირად ანგარიშზე ირიცხებოდა. გერმანიის ნებისმიერი სავაჭროს სალარო აქედან აიღებდა დანახარჯს, დაუყოვნებლად, ნახევარ წამში გაასწორებდა და აღარც ხურდის თვლა იყო საჭირო, არც ლოდინი, ჰკვიანი კომპიუტერი ზედმეტ წამსაც აღარ დაგაყოვნებდა.

ჩინელმა ოფიციალტმა ღიმილით გამომართვა ჟეტონი, მოხდენილ, ვიწრო წელზე შემოტმასნილი ქამრიდან მოიხსნა კომპიუტერ-საანგარიშო, ზედ ციფრები აკრიფა, შიგ შეაცურა ჟეტონი და წამში უკან დამიბრუნა ფარატინა ქაღალდით სიფრიფანა საუნჯე.

თამუნა წინ გაიჭრა, დედამისთანაც არ შეჩერებულა, განაგრძო სირბილი კერამიკულ ქვაფენილდაგებულ ტროტუარზე.

ლალის მხარზე მოვხვიე ხელი, მოხურული ჟაკეტი გავუსწორე და უხმოდ განვაგრძეთ გზა. საზაფხულოდ, სადა ტურისტით გვეცვა. ამ ხნის განმავლობაში გადაღებით რომ ვერ ძლებოდა, „პანასონიკის“ ციკქნა ვიდეოკამერა დღეს არც გახსენებია. „მერსედესის“ სავარძელზე ეგდო დაუდევრად, მახლობელ ავტოსადგომზე რომ დავტოვეთ.

ლალიმ წამიერად შემავლო გამწყალი მზერა და გაბუტულმა მითხრა: - ვერ გაძეხი შენს ჩინელ ცუგრუმელაზე შეციცინებით? სად ხარ ამდენი ხანია!

სიცილი მინდოდა, თან მართლა კარგ ხასიათზე ვიყავი და მისი გაჯავრება მსიამოვნებდა.

- ვერა, ვერ გაეძეხი!

- კერძი არ მოგეწონა? - მის ხმაში უცნობმა, რაღაც სხვა ტონალობამ გაიჟღერა. იმედიანმა სევდამ. ალბათ, ძალიან გაუხარდებოდა, რომ დავთანხმებოდი, მაგრამ ვიძაიშუნე და ვუპასუხე: - არა, ცუდგრემელა ჩინელზე შეციცინებით!

იმდენად სერიოზულად ვუთხარი, ვიფიქრე, საცაა, აფეთქდებოდა, ისტერიკა მოუვლიდა, მაგრამ ასე როდი მოხდა. მხრები აუცახცახდა, ჩუმად ატირდა.

- რა დროს ეს არის, ლალი! ბავშვი არ დაგვებნეს...

- შენ უგულოვ! მომატყუე, მაინც... ამდენ ხანს როგორ ვერ ისწავლე ჩემი ხასიათი!

გადავიხარხარე. საქართველოში ასე როგორ მოვიქცეოდი ქუჩაში. მივიზიდე, ვაკოცე და ცრემლიანი თვალები ამოვუმშრალე თითები.

- რა ვქნა, ლევან! - ჩაიჩურჩულა მიმნდობად, - ძლივს რაღაცას ველირსეთ. ერთი თვის წინ პურის ფულს ვნატრობდით. ახლა რომ ვინმემ წამართვას შენი თავი, რაღა მეშველება... მირჩიე, რა ვქნა და სიტყვასაც არ ამოვიღებ. ასე მგონია, ყველა ქალი შენში მეცილება, შენს დასაკუთრებას ლამობს!

- ჰო, დამშვიდდი! მართლაც რომ ასე მოხდეს, უსახსროდ როდი რჩები. იცი, რამდენია დაპროგრამებული შენი პირადი ანგარიშის ექტონზე?

- შენ მართლა უგულოვ! სულ მთლად მიხეთქავ გულს, ხომ?

- კარგი, ლალი! ნუ ბავშვობ! არ გადამირიო ეს გერმანელები!

- სულ მეშინია, ბიჭო! კარგი ყოფილა სიმდიდრე, პატივისცემა, მოგზაურობა, მაგრამ ყველასა და ყველაფერს შენ მირჩენიხარ, იცოდლე! ჰოდა, ვშიშობ, რაიმე

უსიამოვნება არ შეგვემთხვას, ამდენ თავაწყვეტილ სირბილში ავარია არ მოგვიხდეს. ყველაფერზე ვშიშობ, ლევან! ისიც კი ვიფიქრე, თამუნა არ მოგვტაცონ, ფული არ გამოგვძალონ... ნახე, რა ჭკვიანი გოგოა! - თვალები გაუნათდა, - ზის გრძელ სკამზე და გვიცდის.

მე თუ არა, აბა ვინ იცის მისი ხასიათი? ახლა რომ მეთქვა, სულ არ მომწონს ეს ჩინელები, ანდა ნახევრად შიშველი, ზოგჯერ მთლად შიშველი გერმანელი ფერები-მეთქი, მაშინ უნდა გენახა მისი ამობოჭრება. ანდა მისი რა მიკვირს, მეც რომ გაცოცხლები ვარ აქ ნახული სიმდიდრით, წესრიგით, სილამაზით... გოგონები კი... მხოლოდ ფული იყოს და...

პრესკონფერენციაზე ულამაზესმა და უნიჭიერესმა თამამმა ქურნალისტმა გოგონებმა ლამის წამლგეკს მაინის ფრანკფურტის აეროპორტის საკონცერტო დარბაზში. სტიურდესების ტანსაცმლით მოსულიყვნენ და როგორც კი გამოაცხადეს პრემიის თანხა, ხელში ამიტაცეს, მკოცნიდნენ, მეფერებოდნენ, ჰაერში მისვრიდნენ.

თამუნას შეეშინდა, გაფითრებული დედამის მიეკრო და აღრიალდა. როცა გამოშვეს გერმანელმა, ფრანგმა, ესპანელმა კოლეგებმა და ჩემს სავარძელს დავეზბრუნდი, ლალიც ლამის აცრემლებულიყო, ისეთ ხასიათზე დარჩა.

დღეს კი მეორედ ვიგრძენი ამ ბოლო პერიოდში მისი ხასიათის მოულოდნელი ცვლილება.

რაღაც ახალი მოხდებოდა, უთუოდ. დაცდილი მაქვს.

„ედელვაისის“ ყოველ ახალ ნომერს გამოსვლისთანავე ავრცელებდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე. ჩემი სტატიები უკვე იბეჭდებოდა. ზოგჯერ მთელ თაბახსაც მითმობდნენ. იზრდებოდა ჰონორარიც.

ქალაქ ბრემენხაფენთან ახლოს, უზარმაზარი საავტომობილო



ლადო გუდიაშვილი

ოჯახი არმაზიდან



ქებელ ჯაგელი

ხადა ხარ?

კორპორაციის მუშაობის აწყობილ რიტმს შეეხებოდა სტატია „ფოლკსვაგენის მარადიული სიჭაბუკე“. მე და ლალი ერთად ვკითხულობდით. დასურათება მისი „სონით“ იყო გაკეთებული და ბავშვივით უხაროდა წარწერიც წაკითხვა - „ლალი იაშვილის ფოტოები“.

ათი ნომერი შევიძინეთ.

„ფოლკსვაგენის“ ფირმის ახალი მიღწევა ის იყო, რომ ნობელის პრემიის ლაურეატის ფონ იოჰან სინდერმანის, არგენტინიდან დაბრუნებული გერმანელი ემიგრანტის, ინჟინერ-გამომგონებლის მიღწევა დანერგეს დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავების გასაოცარ ეკონომიაზე.

ამ საკითხს რომ ვსწავლობდი, პირქუშმა, მაგრამ ჩემს მიმართ თავაზიანმა ავტომწარმოებლებმა გულლიად მიმიღეს, ყველა წვრილმანში ჩამახედეს, გერმანელებს ეამაყებოდათ, თანამემამულე ნობელის პრემიის ლაურეატის მიღწევების პრაქტიკული გამოყენება მათთან რომ დაინერგა. „ფოლკსვაგენზე“ დაკვეთებმა მკვეთრად იმატა. ამაზე იყო მსჯელობა ჩემს სტატიაშიც.

- ნახე, რა კარგი კაცი ყოფილა სინდერმანი! - ალტაცებით წამოიძახა ლალიმ და გადაშლილი „ედელვაისი“ გამომიწოდა.

სურათს დავხედე.

წარმოსადგეი, დარბაისელი კაცის ფერადი ფოტოდან დამკვესავი თვალები მიმზერდა. მრგვალი, ოდნავ სევდიანი ლამაზი სახე, შეჭმუხნილი წარბები და დანაოჭებული შუბლი, რაღაცნაირი ტანჯული გამომეტყველება...

- შენ გადაიღე? როდის? - ვკითხე ლალის, - სად ნახე? ჩვენს ყოფნის დროს ეს კაცი ქარხანაში უკვე აღარ მუშაობდა!

- სხვისი ფოტოა!

- ჰოო, აწერია შავი პეტიტით „გ. შტინერის ფოტო“.

კვლავ შევაღწეე თვალი პორტრეტს.

ტანში გამცრა. „სიტყვიერი პორტრეტი“ გახსოვთ? რაღაც საოცრად ნაცნობი და მშობლიური მეჩვენა ამ კაცის შესახედაობა. გერმანელ გენიოს გამგონებელს გერმანული იერ-სახის თითქმის არაფერი ეცხო. სურათზე კაცის ხასიათისა და ბედის წაკითხვა, ეროვნულობის გარკვევა ათწლიანმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ მასწავლა.

- ჰე! აქ სხვა ამბავია, ლალი! - ვიყვირე უცებ, - ერთი, ტელეფონი მომეცი!

- მანქანაშია! რა იყო, ბიჭო?

- ჩქარა! ჩქარა!

ლალი წამოდგა, ლამაზი სკვერი გადაჭრა, ავტომანქანის კარები გამოაღო და ჩემი მობილური ტელეფონის აპარატი მომიტანა.

ქარხნის ადმინისტრაციის ტელეფონის ნომერი სავიზიტო ბარათზე მოვძებნე, კორპორაციის გენერალურმა მენეჯერმა რომ მომცა. დავაზუსტე, სინდერმანი ერთ-ერთი მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო ლაინერის მოტორის აგებასა და დამონტაჟებას ხელმძღვანელობდა თბომაველ „დოიჩლანდზე“, ამჟამად კი ამ გემით, რომელიც გამოსაცდელ რეისს ასრულებდა, ატლანტიის ოკეანეში იმყოფებოდა.

- თუ გნებავთ, კოორდინატებსაც მოგცემთ, - მესმოდა ტელეფონში, - გემი „დოიჩლანდი“ სამი თვის წინ გავიდა პირველ რეისში გრემენხაფენიდან.

- დიახ, თუ შეიძლება!

- კეთილი! ტელეფონის ნომერი მითხარით, დაგირეკავთ!

ლალი გაფაციცებული შემომ-ყურებდა, გაკვირვებული.

მალე ისევ გაისმა დაბალი ზუმერი.

- ბრაზილიის მისადგომები! პორტი პარანაგუა! კუნძული ილია რაზა დე კოტონგა! რეიდზე დგას!

- გმადლობთ, ფროილან!

ახლა ჩვენი კოდი ავკრიფე და მერე ნაცნობი ნომერი თბილისისა. წამში

მიპასუხეს.

- რეზო! რეზო! - ჩავძახე ყურმილში,
- სად ხარ, ბიჭო?

- რამ გაგახსენა ჩემი თავი? ერთ
თვეზე მეტია წასული ხარ და ასე
იშვიათად უნდა დარეკვა?

- კარგი, რეზო! როდის ჩამოხვალ,
საქმეა მაგარი!

- რა გეტყავ?

- „ედელვაისის“ ბოლო ნომერი
მიიღე?

- არა! აბა, საიდან?

- ახლავე გამოგიგზავნი, ნებისმიერი
საშუალებით. ჩემი სტატიია
„ფოლკსგაგენის“ ქარხანაზე. ვიცი,
დაგინტერესებს, პირველ რიგში წაიკითხე.

- კარგი, დაწყნარდი! „ზღვის
ზღაპარი“ უკვე მივიღე, გერმანული
გამოცემა. მასზე არაფერი გითქვამს, ახლა
რამ აგაღელვა?

- მაპატიე, რეზო! სურათებს მიაქციე
განსაკუთრებული ყურადღება. მე კი
ახლავე აეროპორტში წავალ!

თანატოლებში გართული თამუნა
მოვებნე, ცოლ-შვილი მანქანაში ჩავსხი
და დიდი საავტომობილო-საგზაო რუკა
გავშალე საქეზე. ჩვენ ახლა ბრემენხაფენის
აეროპორტში უნდა წავიდეთ, რომ
ნებისმიერი უახლესი მარშრუტის
ავიაბაზით თბილისში გავაგზავნო
„ედელვაისი“.

მთელი კვირა არაფერი გამიკეთებია.
მობილურ ტელეფონს წამითაც არ
ვიცილებდი. თითქმის ყოველდღე ვრეკავდი
რეზოსთან, ხან რაზე ვსაუბრობდით, ხან
- რაზე. ისიც ჩვეულებრივ მპასუხობდა,
მაგრამ ერთხელაც არ წამომცდენია
სინდერმანის ფოტო ჩვეულებრივ,
ქართველი კაცის გამოსახულებას რომ
მივამსგავსე. თუ ჩემი ვარაუდი
გამართლდებოდა, ეს თვით რეზოსაგან
უნდა დაზუსტებულიყო.

ფოსტას რომ ჩავაბარე გასაგზავნი
ბანდეროლი, - მოსკოვით, ან სტამბულით

თბილისამდე გამიგზავნეთ-მეთქი, ვთხოვე,
- მწარედ გაელიმა ფოსტის მუშაკს, ლამაზ
გოგოს. - სტამბოლში იმ დროს ჩავა, რა
დროც დასჭირდება თვითმფრინავს, მაგრამ
ადრესატი კავკასიაში როდის მიიღებს,
მაგის გარანტიას ვერ მოგცემთო.

მერვე დღეს შემეხშიანა, თვითონ
დამირეკა რეზომ.

- ის არის! - მითხრა პირდაპირ,
ყოველგვარი შესავლისა და მისალმების
გარეშე, - ის არის, „ჰერეთის“ უფროსი
მექანიკოსი! ნახე, ბედმა და განგებამ ახლა
შენ გადაგაკვეთინა მისი ცხოვრების
გზაჯვარედინი. ადგილსამყოფელი ან
ასავალ-დასავალი ზომ არ იცი?

- ვიცი! - ვუპასუხე. - ბრაზილია,
კუნძული... მოიცა, რა ჰქვია! ჰო, კოტონგა!
ილია რაზა დე კო-ტონ-გა! -
დავუმარცვლე, - გემ „დოიჩლანდით“
ქალაქ პარანაგუას მისადგომებთან რეიდზე
დგას.

- ახლა რას აპირებ?

- არ ვიცი! შენ რას იტყვი?

- ზომ არ მოგვეძებნა? - მკითხა ცოტა
ხნის დუმილის შემდეგ.

- გცალია?

- მცალია.

- მაშინ, აქ მოგიცდი! ჩამოდი,
გადაფრინდეთ ბრაზილიაში. ქვას
გავაპოთ და ვნახათ! გეს-მის?

- გაგიტაცა მოგზაურობამ, ზომ?

- ის ახლა ცნობილი პიროვნებაა,
მსოფლიოში სახელგანთქმული კაცი, და...
იცი, ამასთან - მილიონერიც!!! მილიონ
სამასი ათასი დოლარი მარტო ნობელის
პრემია ერგო. გესმის, რეზო, ეს რას
ნიშნავს? ვინა ვცავეს ქართველებს ნობელის
პრემიის ლაურეატი! არავინ! შენ ეს
მითხარი, ნამდვილად ის თუა!

- ეჭვიც არ მეპარება. სურათი ძალიან
ჰგავს. ის არის, ლევან, ის არის! მე ზომ
კარგად მახსოვს. ანდა, რა დამავიწყებს!
მისი სურათებიც ნანახი მაქვს.
სამახსოვროდ გადავიღეთ მაშინ „ჰერეთის“

ბორტზე. ბევრი ვადარე, ასპროცენტინანდ ისაა!

- კარგი, ჩემო რეზო! აქ მოგიცდი. მართალი გითხრა, ძალიან გამიტაცა ამ ამბავმა. ჟურნალისტის ჟინი მკლავს, ბიჭო! ფულს არ დავიშურებ მის მოსაძებნად. დანარჩენს აქ გეტყვი, ისეთი ამბები ვიცი მასზე...

- გემაზე როგორ მივალთ? მიგვიღებენ?

- რას ლაპარაკობ! პირველი რეისით აკრედიტებული ჟურნალისტები და მოხალისე ტურისტები წაიყვანეს კრუიზში. გემი ათ დღეს არ გავა პორტიდან. მერე სამხრეთით დაშვებიან, მაგელანის სრუტით წყნარ ოკეანეში გადავლენ. მეც რამდენიმე დღეში მიმთავრდება ხელშეკრულება. ახალ კონტრაქტებსაც მთავაზობენ, მაგრამ დასვენებაც მჭირდება, ხომ?

- მაშინ... მაშინ დამელოდე! ერთად გადაფრინდეთ...

- ყოველი შემთხვევისათვის, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სპეციალური მივლინება გავიფორმე „დოიჩლანდზე!“ სპონსორობას და ხარჯს ნურავის სთხოვ ჩვენს ქვეყანაში და ჯომოლუნგმის ექსპედიციაშიც გაგაზავნიან, ქვას რომ გააპობს ისეთი საბუთით! - მიამბობდა თვითმფრინავში რეზო ბეროშვილი, - მეც შენი კოლეგა ვარ, ახლა!

ჩვენ მაინც ფრანკფურტიდან ქალაქ ბრაზილიაში მივფრინავთ. იქედან მატარებლით უნდა ჩავიდეთ პარანაგუაში. საზღვაო აგენტი დაგვგვდება მანქანით და პორტში მიგვიყვანს. გერმანიის საელჩოში საბუთები უკვე მზად არის. პორტიდან კი კატერით კუნძულ კოტონგასთან რეიდზე მდგომ მსოფლიოში უდიდეს სამგზავრო ლაინერზე რამდენიმე საათში მივალთ.

მე ისევ „ედელვაისმა“ გამომგზავნა. სულ არ გაკვირვებია მთავარ რედაქტორს ჩემი არჩევანი, პირიქით - მკითხველებს

იქნებ თავიც მოგაბეზრეთ უცხოელი ჟურნალისტის თვალთ დანახული გერმანიის შეჭებით, ჩვენი სიძლიერე ახლა ზღვითაც ვაჩვენოთ ხალხსო, - დამეთანხმა.

ატლანტის ოკეანე „ბოინგით“ გადავლახეთ და ქალაქ ბრაზილიაში დავეშვიტ.

„დოიჩლანდის“ ბორტზე მე, ლალის და თამუნას სამკაიუტინი, კომფორტული აპარტამენტი გამოგვიყვანს უმაღლესი კლასის სალონებში. კიდევ მომიხდა გაოცება და გაკვირება გერმანული აწყობილი მუშაობით და სიმდიდრით. ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! სილამაზე, სიმყუდროვე, ჟურნალისტისათვის საოცნებო პირობები, ორგტექნიკა! ვერც კი დაითვლი, იმდენი ტურისტი, დამსვენებელი და ჟურნალისტი გემზე. იმუშავე, წერე ან გადაიღე რაც გინდა! ვიდეოფირზე ჩაიწერე, კომპიუტერზე ააწყვე და დაბეჭდე, დაამონტაჟე კადრები, როგორც გაგიხარდეს!

მე კი არაფრის თავი არა მაქვს. ამდენი გაწოწილებული სამგზავრო ჯახირით დაღლილი, მართო ვზივარ ზღაპრულად მოწყობილ სამუშაო ოთახში და ვფიქრობ. როგორ არ ჰგავდა ეს სუპერლაინერი ჩემს ამაგდარ „მერკურს“, რომლითაც ოთხჯერ გადავლახე ეკვატორი, სამხრეთ ნახევარსფეროს ორჯერ შემოვუარე და ჩრდილო ყინულოვანის გარდა, ყველა ოკეანე გადავსერე.

სინდერმანი ვერ მოვიხელთეთ ჯერ, მაგრამ წინ ერთთვიანი მგზავრობა გველოდება ჩილემდე და დრო თავსაყრელად გვექნება.

მე არასდროს ვუნახივარ გივი გიგაურს. რეზომ კი ისე იცვალა სახე, ვგონებ, შინაურებიც ვეღარ იცნობენ. წვერი მოუშვა, თმებიც რა ხანია, არ შემოუყვებია, შედარებით გასუქდა და უანაფრო მღვდელს ჰგავს ახლა. დარწმუნებული ვარ, ხალათით რომ

გამოეცხადოს მის ოდინდელ პაციენტს, ვერაფერს მიხედება.

- შინ მინდა! - ფოსტლებით და საშინაო, ლამაზი პენუარით გამოემეცხადა თამუნა, ფიქრებიდან გამომარკვია.

- დედიკოს ისევ სძინავს? - გვერდზე, საწოლის კიდესთან ჩაცურებული წიგნი თავთან, კოხტა მაგიდაზე გადავდე, დისტანციური მართვის პულტით ილუშინატორების შუქშემნიღბავი ფარდები გვერდზე გადავწიე და ბრაზილიის შუადღის ბრიალა მზის სხივები კაიუტაში შემოვუშვი.

ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა ჩემმა გოგომ.

- სახლში წავიდეთ, მამი! - ლამის ატირებულიყო, - თვითმფრინავი კარგია, გემი კი არ მიყვარს!

არ მოსწონს თამუნას გემი. ვერც ლალი შეეგუა მაინცდამაინც. მოთენთილსა და დაღლილს, საწოლიდან თავი ვერ აუღია. სძინავს და სძინავს. საოცრად კარგად, სარკეებით მორთულ კაიუტ-კომანიაშიც ერიდება შესვლა. ტელეფონით დავუკვეთე და ულამაზესმა ოფიციატმა, გერმანელმა, თეთრ-ქათათა სამოსში გამოპრანჭულმა ჰილდამ აქ მოგვართვა საგორავ ურიკაზე დახვავებული საჭმელ-სასმელი.

ჰილდა თვრამეტი წლისაა. სტუდენტი. ზაფხულს აქ გაატარებს და კარგ თანხასაც გამოიმუშავებს. სულ ილიმის. გერმანულად რომ გავცხუმრები, მომზიბლავ მზერას მომაპყრობს, მერე ცალ თვალს გააპარებს მოღუშული, ტუჩებმოკუმული ლალისაკენ. ლალი ამაზე საავდრო ღრუბელივით იქუფრება და მე ნეტარებისაგან ვდნები.

- სადისტი ხარ! - იკივლა ლალიმ, ჰილდა რომ გავიდა. თამუნამ ღრიალი მორთო. - დედიკო, გეხვეწები, აღარ ეჩხუბო მამიკოს, გვედრები...

მე გხარხარებდი.

- სადისტი, სადისტი! - არ ცხრებოდა

ლალი. ატირებას არაფერი აკლდა, - შენს ჯინაზე გერმანელუსაც ვისწავლი და აგერ არ ვნახავ, რაზე ეჭუქუჭუკები მაგ გათახსირებულს!

ლალიმ რა იცის, რატომ ვართ აქ. აბა, ამას როგორ ვეტყვი. ეგონა, სტამბოლის ავიარეისით დავბრუნდებოდი ბათუმში. რომ ვუთხარი, შენ და თამუნას გაგიშვებთ-მეთქი, - ისე მოიწყინა, ისე მოიწყინა, მართლა ატირდებოდა. ლამაზი წამწამები დახარა და ლოყაზე ცრემლები დაედგარა.

- ვერ დაგტოვებ მარტოდ! - ჩუმად ჩაიჩურჩულა, - ქვეყნის დასალიერშიც წამოვალ შენთან! - გამომიტყდა, - გარდა ჩინეთისა!

აქ კი ჩინელი ქალიშვილები თვალითაც არ გვინახავს, მაგრამ საერთოდ, ცივ გერმანელთაგან განსხვავებით, ჰილდას გულლიაობა და საოცარი პირმზიანობა ზაფრავდა.

ჰილდაც ინტუიციით გრძნობდა ეჭვით შეპყრობილი კავკასიელი ქალის მოსალოდნელ გააფთრებას, თუმცა სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც ამკლავნებდა შეფარულ სიამაყეს თუ სითამამეს და ისიც, ჯინაზე მიღიმოდა. მეც რომ გამიღიმებდა, ლალის ტირილი მოუნდებოდა.

- სადისტი ხარ! - იტყოდა და გაბრაზებული, თავის ათასნაირ სუნამოებით გატენილ, ვარდების თაიგულით შემკობილ, ბროლში ჩასმულ საგარდირბო სარკეს მიუჯდებოდა.

როგორ საოცრად მიყვარდა მისი გაბრაზება. ნეტა, მართლა ხომ არა ვარ სადისტი? ვერ ვიტყვი, გოგოები ჩემთვის ჭკუას კარგავენ-მეთქი, მაგრამ, არც წარუმატებლობა მჩვეოდა. ლალი კი ყველა ქალზე ეჭვიანობდა და როგორც ვატყობ, იტანჯებოდა ამის გამო. „ნეტა, ყველა ქალი ასეა“? - ვფიქრობდი ჩემთვის.

ახლა კი, ჩემი ლალი მეორე კაიუტაში იწვა და მშფოთვარედ ეძინა.

- როდის წავალთ ბათუმში? - მეტიკტიკებოდა ხუთი წლის კუდრაქა, - ბებია მომენატრა, ბაბუა. ლიკა სულ არ მირეკავს, თენგო და მზეონაც მოიწყენდნენ უჩემოდ. წავიდეთ, რა, მამიკო!

- თამუნა, გენაცვალოს მამიკო, - მოვეფერე პატარას, - აი, უკვე შესამე დღეა, მივდივართ. აქედან ბუენოს-აირესში შევალთ, მთელ დღეს იქ ვისეირნებთ, მერე დაღმა დავეშვებით და მაგელანის საოცარ სრუტეში შევცურდებით. ცეცხლოვანი მიწა ხომ გაინტერესებს?

- კაპიტანი შტერია, მამიკო! - ალტაცებით გამანდო აღმოჩენა თამუნამ, - ბათუმამდე შორი გზა რატომ აირჩია? რომ უფრო ვცილდებით, ვერ ხვდება ამხელა კაცი?

მიმნდობმა კისკისმა ფარდებგაწეული კარებისაკენ მიგვახედა მე და თამუნა. გამოწყობილი ლალი იდგა და იცინოდა.

- ჩემო ჭკვიანო, ჩემო სი-ცოცხ-ლეე! - გულში ჩაიკრა თამუნა, გადაკონა.

მართლა ძალიან ლამაზი იყო ჩემი ტანწერწერა ლალი. წამით შევაფლე ამაყი მზერა. „შენ გაგცვლი კბილებზეჩემეტა ჰილდაში, შე, სულელო? - გაგიფიქრე, - შენს ფრჩხილადაც არ ღირს, გესმის!“, მაგრამ ამას მხოლოდ ფიქრში ვივლებ, თამუნას თანდასწრებით როგორ ვეტიჯი ქათინაურს.

აბაზანის შემდეგ გაღლებული და გახარებული მეჩვენა ლალი. ახლა ცეკვებზე მივდიოდით. მეც წამში გამოვეწყობოდი და ვიცი, ლალი დღეს ბედნიერი იქნება, სხვებთან თუ არ ვიცეკვებ. თვითონ არასდროს უცეკვია სხვა მამაკაცთან. ნებას გრთავ-მეთქი, - გუთხარი წუხელ, კაპიტანმა რომ გაიწვია, მაღალმა, არისტოკრატმა გერმანელმა.

- არა, ლევან! დავიღალე. ბოდიშს ვუხდი ჩვენს მასპინძელს! - მანაც ცივი ლიმილით დაუკრა თავი. თამუნას ჩაავლო ხელი და ჯერ აცეკვა ასობით მონარნარე

წყვილს შორის, მერე კი გამომძახა, - სანავიგაციოში ავიყვან შენს გოგოს, გავართობ და გემის წაყვანასაც ვასწავლი.

როცა დარბაზიდან გავიდნენ, მე მომიბრუნდა ლალი - შენს გარდა არავისთან ვიცეკვებ, ჩემო ლევან! - ლიმილიან სახეზე ნაწყენობის ჩრდილმა გადაურბინა, - ნულარ მთხოვ, ნურასოდეს, კარგი?

ლალის ხელზე ვაკოცე და დარდიმანდულად გავუწოდე ხელი. მთელი ღამე ვცეკვავდით.

ახლაც საცეკვაოდ მიწვევდა.

- მე ძია ჰენრიხთან წავალ! - თქვა თამუნამ, მერე კაიუტაში შევარდა და მალე სამეჯლისო ტანსაცმელში გამოპრანჭული, ისევ გაიჭრა დერეფანში.

- მეშინია, ჩემო ლევან, ყველაფრის მეშინია, ჩვენი ბედნიერების მეშინია! - მრავალმნიშვნელოვნად ჩაიჩურჩულა ლალიმ, წამიერი მზერა შემომანათა და მორცხვად დახარა თავი გატრუნულმა.

მთავარ მექანიკოსს, ბუენოს-აირესიდან რომ გამოვედი, მაშინ ვეწვიეთ კაიუტაში. ქურნალისტთა ვიზიტი მისთვის უცხო არ იყო, თუმცა უხალისოდ დამთანხმდა აუდიენციაზე. ცივად მიმიღო. დავაყარე შეკითხვები, ჩემი წერილიც ვაჩვენე „ედელვაისში“.

- პოეტები ხართ ეს კავკასიელები! - ცივად, ამაყი გერმანელისათვის დამახასიათებელი ტონით ჩაილაპარაკა, - ვიცი, წამიკითხავს.

ბოლოს ქართულად დაველაპარაკე, თან თითქოს, შემთხვევით, გამომცდელად შევხედე თვალებში. რაღაც რეაქციის მაგვარს ველოდი მის ქცევაში, გამომეტყველებაში, მზერაში.

შენც არ მომიკვდე. არავითარი ამდაგვარი. ნაკვთიც არ შერხევია. მიყურებდა მისთვის დამახასიათებელი ცივი ლიმილით და ერთადერთი სიტყვა

იკითხებოდა მის მტკიცე, არისტოკრატიულ სახეზე - კენგურუ! მე თქვენი არ მესმისო! ალბათ ასე ეტყოდნენ ოდესღაც, შორეულ ავსტრალიაში მოხეტიალე მოგზაურებს ადგილობრივი მკვიდრი აბორიგენები.

- ბატონო გივი! - ვუთხარი დაფიქრებით, - არა გაქვთ უფლება, როგორც ქართველმა ადამიანმა, ჩემთანაც უარყოთ სადაურობა. ძალიან კარგადაც ვიცი, ვინ ბრძანდებით, რაც გადაგხდათ...

ნებისმიერი კაცი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ზუსტად ასე ბუნებრივად მოიქცეოდა, როგორც ეს ამოუცნობი პიროვნება შვრებოდა ახლა, ისევე ცივად, ქედმაღლური, დამცინავი ღიმილით მომმართა: - ვერ გხედავ მიზეზს, გერმანულის ასე კარგად მცოდნემ, უცხო ენაზე მესაუბროთ, ნება მიბოძეთ გითხოთ, რა ენაზე ლაპარაკობთ, რომ თარჯიმანს ვუხმოდ...

- გივი ბატონო, გენაცვალეთ, ქართველ ერში ერთადერთი ლაურეატი ნობელის პრემიისა, თქვენ ბრძანდებით. დავივიწყოთ წარსული, მისი ყოველი დაფარული ბუნდოვანება, შენს მშობლიურ ერს, თუნდაც მარტო მე, მის წარმომადგენელს, მოგვეცი საშუალება, ვიამაყოთ თქვენით... მეც ვერ გხედავ რაიმე სერიოზულ მიზეზს, მშობლიურ ენაზე არ ისურვოთ საუბარი ჩემთან, შენს ძმასთან, მეგობართან... თუ გნებავთ, მესაიდუმლესთან!

- ვერაფერი გავიგე, ფონ ლივანელ! - ჩაილაპარაკა ისევ. მის დიქციაში აშკარად იკითხებოდა ქედმაღალი გერმანელის დამცინავად შენიღბული გაკვირვება, თვალეში ვგრძნობდი გამომეტყველებას, აშკარად რომ მიმანიშნებდა: - თქვენ შეშლილი ხართ, ბატონო?

ტელეფონს დასწვდა.

გერმანულად განგავრძე: - ფონ სინდერმან, აქ მარტო არა ვარ. თან მახლავს კაცი, ვინც ჩემზე ნაკლებ როდია

დაინტერესებული თქვენთან შეხვედრით, ქართულ, მშობლიურ ენაზე საუბრით. მათხოვეთ ტელეფონი!

მხრები აიჩეჩა და ყურმილი გადმომცა, ცივი, ხაზგასმული თავაზიანობით.

- შემოდი, გელოდები, - ქართულად ვთქვი ნომრის აკრეფის შემდეგ და წამსვე დავდე ლამაზი ყურმილი პლასტმასის აკიმციმებულ სადგარზე... რეზოსთან წინასწარ ვიყავი შეთანხმებული. თავის კაიუტაში ტელეფონს მიმჯდარი უნდა დამლოდებოდა, როგორადაც უნდა წარმართულიყო ჩვენი საუბარი. სინდერმანი კი კვლავ გაოცებული და ამაყი იდგა მაგიდასთან, ვრცელ, საოცარი გემოვნებით, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ კაბინეტში.

რეზო მალე მოვიდა. მეც გავვოცდი კინალამ.

წვერი გაეპარსა, თმები შეეკრიჭა. ეცვა ზუსტად ისეთი ტანსაცმელი, მისი თქმით, „ჭერეთზე“ რომ იყო გამოწყობილი. შემოვიდა: - ჩემო გივი! - წამოიძახა ხმამაღლა და მორიდების გარეშე გადახვია.

გაკვირვებული, შეშფოთებული რეაქცია მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მასპინძელმა უხერხულად მოიცილა, საოცრად ბუნებრივი ექსტიკულაცია გააკეთა და გერმანულად წარმოთქვა: - მე თქვენ როდი გიცნობთ, გამაგებინეთ, რაშია საქმე, რა ხდება!

- გივი! არ შეიძლება ასე! სხვა სხვაა და ჩემთან მაინც იყავი გულწრფელი. ბოლოს და ბოლოს, მაქვს ამის უფლება. როდი გამაღლი. ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ მსოფლიოს მე არ დავუბრუნე შენი სიცოცხლე?

სინდერმანი აილანძლა. - ვერ გამიგია, რა ბალ-მასკარადს მიმართავთ ვილაც უცხოელები. გამარკვირეთ, რა გნებავთ, რით შემიძლია გემსახუროთ?

ხმაში ისეთი სიმკაცრის წამიერად

შენილბული მრისხანება გაკრთა, უცებ ეჭვი შემეპარა, ხომ არ ვცდებოდით, ვინმე სინდერმანი გივი გიგაურში შეგვეცვალა-მეთქი.

ჩვენს ქართულ მეტყველებაზე იგი ისევ უტყვი და უგრძნობი იყო, როგორც რიყის ქვა, სალი კლდე.

ისლა დაგვრჩენოდა, ბოლომდე გაგვეხსნა საიდუმლო, ღია კარტით გვეთამაშა. იძულებული გავხდით, გერმანულად გვესაუბრა. რეზომ ღიმილით შეახსენა „ჰერეთის“ ისტორია, გივი გიგაურის მონათხრობი თავგადასავალი. გულისყურით გვისმენდა, თან რაღაც დამცინავი, მიმნდობი ღიმილი არ შორდებოდა მოკუმულ ტუჩებზე. სურათები რომ ვაჩვენეთ, დააკვირდა, ხან ერთ ფოტოს შეხედავდა, ხან – მეორეს, მერე ჟურნალსაც დასწვდა და გადაიხარხარა.

– მსგავსება თითქმის ადეკვატურია! – ჩაილაპარაკა მტკიცე, გაუბზარავი ხმით, როცა მოულოდნელად მოსხიბა სიცილი.

არაფერი იყო მის ქცევაში უჩვეულო. მის ადგილზე, თუკი მართლა შეცდომასთან გვექნებოდა საქმე, მეც სწორედ ამდაგვარად მოვიქცეოდი.

– ახლა კი მესმის, რამ შეგიფხანათ შეცდომაში! – ისევ ტევტონთა ქედმაღლური ღიმილით მოგვემართა და სავარძელზე მიგვითითა, თავად მოგვცა მაგალითი, უდარდელად ჩაჯდა ძვირფასი ხალიჩებით გაწყობილ ღივანში და იქვე, ახლოს, ზარის ღილაკს მისწვდა.

თითქმის იმავე წამს ორი მოსამსახურე ფერია გვეახლა დიდრონ-დიდრონი ვერცხლის ტაბლებით. წამსვე გააწყვეს მაგიდა ტროპიკული ხილით, ტკბილეულით, მინერალური თუ გამაგრებელი სასმელებით.

– მიირთვით, ჯენტლმენებო! – ახლა უზადო ინგლისურით მოგვემართა. რეზომ კარგად იცოდა ეს ენა. სამაგიეროდ, მე არ მესმოდა, როგორც საჭირო იყო.

ასორმოც დოლარად ღირებული ფრანგული ნაღდი შამპანური ჩამოგვისხა.

– სხვა შემთხვევაში თავს შევიკავებდი თქვენთან ჭიჭა ღვინის გასინჯვისაგან, მაგრამ მე ახლა უკეთ მესმის თქვენი, ჯენტლმენებო.

მოულოდნელი კი არა, მოუცილებელი ცივი ღიმილით გადმოგვხედა და ჩვენს შეცბუნებულ სახეებს რომ წააწყდა, კვლავ ცივად, მისებურად გადაიხარხარა. – მე მესმის თქვენი, ჯენტლმენებო!

– მაინც ის არის, ვერაფრით გადამარწმუნებს! – დაბნეული ჩურჩულებდა რეზო და შემოთავაზებულ სასმისს ცუდად შენილბული აღელვებით მიირთმევდა.

– მამი, რა დღეში ხარ? კაიუტაში შებრუნებულს თამუნას გაკვირვებული თვალები შემომეფეთა.

– დათვერი, ლევან? უიშე, თქვენც ნასვამი ბრძანდებით, ბატონო რეზო?

იღგა ლალი გემის ოდნავ შესამჩნევი რწევით აქანავებულ ირანული ხალიჩებით მოფენილ იატაკზე, შეცბუნებული შემოგვეყურებდა, მორიდებით გვიმზერდა არეულ, გაფთრებულ სახეებზე.

– კაცის ასეთი მსგავსება ზღაპრადაც არ გამიგია! – ჩუმად ჩაილულულა რეზომ, – მაინც ის არის, ლევან! დამიყვრე, არ ვცდები. ხელზე ვერ-დავაკვირდი, მაგრამ ოპერაციის კვალსაც შევნიშნავდი, უთუოდ!

– „გაგიჟდით“! – იკითხებოდა ლალის გაოცებულ გამოხედვაში. ის ალბათ, მისას დარღობდა. ამაღამ საცეკვაოდ ვეღარ გავყვებოდი და სარკესთან ამდენ კოპწიაობას ამაოდ უნდა ჩაევლო, ატყობდა.

დასამალი რაღა იყო? თავიდან ბოლომდე ვუამბეთ ყველაფერი, რაც ვიცოდით გივი გიგაურის შესახებ. ჩვენი სრული ფიასკოც აღარ დაგვიმაღავს.

ღრმად ჩააფიქრა ლალი ამ ამბავმა.

- მოგეხმარებით! რაღაც გამოსავალს გაპოვნინებთ! - ეშმაკურად გაიღიმა ბოლოს, - დამშვიდდით, ჯენტლმენებო! დაგვცინა, - დამშვიდდით!

საკრუიზო მარშრუტში არგენტინის ქალაქი ნეკოჩუა შედიოდა. გემი ღამით მიაღმა სამგზავრო ნავსაყუდელს მდინარე კეკენის შესართავთან ახლოს. დილით კი უამრავი ტურისტი ღამაში საკურორტო ქალაქის ქუჩებს შეეყოვნენ.

იმ საღამოს, ტრადიციულ მეჭლისზე, მეტად უჩვეულო რამ მოხდა.

ლალი, ლევანი, თამუნა და რეზო ერთად ისხდნენ სალონში, ფართო ილუმინატორების გასწვრივ ჩარიგებულ სავარძლებში და საუბრობდნენ, თან დაბალ, კოხტა მაგიდაზე გაწყობილ გრილ ჩაისა და ნამცხვარს შეექცეოდნენ, ტანმალაღმა ღამაშმა ოფიციალტებმა ღიმილით რომ ჩადგეს მიხაკებით სავსე ლარნაკების გვერდით.

ნობელის პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო ინჟინერ-გამომგონებელი ფონ იოჰან სინდერმანი უსიტყოდ იჯდა მაგიდასთან და ნება-ნება სვამდა ყავას.

არაერთ ღამაშ მანდილოსანს გაუცრუა იმედი წარმოსადგემა, უზადოდ ჩაცმულმა ყველაზე საპატიო კაცმა. სწავდასხვა ჯურის ტურისტმა და ჟურნალისტმა გაიწვია საცეკვაოდ, მაგრამ არავის გაჰყოლია ჩვეულებისამებრ.

- ნიჰტ! - მოკლედ მოუჭრა და ყველა პარტნიორობის მსურველს ცივი ღიმილით აგრძნობინა, რომ ცეკვას არ აპირებდა.

ლოყბშეფაკლული ლალი დინჯად წამოდგა. მოხდენილად გაიარა მოსარკული კედლის გასწვრივ, ფერისავით, ჰაეროვნად თეთრ სამოსელში გამოწყობილმა. იგი სინდერმანის მაგიდას უახლოვდებოდა.

ორკესტრი შტრაუსის დიდ ვალსს უკრავდა. ასობით მაყურებელმა,

რომლებიც ამ ვრცელ, ზღაპრულ დარბაზში ირეოდა, მომლოდინე მზერა გააყოლა მათთვის კარგად ნაცნობ ულამაზეს მანდილოსანს. დარბაზში უჩვეულო სიწყნარემ დაისადგურა ჩუმი ჩურჩულის შემდეგ. გატრუნულ სალონს რაღაც გამოუცნობის ელვამ გადაუარა.

მოცეკვავეები განზე გადგნენ და გაიტრუნნენ.

- ბითთე! - მომაჯადოებლად გაუწოდა ხელი ჟურნალში თავჩარგულ სინდერმანს ლალიმ, მომზიბგლელი ღიმილი შეანათა, კეკლუცად დახარა თავი. დარბაზი კიდევ უფრო გაინაბა.

ასეთი რამ არავის ახსოვდა. ჩვიდმეტლიანი კრუიზის განმავლობაში პირველად ხდებოდა, რომ უკარება, მომზიბლავი ულამაზესი კაკასიელი ქალი ასევე უკარება და გულცივ სიმპათიურ მამაკაცს საცეკვაოდ იწვევდა.

დაბნეულობის ჩრდილმა გადაჰკრა სინდერმანს, ცივი ლურჯი თვალების დაბინდული მზერა შეაგება, სიწითლემ გადაუარა სუფთად გაპარსულ სახეზე, ხელები აუთრთოლდა. ლალიმ ძლივს შენიშნა, ოდნავ კანკალებდა მის ხელში დაჭერილი ჟურნალი.

- ბითთე, შონ! - ხვედროვანი, გულში ჩამწვდომი ხმით გაიმეორა ლალიმ. გრძელ, თეთრ კაბაში გამოკვართული მაღალი ტანი წამიერად შეათვალიერა სინდერმანმა, მერე ისევ თვალებში მიაჩერდა და კვლავ უძრავად იჯდა დაუძალავი დაბნეულობით, ადგილიდან არ იძვროდა. დარბაზს ჩუმი ოხვრა აღმოხდა.

„ნიჰტ„! - მხოლოდ ამ სიტყვას ელოდა განაბული მაყურებელი.

ლალიმ აღარ დააცალა. თლილი მარმარილოს ქანდაკებასავით ჩამოქნილი, სიფრიფანა ხელი გაიწოდა, სინდერმანის ათრთოლებულ ხელში ჩაავლო და მიიზიდა.

დამბალი ღვედივით დაემორჩილა

სინდერმანის ხელი, მანდილოსანს მინებდა და მაღალი ტანიც ზანტად, მისდაუნებურად ნელ-ნელა აჰყა ხელის მოძრაობას.

წამით შეჩერებულმა ორკესტრმა მთელი მგზნებარებით განაგრძო დაკვრა. ვრცელ სალონს შტრაუსის ჟრუანტელისმომგვრელი ჯადოსნური ჰანგები მოეფინა.

სინდერმანი უზადო მოცეკვავე აღმოჩნდა, ლალი – მით უფრო. დიდხანს გაგრძელდა ცეკვა. მარტო ეს წყვილი ტრიალებდა და ნარნარებდა დარბაზში, ლამაზ, ხალიჩებით მორთულ პარკეტის იატაკზე.

გვიან, გვიან დამთავრეს უჩვეულო როკვა მოცეკვავეებმა. თითქოს შემთხვევით, ხელს რომ უშვებდა, მოდური პერანგის სახელოზე ოქროს შესაბნევით შეკრული სამაჯური უკან გადაუწია ლალიმ დაბნეულ კაცს. მარცხენა მაჯაზე, ქვედა მხარეს, წამიერად შენიშნა ღია ფერის მოგრძო ნაჭრილობევი, აშკარად რომ გამოიჩინოდა მის შავგრემან, მზემოკიდებულ მტევანზე.

წამით შეკრთა სინდერმანი. სუნთქვა გაუხშირდა. თუმცა არაფერი დაიმჩნია. ლალი გამოცდილი ექიმ-ფარმაცოლოგი იყო. მაჯის ცემის მკვეთრი აჩქარება მისთვის ამ წამში ბევრს ნიშნავდა.

– დანკე! – მოხდენილი ღიმილით ჩაილაპარაკა სინდერმანმა და ხელი

გაითავისუფლა. მერე ჩვეული ეესტი გააკეთა, თავი ჯენტლმენურად დახარა. ლალიმ კეკლუცად გაუღიმა, რევერანსით დაემშვიდობა აშოლტილი ტანის ლამაზი რხევით. მის დაღლილობას და მღელვარებას გემოვნებით მორგებულ სამეჭლისო თეთრ კაბაში გამოკვართული კოხტა მკერდის მფეთქავი მოძრაობა ამჟღავნებდა მხოლოდ.

ლალიმ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გონს მოეგო სინდერმანი, სწრაფი, მტკიცე ნაბიჯებით წამოეწია და ერთადერთი სიტყვა დასცდა მის კუშტ ბაგეებს: – ფრაუ!!!

ლალი წამით შედგა. სინდერმანმა ხელკავი გაუქმეთა, ამაყად მიაცილა მაგიდასთან, სადაც რეზო და ლევანი სიგარეტის კვამლში იხრჩობოდნენ. ჯენტლმენურად უშველა ლალის დაჯდომაში, სავარძელი მიუჩოჩა, თავის დახრით გამოემშვიდობა მის მხლებლებს, ისევ ამაყად გაიმართა და მტკიცე ნაბიჯებით გადაჭრა დარბაზი. იგი უსიტყვოდ დაუბრუნდა თავის მაგიდას, სავარძელშიც მშვიდად მოთავსდა და ჟურნალს დასწვდა. ახლო მსხდომნი თუ შენიშნავენ, როგორ უკრთოდა მარცხენა ხელი.

იმ ღამით აღარავის უცეკვია. ყველა ჩუმი ჩურჩულით მხოლოდ მომხდარზე ლაპარაკით გართულებოდა...

(გაგრძელება იქნება)

* * *

ბზინავს თვალებზე ცვარი,
ფერი წასვლიათ ხეებს,
საშემოდგომო ღვარი
რეცხავს გამოშლილ ღლეებს...
ბზინავს თვალებში ცვარი,
როგორც ვარსკვლავი ღამე,

აბორგებული მტკვარი
მიეთ-მოეთობს რამეს...
ხშირად მაწუხებს გული,
გული თანდათან მწყდება,
ქარი მიგზავნის უღევ
ხმელ ფოთოლს, შერიგებად...

* * *

ჰეი, სიყვარულო, გისმენ,
ფერად მადენარო ფერთა,
გამიდედოფალდი ისე,
თვალებს დავხუჭავ და გხედავ...

გველივით გაწოლილ გზაზე
მაშუქე სინათლის შუქი...
ჰეი, სიყვარულო, მავსებ,
თუკი შემიბრალებ, თუკი...

* * *

წავალ, სხივივით კორდებს ავივლი,
ვიპოვი ჩიტის საყვარელ ბუდეს,
ვნახავ, ვით კოცნის ყვავილს ყვავილი,
ან აბეზარ ნისლს გულში რა უდევს.
წამომდგარ ღევეს გვირგვინს მივართმევ,
მინდორს გავხედავ ჭრელხალეზიანს,
კვლავ საპაექროდ იმას მივმართავ, -
ამ მთების თავზე რომ ქარებიან...

დიდგულა ხეებს მივესალმები
ფოთლების ნედლი სურნელით მთვრალი,
როს აფეთქებულ შემოღამებას
შემოიყოლებს ბებერი მთვარე.
ყვლს მოგეხვევა ბინდის საცოლე,
თვალებს შემატებს, ცივს და ცისხელას,
და მე დავწევი მინდვრის საწოლზე,
რომ ყური ვუვდო ღამის სიმღერას.

* * *

თეთრ პერანგს აშრილებს ხეები,
ლურჯ პერანგს აშრილებს ზღვა,
ჰქრებიან მოკლული ღლეები,
ჩნდებიან ღლეები სხვა...
მოდის გვირილების ფარფატით,
ზაფხულის თოხარიკი თენება,

სულში იმნაირ ცეცხლს დაანთებს,
რომ ცვარიც მზედ მოგეჩვენება.
მწვანედ იფერება ბალახი,
ხავსი ეფერება ხავსს,
სამოთხე ხშირად გაქვს ნანახი,
არ თქვა, რომ არ გინახავს...

მიუხედავად ღრუბლები...

გავთავდი, ღრუბლებო...
მოდით, შემეწიეთ,
წვიმა შემაშველეთ

შხაპუნა,
ცოტა მაცოცხლეთ და...
ბევრი შემიწირეთ...

ღელვა მენატრება...
 ღელვის ლურჯ ტალღებში დგაფუნი...
 მიშველეთ, ღრუბლებო,
 ძილშიც მელანდება
 ჯამი, ქურქელი თუ

ქვაბუნა...
 ღელს თავს მირჩვენია
 თქვენი მონათება
 წვეთ-წვეთ ორწოხებზე
 წკაპუნია...

ი ს ე ჯ

ისევ ვიწვი და ისევ ვინთები,
 ისევ მალეღვებს ზეცა ფერებით,
 ისევ გავყურებ მზეს გარინდებით, -
 ამოსულს ზღაპრულ მშვენიერებით...
 ისევ მაწუხებს ფიქრი მრავალი,
 ისევ დამყვება სიკვდილის შიში
 და მელანდება შთამომავალი -
 ათას წლის მერე რომ უნდა იშვას...
 ისევ ყვავილებს გაჰყურებს თვალი,
 ფერთა სისავის ნაზად ანთებას,

მუდამ რაღაცის დამყვება ვალი
 და სიმყუდროვე კვლავ მენატრება...
 ისევ ლამაზი დამაქვს დარდები,
 ისევ ღიმილით ვმალავ წუხილებს,
 თვალში ცრემლების ბრილიანტებით
 მივდექ ქუჩაში სევდას უხილავს...
 ისევ ვიწვი და ისევ ვინთები,
 ისევ მალეღვებს ზეცა ფერებით,
 ისევ გავყურებ მზეს გარინდებით,
 ამოსულს მთელი მშვენიერებით...

* * *

მთვარევ, მთვარევ, ცეცხლის მთვარევ,
 ცაზე ყვითლად მსხმოიარევ,
 ბევრი კუთხე მოვიარე...
 არ მინახავს შენი დარი,
 შენი სწორი არაა არი.
 ხან ვარდები, როგორც ქარი,
 ღრუბლებს სწვდება შენი ხმები,

ხან ნაზდები, როგორც ბალი,
 როგორც მინდვრის ბიბილბი...
 მთვარევ, მთვარევ, ოქროს მთვარევ,
 ოქროს ბურთად მონახელო,
 დაუკარი შენი ქნარი,
 თეთრი ციდან დაიძარი,
 ჩემთან მოდი მოგეფერო...

* * *

მალლა, ალბათ,
 თბილა...
 აქ, მიწაზე,
 ცრის...
 რად ვიდარდო
 ტყვილა...
 ვინ რა იცის,
 ვის...
 სევდა უფრო
 სათნოდ
 გამიღიმებს ხან,
 ვინ რა იცის,
 რა დროს
 ვის მოელის

რა...
 ტკივილები...
 წამით
 შეგაღონებს,
 მორჩა...
 ვინ რა იცის
 რამე,
 აქედან რა მოჩანს...
 ამ სამყაროს
 ცისფერს,
 იმ სამყაროს
 შავს,
 უღრენ ლიუციფერს,
 და აბეზრებ
 თავს.

სევდა

ცვრიან ბალახზე სრიალებს ლანჩა
და სიოს მოაქვს სუნთქვა დარების,
ამ მთების იქით სამყარო არ ჩანს,
ამ მთების იქით წევს მღუმარება...
მოდის ოცნების თეთრი ეტლები
და გრძნობას თიშავს წამის რინდება,

ნაცნობ გვირილა-ყვავილს ედრები
და ზეცა თავზე აგიფრინდება...
მუჟს ამოისვამ თვალებში, კმარა!
ვეღარ შევხვდებით, ყრმობის პეპელა,
ქარს გადაჰყვით, როგორც კამერა
და დამრჩი გულში სადარდებელად...

ლეღვო...

ქარში ცურავს შენი ლერწი,
პაწაწინა ლეღვო,
გულს უღადრავ ღამეს ხვეწნით,
ბანს გიბრუნებს ექო...
სასურველი ფერისულა
სულს ლევს, ისე გდარდობს,
ცხრა მთას იქეთ ამოსული,
დარჩენილი მარტო...
ზოგჯერ ჩუმად მოდის ვნება,
გეწურება ფესვი,

არაფერი გეყურება,
არაფერი გესმის...
შორს თუ იგრძენ მიწის სუნი,
ნაფერები მიწის,
მოჩუხჩუხე ნაკადული,
გიგონებს და გიცდის...
ქარში ცურავს შენი ლერწი,
ლერწი - სუროს ფერი,
გულს უღადრავ ღამეს ხვეწნით,
სიყვარულზე მღერი...

* * *

საიდუმლოს ვინ ამოხსნის,
ვინ შეკაზმავს თეთრსა ცხენსა,
ვინ წამიყვანს მზის ამოსვლას
მზეთუნების სასახლესა...
გაუჩენელს ვინ გამიჩენს,
ფრთად ვინ მომცემს, ფრთა - შრიალსა,
თორო, მასკვლავთ შევებივებ,
თოლს შევავლებ შუქურ-ქალთა...
ვარდების ქარს ვინ მაჩვენებს,
ვინ მალოცებს ვარდების მზეს,
ვინ შეაძლევს სულს გამჩენელს
უჩინ-მაჩინ-უსაჩინეს...

ზღაპრულ ულაცა ვინ დაჰკარგავს,
ან ვინ წაჰგვრის გულ-ტილი,
ან ტილოდ ვინ მომიქარგავს,
ღამე ლოცვით ვუტრიალო...
საიდუმლოს ვინ ამოხსნის,
ვინ შეკაზმავს თეთრონა ცხენს,
ვინ მიმიღებს მზის ამოსვლას,
თორმეტი მზის დიდ სასახლეს...
ოქროს გვირგვინს ვინ მომიტანს,
გვირგვინს უცხოოდ ანამზერსა,
თუკი ერთი გული მინდა,
თოვლისფერ რომ ამავსებდა...

თეა არაბული

* * *

დაძრწიან ქარები, აპრილის ქარები,
ქროლვით მიწამებენ სულს.
მომავალს გავყურებ დაღლილი თვალებით,
ამბოხ სულს სიახლე სურს.
 ამ ქვეყნად მე მოველ ჩვეული უფლებით,
 მე მხოლოდ მოვეყვი თოვლს,
 მეც ხომ ვარ მონაწილე ერთი თქმულების,
 მაგრამ ჯერ ვერ წაველ შორს.
ჯერ კიდევ აპრილის ყვავიან იები,
მაისის ვარდები თოვს.
ჯერ კიდევ ჩემს გულში ცეცხლია ძლიერი,
გრძნობა კი სიყვარულს გთხოვს.
 გაივლის აპრილი, დაჰქნება იები,
 ვარდებს კი გავატან ქარს.
 ოცნებას დარჩება მწუხარე იერი
 და ცრემლი დანამავს თვალს.
შემდეგ დაიქროლებს დეკემბრის ქარები
და მთებსაც დააფენს თოვლს.
უეცრად ჩაქრება მგზნებარე ალები
და უბრალოდ გავყვები თოვლს.

სააოვნელა

ხედავ, გაზაფხულდა უკვე,
აი, გაიშალა კვირტი.
ცრემლით ამომევსო უპე,
და ჩემს წინ დაეშვა ბინდი.

ბაღში ია აფრქვევს სურნელს,
მთებმაც მოიშორეს ნისლი.
მე მხოლოდ დამარქმევინ სულელს,
მაინც იტოტება ფიქრი.

ხედავ, გაზაფხულდა უკვე,
აი, გაიშალა ტიტა.
ცრემლით ამომევსო უპე,
მე კვლავ შენი პოვნა მინდა.

* * *

მიაქროლებს ქარი წითელ ვარდებს,
გზაზე ვერცხლის მოფენილა ქვიშა
თუ გავუძელ ვარდობის თვის ავდრებს,
შემდეგ უკვე არაფერი მიშავს.

ო, რამდენი ვარდებია ირგვლივ,
თითქოს ციდან ვარდების დის წვიმა.
ისევ სევდა მეუფლება მწველი,
ისევ ქარმა დაუბერა ცივმა.

ქუხს ცის კიდე, მოსწყდა თითქოს ზღუდეს
თითქოს თავზე ჩამომექცა ზეცა.
როგორც ბარტყი ვერ პოულობს ბუდეს,
ისე კვალი ამერია მეცა.

მიაქროლებს ქარი წითელ ვარდებს,
გზაზე ვერცხლის მოფენილა ქვიშა.
თუ გავუძელ მაისის თვის ავდრებს
შემდეგ უკვე არაფერი მიშავს.

მე თქვენთან დარჩენა მინდა

ცისფერი მთებიდან მზემ ამოანათა,
გუშინ კი, ო, როგორ წვიმდა.
ამ წვიმის ნიაღვარს ბავშვობა თან გაჰყვა,
მე კი თქვენთან ყოფნა მინდა.

ოცნებამ ცისფერი მწვერვალი დალანდა,
თითქოს მივალწიე მიზანს;
მაინც ყველაფერი ამ ზღაპრით დამთავრდა,
სადაც ვერ წაუხვალ მისანს.

ზღაპრების ქვეყანა წლებმა გადაკარგა,
მას გაჰყვა ოცნება წმინდა.
წარსულზე ფიქრებმა ო, რარიგ დამღალა,
მე თქვენთან დარჩენა მინდა.

ლ ა ნ დ ი

„მე ვარ ის, რაც არი, რაც იყო, და რაც იქნება და არც ერთ მოკვდავს, და არც ერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“.

/წარწერა ნეფის ქვაზე/

„რავითარი სახეელი არ იქნება ჩემთვის იმდენად სასტიკი, როგორც ჩემი დანაშაულის მოგონება“.

/რუსი/

„რა ხარ? – ერთი ხაწეალობელი სული, რომელიც ცხეღარს დაათრევს ქვეყნად“.

/კიეიტატე/



ის იდგა სარკის წინ. იქით, უკუნეთში, ნელ-ნელა რაღაც ფიგურა გამოიძვრწა, წარმოიქმნა. იგი ისეთივე იყო, როგორც თავად. ეცვა ისევე, როგორც მას და ყოველივეზე ისევე მოქმედებდა, როგორც ის, მხოლოდ...

...და შორიდან, სიბნელიდან, გაურკვეველი წყდიადიდან რაღაც ეჭო ჩაესმა, ნაცნობი ხმა, უესტი და...

- ვინა ხარ შენ?

- ერთი თავქარიანი გოგონა, რომელმაც ცხოვრებისგან ზიზღი, არარობა, სიძულელი, ფიტული მიიღო, ისევ და ისევ თავისივე ხელით!

- გითანაგრძნობ!

- შენ ვინა ხარ და რა გინდა?

- მე შენი მბრძანებელი ვარ, მეორე მე შენი!

- ჩემზე მბრძანებელი ერთადერთი ადამიანია მხოლოდ, ის, ვინც მე მიყვარს.

- (პაუზა). მიპასუხე... ყველაზე შეტად რისი გეშინია ამ ქვეყნად?

- რატომ მეკითხები?

- უბრალოდ! ცნობისმოყვარეობა! და იქით... რაღაც შეირხა!

- ალბათ საკუთარი თავის!

- ალბათ? - დარწმუნებული არა ხარ? - კვლავ ჩაესმა ეჭო...

- უბრალოდ, მეშინია, ისეთი რამ

არ ჩავიდინო ცხოვრებაში, რომელსაც ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს. ვისაც და რასაც არ უნდა დავემალო, ჩემს თავს და სინდისს ხომ ვერსად წავუვალ, - უბასუბა შეძრწუნებით.

- ნუ გეშინია, ღმერთი ყველას მიუტეებს მონანიების შემდეგ.

- გეთანხმები, უფაღმა შეიძლება შეგინდოს, მაგრამ მე კი ვაპატიებ საკუთარ თავს? აქედან გამომდინარე, ჩემთვის მნიშვნელობა არ ექნება იმას, მე ვინ ვაპატიებ.

- თუ ადამიანი გულში საკუთარ თავს ებრძვის, იგი რაღაცად ღირს! თუმცა ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება თავისებურად წარმოუდგენია და ვატყობ, შენც ამათ რიცხვს მიეკუთვნები, - კვლავ ჩაესმა ნაცნობი ხმა...

- (პაუზა). ყოველთვის მეშინოდა, რომ ისეთი რამ არ ჩამედინა ცხოვრებაში, რომ მერე სანანებელი გამიხდებოდა. ენლა კი იმას ვნანობ, რაც არ ჩამიდენია.

- საინტერესოა... გამოდის, გეშინია ცხოვრების და თანაც, არ გინდა ეს აღიარო...

- უბრალოდ, მგონია, რომ ცხოვრება - სიგარეტსა ჰგავს, რომელიც ნელ-ნელა იწვის, თავის ფიქრებთან, ილუზიებთან და ოცნებებთან ერთად და საბოლოოდ,

ფილტრით ხელში დარჩენილს, უამრავი კითხვა გრჩება ამოუხსნელი...

- გამოგიტყდები, მომეწონე, - მერე გამჭვირვალე ლანდი ადგა, მისდა დაუკითხავად, სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან და გააბოლა...

- ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობ შენ!

- რატომ, განა საზოგადოების აზრი შენთვის სულერთია?

- არა, რა თქმა უნდა, მაგრამ ხალხი ბრმაა, შეიძლება ბევრი რამ დაგწამოს, იარლიყივით მოგაწებოს ზურგზე, ან პირიქით, ბევრიც გაპატიოს, მაგრამ მათ ხომ არ იციან, რა ხდება ადამიანის სულში? მაშასადამე, არავის არა აქვს უფლება, ვიღაც გაკიცხოს ან შეათასოს. ეგ საკითხი ღმერთს უნდა მივანდოთ. თუმცა, თუ შენს გზას მიჰყვები, ადამიანებმა რაც უნდა ისა თქვან. ყოველ მოკვდავს საკუთარი აზრებით აქვს დაზერეტილი თავი.

- სიყვარულის თუ გწამს? - მიპასუხე!
- ლანდი კვლავ ოთახში დაბორიალობდა, აღარ ეკითხებოდა მას არაფერს, არც ისევე მოქმედებდა, როგორც უწინ.

- მაშასადამე, ბედნიერი ყოფილხარ, - ჩუმი ქილიკი გაიგონა...

- ბედნიერების ამოსავალი წერტილი - სიკვდილია. ბედნიერები არიან მიცვალებულები, რადგან აღარ განიცდიან ამქვეყნიურ უკუღმართობას... საერთოდ, სიყვარული წამებაა, ტანჯვა და ბედნიერება ერთდროულად, მათი ნარევი განცდა...

- სიყვარულით სიკვდილიც ხომ ერთგვარი ბედნიერებაა?..

- ეგ სიყვარულის ტრიუმფია, მარადისობა, ცრემლია დაუღვრელი...

- შენ ფილოსოფოსიც ყოფილხარ! - ლანდი ოთახში მიმოდიოდა და სიგარეტს ხარბად ეწეოდა.

- ფილოსოფოსები პოეტები არიან, ხოლო პოეტი ფილოსოფოსი თუ არ არის, გამოდის, რომ თავის აზრს რითმავს

მხოლოდ. მე კი ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, პოეტებთან განსხვავებით, რომლებიც საუკუნეებს უტოლდებიან.

მომენტალურად, ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა... რეალობა და ცნობიერება შეირყა, რაღაც აღვივდა და შეინჯლა გონებაში, რომ კვლავ ჩაესმა დაგუბული ხმა...

- სიკვდილისა თუ გეშინია?

- არა! - უფრო სწორედ, სირცხვილით სიკვდილისა გეშინია, - უპასუხა სარკის რომელიღაც წერტილს მიჩერებულმა.

- გამოდის, სუსტი, უნებისყოფი ადამიანი ყოფილხარ.

- განა ეს უნებისყოფობაა?!.. საერთოდ, სიკვდილი მართლაც და, გაუგებარია ჩემთვის და სიკვდილიც იმას აშინებს ყველაზე მეტად, ვისაც არ სწამს სულის უკვდავება. როცა არ გინდა იცხოვრო შერცხვენილმა და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებ, ეგ უნებისყოფობა ნამდვილად არ არის, ეგ დამღუპველი სიამაყეა.

- ვინც თვითმკვლელობაზე ფიქრობს, ისინი მშვიდობიანად გაატარებენ დარჩენილ დღეებს, თუმცა, უნდა იცოდეს, რომ თვითმკვლელობა საშინელი ცოდვაა...

- ცოდვად ის უფრო მიმაჩნია, დამძიმებულმა იარო ამ დაუმაღლებელ მიწაზე და სხვაც დაამძიმო. - უდანაშაულოს სული წაბილწო და დამნაშავედ აქციო...

- ამისთვის არსებობს ეკლესია, აღსარება!

- მონანიების შემდეგ იწმინდები მართალია, მაგრამ იცოცხლო და იცხოვრო დამძიმებულმა, ეგ ხომ ყველაზე დიდი სასჯელია, მითუმეტეს მაშინ, როცა საკუთარი თავისათვის უმსგავსო საქციელი თავადვე ვერ გიპატივბია, რომელიც შენს მეორე "მესს", ჩაუდენია შენდა დაუკითხავად.

სარკეს კვლავ ჩააჩერდა. მისი

აცმაცუნებული ტუჩები კიდევ უფრო ახლოს მიიტანა და სივრცე გაუქმდა. ორთქლს მოეცვა სარკის ერთი რომელიღაც კუთხე.

- ცარიელ გულზე მძიმე არაფერია. მეცოდები, იტანგები და იმიტომ.

- მე მძულს ყველა ის, ვისაც მე ვეცოდები, - არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა.

- ამპარტავანი და ყოყოჩი ყოფილხარ თუმცა, ვალიარებ, რომ სიამაყე ყოველგვარ ნაკლს აწონასწორებს.

- ადამიანი უძლიერესია მაშინ, როცა გაიმარჯვებს საკუთარ თავთან ბრძოლაში, ამიტომაც გითანაგრძნობ.

- შეგეძლო აუხსნელად გაგეწია ჩემთვის თანაგრძნობა, რადგან რასაც შენ მეუბნები, მე ეგ დიდი ხანია ვიცი, მაგრამ შენ იმდენად ეგოისტი ხარ, რომ გინდა საკუთარ სულში ჩამაფურთხებინო!..

- მე სიკეთის მეტი შენგან არა მინდა რა. მინდა შენი სული გადავარჩინო, უკვდავყო!

- სისულელეა... არ მჯერა შენი, - უპასუხა და ორთავე ხელისგული სახეზე მიიფარა.

- უკვდავებისა არ გწამს?

- უკვდავების?... მხოლოდ სულის უკვდავება არსებობს. იგი მარადიულია. ამბობენ: სულს ვერც გზავთ, ვერც ვგრძნობთ, არც გემო აქვს, არც ფერი, არც სუნი და არც წონა გააჩნია... მაშასადამე, არ არსებობსო, მაგრამ მე მათ არ ვეთანხმები. ათეისტურია ეგ აზრი და მეტი არაფერი.

- გამიგონია... ყველაზე მყუდრო და უშფოთველი სადგური, სადაც კაცს შეუძლია განმარტოვდეს, სულია მისიო. განა ადამიანის სხეულს და გონებას ყველაზე მეტად ადამიანის სული არ ასაზრდოებს?... კარგი, მაგრამ ეგ მითხარი, თუ გიკამათია საკუთარ თავთან?

- ხშირად სარკის წინ.

- შეაქე?..

- ვერ გეტყვი, ვერც განმისჯია, ვერც გამიმტყუნებია და მითუმეტეს, ვერც გამიმართლებია!

- ქალებზე, ქალებზე რას იტყვი?

- ადამიანი ამოუცნობი ენიგმაა. ქალი ორმაგი ამოცანაა. ყველა ქალი ეშმაა და მე მათ არ ვენდობი.

- გეთანხმები, თუმცა ისინი ამავედროს, ძალიან ლამაზნიც და ტკბილიც არიან, ზოგჯერ იმდენად გემრიელი და ტკბილი... საშიშია, არ შემოგვადნეს ხელში.

- მაინც ფიქრობ, რომ ყველა ქალი სულით მეძავი და ეშმაა.

- ბევრი ადამიანი იმაზე უარესია, რასაც თქვენ ეშმას ეძახით. ეშმა ხომ არაფერს ისეთს არ ჩაიდენს, რასაც ადამიანი არ იკადრებს, ისიც გვაფიწყდება, რომ ქალს, ნამდვილი სიყვარულიც შეუძლია, უღალატო სიყვარული.

- არ ვიცი, ვერ გიპასუხებ!

- მე კი გეტყვი, რომ ქალს, როცა შენ ნამდვილად უყვარხარ, თუნდაც ის ქუჩის მეძავი იყოს, გიღალატებს, სულით არასოდეს მიგატოვებს. ალბათ, ქალებს სიყვარული უფრო შეუძლიათ. შამაკაცები კი მეგობრობაში არიან უფრო გამტანი. სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ უმანკოება და გულწრფელობა სუფევს.

- ეგ ერთადერთია, რაშიც გეთანხმები.

- ჰოდა, დამიჯერე რასაც გეტყვი: - იყავი ყოველთვის გულწრფელი, კეთილი. ნამდვილ სიყვარულში ხომ გამარჯვებული არავინაა არასოდეს. ჰოდა, არც ის შეიძლება, ვიღაცა ცხოვრებას გაუტოლდეს და აეობოს. ყველა მოკვდავი, ერთდროულად, დამარცხებულიცაა და გამარჯვებულიც. არ არსებობს მხოლოდ თეთრი ან შავი... ყველაფერს აქვს თავისი საწყისი და დასასრულიც! მეც გემშვიდობები და!.. გააკეთე უამრავი სიკეთე, რაშეთუ ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობს. იგი ხომ მოქმედებაში ზორცშესხმული მშვენიერებაა. იყავ გულწრფელი, რამდენადაც ის ალამაზებს

ადამიანს და მონა შენი სინდისისა, რომელიც ვნებამ შექმნა. იმაზე დიდი ინსტიტუტი არ არსებობს, ვიდრე ადამიანობის, კაცობის და პიროვნების ინსტიტუტია. და იყავი პიროვნება დამოუკიდებელი, თავისუფალი და არა დამოკიდებული ვიღაცაზე, როგორც მონა...

- თავისუფალი? - დამარცვლა ბაგეებით, - ამაზე ბევრი მიფიქრია. მართლაც, ფასდაუდებელია, უთხრა და იგრძნო წამწამებზე სისველე.

- ხედავ იმ ფრიალო კლდეს? - მისი ქიმიდან იწყება თავისუფლების გზა. ხედავ იმ ზღვას, იმ ქას, იმ მდინარეს? მათ ფსკერზე წევს თავისუფლება. ხედავ იმ დაბალ, იმ მრუდე და უნაყოფო ხეს? მის ტოტზე ჰკიდია თავისუფლება! ხედავ შენს ყელს? შენს კისერს? შენს მკერდს? ყველა

ამ ბჭით შეგიძლია გაექცე მონობას...

- შენ რასაც ამბობ, ჩემთვის ნაცნობია, წამიკითხავს სადღაც! - და თვალები აათვაფხურა, დიდრონი თვალები.

- დე, გიყვარდეს! რამეთუ საუკუნოდ ამალღდება სული შენი! და გადავა სამუდამო საუფლოში...

და გაქრა ნელ-ნელა, წაიშალა ყოველი ლანდი, ილვინებოდა და გაუსაძლისი ხდებოდა ხელმეორედ მისი წარმოქმნა. თითქოს ზღვის რომელიღაც ფსკერისაკენ ეშვებოდა, სადღაც თვალთახედვა ვერ აღწევს... ნაკვალევიც აღარ რჩება...

ჩაიძირა... მიიშალა...

შემდეგ, იმ წყვდიადში თითქოს მზის სხივებმა შემოაჭყიტეს და საბოლოოდ, გაანათა...

და იდგა ჟამი განკითხვისა...



თარგმანი

არტურ რეზო

ერთხელ ჯოჯოხეთში

ფოთლის გროვიდან მგლის ღრენა ისმის,
ნაზ ფრთებს დასცვივა სისხლის წვეთები,
როგორც ნადირი მსხვერპლს სადილისთვის,
მე სასიკვდილოდ თავს ვიმეტებდი.

უკვე მწიფეა ხილიც, სალათაც,
ისინი კრეფას ელიან მხოლოდ,
მაგრამ ობობა მაინც ქსელს ზღართავს,
რომ ლამაზ იას მოუღოს ბოლო.

ო, ისე მძინავს, მსურს მდუღარება
საკურთხეველზე სოლომონისა,
ჟანგს ეს მდუღარე ზედ დაეღვრება
და შეერევა წყალს კედრონისა.

დასასრულისთვის, ჰოი, სვე-ბედო, ჰოი, სიმართლევე, ცის სილაქვარდეს შავი ფერი
გადავაცილე, და მე ვიცხოვრე ბუნებრივი სიკაშკაშის ოქროს ციალით. სამხიარულოდ
სახეს ვაძლევდი იერს მასხრისა და აზრდაკარგულს უკიდურესად.

ისევ აქ არის მარადისობა -

ზღვა მზით გამთბარი,
სხივთა სერობა.
სულო ჩემო, უკვდავო,
მიჰყევი სითაც ილქვი,
თუმც ლამეა უმთავრო
და დღე ცეცხლში იწვის.
მაშ, ისურვე გაცლა
ვაებისგან კაცთა,
მდაბალთ სწრაფვითაგან
მიაშურებ ცასაც.
ალარც ოდეს სასო,

ალარც ცისკარი,
თმენალა მახსოვს,
სასჯელი აქ არი.
ალარა მსურს ზვალე,
ჩითის ნაღვერდალი,
თქვენი სიმბურვალე
არის მხოლოდ ვალი.
ისევ აქ არის
მარადისობა! -
ზღვა მზით გამთბარი,
სხივთა სერობა.

სული შთაბერე ზღაპრულ ოპერას და დავინახე: ყველა არსებას ბედნიერების
ჰქონია ბედი. საქმიანობა სულ არ ნიშნავს ქვეყნად ცხოვრებას, იგი ჩვევაა, რომ ძალ-
ლონე ფუჟად დაეხარჯო - ნერვების წყვეტა. მორალი გახლავთ ტვინის სისუსტე.
ნებისმიერის არსებობაში მათი ყოფის სხვადასხვაგვარ გამოვლინებას აღვიქვამდი
მოვალეობად. ამ გაუბატონმა არც კი უწყის, რასაც აკეთებს: ანგელოზია. ოჯახი იგი
ძალთა ბუდეა. კაცთაგან მრავალს ძალზე მკაფიოდ წარმოუჩინე სხვადასხვაგვარი
მათი ყოფის ერთი მომენტი და აი, ასე შემოიფარდა ღორი ამქვეყნად.

არავითარი სოფიზმები სიგიჟისაგან – მე ის სიგიჟე, რასაც ჩქმალავენ, არ დამვიწნია. შევძლებდი კიდევ, ყველაფერი აშკარად მეთქვა, რადგან ვფლობ უნარს, გითხრათ ყოველი.

ჯანის სიმრთელე შემელახა. შიში მიტევდა და თავს მართმევდა ძილი მრავალ დღეს, მაგრამ ფხიზელიც კვლავ ვაგრძელებდი სიზმარს ნალგლიანს წინაზე მეტად. სიკვდილისათვის მზად ვიყავი და სისუსტეებს ჩემი სულისას ფათერაკების გზებით მიეყვდი ქვეყნიერების დასასრულისკენ, კიმერიისკენ – ლანდებისა და ქარიშხლების სამფლობელოში.

მემოგზაურა უნდა უცილოდ, ამომეკვეთა გონებიდან ჯადოთა გროვა. ზღვაზე, რომელიც ისე მიყვარდა, რადგან განმწმენდდა სიბინძურისგან, ვხედავდი ჩემდა სანუგეშოდ აღმართულ ჯვარსაც და სწორედ მაშინ დავიწყველე ცისარტყლათი.

ბედნიერება იყო ბედისწერა, სინდისის ქენჯნა და ჭია ჩემი. ცხოვრება ესე დღიდან დღემდე გაგრძელდებოდა უსაშველოდ, რომ მეერთგულა ძალისა და სილამაზისთვის. ბედნიერება! კლავს სიტკბოებით – მამლის ყვილში მათრთხილებდა დილის ლოცვა და მამაო ჩვენო ყველაზე უფრო ბნელ ქალაქებშიც.

ო, უძველესო ციხე-კოშკო, ჰოი, ჰოი, ჟამთა ცვლავ,
სული უზადო თუ ოდესმე, ნეტა, გინახავთ?
ბედნიერება შევიცანი ვითარ გრძნეულმა,
ჯერაც არავინ ქვეყნად მისგან არ გაქცეულა.
მივესალმები, რასაც მღერის მამალი ვალთა,
როს ყოველ დილით მალლა კისერს ღალად შემართავს.
ვერ შემაწუხებს ამას იქით სურვილთა წყბა,
ჩემი ცხოვრება სიმსუბუქით ველარ აჰყვება.
ჯადოსნურ ხიბლით გაითანგა ხორცი და სული,
შორსაა ჩემგან ცრუ ფაფხური აწ გადასული.
ო, უძველესო ციხე-კოშკო, ჰოი, ჟამთა ცვლავ!
ვაჰმე, იმ საათს ამ ხიბლისგან რომ დავიცლები,
მე იმავე საათს უეჭველად გარდავიცვლები.
ო, უძველესო ციხე-კოშკო, ჰოი ჟამთა ცვლავ!

* * *

გარდასულია უკვე ყოველი. ახლა კი უკვე შემიძლია, მივესალმო მშვენიერებას. შეუძლებელი ეჰ! ბავშვობაში ჩემი ცხოვრება, ყველა დროთაგან გზა უდიდესი, ზებუნებრივად მოთოკილი, უინტერესო თვით მათხოვარზეც, ვინაც ამაყობს, რომ არ სჭირდება არც სამშობლო, არც მეგობარი... სიბრიყვე იყო რაოდენი – ერთადერთი ვარ, ვინც შეამჩნია.

– მართალი გახლდით, როს იმ ვაჟბატონთ ვაჟამპულეზები, ვინც არ კარგავდა შემთხვევასაც ალერსისათვის, ამ პარაზიტებს სიამეთა, დიაცების სიჯანსაღისა, რომ სწორედ ქალებს დღეისათვის ასე ნაკლებად ესმოდეო ჩვენი. მართალი ვიყავ ყოველ

ზიზლში, რასაც კი ვგრძნობდი, რადგან თავს ვშველი მათგან გაქცევით!

თავს ვეშველები!

მე ვალიარებ...

ჯერ კიდევ გუშინ მწარედ ვოხრავდი: „ჰოი, ზეცაო, ჩვენ საკმარისად დავიწყველეთ ქვემოთ – მიწაზე! ამათთან, ბრბოში, ჯერ უნდა ვიყო კიდევ იმდენ ხანს! მათ კარგად ვიცნობ: ჩვენ გამუდმებით ვსწავლობთ ერთმანეთს... და გულს ვუწყალებთ. გულმოწყალება უცხოა ჩვენთვის, სამაგიეროდ, გბრწყინავთ ზრდილობით. ამა სოფელსაც საკადრისად ვესადაგებოთ. გასაკვირია განა რაიმე? ქვეყნიერება! მოვაჭრენი, მიამიტები! – ჩვენი სახელი არ შერცხვენილა, მაგრამ თუ გეცნობენ გამორჩეულნი? მაშასადამე აქ ცხოვრობენ ცრუ რჩეულები გულღვარდლიანნი და მხიარულნი: ასეა, რადგან მათთან მისაღწევად დაგჭირდებოდათ ან თავგედობა ან მორჩილება. ასეთნი გახლავთ გამორჩეულნი... მაგრამ ისინი არ არიან ღვთიოქუთხეულნი!

ორიოდ გროშის სიმართლეა, რაც ცხოვრებაში მოვიძიე და ისიც, ალბათ, მალე გაქრება!

ვერ შემიგნია, რომ დასავლეთში ვცხოვრობთ ყველანი, ვხედავ, რომ ჩემი გასაჭირიც აქედან მოდის.

ეჰ, ჭაობები დასავლეთისა! ვერ დავუჯერებ ნათელს ფერშეცვლილს, ქანცის გაწყვეტას, სვლას გზაარეულს... საკმარისია!

ჰა, სურს გონებას იტვირთოს სრულად სისასტიკეთა ავბედითი განვითარება, რასაც გაუძლო აღმოსავლეთის აღსასრულიდან... ჩემმა გონებამ ასე ინება!

... მაგრამ სიმართლე ორიოდ გროშის უკვე გამჭრალა! – გონება გვმართავს, მან მოისურვა დასავლეთში ჩემი ცხოვრება. ო, მე გონების გაჩუმება დამჭირდებოდა ჩემი სურვილის შესასრულებლად.

ეშმაკებისკენ ვაგზავნიდი წამებულთა პალმის შტოებსაც, ხელოვნების შარავანდედსაც, მტაცებელთა გულმზურვალებას, გამომგონებლის მედიდურობას. ფუბრუნდებოდი კვლავ აღმოსავლეთს – სიბრძნეს პირველს და მარადიულს. ზარმაცი ბრიყვის ზმანებას ჰგავს ჩემი ოცნება.

მაგრამ გულშიაც არ გამივლია შვება მეპოვა ახალ ტანჯვისგან თავის დაღწევით. არ ვგულისხმობდი ყურანის სიბრძნეს გადაგვარებულს.

მაგრამ არ არის ტანჯვა მეტი, ვიდრე ცოდნათა ეს უწყვეტი დეკლარაცია. ქრისტიანობა! აღამიანი საკუთარ თავსაც ეთამაშება, მუდამ ამტკიცებს, რაც აშკარაა და კმაყოფილი იბღინძება შეგონებათა განმეორებით და არ კი ცხოვრობს შესაფერისად! გაქნილი ტანჯვა, მასხარაობა, სათავე ჩემი სულის ბოდვათა. ჰოი, ბუნება, შესაძლოა, საკუთარ თავსაც თავს შეაწყნდა. ბატონი პრუდონი დაიბადა ქრისტესთან ერთად.

განა ამიტომ არ ვავრცელებთ ბუნდოვნებას? ციებ-ცხელებით ვიკვებებით და გაწყლებულ ბოსტნეულსაც ზედ დავაყოლებთ! და ლოთობასაც! და თამბაქოსაც! და უმეცრებას! და თავგანწირვას! – განა ყოველი ასე შორსაა აღმოსავლური აზროვნებისაგან, მისი სიბრძნისაგან, პირველყოფილ სამშობლოსაგან და რაღას ვაქნევთ თანამედროვე ქვეყნიერებას მსგავსი შხამები თუკი ჩნდებიან!

და იტყვის ხალხი ეკლესიური: გასაგებია! მაგრამ ისურვეთ სამოთხეზე გელაპარაკათ. პოდა, სათქვენო არაფერია აღმოსავლეთის ხალხთა წარსულში – ჰო, მართალია, სამოთხე გახლავთ, რასაც ვნატრობდი! მაშ, რატომ გაჩნდა ჩემს ზმანებაში სისუფთავე უძველეს ხალხთა!

ფილოსოფოსნი: ქვეყნიერება უსასაკოა. კაცობრიობა ძალზე იოლად იცვლის

სამყოფელს! დასავლეთში ხართ, მაგრამ სრულიად თავისუფალნი, თქვენს აღმოსავლეთს რომ დაუბრუნდეთ, უფრო ძველს ვიდრე თავს გაჩვენებთ და სად ცხოვრებაც უკეთესია – ნუ დამარცხდებით. ფილოსოფოსნო, პირმშონი ხართ დასავლეთისა.

ჩემო გონება, ფრთხილად იყავი, არავითარი მისალმება იძულებითი.

გამოიწვრთენი! – აჰ! ცოდნა გეძლევა არც ისე სწრაფად!

– მაგრამ ვხვდები! რომ ჩემი გონება ახლა ძილშია.

ამ წუთიდანაც რომ ეფხიზლა მას საკმარისად, ჩვენ მაინც მალე მივალწვედით ქვემარტებას, რომელიც ახლა შესაძლოა, უკვე გარს გვაკრავს მოტირალი ანგელოზებით... ამ წუთებამდეც რომ ეფხიზლა, ვით საჭიროა, ვერ შემიპყრობდა უხსოვარ დროის ინსტიქტები დამაქცეველი. და ყოველთვის რომ ყოფილიყო ფრიად ფხიზელი, ქვეყნად ვივლიდი სიბრძნით აღსავსე!

ო, სისუფთავე, სისუფთავე!

ეს არის წუთი სიფხიზლისა, როს დავინახე სისუფთავე! – ღვთისკენ მიდიან მხოლოდ გონებით!

გულისგამგლეჯი უბედურება!

ბასსიპოსნება

საქმენი კაცთა! ელვისებურად მინათებენ უფსკრულს დრო და დრო.

„არაფერია სახელზე ზრუნვა. ეძიე ცოდნა და წინ იარე!“ – გაჰყვრის ახლა თანამედროვე ეკლესიასტე, როგორც იტყვიან, მთელი სამყარო. ბოროტთა გვამნი და უსაქმურნი მაინც უტევენ სხვა კაცთა გულებს. აჰ! სწრაფად, სწრაფად, სულ ცოტა სწრაფად, იქ, ღამის მიღმა, დანაპირები მარადიული ჭილღოებისკენ... გავექცეთ განა?

– აქ მე რა ძალმიძს, მე ვიცი შრომა; მეცნიერება ძალზე მდორეა. რა ჭირითია ლოცვა-ვედრების, რა ნათელია ქექა-ქუხილის... ვხედავ მკაფიოდ. ეს იოლია, ცხელა კი ძალზე; ო, უჩემოდაც იოლად გავლენ. მეცა მაქვს ვალი, და ვიამაყებ მრავალთა მსგავსად, და ყოველივეს გადავაფიწებ.

ჩემი ცხოვრება გაიცრიცა. ჰოდა, წავედით! ვიაროთ უქმად, და თავიც იქნებ მოვიკატუნოთ, ო, შეწყალება! ჩვენ ვიარსებებთ დროსტარებაში და ოცნებებში საშინელ სიყვარულებზე, ტყუილ-მართალის გარჩევაში, საყოველთაო ფანტასტიკაში და მრავალსახა წუთისოფლის განსჯა-კრულვაში; ჩვენ – ჯამბაზებიც, გლახაკებიც, მსახიობებიც, მძარცველებიც, – და თავად მღვდლებიც!

საწოლს მიკრული, ჰოსპიტალში, საკმევლის სუნში დაგბრუნდი ისე ძღვევამოსილი; დამცველი წმინდა სურნელებისა, როგორც მოძღვარი და წამებუი...

იქ, ბავშვობაში, სიბინძურეს ჩემი აღზრდისა, ვხედავ თავიდან. რა არის შემდეგ!.. ო, წადი, ჩემო ოცო წელიწადო, თუ იცი წელი გაირბენს სხვისიც.

ო, არა, არა! ახლა კრიჭაში ვუდგავარ სიკვდილს! ჩემს ქედმაღლობას შრომა მსუბუქად ესალბუნება: ხოლო ღალატი ამ ქვეყნისადმი მას დაამძიმებს მხოლოდ ხანმოკლე. უკანასკნელ წუთს, თავს დავესხმები მარჯვნივ და მარცხნივ...

მაშინ კი – ჰოი, – სულო ძვირფასო, შესაბრალისო, არ დაგკარგავდით მარადისობას!

დილა

განა მეც ერთ დროს არ მამკობდა სიყმაწვილე ზალისიანი, გმირობით სავსე, საარაკო, დასაწერი ოქროს ფურცლებზე – მეტისმეტი ბედნიერება!

მაშ, რა შეცდომის, დანაშაულის, ნეტა, რის გამო შევიქმენ ღირსი ამჟამინდელი

უბადრუკობის.

თქვენ კი, რომლებიც დაჟინებით მუდამ მოითხოვთ, რომ ბრიყვთა გულებს აღმოასკდეთ განწირულის მწარე ჭეითინი და რომ სნეულნი უსასობას დაემორჩილონ, გარდაცვლილებმა სიზმრად ნახონ ავი ზმანება, მაშ, შეეცადეთ, ყველას ამცნოთ ჩემი ძილი და დაცემა ჩემი. მე აღარ ძალმიძს, გაგიმჟღავნოთ კვლავ არსი ჩემი, ვით მათხოვარმა, გამუდმებით რომ ბუტბუტებს „მამაო ჩვენოს“, „ავე მარიას“.

არ შემიძლია ლაპარაკი ამიერიდან! თუმცა კი მინდა დავასრულო ესე მოთხრობა ჩემს ჯოჯოხეთზე, ჯოჯოხეთური რაც გახლდათ მართლაც, და უძველესი, რომლის კარიც შეხსნა იესომ.

ისევ იმ ძველი უდაბნოდან, იმავე ღამით, უსიხარულოდ იღვიძებენ ჩემი თვალები ვერცხლის ვარსკვლავის აღცისკრებისას, რომელიც უკვე ვერ აღელვებს ხელმწიფეებს ამა ქვეყნისა, თავად სამ მოგვსაც, გულსაც, სულსაც და გონებასაც.

როდისღა წავალთ მიღმა მთათა და ქვეშთან სანაპიროთა, რომ მივესალმოთ დაბადებას ახალი სიტყვის, ახალი სიბრძნის!

და უკუქცევას ტირანების და დემონების!

და ცრურწმენების გაცამტვერებას, რომ პირველებმა თაყვანი ვცეთ შობას ამქვეყნად.

ცათა სიმღერა, მსგელელობა ხალხთა!

ჰოი, მონანო, არ დაგწყველოთ ჩვენი ცხოვრება!

მეზიფოლით

შემოდგომაა უკვე - რატომ მივსტირით მზეს მარადიულს, ზომ ვეზიარეთ ღვთაებრივ ნათელს - მაშ, შორს იმთვან, ვისაც ღუპავს ცვალებადობა წლის დროებისა.

შემოდგომაა. ჩვენი ნავი შემართულა გაყინულ ნისლში და იქ მიილტვის - სილატაკის ნავსაყუდელში - უზარმაზარი ქალაქისაკენ. ცეცხლით, ტალახით დადალულ ცაში.

სიმყრალე ძონძების, პური ნაწვიმარი, შვება სიმთვრალის, ათასი სიყვარული - ჯვარს რომ მაცვა შეუბრალებლად... ეს სისხლისმღვრელი დედოფალი არასოდეს მოიშლის, ალბათ, მილიონობით სულის და ხორცის გასამართლებას.

ო, ვხედავ ჩემს კანს, ტალახითა და სიდამპლით შექმულს, მატლებით საესე თმებს და ილღიებს... ყველაზე მსუქან იმ დიდ ჭიასაც, გულში რომ ძვრება, რომ გატიმულა უსააკო და უგრძნობ უცნობთა შორის. მეც შევიძლებდი, ალბათ, აქ სიკვდილს... რა საზიზღარი მოგონებაა! მძულს სილატაკე...

და მეშინია ზამთრის, რადგანაც ის ფუფუნების დროა ამქვეყნად.

- ხანდახან ცაში ჩანს სანაპირო უსასრულო, სად ნებივრობენ თეთრი ერები. და ჩემს თავს ზემოთ ოქროს ზომალდი არხევს თვის დროშებს მრავალფეროვანს დილის ნიაზე! მე შევქმენი ყველა ლხინი, ტრიუმფიც, დრამაც. მე მოვინდომე ყვავილების, ვარსკვლავების, სხეულების და სიტყვების ჩემბურად გამოგონება. ჰო, მსურდა ძალა ზებუნებრივი, შეუძლებელი რომ შემძლებოდა. მაშ, კარგი, დავმარხო უნდა მოგონებები და წარმოსახვა, წარმტაცი დიდება ფიცხი მთხრობელის და ხელოვანის!

და მე! ვინაც თავს ვუწოდე სახელი მოგვის, ხან ანგელოზის, და დავამსხვრიე ზნეობის ჩარჩო, მე, დამაბრუნეს ღეღამიწაზე, უსასრულოდ რომ ვეძიო რაღაც და ვაკოწიწო ოღრო-ჩოღრო მიწიერება!

ჰოი, მდაბიოვ!

იქნება შეგცდი? გულმოწყალება სიკვდილის დაი თუ არის ჩემთვის?
 ო, საბოლოოდ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ყველასთან, რომ ვსაზრდობდი უშედეგო
 და ცრუ ხილვებით. ჰოდა, წავედით.
 მაგრამ არსად ჩანს ხელი მეგობრის! არც ჩანს საშველი სამაგიერო...

* * *

დიახ, ჟამი ახალი აღარ არის ისეთი მკაცრი... და რადგან ძალმიძს, ვთქვა
 ხმამაღლა, რომ გავიმარჯვე, მყისვე შესუსტდა კბილების ღრქენა, სტვენა ხანძართა,
 სუნთქვა სნეულთა... ქრება ყოველი მოგონება უსაზიზღრესი, უკანასკნელი სინანულიც
 მტოვებს აგრეთვე - შური გლახაკთა და ყაჩაღთა, სიკვდილის შვილთა, ყველა ჭურის
 მდაბალთა მიმართ, ვისაც აქამდე გავწირავდი შურისძიებით.

ო, საჭიროა განვახლდე სრულად.

მორჩა ჰიმნები და რასაც მივწვდი, ველარ დავკარგავ.

მკაცრია ღამე! გამწვრალი სისხლით მიბოლავს სახე. აღარაფერი დამრჩა ზურგს უკან
 ამ შესაზარი ბუჩქების გარდა. სულის ჭიდილი არანაკლებ სასტიკია კაცთა ომებზე,
 ხოლო სიმაართლე ფუფუნებაა ღმერთისთვის მხოლოდ.

და ამავე დროს ეს სიფხიზლეა. შევიგრძნოთ ძალა რეალობის და სიფაქიზე,
 შევიარაღდეთ მგზნებარებით მოთმინებისა და ცისკრის ვარსკვლავს შევეგებოთ
 უმშვენიერეს ქალაქთა შორის.

რას ვამბობდი მეგობრულ ხელზე?

ო, უძველეს და ცრუ სიფხარულებს გამოვრჩი სარფას შესანიშნავს - ძალმიძს
 დავცინო, შერცხვენიტ ვუზლო ყალთაბანდ წყვილებს.

ო, იქით, ქვემოთ, ჯოჯოხეთი ვნახე დიაცთა. ის მომცემს ძალას ჭეშმარიტებას
 ვუპატრონო სულით და ზორციტ.

ფრანგულიდან თარგმნა
 მარინა მითაიშვილმა



„დემონი“

დემონის თემას შეეხნენ ისეთი ცნობილი მწერლები, როგორცაა ალფრედ დე ვინი (პოემა „ელოა“), ტომას მურიე (პოემა „ანგელოზთა სიყვარული“), ჯორჯ ბაირონი („კაენი“, „ცა და დედამიწა“) და სხვ.

ამავე თემას შეეხო, აგრეთვე, მიხეილ ლერმონტოვი თავის ცნობილ პოემაში „დემონი“, რომელიც ამ თემაზე შექმნილ

ნაწარმოებთა შორის საპატიო ადგილს იჭერს.

„დემონზე“ მუშაობა მ. ლერმონტოვმა სიჭაბუკის ადრეულ წლებში, თოთხმეტი წლის ასაკში დაიწყო და მასზე ათი წლის განმავლობაში მუშაობდა. პირველი ვარიანტი შეადგენდა ლექსად დაწერილ რამდენიმე ფრაგმენტს. მომდევნო ვარიანტებში ის სერიოზულ სახეს იღებს, მაგრამ ამჯერადაც დარჩა მოქმედების დრო და ადგილი. პირველი გეგმის მიხედვით ლერმონტოვი ცდილობდა მოქმედება ბაბილონში გადაეტანა, ხოლო მეორე გეგმით – ესპანეთში. სხვადასხვა ვარიანტებისა და რედაქციების შედეგად ნაწარმოები კიდევ და კიდევ მწიფდებოდა და მზადდებოდა ნიადაგი კონკრეტული მხატვრული სახის ჩამოსაყალიბებლად. ბოლოს ლერმონტოვმა „... გადაწყვიტა თავისი პოემის მოქმედების ადგილი გადაეტანა საქართველოში, ხოლო მთავარ მოქმედ პირად გამოეყვანა ქართველი ქალი“. (ს. დანელია, ლიტერატურული და ფილოსოფიური წერილები, 1941 წ. გვ. 60) და, მართლაც, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოეტს საქართველოში მოუხდა ყოფნა, მიაგნო... პოემის გარემოს“. (ირ. ანდრონიკაშვილი, საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში, თბ. 1953 წ. გვ. 13.) რამაც „დემონის“ უკანასკნელი რედაქციით ბედი საბოლოოდ განსაზღვრა და ის ჰუმანურ-მხატვრული გააზრებით მსოფლიო შედეგების გვერდით ახალი კუთხით დააყენა. ეს სიახლე, დამოუკიდებლობა და ორიგინალობა ნაწარმოებს მიანიჭა მისმა ქართულმა ხალხურმა წყაროებმა. ეს ის ქვაკუთხედი, რომელზეც გავლენების მქადაგებელმა პროფესორებმა „ფხვი წაიკრეს“. ალ. ვესელოვსკი, დაშკევიჩი, დიუშინი, სპასოვიჩი და სხვები ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ ლერმონტოვმა „დემონის“ შექმნაში გამოიყენა ბაირონის, მილტონის, ტომას მურიეს და ალფრედ დე-ვინის ნაწარმოებები. ეს მტკიცება ამაო გამოდგა. მკვლევარები ვერ ჩაწვდნენ მ. ლერმონტოვის „დემონის“ არსს და მის ქართულ ხალხურ ძირებს. გარდა ფოლკლორული წყაროებისა, ლერმონტოვმა ორიგინალურად გამოიყენა შთაბეჭდილებები რეალური სურათები და ის ცოცხალი შთაბეჭდილებანი, რაც მან საქართველოში მოგზაურობისას მიიღო. „დემონში“ ლერმონტოვმა ასახა კახეთში მოგზაურობისას მიღებული კონკრეტული შთაბეჭდილებანი, სადაც ის სტუმრად იმყოფებოდა, ხოლო შან-გირეის დამოწმებითა და ირ. ანდრონიკაშვილის დასკვნით „თამარის საქმროს სინოდალის ბატონად გამოყვანა ლერმონტოვს აზრად მოუვიდა წინანდალში“.

თუ დემონის თემაზე მომუშავეთა და, კერძოდ, „დე-ვინის თვალსაზრისით ადამიანი არსებობს პრინციპისათვის, ლერმონტოვის შეხედულებით პრინციპი არსებობს

ადამიანისათვის და, მაშასადამე, სიკეთისა და ბოროტების საზომია რეალურ ადამიანთა ბედნიერება და უბედურება“ (ს. დანელია, იქვე გვ. 69) სწორედ ეს რეალური ადამიანები მ. ლერმონტოვმა იპოვა ქართულ მიწაზე და ისინი ჩამოძერწა ქართველ მთიელთა ლეგენდა-თქმულებებისა და გადმოცემების იღუმალ-შემოქმედებითი კარნახით. ასეთ ლეგენდა-თქმულებათაგან უპირველესად უნდა დავასახელოთ ლეგენდა მთის ბოროტი სულის ღუდას შესახებ და თქმულება ამირანზე.

„დემონი“ რომ ქართული ფოლკლორული წყაროებითაა ნასაზრდოები, ამას მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით ყველა მკვლევარი აღიარებს. მკვლევარი ანა ნიკოლაძე თუმცა ზოგადად, მაგრამ დარწმუნებით ამბობს: В научной литературе установлено, что в основу „Демона“ легли версии грузинского фольклора“ (А. Николадзе, Русско-Грузинские литературные связи, тб. 1958, стр. 47.)

„დემონში“ ლაპარაკია იმ ბოროტ სულზე, რომელსაც ხალხური წარმოდგენების მიხედვით დემონი ჰქვია.

მ. ლერმონტოვის „დემონს“ შეუყვარდება მშვენიერი ქალი თამარი. ეს სიყვარული დემონისათვის მარცხით დამთავრდა, რადგან თამარმა სხვა შეიყვარა. შემდეგ, როცა „თრთოლვით მიეკრა მფარველის მკერდსა შეშინებული სული ქალისა“, დემონს რისხვისა და ბოროტების ჩადენის წყურვილის მიჯნა წაერთვა. მან შურის საძიებლად ამოაჩია ფრთები „ძლიერი“, ვიდრე გრიგალის წვიმა“... და რისხვითა და წყრომით აივსო შეყვარებული წყვილის მიმართ.

ასეთივე შინაარსის ლეგენდა-თქმულებებსა და გადმოცემებს ვხვდებით მთის ბოროტი სულის ღუდას შესახებ. გავიხსენოთ ერთი მათგანი: ღუდას მთის ძირას, ეშმაკის დაბლობში, სოფლის ღარიბ ქოხში იზრდებოდა ულამაზესი ნინო. ნინო დაბადებიდანვე შეუყვარდა ამ მთის ძველისძველ სულს ღუდას. ნინო ამ მთაზე ცხვრებს აძოვებდა, როცა ნინოს მთაზე ასვლა მოუწოდებოდა, ღუდას იღუმალი ბრძანებით ქალიშვილის ფეხებზე ბილიკი სწორდებოდა, ქვები საფეხურებად ეგებოდა. ნინოს არც ცხვრები ეკარგებოდა, ყვავილუბსაც საუკეთესოებს პოულობდა და დედოფალივით დაბრძანდებოდა.

ღუდას გატაცებით შეუყვარდა ნინო. ნინოს კი - მეზობლის ბიჭი სოსო - კარგი მოცეკვავე, მსროლელი და ძლიერი ახალგაზრდა კაცი.

დემონი განრისხდა. ერთხელ, როცა სოსო სანადიროდ წავიდა, ღუდამ ის კლდეებზე შეიტყუა, ღრუბლები და ქარბუქი მოუვლინა და აწამა. ქორწილის წინა დღით ღუდამ ქალიშვილის სახლი თოვლით წაღვია და ისინი ერთმანეთს სამუდამოდ დააშორა (სხვა ვერსიით, შეყვარებულთა ქოხებს ქვების გროვა დააყარა). „ეშმაკის დაბლობში მრავალი მოგზაურის ყურადღების იპყრობს გრანიტის უზარმაზარი ქვები, რომელნიც, ზეპირგადმოცემების მიხედვით, გააფთრებულ მთის სულს აქ დაუნარცხებია“ (ირ. ანდრონიკაშვილი, იქვე, გვ. 17).

ლეგენდა ღუდას მთის ბოროტი ანუ ღუდას სულის შესახებ სხვა ვარიანტში ასე გამოიყურება: არაგვის სათავეში იყო ერთი მონასტერი, რომელიც ამჟამად დანგრეულია.

არაგველების გადმოცემით, მთის სული მონაზონს გაუჯავრდა და მეხთატეხითა და ჭექა-ქუხილით დაანგრია ის მონასტერი.

ლერმონტოვის ბიოგრაფმა პ. ა. ვისკოვატოვმა 1881 წელს გამოთქვა შეხედულება, რომ ლერმონტოვს ეს გადმოცემა ქონდა მხედველობაში „დემონზე“ მუშაობისასო. (Кавказ. 1881 г. 203).

საინტერესოა, აგრეთვე, აღნიშნული ლეგენდის სხვა ვარიანტი. ოლონდ აქ ბოროტი სულის ღუდას ნაცვლად ფოლკლორში ცნობილი ავი სული - დევია გამოყვანილი.

დევს შეუყვარდა თამარი. გელარ ძლებდა ქალიშვილის დაუნახავად. ერთხელ, როცა თამარს ეძინა, მის ოთახში შეიპარა, შორი-ახლოდან ელოლია და, ბოლოს, აკოცა. კოცნის გამო თამარი გარდაიცვალა. როცა ქვეყნად ქარიშხალი გრიალებს, ამბობს ლევნდა, ეს იმის ნიშანია, რომ დევი თამარის საფლავს დასტირის.

მკლევარ ამბერკი გაჩეჩილაძის აზრით ეს ლევნდა დაედო საფუძვლად „დემონს“. ამ აზრს არ იზიარებს პროფ. ირ. ანდრონიკაშვილი, იგი ამბობს:

„გაჩეჩილაძეს მხედველობიდან გამოპარვია, რომ ეს ლევნდა ფოლკლორისტიკისათვის „დემონის“ შექმნიდან ასზე მეტი წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში პოემა მთლიანად იყო თარგმნილი ქართულ ენაზე, რომ 60-ზე მეტი წელი ზედიზედ იდგმებოდა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე რუბინშტეინის ოპერა. ამიტომ, არანაკლებ საფუძვლიანობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ საქმე გვაქვს საწინააღმდეგო პროცესთან: ლევნდა წარმოადგენს ლერმონტოვის პოემის ფოლკლორულ ვერსიას“. (ირ. ანდრონიკაშვილი, იქვე, გვ. 20)

ირ. ანდრონიკაშვილის ეს ვარაუდი თავისთავად საინტერესოა და ლოგიკური მსჯელობა მას დამაჯერებლობას ჰმატებს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია აქ შეცდომასთან გვეკონდეს საქმე.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ეგრეთწოდებული უკუფენის დროს გადმოცემა მთავარ და ძირითად მომენტებს იმეორებს ამა თუ იმ ნაწარმოებიდან. აქ კი ეს პრინციპი ირღვევა ლევნდის ფინალურ ნაწილში. „დემონში“ ბედგაცრუებული დემონი რისხვითა და შურისძიებითაა სავსე. ის ბოლომდე დემონად რჩება ამ სიტყვის სრული გაგებით. აღნიშნულ ლევნდაში კი დევი ქარიშხლის სახით დასტირის თამარის საფლავს. ის ყველა შემთხვევაში უთანაგრძნობს თამარს.

ესეც არ იყოს, ხომ შეიძლება მასალა ფოლკლორისტიკისათვის დიდხანს უცნობი იყოს.

ჩვენს ხელთაა, აგრეთვე ოსური ლევნდა ღუდას შესახებ. ეს ლევნდა ჩაწერა პროფ. სემიონოვმა, რომლის მიხედვით, გაბოროტებულმა ღუდამ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულის ჩაქრობის სიამოვნებით ისე ძლიერად ახარხარდა, რომ აზანზარებულ მთას ქვები მოწყდა და ჩამოინგრა დაბლა, ეშმაკის ველზე. ცნობილია სხვა ლევნდაც „მეფე ჯუმჯუმას უბედობა“ და სხვა.

ბოროტი ავი სულის მიერ მიწიერი არსების, ქალის შეყვარების მაგალითი ქართულ ლევნდებში არაერთგან გვხვდება. ასეთებია, როგორც აღნიშნეთ, მთიულური ღუდა, ახმეტური ლევნდა დევისა და თამარის სიყვარულზე, გადმოცემა-მოგონებანი სულხანზე, რომელსაც შეუყვარდა ფარიზა, ფშავური გოჩი, რომელიც გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ ამავე სახელწოდების ნაწარმოებში და სხვ. ყველა ქართული ლევნდა ბოროტი სულის შესახებ მცირე მაშსტაბისაა, გარდა ღუდასი. მათში ბოროტი სული სულმოკლეა. არა აქვს სათანადო დიაბაზონი და მასშტაბი. ხასიათდება წვრილმანი შურისძიებით. ღუდა კი მათთან შედარებით გიგანტური სახეა. ის არა თუ კონკრეტული მიზეზის გამო ებრძვის ღმერთს, არამედ საერთოდ დასაბამიდან მისი ურჩი და მემბოხეა. ღმერთთან მას ძველი უსიამოვნებანი აქვს. ამით ის ახლოსაა ამირანის განსაკუთრებით კახურ ვარიანტთან. ამირანიც ებრძვის ღმერთს. გიგანტურობის გამო, მიუხედავად გულმოწყალებისა, მისგან ადამიანსაც ეშინია. მიუხედავად იმისა, რომ მიჯაჭვულია, იმუქრება. სწორედ ამ ნიშნით ის ლერმონტოვმა ღუდას ბოროტ სულთან გაათანაბრა და პოემაში წარმოგვიდგინა, როგორც ბოროტი სული, დემონი. აღნიშნული კახური ვარიანტის ჩაწერა ან მოსმენა ლერმონტოვს საკუთრივ კახეთში შეეძლო, კერძოდ ყარაღაჯში, რადგან ის პოლკი, რომელშიც ლერმონტოვი მსახურობდა,

იღგა სწორედ აქ, ყარაღაჯში.

ქართული დემონოლოგიის მხატვრული სახეები, როგორც ვთქვით, ლუდასა და ამირანის გარდა მცირე მასშტაბიანი არიან: გოჩი ადამიანისმკამელია. მას საკაცობრიო ტკივილები არ აწუხებს. დევი უიღბლო შეყვარებულია, სულმოკლეა. ლუდა დასაბამითვე ღვთის ურჩია, ასევე ამირანი, – მონოთეიზმის ეპოქების ღვთის ურჩი.

ლერმონტოვმა ეს ფოლკლორული მასალები გადაამუშავა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული დემონოლოგიის გიგანტურ ხალხურ მხატვრულ სახეებს, როგორიცაა ლუდა და ამირანი, რომელთა ირგვლივ არსებული ფოლკლორული მასალები დაედო საფუძვლად „დემონს“.

აღნიშნული მასალების შედარება-ანალიზი გვარწმუნებს, რომ მ. ლერმონტოვი იცნობდა არა თუ ერთ რომელიმე მათგანს, არამედ რამდენიმეს. უფრო მეტიც, ის კარგად იცნობდა გადმოცემებს საერთოდ ბოროტი სულების შესახებ. ჯერ კიდევ ადრე, მისმა თანამედროვემ ბერძენოვმა მთის (ტყის) სულის შესახებ, საერთოდ ავი სულების ხალხური გაგების შესახებ, რაც საქართველოში ცნობილია კუდიანობის სახით, თავისი მოსაზრება გამოთქვა, სადაც ლაპარაკია ბოროტი, ავი სულების ხალხური გაგების შესახებ საქართველოში.

არსებობს გადმოცემა თამარის საიდუმლო დაკრძალვაზე, მყინვარწვერის ძველ მონასტერზე და სხვა, რომელთა ხალხური მხატვრული საშუალებითაა შექმნილი მთელი რიგი პოეტური სურათებისა „დემონში“, განსაკუთრებით მისი ბოლო სტროფები.

„კლდოვან მაღლობზე, რომლის წინ შემდეგ

კაიშაურის გაშლილა ველი,

აღმართულია ისევე დღემდე

ქონგურისი ნანგრევი ძველი“... (მ. ლერმონტოვი, თბ. 1944 წ. გვ.94).

ამ მსჯელობას ამაგრებს პროფ. სემინოვის აზრი:

“Описывая в “Демоне” Кайшаурскую долину, поэт говорит, что там сохранились развалины замка.

Рассказов странных для детей

О них еще предания полны”

(Семенов, Лермонтов и фольклор Кавказа. 1941 г. стр. 59)

გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ტოპონიმ ლუდას არსებობა. ახლანდელ გუდაურას რომ ადრე ლუდა ერქვა, ეს ტოპონიმთა ოფიციალურ წყაროებში დაცულია. ეს ჩანს აგრეთვე კალმისწვერას (ანდრია კობაიძის) სიტყვებიდან: მიხეილ ყაზბეგისაგან „მთლად მთას, ზევ-მითულეთს, გუდანაყარს, თრუსოს, ლუდას, შიშის ზარი ეფინებოდა“. (გაზ. „ქართული სიტყვა“ 1923, დეკემბერი).

ეშმაკის ველის თვით სახელწოდებაც კი მიანიშნებდა ხალხურ ლეგენდა-თქმულებებთან კავშირს. ეს ადგილი სავსე იყო ბუნებრივი ხიფათით. ეს ლერმონტოვმაც კარგად იცოდა და მისმა თანამედროვეებმა, ვისაც კი კაიშაურთან გაუვლია. აქ ჩამოხერგულ ქვებს ხალხი ლუდას განრისხებას უკავშირებდა. ამის შესახებ პერიოდიკაშიც გაიელვა ცნობამ ლერმონტოვის გარდაცვალებიდან სამი-ოთხი წლის შემდეგ:

“Подле всяшего завала большого Гуда, именно в Чертовой долине, чаще всего и подстерегали путешествовавших по старой военно-Грузинской дороге снежные заносы и метель”. (Кавказ, 1846 г. 35, Кавказский календарь на 1811 г.).

პროფ. სემიონოვის აზრით „დემონი“ დავალებული უნდა იყოს აფხაზური თქმულებისაგან, და მოჰყავს სტრიქონები თქმულებიდან: „Горный дух со страшным стоном и воплем упал на дно пропасти, известной в народе под именем пропасти больного демона, из которой слышится и теперь постоянные стоны и вопли“. (Семенов, там же, стр.59)

ეს თქმულება ძალიან ახლოსაა ოსურ თქმულებასთან „ალმასის ხმალი“, რაც სხვა არაფერია, თუ არა ამირანის თქმულების ოსური გადაფერსახება. ოსურ თქმულებაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა მონადირე ერთ დიდ კლდეში... „მხოლოდ ის გმირი უწინდელ მდგომარეობაშივე დარჩა. ახლაც რომ ვინმე გამოივლის ხოლმე... მოესმის იმ გმირის ყვირილი და ვაი-ვაგლახი“. (პროფ. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947 წ. ტექსტები, გვ. 390).

პრომეთე - ამირანის მითმა დიდი პოპულარობა ჰპოვა არა მარტო კავკასიისა და საბერძნეთის ხალხთა ლიტერატურაში, არამედ მსოფლიო ხალხთა შედეგებში. ესქილეს შემდეგ ამ თემას განსაკუთრებული ინტერესით შეეხნენ გოეთე, ბაირონი, შელი და სხვები. ამასთანავე „უეჭველია, ამირანის ლეგენდის მეშვეობით ლერმონტოვმა ორგანულად დაუკავშირა... დემონის სახე ქართულ მასალას“. (ირ. ანდრონიკაშვილი, იქვე გვ. 26)

„დემონში“ ამირანის სახის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ თქმულება „საყორნიის მთა“, რომელიც ჩაწერა თეიმურაზ ბატონიშვილმა.

თ. ბატონიშვილი გარდაცვლილა 1846 წელს, ის ლერმონტოვის თანამედროვე იყო. იგი, როგორც პროფ. მიხ. ჩიქოვანი შენიშნავს, ამირანის პირველი ჩამწერი იყო. რაკი ასეთი მასალის არსებობა ემთხვევა ლერმონტოვის სიცოცხლის წლებს, ადვილი შესაძლებელია, რომ მას ეს მასალა ეცოდინებოდა გადმოცემების სახით. ამ გადმოცემაში ამირანი გათანაბრებულია დემონთან.

„იტყვიან ჯაჭვითა დაბმულსა მუნ ტარტაროზსა, რომელსა თანაცა შეკრებოდეს წლითი-წლად დღესა ერთსა აღნიშნულსა დემონნი და გრძნელნი კაცნი ყოვლისა კიდით ჭეუფანისა და ჰყოფნიდნენ მისთაა დღესასწაულებსა და შესწირავდნენ მას მსხვერპლსა და მიიღებდნენ სწავლასა საგრძნელსა ხელოვნებისა მათისას მისას“ (ისტორია დაწყებითაგან ივერიისა, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ შედგენილი, 1848 წ. გვ. 7-8).

პროფ. მ. ჩიქოვანი ამირანის ბოროტ სულად აღიარებას შორს იჭერს და დასძენს, რომ ეს გადმოცემა „როკაპის სიუჟეტს იმეორებს“. მიუხედავად ამისა, დიდ ინტერესს იწვევს ამირანის ე. წ. გაორების საკითხი.

უკეთესს რა კომენტარს დანილოვის წიგნს კავკასიის თემაზე, რომელიც გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში, პროფ. ლ. სემიონოვი ამბობს, რომ მთის ავი სულის შესახებ არსებობს მრავალი გადმოცემა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ყაბარდოული „ჟინ-ფადიშაჰი“, ყირიმში ცნობილი „შან-გირეი“, ჩერქეზეთში - ლეგენდა იალბუზის შესახებ, რომელიც 1782 წელს ჩაიწერა თურქმა ისტორიკოსმა ჯედიმ და რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში გამოაქვეყნა ჩერქეზმა მწერალმა სულთან ხანგირეიმ.

აღნიშნულ თემაზე სიუჟეტები გვხვდება ინგუშურ ფოლკლორში. საინტერესოა აგრეთვე ვისკოვატოვის მიერ გერგეტში ჩაწერილი მასალა, რომელიც ერთ მითიურ ორბიტაშია ამირანის თქმულების აფხაზურ ვარიანტთან აბრსკილთან, ოსურ ლეგენდასთან, სომხურ არტავაზთან და სხვა, რომლებსაც გარკვეული საერთო აქვთ ქართულ და ბერძნულ მიჯაჭვულ ტიტანებთან. ყველა ამ სიუჟეტებში „Герой

бывает изображен двояко _ в одних мотивах он благодатель людей, в других их враг”. (П. Сменов, там же, стр. 24).

ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ამირანის ორმაგი ბუნება გვაინტერესებს. ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ალ. ხახანოვის აზრი:

“Амиран, подобно Прометею, принадлежит противникам божества... В легенде об Амиране мы вскрываем два наслоения: древнейше о борьбе его с божеством, а позднейше представление как о благодетельном витязе” (А. хаханов, Очерки об истории Грузинской словесности, Т.П. М.1987 г.).

პროფ. მიხეილ ჩიქოვანი არ იზიარებს ხახანაშვილის აღნიშნულ დებულებას, კერძოდ ამირანის უარყოფითი მხარის გააზრებას და დასძენს:

„ქრისტესთან ჭიდაობა, პირობის დარღვევა და ადამიანებთან ურჩი დამოკიდებულება - ავტორს ბოროტი საწყისის დამადასტურებლად მიაჩნია“ (მიხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 28). და შენიშნავს, რომ ალ. ხახანაშვილი წინააღმდეგობაში გაიხლართა.

პრომეთესა და ამირანის ურთიერთ შედარებისას პროფ. ელ. ვირსალაძე ამბობს: თუკი პრომეთე გმირიც არის და მატყუარა ქურდიც (ს. ჩენგეი - რელიგიური კულტის შესახებ, ციტირება ელ. ვირსალაძე) ამირანი ერთის მხრივ გმირია, მეორეს მხრივ - ფიცის გამტეხი და მოღალატე.

ეს გაორების ერთი მხარეა, ამირანი გაორებულია სხვა მხრივაც, ის ღვთაებაცაა და ავი სულიც, დემონიც.

ამირანის ორმაგ ბუნებაზე დასახელებულ ლიტერატურაში სემიონოვი მთელი გაბედულებით მიუთითებს და ამბობს, რომ ამირანი ერთის მხრივ დადებითი თვისებებით ხასიათდება, ხოლო მეორეს მხრივ ის არის უკიდურესად უარყოფითი პიროვნება, ხალხის მტერი, დემონი.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორული ნიმუშები, რომლებიც ამირანის ვარიანტებსა და ორეულებს უკავშირდებიან, თვით ამირანი და ღუდას მთის ბოროტი სული, რომლებიც აგრეთვე, თავის დროზე ღვთაებებად იყვნენ მიჩნეული, ყველგან ხასიათდებიან ორმაგი ბუნებით. ამ შემთხვევაში ჩვენ ერთნაირად გვაინტერესებს ლევენდა ღუდას ბოროტი სულისა და თქმულება ამირანის შესახებ, რომლებიც წარმოადგენდნენ მ. ლერმონტოვის სახელოვანი პოემის „დემონის“ ფოლკლორულ საფუძვლებს. ამ აზრს გაბედულად იმეორებს ტ. ივანოვაც. „Титанический образ горного духа, Кавказского Прометея _ Амирании, связан с образом героя поэмы, с Демоном“ (Т. Иванова, Посмертная судьба поэта, м. наука, 1967 стр. 146).

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თქმულება ამირანზე და თვით ამირანის მხატვრული სახე.

ლერმონტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ:

“... То горный дух

Прикованный в пещере стонет”.

რატომაა ამირანი წარმოდგენილი მთის ბოროტ სულად, დემონად? რამ განსაზღვრა და განაპირობა მისი ორმაგი ბუნება?

როგორც ვიცით, ამირანი გულმოწყალეა, კეთილი გმირია. ამავე დროს ის არის ტიტანი, ღვთის მეტოქე. მისი გულმოწყალება თვით ამირანის ეპოსითაა დასაბუთებული. ღვთის მეტოქისაგან ადამიანს, მისი სიკეთის მიუხედავად, ბუნებრივია, ეშინია. ამ შიშმა თავისი ასახვა ჰპოვა გადმოცემებში, კერძოდ კახურ ვარიანტში.

ჩვენ გვულისხმობთ, რომ ლერმონტოვი კახეთში, კერძოდ ყარაღაჯში გაეცნო ამირანის აღნიშნულ ვარიანტს და მის გიგანტურობასთან ერთად ხალხურ შეხედულებებში დამკვიდრებული ჟარყოფითი მხარეებით წარმოგვიდგინა. მითუმეტეს, რომ როგორც ზოგადი მონაცემებიდან ვიცით, ამირანი მიჯაჭვულია, თანაც განრისხებულია ადამიანთა გარკვეულ ფენაზე.

„დემონში“ ღუდასთან ერთად ამირანის ბოროტ სულად წარმოდგენა განსაზღვრა საერთოდ ღუთის ურჩობამ, ამირანის მიჯაჭვამ და მისმა მუქარამ, ამასთანავე ყავ-ყორნისაგან გულის კორტნამ.

ამირანი გიგანტური ქართული მხატვრული სახეა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე ჩვენს შეხედულებებში ამირანი იგივე პრომეთეა, პრომეთე კი ყვითელი ტიტანია.

ეხება რა ესჭილეს კ. მარქსი თავის სადოქტორო დისერტაციაში „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის.“ ამბობს: „Прометей – самый благородный святой и мученик в философской календаре“. (К. Маркс и Фр. Энгельс. Из ранних произведений. Госиздаст политлитературы. М. 1956 стр. 24-25).

დემონოლოგიის მხატვრული პოეტური სახე არაერთი შემოქმედის მიერ იქნა გამოყენებული. ნ. ბარათაშვილმა ის წარმოადგინა „შავი ყორანის“ სახით („მერანი“) და ზოგადად აღებული ბოროტი სულის სახით („სული ბოროტი“) რაც ორგანულ კავშირშია მ. ლერმონტოვის „დემონთან“.

მსგავსი მაგალითი ბევრია. საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, გ. ტაბიძის ლეგენდა „სატანა“, რომლის მოტივებიც ამოდის მ. ლერმონტოვის პოემიდან „დემონი“. აგრეთვე ლექსი სათაურით „ქაჯები, ალები, ჭინკები“, რომელშიც აშკარად ჩანს დემონოლოგიის გამონაკრთომი.

მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში იბრძვის ორი საწყისი: სიკეთე და ბოროტება, მასთან ორგანულ კავშირშია ალ. ყაზბეგის შემოქმედება. მართალია, დემონის თემა არ გვხვდება ალ. ყაზბეგთან, მაგრამ ფაქტია, რომ გრიგოლა („მამის მკვლეელი“) ფორმირებული დემონის ყველა ნიშნითაა აღჭურვილი ნუნუს წინააღმდეგ ძალადობისა და სხვა სცენებში, რაც ბუნების სტიქიური მოვლენების გამოძახილში გადადის.

მ. ლერმონტოვის „დემონის“ გენიალობა პოეტური გამოსახვის ინდივიდუალურ ხერხებთან ერთად განსაზღვრა ქართულმა ხალხურმა საწყისებმა.

მ. ლერმონტოვის შემოქმედების სიდიადე მთელი ძალით იგრძნო ქართველმა ინტელიგენციამ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მისი ნაწარმოებები თარგმნეს: ი. ქავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ვრ. ორბელიანმა, ალ. ყაზბეგმა, გიორგი, რაფიელ და რევაზ ერისთავებმა, მიხეილ პავლიაშვილმა, რ. ბარათაშვილმა, მ. ყაფიანმა, მ. გურიელმა, გ. წინამძღვრიშვილმა, გ. აბაშიძემ, ელ. ორბელიანმა და სხვა. აღსანიშნავია, რომ „დემონი“ თარგმნეს ი. ქავჭავაძემ, მ. გურიელმა და ვაჟა-ფშაველამ. ვაჟა-ფშაველამ ამ ნაწარმოებს ქართულ თარგმანში შეუცვალა სახელი და დაარქვა „ქაჯი“. საინტერესოა ისიც, რომ „დემონი“ რუსულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ელ. ორბელიანმა და 1907 წელს დაბეჭდა პარიზში.

„დემონი“ თავისი ქართული ფოლკლორული ძირებითა და მაღალ-პოეტურობით ღღესაც დიდ ინტერესს იწვევს, როგორც მარადიული თემა.



რამაზ სურმანიძე

იოსებ იმედაშვილი

(ქართული მწერლობა და აჭარის აღდგენა-განვითარება)

თბილისის ქუჩებში ვისაც ერთგერ მაინც უნახავს ნაბადმოსხმული, მკერდზე თოვლივით ქათქათა წვერდაფენილი, თავზე კახური ქუდით დამშვენებული იოსებ იმედაშვილი, შეუძლებელია დაავიწყდეს ეს შთამაგონებელი სახე.

გარეგნულად ახოვანი მოხუცი ცხოვრების უმძიმეს ტვირთს ატარებდა, მაგრამ ამ ქაპან-წყვეტაში ხალხისადმი დიდი სიყვარული, რუდუნება, კაცთმოყვარეობა და მამულიშვილობა იმალებოდა.

იოსებ იმედაშვილის მაღლიანი ხელი საქართველოს ყველა კუთხეს მისწვდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც აჭარა იყო. პირიქით: ამ მხარისათვის მისმა ზრუნვამ განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა.

მათწმინდაზე ქართული აგურითა და ტალახით ნაგები იოსების სახლი მუდამ საგლე იყო სოფლელი სტუმრებით, მათ შორის აჭარლებიც მრავლად იყვნენ. მათთვის ამ ოჯახის კარი მუდამ ღია იყო, აქვე ზშირად ნახავდით აჭარელთა ბედში მყოფ ინგილოებს და უფრო შორეულ ქართველებს-ფერეიდანელებს. ვაჟის, გაიოზის თქმით მამა ყოველთვის იმ აზრს ავითარებდა, რომ „სარწმუნოებით მაჰმადის მიმდევარი ქართველი ეროვნულად მაინც არ ჩამკვდარან და ისინი საქართველოსაგან იწყვენ, სულმა სული იცნო“. (გაიოზ იმედაშვილი. იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე. თბ. 1984 გვ. 205). ასეთი მსჯელობა შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, ვინც კარგად იცნობდა აჭარელთა ცხოვრებას, ვისაც გათავისებული ჰქონდა მოძმეთა ჭირ-ვარამი, ვინც მთელი გულით განიცდიდა თანამემამულეთა დაქვეითება-დაბეჩავებას და ნიადაგ ზრუნავდა მხარის კულტურული აღორძინება-დაწინაურებისათვის. მართლაც, „მას მოვლილი ჰქონდა აჭარა და დამეგობრებული იყო ქართველოფილურად განწყობილ აჭარის ინტელიგენციისა თუ გლეხობის წარმომადგენლობასთან, მათ შორის ხოჯებთანაც, მისი აზრით ქართველი ქრისტიანი და ქართველი მაჰმადიანი ეროვნული თვითშეგნებით დედა-სამშობლოს თანაბრად უწყვეტ ნაწილებს წარმოადგენდა“. (იქვე). ამ საქმეში იოსები დიდი ილიას თავგამოდებული მიმდევარი იყო და კარგად ესმოდა, რომ სარწმუნოებრივი განსხვავებულობა ხელს ვერ შეუშლის ქართველ ტომთა ერთიანობას.

აჭარელთათვის დადებული დიდი ამავის შესაფასებლად იოსებ იმედაშვილი შეიძლება მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძეს, ამ დიდ განმანათლებელს და დაუღალავ მოღვაწე-მწიგნობარს შევედაროთ. სწორედ მის დიდმნიშვნელოვან მოგზაურობებს შეუერთდა იოსებ იმედაშვილი, მასთან ერთად გააგრძელა საქართველოს ყველა მხარის ერთიანობისათვის ზრუნვა, რომელსაც მათი წინაპარი მოღვაწე პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, ივანე კერესელიძე და სხვები ჰადაგებდნენ. იოსებ იმედაშვილი კარგად იცნობდა არამართო ქართველ სამოციანელთა და ადგილობრივ აჭარელთა ნაშრომებს, არამედ უცხოელთა ნაწარმოებებსაც. გაიოზ

იმედაშვილის აზრით უცხოელთაგან აღსანიშნავია „შვეიცარიელი სწავლული ედუარდ ლიოზენი, რომელიც თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ფრანგულ ენას ასწავლიდა. მას სპეციალურად უმოგზაურია ლაზეთში, ფოტოგრაფიული სურათები გადაუღია და აჭარა-ლაზეთის შესახებ თავისი წიგნი გამოუცია. აჭარის სოფლებში უმოგზაურიათ გრაფ უვაროეს, ზაგორსკის, ვეიდენბაუმს“ (გვ. 206).

აჭარელთა ყოფა-ცხოვრების ასახვა იოსებ იმედაშვილმა კიდევ უფრო გააძლიერა მაშინ, როცა ის სათავეში ჩაუდგა ქართული ჟურნალის გამოცემას.

იოსებ იმედაშვილი არამარტო პრესით, არამედ სხვა საშუალებებითაც ცდილობდა დახმარებოდა საგონებელში ჩაგარდნილ თანამოქმედს. იგი გვევლინება აჭარელთა დეპუტაციის თბილისში ჩასვლის და მთავარმართებელთან მათი თხოვნის შედგენა-წარდგენის ერთ-ერთ ორგანიზატორად. ეს მოხდა 1916 წლის სამ მარტს. ამ ისტორიული აქტის მთავარი მიზეზი იყო მოთხოვნა, რათა გაუგებრობის და შიშიანობის დროს აჭარიდან ოსმალეთში გადახვეწილი მოსახლეობა კვლავ დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში; გადასახლებულთა მიწა-მამული, შენობები და სხვა საკუთრებანი არ გაცემულიყო იჯარით და არ გაესხვისებინათ; შეღავათები გავრცელებულიყო სამართალში მიცემულ მაჰმადიან ქართველებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ისტორიული ადამ-წესებისა და ტრადიციების დასაცავად, ან საერთოდ უდანაშაულოდ არიან დაპატიმრებულნი.

ჩვენ არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა ამ თხოვნას, როცა რუსეთის იმპერიის ტახტი მორყეული იყო და მალე გადატრიალებაც მოხდა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ოთხ მარტს ქართველმა საზოგადოებრიობამ ე.წ. ახალი კლუბის დარბაზში აჭარელთა დეპუტაციას დიდი ნაღმი გაუმართა. აქ იყო საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია, ყველა წოდებისა და პროფესიის ადამიანები, ჟურნალ-გაზეთების კორესპოდენტები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ისტორიული შეხვედრა ისეთი სიზუსტით არც ერთ ჟურნალსა და გაზეთს არ აღუწერია, როგორც გააკეთა იოსებ იმედაშვილის ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ (№11, 1916 წლის 13 მარტი, გვ. 3-5). სტენოგრაფიული, ამასთან საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მოამზადა თავად რედაქტორმა (იოსებ არიმათელის ფსევდონიმით). აღარ შეგუდგები მის კომენტარებს, უმჯობესად ვთვლი მოვითანო მთლიანად, რათა მკითხველმა თავად შეძლოს დასკვნების გამოტანა. მარტო ამ მასალის სათაური „ჩატეხილ ხილზე“ რად ღირს, ამით ავტორმა ერთგვრ კიდევ გაუსვა ხაზი საქართველოს გამოთლიანება-გაერთიანებას, რომელშიც აჭარის დაბრუნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო.

ჩატეხილ ხილზე

მაჰმადიან ქართველთა სტუმრობა თბილისში

ძმანი ერთმანეთს ჩატეხილ ხილზე შევხვდით...

ჩვენი ცხოვრების ისტორიის გაუკუღმართებული ჩარხი უკვე შემოტრიალდა... რამდენიმე საუკუნით ურთიერთისაგან გათიშულ ძმათა კვლავ ვიპოვეთ ერთმანეთი... და სულით სულს ვეზიარეთ, გულით გულს შეგეტკბეთ.

დღემდე ამბათ თქმული აწ უკვე საქმედ იქცა...

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის გაიდო ხიდი დარღვეული ურთიერთობის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

ვასულ კვირას ბათუმის ოლქიდან თბილისს ჩამოვიდა მაჰმადიან ქართველთა

დებუტაცია, 20 კაცისაგან შემდგარი, 3 მარტს მეფის ნაცვალს წარუდგა და მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის, აუხსნა მაჰმადიან ქართველთა დღევანდელი მდგომარეობა საქიროებანი და სთხოვა: 1) დაბრუნების ნება მიეცით შიშინაობის დროს ოსმალეთში გადახვეწილ მაჰმადიან ქართველებს; 2) დაბრუნებულ იქნენ თავიანთს სამშობლოში მართებლობისაგან გადასახლებულნი; 3) მაჰმადიან ქართველთა მიწა-წყალი არ გაიყეს იჯარით მოსულ ხალხზე და დაცულ იქმნას მის პატრონთა დაბრუნებამდე და 4) სამართალში მიცემულ მაჰმადიან ქართველებს შეღავათი მიეცეთ.

მეფის ნაცვალმა, მისმა უმაღლესობამ დებუტატებს დიდის ყურადღებით მოუსმინა ყველაფერი და შემწეობა აღუთქვა.

შემდეგ დებუტაციამ ინახულა დებუტატთა საკრებულო. ქ.შ.წ.ს. თავმჯდომარე გ.ნ. ყაზბეგი, ქართული გაზეთის რედაქციები და ყველას მადლობა გამოუცხადა დახმარებისათვის იმ განსაცდელისა ჟამს, რომელიც კერძოდ აქარას და საერთოდ მაჰმადიან ქართველებს თავს დაატყდა...

ოთხ მარტს, ქართული პოლიტიკური პრესის არსებობის ორმოცდაათი წლის შესრულების დღეს, ქართველმა საზოგადოებამ ჩვენს ძვირფას სტუმრებს ნადიმი გაუმართა „ახალი კლუბის“ დარბაზში. ნადიმს დაესწრნენ ქართული ყურნალ-გაზეთების და ქართველთა თითქმის ყოველი წოდებისა და ხელოვნების წარმომადგენელნი, 200 კაცამდე, ნადიმის თამადა-თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დამსახურებული მოღვაწე, გენ. გ. ყაზბეგი, რომელმაც 70-იან წ.-ში თითქმის პირველმა გასდო ზიდი სამუსლიმანო და საქრის. საქართველოს შორის, მის თანაშემწეებად ბ. ნი. გ. ბ. გვაზავა და თავ. გ. ნ. დიასამიძე.

ეს ჩვეულებრივი ნადიმი კი არა – ნამდვილი ეროვნული, მრავალ ათეული წლებით მიძინებული ქართველი სულის გაღვიძების დღესასწაული იყო... და იგი ახალი ხანის სათავედაც დარჩება...

გზა მიეცა დაზოგულ გრძნობას, მშობლიურ სწორმეტყველებას, ლალ პოეტურ აღმაფრენას...

დინჯი მისალმება გ. ყაზბეგისა, მდგომარეობის განმარტება პოეტური აღმაფრენით გ. გვაზავასი, დარბაისლური, მარტივი, მჭივირით ასხმული, დაგვირისტებული, მაღალ ჭკუის ნამყოფი მამულიშვილური მოწოდება მაჰმადიან ქართველის ხოჯა ცივაძისა, რომლის ტბილ ქართულმა ნათელ ჰყო, რას იგულისხმებდა ქართველი, როცა იტყოდა ზოლმე – პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო; დაკარგულ ძმათა ძმობა-ერთობის შლადებელი აღოქმა მ.ვ. მაჩაბლისა, გულის გულიდან აღმოსკდარი ძახილი რეჯებ ეფენდი ნიჟარაძისა, კენესა სულისა მაჰმედ ბეგ აბაშიძისა, ჩვენი მომავლის განჭვრეტის კაზმული ხატება ს. კედიასი, დაკვირვებული და მოსაქმე რჩევა ექ. თაყაიშვილისა, ღრმად განსჯილი სახელმწიფოებრივი ზეობა მწკოვან ნ. ნიკოლაძის ანუ გრძნობა დამდნარი გამოძახილი გრ. დიასამიძისა თუ ი. მაჭავარიანისა ურთიერთს ეჭიშპებოდნენ და ჰქმნიდნენ მთლიან ეროვნულ მოწოდებას...

მაგრამ ყველას თაიგული იყო მაჰმადიანი ქართველი ხოჯა ცივაძე, რომელმაც თავისი დაკვირვებული, ქართულ მამულიშვილური გრძნობით გამთბარ, შინაარსიან სადა სიტყვით დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა... არა, ეს სიტყვა კი არ იყო, არამედ პირველი დროის მოციქულთა იერემიასებური მოთქმა-მოწოდება... ძნელია აღიწეროს მისი სიტყვის მშვენიერება: იგი სიტყვა კაცს არა თუ უნდა ესმინა, არამედ უნდა ეხილნა, ესუნთქა, რომ მისი დიაღობა შეეგრძნო...

„უზენაესის განგებით გათიშულნი ძმანი კვლავ ერთადა ვართ... და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ერთობას... რ. ერისთავი გვასწავლის „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“-ო. ერთია ჩვენი სამშობლოც და ურთიერთს საქმით დავეხმარებით, მის აღსადგენადო“ – აი მოკლე და მკრთალი ნათქვამი ხოჯა ცივაძის სიტყვისა.

რეჯებ ბეგ ნიჟარაძის ყოველს სიტყვაში უმთავრესად უმწეოდ დარჩენილ, მაგრამ მომავლის ღრმა რწმენით აღჭურვილ ჭაბუკის ხმა მოისმოდა: „უზომო სამსახური გაგვიწიეთ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ აჭარა აღარ არის ძველი დიდების კერა. იგი ღრთოა უკუღმართობით ჩამორჩა, ძველი ლაშქარი ჩაჰკრა, წყლიაღმა მოიცვა. თუ გსურთ დაგვიბრუნდეთ, თუ გსურთ მართო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში მყოფ ძმების შეხვედრა, მაშინ მოგვეცით სწავლა-განათლება და ოც-ოცდაათი წლის შემდეგ ჩვენც დაგვწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებით“-ო.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაჰმედ ბეგ აბაშიძემაც: „ყვავილი რომ მოსწყდება ღეროს, გასტეგება... როდესაც ყვავილი მოსწყდება, მიიკრათ იგი გულზე, დაიჭიოთ ხელში, უაღერსეთ და იქნება იგივე ყვავილი, რაც რომ იყო... აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოობით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საქმოდ ვერ უცვნიხართ, – მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან იქნებაო“... შინაარსიანი და ტკბილი ქართული სიტყვა წარმოსთქვა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილმაც...

მონადიმეთ ართობდა მუსიკა და ქართული სიმღერები... დიდათ კმაყოფილი სტუმარ-მასპინძელნი მეოთხე საათზე დაიშალნენ, ხოლო მეორე დღეს – 5 მარტს დეპუტაცია, რეჯებ-ბეგ ნიჟარაძის გარდა ბათომს გაემგზავრა...

დეპუტაციაში იყვნენ: 1) ისკენდერ ეფენდი ცივაძე, ხოჯა, იგივე ყადი-მსაჯული, 2) რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე, ბათომის ხმოსანი წევრი, 3) ყუმბერ ალა ხარაზი, მემამულე, სოფლის სამსაჯულოს ყოფილი წევრი, 4) რეჯებ ეფენდი შაშიკ, პოდპორუჩიკი; მარადიდიდან 5) ისაკ ეფენდი ხალვაში, პოდპორ. და იგივე წევრი ბათომის სახალხო სამსაჯულოსი, 6) ჰაიდარ ბეგ ბიბინ ზაადე, პრაპორჩი; ზედა აჭარიდან: 7) თემურ ხიმშიაშვილი, 8) ჰასან-ალა ირემაძე, სოფ. ღორჯომიდან (85 წლისა), 9) ჯაფარ ალა მიქელაძე; ქვედა აჭარიდან: 10) ჰუსეინ ბეგ ბეჟანიძე, 11) ზაქარია ბეგ შერვაშიძე, 12) შუქრი ეფენდი თურმანიძე; შავშეთ-იმერხევიდან: 13) ოსმან ეფენდი კურდაციძე, 14) თორუნ ეფენდი ფანჯიძე, 15) ჰეზმი ეფენდი ყუმაძე, 16) შივქეთ ბეგ გოგორაძე, 17) ასლან ალა ჯიჯარაძე, 18) ჰაჯი შაქირ ეფენდი ჩხეიძე, 19) მოლლა მამედ დოლიძე და არდანუჯიდან: 20) შერიფ ალა გეგელიძე; ხოჯა ცივაძის გარდა, ყველანი ჩაქურად იყვნენ გამოწყობილნი.

ჩატეხილი ხიდი უკვე გაიღო... ჩვენი ვალია ეცადნეთ მის გამკვიდრებასა ორივე ძმის მაჰმადიან ქართველთა საბედნიეროდ... იოსებ არიმათიელი, (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ №11-1916 წ. გვ. 3-4-5)

შენიშვნა: მაჰმადიან ქართველთა დეპუტაციის სურათი იხილეთ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 1916 წ. №13, 27 მარტი.

ოდნავ მოგვიანებით იოსებ იმედაშვილი კვლავ დაუბრუნდება საქართველოს ერთიანობის იდეას და აჭარის დაბრუნების მაგალითზე იტყვის: „დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ-დედაქალაქის გარშემო ვიკრიბებით, გვეყო, რაც უერთმანეთოდ, ერთიმეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით, ქართლ-კახეთი, ამერ-იმერი, გურია-სამეგრელო-აჭარა, ქანეთ-სვანეთი რომ ერთი დედ-მამის

შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება უნდა? შავ დროთაგან გაგარეგებულნი ქართველნი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან“ (თეატრი და ცხოვრება“, №24 1916).

იოსებ იმედაშვილს, ისე როგორც ყველა ქეშმარიტ ქართველ ინტელიგენტს, დიდი ილიას მიმდევარს დიდად აწუხებდა საქართველოში რუსეთის შოვინისტური, კოლონიზატორული პოლიტიკა, ქვეყნის მიწა-წყალზე უცხოელთა ჩამოთესლება ქართველ მუსლიმანთა გასახლების ხარჯზე. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი იყო, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთის უკეთეს ზოლს, შესანიშნავ საავარაკო ადგილებს მხოლოდ რუსეთის ჩინოვნიკები, გენერლები და პლანტატორები იკავებდნენ. მათმა რიცხვმა მართო აჭარის ზღვის სანაპიროზე 300-ს მიაღწია. მათ შორის ქართველები თითებზე შეიძლებოდა ჩამოგეთვალა. „გასაოცარ მოვლენად ჩასათვლეოდა ის გარემოება, რომ ქართველებს აკრძალული აქვთ მიწის ყიდვა და აგარაკის შეძენა ციხისძირში და მწვანე კონცხზე. იმ ციხისძირში, რომლის ფერდობებზე 1876-1878 წლებში მრავალი ქართველი გაწყდა. ალბათ არიან ისეთი გვამები, რომელთაც საქართველო უყვართ იმ პირობით, თუ მის მიწა-წყალზე ქართველები აღარ იქნებიან“ (თეატრი და ცხოვრება“ №24, 12 ივნისი, 1926, გვ. 14-15).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით აღფრთოვანებული იოსები დიდად აფასებს ამ ისტორიულ აქტში აჭარელ პატრიოტთა (მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, რეგებ ნიჟარაძის, ჯემალ ხიმშიაშვილის, ისკენდერ ცივაძის და სხვების) ღვაწლს და სიხარულით აღნიშნავს, რომ „საქართველოს წყალულები ნელა უმრთელდება საქართველომ უკვე დაამსხვრია მონობის ბორკილი, რომ ოთარბეგები გამოუზიზლდნენ და თავისი წინანდელი დანაშაული ამიერიდან სამშობლო საქართველოს ერთგული სამსახურით გამოისყიდონ (№10, 14 სექტემბერი, 1919 წ.).


სამწუხაროდ ეს დიდი იმედი ხანმოკლე და ეფემერული აღმოჩნდა. ორი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ დაირღვა, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის შედეგად. მიუხედავად ამისა, იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრება“ კვლავ აგრძელებდა ეროვნულ-პატრიოტული მასალების პუბლიკაციას, რასაც ეხმაურებოდა იმდროინდელი პრესა.

ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ მალაღნაფოფიერ საქმიანობას, მის დიდ ღვაწლს და პირადად რედაქტორ-გამომცემლის იოსებ იმედაშვილის რუდუნებას დიდად აფასებდა აჭარის მოწინავე საზოგადოებრიობა. 1925 წელს ჟურნალის გამომცემის 15 წლისთავზე, აჭარის გაზეთი „ფუხარა“ ასე აფასებდა მის მიზნებსა და ამოცანებს: ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ მთავარი მიზანი იყო და არის მშრომელი ხალხის ხელოვნებასთან დაახლოება, მისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება, მუშათა კლუბებისა და სახალხო სახლთა რაც შეიძლება მტკიცე სასურველ დონეზე დაყენება... მრავალმა ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა აიღდა ფეხი, მრავალ ქართველ მსახიობს, მხატვარს თუ მუსიკოსს ამ ჟურნალში გადაუხსნეს გული და წაახალისეს „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წლის 2 იანვრიდან დაუღალავად და ენერგიულად ეწევა თავის ჟაპანს ქართული კულტურის და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ... მრავალი დაბრკოლება და წინააღმდეგობა ელობებოდა მას წარსულში, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუხრია მას წარბი“ (გაზეთი „ფუხარა“ №101, 1925 წლის 7 მაისი). ნათქვამს კომუნისტური იდეოლოგიის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ იგი მაინც გამოხატავს იმ დიდ წარმატებას, რასაც ჟურნალმა თავისი არსებობის გზაზე მიაღწია. სამწუხაროდ ყველაზე დიდი დაბრკოლება და წინააღმდეგობა ჟურნალს სწორედ კომუნისტური წყობილების



„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დაბრუნდა დიდი“

თ. გოგაძე



ნ. ფალავანდიშვილი

ნინო რამიშვილის პორტრეტი

დროს შეხვდა „ფუხარაში“ დაბეჭდილი სიტყვების შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, 1926 წლის მარტის ნომრის გამოსვლიდან ჟურნალი დაიხურა და მისი გამოცემა აღარც განაზღვრულა.

აჭარასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მასალას იოსებ იმედაშვილი გამოუქვეყნებელს არ ტოვებდა. ამასობაში მის ჟურნალში თავი მოიყარა იმდენმა სტატია-ინფორმაციამ, ფოტო-დოკუმენტმა, რომ ალბათ კიდევ ღირს ამ საქმის გამომზეურებას საგანგებოდ ჩაუჯდეს მკვლევარი და სიღრმისეულად წარმოაჩინოს ამ ჟურნალის რედაქტორი, როგორც აჭარის დიდი მეგობარი და მოამაგე.

აჭარასთან მიმართებაში იოსებ იმედაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს თავის განუყრელ მეგობარს ზაქარია ჭიჭინაძეს, რაც ასევე ცალკე გამოკვლევას იმსახურებს. ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრების უკანასკნელი ეპიზოდები იოსებმა ვრცლად მოგვცა თავის წიგნში „ჩემი ცხოვრების წიგნი“, რასაც მკითხველი გაეცნობა ჩვენს ნაშრომში, ზაქარია ჭიჭინაძეზე მიძღვნილ თავში, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

ეს წიგნი თავისებური მატრიანცაა. მასში მრავალი ქართველი მწერლისა და მოღვაწის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამსახველი ეპიზოდებია გაშუქებული. ამ წიგნით დავადგინე, მაგალითად, მსახიობისა და რეჟისორის ვალერიან შალიკაშვილის ბათუმური მისამართი, სახლი, სადაც ის ცხოვრობდა ბათუმში მოღვაწეობის დროს. ი. იმედაშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „სალამი იოსებს! იმედია ჟურნალს მომაწოდებ. ჩემი მისამართი: Батум, Эрнста́вская 18. შენი ვალიკო შალიკაშვილი“. წერილი უთარიღოა. როგორც ვხედავთ ამ წერილით მსახიობი თხოვს რედაქტორს გამოუგზავნოს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. მაშინდელ ერისთავის ქუჩას დღეს გენერალ მაზნიაშვილის სახელი ჰქვია.

საშუალება გვიძლევს დაგადგინოთ წერილის თარიღიც. ჟურნალის პირველი ნომერი 1910 წლის 2 იანვარს გამოვიდა. ჩვენი აზრით ვ. შალიკაშვილიც ამ შრომის გაგზავნას თხოვს ბათუმში, სადაც ის 1906 წლიდან შალვა დადიანთან ერთად ხელმძღვანელობდა „ახალი დრამის ამხანაგობას“ მრავალთავან ამ მაგალითს იმიტომ ვასახელებთ, რომ ვალერიან შალიკაშვილის ბათუმში მოღვაწეობაზე ნათქვამი არ არის თეატრის ისტორიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში და ქართულ ენციკლოპედიებში.

სიცოცხლის დასალიერზეც იოსებ იმედაშვილი არ იფიქრებდა აჭარას. ამას მწერლის, ეპისტოლური მემკვიდრეობაც ადასტურებს. 1949 წლის 22 აგვისტოს ზემო აჭარიდან თელავში ივანე პაატაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში იოსები აღწერს აჭარაში თავისი მოგზაურობის მიზანსა და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს:

„ძმაო ვანო! თქვენგან წამოსვლის შემდეგ თითქმის ამოუსუნთქებლად ბათუმს ვსტუმრე, აქედან ქედას, შემდეგ ხულოს. ამქამად ხულოში ვარ და ყოველდღე ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული ვზებომა, უფრო მანქანით დამარბენინებენ აჭაური მეგობრები მოხსენება-საუბრების გასამართავად რომ იცოდე, რა მომზიბღვლია ეს კუთხე თავისი მთებით და ზევ-ხუეებით, ფერდობზე შეფენილი სოფლებით, უფრო კი აქა-იქ მიმოფანტული ფიცრული სახლებით, თითქმის მერცხლის ბუდეებიაო. ასეთ დაქანებულ ადგილებზე აქვო მეურნეობა – სიმინდი, თუთუნი, ვენახი, რომ ჩვენებური ფხისმოკიდებას ვერ შესძლებს. ქართული პურ-მარილი, ქართული ენა, პატივისცემა, პიროვნული ვინაობა მზიბლავს. ისეთი ძეგლებიც – თამარის ხიდები, ციხე-კოშკები, ეკლესიები და სხვა. სამწუხაროა, რომ ჩვენი სამშობლოს სხვა მცხოვრებნი ამ კუთხეს

კარგად კი არა, სულ არ იცნობენ. საგუბარში ჩადგა წყალი, მუსულმანი ქართველები გულს გვეხუტებიან. სოფელ ხიზაძირში (ამ ხეობის მაღლა თამარ-დედოფლის ციხე-დარბაზებია) ჯამე საავადმყოფოდ გადააკეთეს, გასულ წელს 24 თელიანი სასკოლო შენობა ააგეს - 11 წლედისათვის - სამშობლოს გაერთიანებისათვის მუშაობა გაჩაღებულია. აქვეა თეატრი. ვიცი მაღამოდ მოგეცება. ამ წერილს იმიტომ გწერ...

... მანქანა მიცდის აღმასკომის თავმჯდომარისა და წერილს ვწვეტ. სალამი ვასოს...

გისურვებ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას. აჭარის მთებს ნისლი ახვევია, საშინელი სიციხეების შემდეგ აგრილდა, ნისლმოხვეული მთების იქით თურქეთია, აქეთ საქართველო"... (ციტირებულია გიორგი ჯავახიშვილის ხელნაწერი წიგნიდან „წერილების ოთხკარედი“. ბათუმი 200 გვ. 222-223).

კომენტარები ზედმეტად მიგვაჩნია, იმდენად ლაკონურად და თბილი გულით არის ნათქვამი ეს მაღლიანი სიტყვები.



სისოცხლე პოეზიაში

(მამია ვარშანიძის შემოქმედება)



მამია ვარშანიძე ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი ქართველი მწერალია აჭარიდან. ეს ფაქტი თავისთავად, ბევრის მოქმელი და მანიშნებელია. ისტორიულმა ბედუჯუღმართობამ საქართველოს კულტურის ამ უძველეს კერაში, საუკუნეთა განმავლობაში ჩაკლა მხატვრული სიტყვა. ერთ დროს „ჩვენი სწავლისა და განათლების აკვანი“ ბნელმა მოიცვა. ეს

ყველაფერი საკმაოდ ხანგრძლივი, მაგრამ მაინც დროებითი ამბავი იყო. საუკუნეთა განმავლობაში დაგუბებულ დარდას და ვარამს აქაური კაცი ისევ და ისევ ქართული სიტყვითა და დედენის მადლით იშუშებდა. ქართველი ხალხის გულმხურვალე მეცადინეობით, დიდი სამოციანელების ავტორიტეტული და უანგარო დახმარებით, აქარა დაუბრუნდა დედა საქართველოს. სულ მალე აღორძინება დაიწყო მხატვრულმა სიტყვამ. ამ აღორძინებისა და განახლების პირველი და უტყუარი დადასტურება სწორედ მამია ვარშანიძის ლექსებია. ისინი იმ დიდი ზის ნორჩი და სანატრელი ყლორტებია, რომლებიც აქარაში დიდმა სამოციანელებმა დარგეს ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით.

ამ მოვლენამ განსაზღვრა მამია ვარშანიძის პოეზიის თემატიკა და იდეური მიმართულება. ესაა ერთიანი საქართველოს რწმენა და მისი ისტორიული ბედუჯუღმართობა, განსაკუთრებით კი, სამხრეთ საქართველოს დღესაც მოურჩენელი ტკივილები. სწორედ ეს ფერმენტი განაპირობებს მისი პოეზიის მნიშვნელობასა და მასშტაბს. ამას თუ დავმატებთ იმასაც, რომ პოეტი თავის სამ ძმასთან ერთად სამამულო ომის დაწყებიდან ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და ბოლომდე არ გაუხდია მეომრის ფარაჯა, ნათელი გახდება მისი პატრიოტული ლირიკის წყარო და სათავე. მისი ლექსების პირველ კრებულსაც ზომ „მებრძოლის სიმღერები“ ერქვა, რომელიც მთლიანად სანგარში იყო დაწერილი. სანგარში დაწერილი სხვა წიგნებიც გვაქვს, მაგრამ „მებრძოლის სიმღერები“ იშვიათი გამონაკლისია მთელს ქართულ მწერლობაში იმით, რომ იგი მისი ავტორის პირველი კრებულია.

მამია ვარშანიძის პირველი ლექსები 30-იან წლებში გამოქვეყნდა, ხოლო პირველი კრებული – ომის დამთავრებისთანავე. სამოც წელს გადაცილებული პოეტი რელიკვიად ინახავდა მწერალთა კავშირის წევრობის მანდატს, რომელსაც ხელს აწერს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე მწერალი მაქსიმ გორკი.

30-იანი წლებიდან მოკიდებული, პოეტმა დიდი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა განვლო. ამ გზაზე წინააღმდეგობებიც ბევრი შეხვედრია. დაეჭვებაც და იმედის გამტყუნებაც, პირადი ცხოვრებისეული ტრაგედია (მშობლები ადრე გარდაეცვალა, ხოლო სამი ძმა ფრონტზე დაეღუპა) და მავანთა და მავანთა შუღლიც, მაგრამ არ გატყდა, გამოსავალს მშობლიურ სიტყვასთან ჭიდილში პოულობდა, საიდანაც, უმეტეს შემთხვევაში, გამარჯვებული გამოდიოდა. ვერც ლიტერატურული კრიტიკის გულგრილობამ გაუცრა იმედი. სამაგიეროდ, არ მოკლებია გამოჩენილ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ყურადღება და გამამხნეებელი სიტყვა. ცნობილმა ქართველმა

უხუცესმა კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ, რომლის ფილტვები XIX საუკუნის პაერთი იყო გაჟღერებული და, რომელიც გასული საუკუნის გენიალურ ქართველ მწერლებს ეპაექრებოდა, მონოგრაფია მიუძღვნა მამია ვარშანიძის პოეზიას.

„პროზაიკოსი ვარ, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, პოეზიის დიდი მოტრფიალე, კარგი ლექსი ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს, სწორედ ამ სიხარულით და ზოგჯერ აღტაცებითაც ვკითხულობდი თქვენს ლექსებს. მრავალი მათგანი ქეშმარიტი შთაგონების ნაყოფია. თქვენ არ გჭირდებათ ჩემგან ამის დასტური, მაგრამ მეც მინდა ჩემი ხმა შეფუერთო იმათ, ვინც თქვენს პოეტურ ტალანტს აფასებს“. – წერდა მამია ვარშანიძეს გამოჩენილი ქართველი მწერალი სერგო კლდიაშვილი.

მამია ვარშანიძის ნიჭის უთუო დამფასებელთა შორის უნდა ვიგულოთ საქართველოს სახალხო პოეტები იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე. „უეჭველად ნაზი განცდის პოეტი ხარ, ლირიკოსი და ახალი, ორიგინალური შინაარსის მიმგნები.. ეპა, რა მომავალი გაქვს. ჰალალ იყოს!“ – წერდა იოსებ გრიშაშვილი ახალგაზრდა პოეტს პირველი კრებულის გამოსვლასთან დაკავშირებით და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ შეუწელებია მისი ლექსისადმი ყურადღება და ინტერესი. გზადაგზა პირადი წერილებით ეხმარებოდა, ამხნევებდა და კალამს უჭებდა.

70-იანი წლების დასაწყისში ხშირი სტუჟარი იყო გიორგი ლეონიძე. იგი გულწრფელად მეგობრობდა აქაურ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. მისი უპირველესი მასპინძელი კი მაინც მამია ვარშანიძე იყო. ერთ-ერთ შეკრებულობაზე მას აქარის უპირველესი მომღერალი უწოდა. მამიას ლექსებს აღვიჭვამ, როგორც სამხრეთ საქართველოს გულწრფელ საგალობლებსო და კარნაზობდა პოეტს, მომავალ ლექსთა კრებულისათვის „აქარის საგალობლები“ დაერქმია.

თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის ყველაზე უკეთ გიორგი ლეონიძეს ესმოდა იმ დიდი მსხვერპლისა, რომელიც აქარამ საკუთარი სისხლის ფასად გაიღო საქართველოს გადასარჩენად:

„გული მტკია, როცა ვაგებდავ კარჩხალის მთებს. იქ ჩვენი ძველი ტაო-კლარჯეთია, ჩვენი შავშეთია. იქ ჩვენი ძველი ტაძრებია, სადაც დუღდა ქართული კულტურა. ათასჯერ გულში მიფიქრია: – ნეტავ, თუ მოვესწრები იმ დღეს, რომ ჩემი ფეხით დავიარო ჩვენი ძველი ქართული კუთხეები და მის ლოდებს, მის ტაძრებს, მის მადლიან მიწას ვემთხვიო“, – ამბობდა დიდი პოეტი.

ნათქვამია, არმია რომ გადაარჩინო უთანასწორო ბრძოლაში, მისი ნაწილები უნდა გასწირო. სწორედ აქარა გაიწირა საკუთარი სისხლით. იგი მკერდით იგერიებდა პირველ დარტყმებს და საქართველოს ფარი იყო სამხრეთ-დასავლეთით. ეს მოტივები მამია ვარშანიძემ პირველმა დაამუშავა და თამამად შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ამ პოზიციიდან მამია ვარშანიძის ლექსები თითქმის ენათესავებოდა კიდევ თავისი დიდი თანამედროვის „ოლეს“ ავტორის შემოქმედებას. ისიც მინდა აღენიშნო, რომ გიორგი ლეონიძისათვის კლასიკოსის გვირგვინს სულაც არ შეუშლია ხელი პერიფერიაში მცხოვრები უმცროსი კოლეგისათვის გულისნადები გაემხილა, გაემხნევებინა და დაელოცა.

ყოველივე ეს კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა მამია ვარშანიძისათვის. თავის მხრივ, იგი პირველი ეხმარებოდა ჩვენს ლიტერატურაში ახალი, საიმედო სახელის გამოჩენას, სიტყვით და საქმით მხარში ედგა, ისე, რომ ანგარებას გულში არ გაივლებდა. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამომიცდია, საკუთრივ მიგრძენია მისი გულის სიტბო, გაჭირვების ჟამს მხარში ამოდგომა და მზრუნველობა. ამიტომაც, ჩვენში ხშირად გაიგონებდით ხუმრობანარევ სიმართლეს – ჩვენი ახალგაზრდები ლიტერატურაში

მამია ვარშანიძის სახლიდან შემოდინაო.

პოეტის სამუშაო ოთახი ყოველთვის სავსე იყო ახალგაზრდა მწერლებით, ზოგს რა სჭირდებოდა, ზოგს – რა! ზოგს თავისი გაუწაფავი ხელნაწერები მოუტანია და რჩევა-დარიგებას უცდის, ზოგს სურს მისთვის საჭირო ლიტერატურა ინათხოვროს. მამია ვარშანიძე მზად იყო ყველას დახმარებოდა, ყოველთვის და ყველასათვის მოულობდა დროს, ამიტომ გულითადი სიყვარულით უყვარდათ იგი ახალგაზრდა კოლეგებს.

მამია ვარშანიძის სიტყვა და საქმე არასდროს დაშორებია ერთმანეთს, ხშირად ტრიბუნიდანაც უთქვამს მწარე სიმართლე ისე, რომ ადამიანები არასდროს გაურჩევია რანგის მიხედვით. სწორედ აქ ვლინდება მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე. მას ყოველთვის აღიზიანებდა ისეთი ადამიანები, რომლებიც ტრიბუნიდან ერთს გაიძახიან, ხოლო საქმით სხვანი არიან. არაერთხელ უმხელია კორუფცია, რამაც, სამწუხაროდ, მწერლობაშიც მოიკიდა ფეხი.

ამ პოზიციიდანაც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს პოეტის მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პათოსი. სხვაგვარად მის ლექსებს არ ექნებოდა ის რეზონანსი, რომლის გამოც მოგვწონს და გვიყვარს.

„მე თვალს ვავლებ განვლილ წლებს, – წერს პოეტი, – სიცოცხლისა და პოეტური აღმაფრენის უკვე დახარჯულ ეპოსს. მთელი ჩემი სიცოცხლე, ხან ტანჯვით, ხან სიხარულით აღსავსე, ძალუმი, უზენაესი ტრფიალება იყო. მე მალეზნებდა, ძალას შთამბერავდა და შთამაგონებდა დიადი სიცოცხლის, კეთილშობილების, სამშობლოსა და პოეზიის მარად წმინდა სიყვარული. ჩემს სულსა და გულს აღანთებდა ყოველივე ეს ისე, როგორც ყმაწვილკაცს აღანთებს ხოლმე ქეშმარიტი ტრფიალება მიჯნური ქალისა, ურომლოსოდაც სიცოცხლე არარაა. ეს დიადი იდეალები შთამაგონებდნენ, ვყოფილიყავი ქეშმარიტი ადამიანი და ღირსეული მოქალაქე ჩემი ქვეყნისა“.

მამია ვარშანიძის პოეზია დამუხტულია ცხოვრებისეული ემოციებით, მის პოეტურ შთაგონებას და მხატვრულ აზროვნებას მიწიერი სინედლე ასაზრდოებს. „ზიზანის არწივების“ ავტორისათვის, ამავე დროს, ნიშანდობლივია ისტორიზმის საკუთარი განცდა, რაც სხვადასხვა დროში და გარემოში, სხვადასხვა ლექსებში სხვადასხვა ასპექტით ვლინდება, უმთავრესი და უპირველესი მახასიათებელი მაინც ტრადიციებისადმი ერთგულებაა. მისი ლექსების ფორმა ტრადიციულია და, ამავე დროს, მარტივიც. პოეტი თითქოს შეგნებულად გაურბის ვერსიფიკაციების ძიებას, რასაც თავისი გამართლება აქვს. მხედველობაში მაქვს ის გრძნობათა ნაკადი, რომლითაც ნასაზრდოებია მამია ვარშანიძის პატრიოტული ლირიკა და ისიც, რომ მას კარგად აქვს შეგნებული, თუ რას ნიშნავს გალაკტიონის ეპოქაში ქართული ლექსის ვერსიფიკაციასთან ჭიდილი.

„ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მამია ვარშანიძის შემოქმედებას სრულებითაც არ ემჩნევა ეგრეთ წოდებული წიგნური რემინისცენციები, – წერდა 1976 წელს პოეტი შალვა ფორჩხაძე. – ფორმისა და ლირიკული ჩანაფიქრის განგებ გართულება. იგი მუდამ გარიდებულია ხელოვნურობასა და ბუნდოვნებას. მას ახასიათებს პოეტური აზრის, სათქმელის ერთგვარი სითამამე, უშუალობა და, რაც მთავარია, საგნისა და ცხოვრებისეული მოვლენების, ნაგრძნობისა და განცდილის ნათელი, რეალური წარმოსახვა. ეს ანიჭებს მის პოეზიას, როგორც ზემოთ ვთქვით, ადამიანის სულზე მოქმედების უნარსა და ემოციას, ამ თვისებებით ქმნის პოეტი ქართულ ლიტერატურაში გარკვეულ პოეტურ ღირებულებას.“

2

მე მაინც მინდა პოეტის სახასიათო ლექსებიდან „ბათუმი“ გამოვყო, გერ ერთი, რომ იგი დაწერილია 1939 წელს, როცა მისი ავტორი ოცდაოთხი წლისაც არ იყო, მეორეც, ეს ლექსი ძალიან ავტობიოგრაფიულია. კიდევ მშურს და კიდევ მიხარია, რომ მისი ავტორია მამია ვარშანიძე, რომ იგი ჩემს მშობლიურ ქალაქს ეძღვნება.

ჩაქურიანი პატარა ბიჭი დედამ პირველად ჩამოიყვანა ქალაქში. ამას სიხარულთან ერთად შიშიც ახლდა, რომელიც ყველა სოფელზე ბავშვს განუცდია ქალაქის პირველად ნახვისას:

მეუცნაურა ქალაქის ნახვა
და ქრუანთელი ტანში მივლიდა,
დედამ ღუქნები შემომატარა
და მოსირმული ქუდი მიყიდა.
მივყევი, ვიარეთ, გულში ვშიშობდი -
დედა სოფლის გზას ველარ მიაგნებს!
მივედით ზღვასთან, გულმა იელვა,
ერთომით ვუცქერდი გემს და იალქნებს.

ტკბილ-მწარე მოგონებების შემდეგ პოეტი ოსტატურად ხატავს განახლებული ქალაქის კოლორიტულ სურათს.

გავიდა წლები, სოფლელი ბიჭი გაიზარდა, ხოლო ქალაქი, რომლის ხილვამ ათეული წლების მიღმა შიში მოგვარა, კვლავაც იზრდება. აქ არ არის ყოფილი დეტალები, არც მაღალფარდოვანი შედარებები და სხვა კომპონენტები. მთავარი ისაა, რომ დაქვრილია უაღრესად ადამიანური გრძნობა. იგი ისე ლამაზად და მარტივად მოდის ჩვენამდე, რომ ხანდახან გვაფიქვდება ავტორი რომ ჰყავს და ჩვენი საკუთარი ფიქრი გვგონია:

რამდენი რამე დამეფიქვია,
მაშინ რომ გული დაუფიფქია.
ვნატრობ, ნეტავი სულ მომაგონა,
იმ დროს ბათუმზე რაც მიფიქრია.
შემდეგ ცამ ბევრი დღეები დაცრა
და გაიფურჩქნა ჩემი მანუქია.
მე დავასრულე ზარდა ყმაწვილკაცმა,
შენ კი, ბათუმო, ისევ იზრდები.
ჩემო ბათუმო, შენში ჰყავიან
ჩემი ტოლების დღე და მიზნები,
მრავალ წლის შემდეგ გეტყვი სიმღერით
- მე მოგხუცდი და შენ კი იზრდები.

ბათუმი მშობლიური ქართული ქალაქია, მას ბევრი მოტრფიალე და მესოტბე ჰყავს. არაერთი ლექსი უძღვნეს მას გალაკტიონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, ტიცინ ტაბიძემ, სერგეი ესენინმა, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და სხვებმა.

ბათუმმა არაერთი ლექსი შთაგონა თანამედროვე ქართველ მწერლებს, მაგრამ ასეთ სისადავეს ვერცერთ ლექსში ვერ ვგრძნობთ. იგი პოეტის თავისთავად ორიგინალურ ხელწერაზე მეტყველებს. ამიტომაც იყო, რომ იმთავითვე მიიპყრო ამ ლექსმა მეგობარი კოლეგების ყურადღება.

შესავალშიც ვთქვი და ახლაც საგანგებოდ უნდა ვილაპარაკო მამია ვარშანიძის გულმხურვალე პატრიოტიზმზე. საგანგებოდ-მეთქი, იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩვენი პოეტის შემოქმედებაში აჭარის თემა და საერთოდ, სამხრეთ საქართველოს წარსული სპეკულაციის საგანი გახდა. მამია ვარშანიძეს ერთხელ არ წამოცდენია - მე ვარ და ჩემი ნაბადიო, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის სხვებთან შედარებით, გაცილებით მეტი საბაზი აქვს. იგი სამშობლოს მძიმე ხვედრით თავს როდი გვაცოდებს და, მით უმეტეს, როდი გვაბადლის. პირიქით, მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ გვეწევა, ოპტიმიზმსა და სამშობლოს უკეთესი მერმისის რწმენას გვინერგავს. წარსულის ლანდებსაც ამიტომ იხმობს:

შავთელი და ოპიზარი, ვიცი, გაგეგონება,
ჩვენი მიწის, ჩვენი ცის ოქროს ფერთა მბაძველნი,
აჭარისკენ ქვა რომ გადმოგორდება,
იქ, კლარჯეთში, კანკალებენ ტაძრები.
მარადილი, ალბათ, გაგიგონიათ,
ჟამთ სიავემ ხმალით შუა გააპო,
აქეთ ჩვენი გორია, იქეთ ჩვენი გორია,
ჩვენი საკურთხეველი, ჩვენი წმინდა სალამპრო.
ჩვენი სარფი, ალბათ, გაგიგონია,
დროს მუხთალმა წელში შუა გადაჭრა...
რა დედული, რა მამული მქონია,
ცეცხლს მისცეს და მაინც ვერვინ გადაწვა.

მამია ვარშანიძის ლექსებში იგრძნობა ძეგერვალში აჩეხილი ვაზის ლერწმიდან გადმოღენილი ცრემლები. ეს არის საქართველოს საზღვრების იქით დარჩენილი ქართული მიწისა და მიწის შვილების ბედისა თუ უბედობის ღრმა განცდა, რაც ასე ნიშანდობლივია მისი პოეზიისათვის. ეს ლექსი გულგატეხილობასა და უმწეო სევდას კი არ შთაგვაგონებს, არამედ მომავლის რწმენითაა გაბრწყინებული.

მამია ვარშანიძის პატრიოტული ლირიკის პოეტური შთაგონება აჭარის ზღვისპირეთში და მის ოქროჩვეულ დაუფარდებში იშვა და მთელ საქართველოს დასტრიალებს თავს. ამ შთაგონებას ორად გაჭრილი ლაზური სოფლის სევდაც აზღავს და საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართული ტაძრების ტკივილიც: „აჭარისკენ ქვა რომ გადმოგორდება, იქ, კლარჯეთში კანკალებენ ტაძრები“. რა მარტივად არის ნათქვამი, მაგრამ რაოდენ ფიქრსა და სევდას აღძრავს მკითხველის სულში.

ერთხელ უსაყვედურეს კიდევ, ლექსებში ზომაზე მეტად ფიგურირებსო სიტყვები „ლოცვა“, „ხატი“, „ტაძარი“, „ღმერთი“ და სხვა. დაკვირვებული თვალი იმასაც შენიშნავს, რომ მამია ვარშანიძესთან ისინი სამშობლოს სინონიმებია და არა უბრალო, სიტყვიერი მასალა, ამიტომ საყვედური არცთუ ისე საფუძვლიანია.

მამია ვარშანიძის ლექსებში ფართოდ ფიგურირებს ასევე განახლებული ცხოვრების სურათები და მშობლიური ბუნების პანორამა, რომელთა უმრავლესობა სიჭაბუკისა

და უბერებელი სიყვარულის ცეცხლით არის გაჩაღებული. პოეტის მარად მღელვარე გული აღტკინებულია ჭაბუკური შემართებითა და რაინდული სულისკვეთებით. უმღერის წრფელ სიყვარულს, უბერებელ მამულს, „კავშირს გულთა შორის“, უმღერის ყველაფერს, რაც ამშვენებს ჩვენს სიცოცხლეს, ვერ წარმოუდგენია, სიბერე მზითა და ყვავილებით. გაჩაღებულ სამყაროში, ისევ და ისევ ახალგაზრდობის რიგებშია:

ნუ დამაბეროს ნურასდროს ღმერთმა,
ცოცხალი ქვეყნად დავდივარ ვიდრე,
ახალგაზრდობა ქუხილით მიდის,
ახალგაზრდობას ქუხილით მივდეგ.

„მე ახალ ფერთა თასი დავცალე და წინამორბედს ვუგალობ ლოდოს“, - კითხულობთ და ჩვენთვის ნათელია ამ სიტყვების დედააზრი - გამოღვიძება, აღზევება და აღმაფერნა. აი, რას განიცდის მიწა ადრეულ გაზაფხულზე, მარტო მიწა კი არა - მთელი სამყარო. „თებერვალი დადგა, ზეში წყალი ჩადგა“, მდინარეები აღიღდა, თვალს ახელს პირველი ია, მეორე, მესამე, მოფრინდნენ მერცხლები და ძწვანით შეიმოსა ბუნება. ამწვანებული ტყეები და ქალები, ამღერებული წყაროები და ნაკადულები... ბუნების ამ განახლებასთან სრულ პარმონიაშია ყოველი სულდგმული და, რა თქმა უნდა, ბუნების გვირგვინი - ადამიანი:

განგებას სურს, რომ ძველი გაგვყაროს,
ეს ბრძოლა იყო დაუსრულებლივ,
ახლდება ქვეყნად ფერთა სამყარო,
ასე ახლდება ჩვენი სულებიც.

ერთ-ერთი კრებულის ანოტაციაში პოეტი წერდა: „ლოდოსი, როგორც ხალხი ამბობს, მიწაში სიბოოს ჩადგომის დღეებია, ბუნების გამოღვიძება-განახლების წინა დღეები. თოვლით დამძიმებულ მიწას სიბოო შეეპარება, ქრის თბილი ქარი, წვიმაც სცრის ზოლზე. თოვლს ძალა ელევა... მიწაში იღვიძებს ია. ამის ძალას მას შთაბერავს ყოვლისშემძლე ლოდოსი, რომელიც მალე უჩინარპყოფს თოვლს... და დგება ჟამი, როცა ბუნება ფართოდ გაახელს თვალებს და შენც სულიერად აღსდგები, თითქოს ფრთები გამოგესხმება და მიფრინავ სადღაც შორს... დიახ, განახლება, განახლება, აი, რა არის მთავარი სულიერათათვისაც და უსჯულოთათვისაც“. ვფიქრობ, ეს ანოტაცია ესადაგება არა მარტო ხსენებულ კრებულს, იგი მაშინ ვარშანის მთელი პოეტური შემოქმედების წინასიტყვაობადაც გამოდგება.

განახლებისადმი ლტოლვითა და სიცოცხლის წყურვილით არის განათებული ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „იავნანა“. „იავნანა გვიშუშებს დიდ ტკივილს, რომ სიბერე მაზვილს გულზე დაგვკრავს“. ამით ჩვენს ცნობიერებაში სახიერდება სიცოცხლის უკვავებისა და მარადიულობის იდეა - იავნანა.

რამდენი თქმულა და დაწერილა ამ მართლაც ეროვნულ საგალობელზე. ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა არაერთი ქართველი კლასიკოსის შთაგონების წყარო გამხდარა შვილის აკვანთან თქმული დედის სიმღერა. იგი ისეთივე სისხლზორცეული მოვლენა იყო ქართველი ქალისათვის, როგორც ბიბლია მორწმუნე ქრისტიანისათვის, იმ განსხვავებით, რომ მას გააჩნდა მყარი სოციალური საფუძველი და მტკიცე დიალექტიკა:

„იავნანა აოკებდა მხოლოდ ატირებულ შენს ფიქრებს და სურვილს“. ეს შემთხვევითი, სალექსო რეფრენისათვის მოტანილი ფრაზა არ არის, არც პირმშოს დამშვიდების მომენტის გამომხატველი მეტაფორა. ატირებული ფიქრი და სურვილი“ იყო სამშობლო ქვეყნის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან გამოხსნისათვის ლტოლვა. ამ იმედს ოდითგანვე არწევდა ქართველი დედა ქართულ აკვანში, რომელსაც ფრთებს ასხამდა და ავაჟკაცებდა „იავნანა“. საკმარისია გავიხსენოთ დიდი ილიას გულიდან ამოხეთქილი სიტყვები – „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს“...

„იავნანამ დაგიწერა სული“, – ამბობს პოეტი, მაგრამ ვის მიმართავს? პირმშოს, იქნებ დედას, ან დედა სამშობლოს? ვფიქრობთ, აქ ხაზგასმა არ არის საჭირო. იგი მკითხველის თუნდაც სუბიექტურმა აზრმა განსაჯოს.

„იავნანა“ 1969 წელს დაიწერა. იდეური ჩანაფიქრით მას ეხმიანება 1967 წელს დაწერილი ლექსი „პატარა ვარსკვლავი“. დაიბადა ყრმა. გაღიმებული შეხვდა ბუნება. გაიღიმა ცამ ივერიის პატარა ვარსკვლავის გაჩენით. შესანიშნავი მხატვრული სახეა და დიდი შინაარსითაც არის დატვირთული.

გაჩნდა პატარა ხომლის ნატეხი
და ღრუბლიანში მნათი გამოჩნდა.
დიდი ნალარა უნდა ავტეხო
და ცა სინათლის შენსკენ გამოვჭრა.
თუ რამ დაგაკლო, უნდა შემინდო,
შენ, მარგალიტო, ზღვასთან ნახულო,
მე ცისარტყლა უნდა შევიპყრო
და შენს თეთრს აკვანს გადავახურო.
სიცოცხლეს შენით ძალუმად ვეტრფით
და გული მზისკენ გვაქვს მიშვერილი,
გაჩნდა პატარა ვარსკვლავი ერთი
და გაიღიმა ცამ ივერიის.

მამია ვარშანიძის პატრიოტული ლირიკა კარგად არის ცნობილი მკითხველისათვის. ეს არის განუყოფელი საქართველოს გულწრფელი საგალობელი, რომელიც შორს დგას პარტიკულარიზმისა და კარჩაყეტილობის ტენდენციებისაგან. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ზიანი მოუტანა ჩვენს სამშობლოს ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, რომ „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“ და სხვა. პოეტს იმდენი ლექსი შეუქმნია პატრიოტულ თემაზე, რომ ერთი შეხედვით, თითქოს იქმნება საშიშროება „თავისი თავის“ განმეორებისა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში, პოეტი ყოველ ახალ ლექსში ახლებურ, მოულოდნელ თვალთახედვას გვთავაზობს. თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვი, მისთვის ტრადიციული ფორმაა სისხლხორცეული:

მალლა მთაა დედისა,
დაბლა – მამის ბარი ძვეს,
ამ ქიმების ეყვანი
განთიადზე მალვიძებს.

მამია ვარშანიძის პატრიოტული ლირიკის ახალი ნაკადია ლექსების ციკლი კახეთზე. აქაც თავს იჩენს მისთვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი თვისება - საქართველოს რომელ კუთხეზეც არ უნდა წერდეს, ეს იქნება აქარა თუ გურია, იმერეთი თუ სამეგრელო, ყველგან და ყოველთვის დიდი საქართველოსადმი სიყვარულსა და ერთგულებას შთაგვაგონებს. ასეა ახლაც, პოეტი კახეთზე და მის გამრჩე ადამიანებზე, მის განუმეორებელ ბუნებაზე წერს, ისე, რომ მთელი საქართველოს სიყვარულს განასახიერებს. ოსტატურად ხატავს კახეთის ბარაქიან შემოდგომასა და მიწის მადლს, კახელი გლეხკაცის სტუმართმოყვარეობასა და პურადობას, გლეხკაცისა, რომელმაც კარგად იცის, რომ შრომა ბედნიერების სათავეა:

კახელებო, გამარჯობა,
მოგილოცავთ დილა-სისხამს.
გასაფრენად ფრთები მინდა,
თქვენ კი ისევ ღვინოს მისხამთ,
და მწვანეზე სუფრას გაშლით, -
რომ არ სჭამო ბრაღიაო,
გავიგვირვე, მიპასუხეთ -
ალაზნის ბრაღიაო.

სამშობლოს მზეა მამია ვარშანიძის უპირველესი საფიქრარი. ძალზე ძნელია ამ თემაზე შექმნილი ყველა ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი. ეს თემა იშლება და ფართოვდება წლითიწლობით. ახალ ლექსებში ახალი ფერები, გამომსახველობითი საშუალებები იჩენს თავს, რაც უპირველესად, გულწრფელობით გვზიბლავს. მგრძნობიარეა მისი სიტყვა. ამიტომაც, რომ გონებაზე ადრე გული გრძნობს სტრიქონებს შორის გამეფებულ სითბოსა და სინათლეს: „ზარების გუგუნი“, „შოთა რუსთაველს,“, „მშობლიური მთების ახლოს“, „გოგონას ბიუსტი“, „პირიმზე“, „ლადო გუდიაშვილს,“, „პატარა კვამლი“, „შენ გიბარებ“, „მე წიწამურში როგორ გავიღი“, „ჩემი წყარო“, „შენს მზეს ვფიცავ,“ ამ კატეგორიის ლექსებია. მათ შეიძლება ეპიგრაფად წავუძღვაროთ ლექსი “იყო და მარად იქნება,“ მასში კონცენტრირებულია სამშობლოს მარადიულობის იმედი და რწმენა, რასაც ამძაფრებს ლექსების აწეული, პეროიკული მახვილი:

იყო და მარად იქნება ლურჯი ქედები და ქალა,
იყო და მარად იქნება ჩემი ვზიანი აქარა,
იყო და მარად იქნება ჩემი ტაო და კლარჯეთი,
იყო და აღარ იქნება, აღარ იქნება ქაჯეთი.
იყო და მარად იქნება ჩემი შავშეთი მწყაზარი,
იყო და მარად იქნება ჩემი ხატი და ტაძარი.
იყო და მარად იქნება ჩემი ლაზეთი ვეფხვერი,
იყო და მარად იქნება „განდაგანა“ და „ფერხული“.
იყო და მარად იქნება ჩემი სამშობლო ხმიერი,
რუსთველის ტკბილი საგანე, დიდი თამარის ივერი,
მამულო, იყავ კურთხეულ, იყავი მარად ძლიერი,
იყავი მარად ძლიერი,
იყავი მარად ძლიერი!

მამია ვარშანიძის ომისდროინდელ ლექსებში ვკითხულობთ: „იმ წუთს ვნატრობ: თუნდ საფლავში ჩამომესმას ხმები წმინდა, რომ სამშობლო საყვარელი მტრებისაგან გაიწმინდა“... შესანიშნავია. პოეტი იგონებს ომში დაღუპულ სამ ძმასა და ყველა მშობლის გულისტკივილს გამოხატავს. „მებრძოლის სიმღერების“ ერთ-ერთი რეცენზენტი წერს: „ფრონტზე გამგზავრებულ პოეტ-ჯარისკაცს მარადიული სიცოხლის თანამგზავრად სატრფოს მიერ დაკრეფილი ყვავილები უწყვია უბეში, რომელსაც თან დაატარებს და მოცალოების ჟამს ეფერება, როგორც ლამაზ ოცნებას სამშობლოს ლაყვარდოვან ცაზე, მაგნოლიებით გადაპენტილ გაზონებზე, ბათუმის გაჩირალდნებულ ქუჩებზე, სადაც დაენტო მისი პირველი გრძნობების კოცონი და ბრძოლის ჟინმოკრეული პოეტი ხმამალა აცხადებს:

მე ბრძოლის ველზე შევკრავ კამარას,
შენ მანდ დარდით ნუ გამიხუნდები,
ჩემო ალერსო, გვგროვდეს მარად -
გამარჯვებული დაგიბრუნდები!

გამარჯვებული მებრძოლი პოეტი დაუბრუნდა შინ მშვიდობით „მშობლიურ კერას“, ქვეყანასთან ერთად ისიც იმუშებდა ომით მიყენებულ სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს, რომლისთვისაც უებარი წამალი ისევ პოეზია იყო. ახლა კი მისმა პატრიოტულმა იდეებმა ახალი ნიშნები შეიძინა. კრიტიკოსი შოთა ქურიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ახლა პოეტი „ყველა ცხოვრებისეულ მოვლენას უცქეროდა და აღიქვამდა ერთი კუთხით, ერთი ასპექტით - სამშობლოს მხურვალე სიყვარულით. და როცა მამია ვარშანიძის ლექსებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს პოეტი კალენდოსკოპის წინაშე დგას. იცვლება სურათები, მოვლენები, ფიქრები, რაკურსი კი, ის ადგილი, საიდანაც ამ სურათებს ქვრეტს, უცვლელი რჩება“.

გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში მამია ვარშანიძე აღნიშნავს, რომ მის ნაღვალში მთავარია ეროვნულ-პატრიოტული მოტივი, რომ მისი ღირსება და ეპოსი ფესვებს სამხეთ საქართველოს ტრადიციულ წარსულში იღვამს, ხოლო ახლა - აჭარის ახალ ყოფაში. უნდა ვერწმუნოთ პოეტს, რომელმაც ბევრ სახელოვან მამულიშვილს სული ჩაუდგა და ახალი სიცოცხლე მიანიჭა თავისი ლექსებითა და პოემებით. მათში ხშირად ფიგურირებს გამოჩენილ პატრიოტთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელები. ზოგი მათგანი ახლოს იცნობდა და პირადი ურთიერთობა ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან: გრიგოლ ორბელიანთან და ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და ვაჟა-ფშაველასთან. პოეტმა შესანიშნავი სტრიქონები უძღვნა ნური და შერიფ ხიმშიაშვილებს, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებს, ხოლო ცალკე განხილვის ღირსია პოემა „ხიხანის არწივები“, რომელიც მიუძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირებს, კერძოდ კი, აჭარაში ამ მოძრაობის ჭეშმარიტად სახალხო გმირს სელიმ ხიმშიაშვილს. ამის თაობაზე ოპოლიტე ვართავავა წერდა: „მამია ვარშანიძემ თავისი შესანიშნავი პოემა „ხიხანის არწივები“ უძღვნა სამხრეთ საქართველოს პატრიოტ გმირ წინაპართა ჰეროიკულ შემართებას. ვისი სულიც გაჟღენთილია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონით“ და აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავით“, იმას ძნელადლა მოაწონებ თავს პატრიოტული ხასიათის ეპოსით. მაგრამ მე დიდი ხალისით წაეკითხე მამია ვარშანიძის „ხიხანის არწივები“. მე მომხიბლა ამ პოემის შინაგანმა დაუცხრომელმა, რიტმიანი პათოსმა და პოეტურობამ.

მაშინ გავიფიქრე: ამის ავტორს ეგების ქება და ამ აღმაფრენით გამსჭვალულმა დავწერე ეს წერილი...“.

პოემა „ხიხანის არწივები“ უთუოდ ქართული პოეზიის შენაძენია. იგი ავტორის შემოქმედების ჩამოუღდები გვირგვინია, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებენ შემოქმედების მომავალი ყვაილები, რომლებსაც პოეტისაგან მოელის მკითხველი საზოგადოება... „ხიხანის არწივებში“ წარსულის თემა ახლებურადაა დასმული. იგი მოკლებულია ყოველგვარ რუტინულს და კალმის წვერებით გათელილ თემებს. დღემდე ქართულ პოეზიაში ხიხანის ბრძოლის თემა არავის მოუცია. ამ საქმის ღირსეული პიონერია მამია ვარშანიძე. ვერასოდეს ვერავინ წაართმევს მას ამ საპატიო პიონერობას. პოემა „ხიხანის არწივებით“ მამია ვარშანიძემ დიახაც, რომ მოსაწონად იქადაგა ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის იდეა, როგორც რელიგიის, სოციალური წარმოშობის თვალსაზრისითაც“.

ვინც ღრმად იცნობს ხიხანის ბრძოლების ისტორიასა და სელიმ ხიმშიაშვილის განუმეორებელ თავდადებას, იგი უთუოდ ირწმუნებს პოემის მაღალ შეფასებას. მე აქ აღარ მოვეყები სელიმის სიკვდილის ტრაგიკულ ისტორიას. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: როცა სელიმი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, თავის მოკვეთის წინ საქართველოს მტრებს მიახალა: - მე მჭირთ თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გუსჯისტანი სამუდამოდ ოსმალეთს არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო.

მე არ ვაპირებ პოემის იდეურ-მხატვრულ ანალიზს. მის შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. მისი ავტორის მხატვრული ოსტატობის დასტურად, კრიტიკოსებს (მათ შორის, ი. ვართაგავასაც) მოაქვთ პოემის შესავალი. აი, ისიც:

აქარისწყალი ზვიად მთებს
ჩახვეულ-ჩაჩქერებულს,
მორბის, მოშხუის, კლდეებთან
შებმას და შეხლას ჩვეული.
და მის კრიალა სარკეში
ცა არის ჩაჩერებული.
ზოგან ჭაფს იყრის, მრისხანებს,
ზოგან მგლოვარე ჩანგია,
ლოკავს და ლოკავს შმაგივით
ლოდებს ხავსიან-ჟანგიანს.
მამულიშვილო, უსმინე,
იქნება ზარის ჟამი აქვს.
იქნებ წყალსაც ჭირს ვარამი
ხახულისა და შავშეთის
და მოსტირიან წკვარამნი
წყალს ნაპირ-ნაპირ შაშვები,
იქნებ ამიტომ აცვიათ
შაშვებს და ამ მთებს შავები.
გზა ოღრო-ჩოღრო, ჩაშლილი,
კლდეებში მიხლართება,
რომ გათენდება, მაშინაც
ვერ იტყვი, აქაც გათენდა.

კითხულობ ამ სტრიქონებს და სრულებითაც ვერ გრძნობ, რომ იგი ციტატისათვის ამოღებული ნაწყვეტია. მას დასრულებული ლირიკული შედევრის პროფილი აქვს და შესანიშნავად ერწყმის პოემის იდეურ მიმართულებას.

მამია ვარშანიძის პოეზია თემატურადაც მრავალფეროვანია, ასევე მდიდარი და მრავალფეროვანია მისი პალიტრა. ღრმად ტრადიციული თემების დამუშავებისასაც კი ავლენს საკუთარ თვალთახედვას და გვზიბლავს მოულოდნელობით. ამისი ნათელი საბუთია სიყვარულის თემაზე შექმნილი ლექსები.

სიყვარული იყო და არის ყველა დროის და ხალხის ლიტერატურის მძაფრი ენებათა ლელვისა და დრამატული კონფლიქტების სათავე. ასეა ქართულ მწერლობაშიც. არ მეგულება დიდი თუ პატარა მნიშვნელობის ქართველი პოეტი, ხარკი რომ არ გადაეხადოს ამ უბერებელი გრძნობისათვის. არც მამია ვარშანიძის პოეზიაა გამონაკლისი. „სულ მიყვარდა, სულ გუყვარდი, ცად მაფრინა ოცნებით, მიბრძანა და მაწერინა სიყვარულის ლოცვები“. ზოგჯერ პოეტს იდუმალი სევდა ეუფლება ნაადრევი ქალარის გამო, ზოგჯერ ჩავლილი წლების სინანულიც იგრძნობა, მაგრამ ორივეს ჩრდილავს სიყვარულის სიმღერა, რომელიც არ ემორჩილება დროისა და ქალარის კანონებს: „დაწყდა სიმები შენს მოლოდინში და შენზე ფიქრში ფერი მეცვალა; ახლა სადღა მაქვს ქოჩორის ბინდი, როგორ ჩუმჩუმად შემომეცალა“. ეს არის ჩავლილი წლების სინანული, მაგრამ გულში სიყვარულის ცეცხლი არ ჩამქრალა: „ეჰ, ჩემს წინ ჩემი ქალარა ბოლავს, ეს ჩემი სული კენესის და ხვნეშის... მე სიყვარულის ლოცვებით მოვალ და სალამურებს ჩავიდგამ ყელში“. არ ვიცი, რას იტყვის სხვა, მაგრამ მე ძალზე მომწონს პატარა ლექსი „ზღვასთან მღეროდა გოგონა“. პორიზონტზე მოჩანს თეთრი ხომალდი, რომელსაც გაჰყურებს გოგონა. მის საყვარელ ადამიანს ზელთ უპყრია გემის კომპასი და მღერის გოგონა: „მაგ შენს ლამაზ სასახლეში, გენაცვალე, გეხვეწები – შემეყვანე“... აქ სიყვარულის სასახლეში შესვლა წარმოდგენილია ბედნიერებისა და უსასრულო სიცოცხლის სათავედ.

მამია ვარშანიძის პოეზიაში ქალი გარდასახულია სიცოცხლის, ბედნიერებისა და მარადიული სილამაზის სათავედ: „ვიღაცამ უცებ ჩაიჩუხჩუხა, მისი ნაკადი ზღვას შეერია... ლამაზი ქალი მიჰყვება ქუჩას და ქუჩა უფრო მშვენიერია“.

მე კი მაინც მიმაჩნია, რომ მამია ვარშანიძის სიყვარულის პოეზიის გვირგვინია ლექსი „მინდა მიმღეროს ქალმა ლამაზმა“. წლებს შეჰიდებული ლირიკული პერსონაჟი გრძნობს მოახლოებულ შემოდგომას. იცის, ზვალ თუ ზეგ, დადგება ჟამი ფოთოლცვენისა, მაგრამ დასანანი არაფერი აქვს, რადგან განვლილ გზაზე არასდროს ათრთოლებულა, ქედი არასდროს მოუხრია, მტკიცედ ატარა სიყვარულის უღელღი. ამიტომ ბოლო ჟამს არ უნდა მოთქმა და ზარი:

როს ჩემს სულს კვამლად წაიდებს ქარი,
სიცოცხლის ყველა ცხრა კარს ჩარაზავს,
არ მინდა ყველას მოთქმა და ზარი,
მინდა მიმღეროს ქალმა ლამაზმა.

„როს გარდავქრები, ჩემივე ჩანგით მინდა ლამაზმა ქალმა მიტიროს“, – ასე დავგვიხატა პოეტმა ლირიკული პერსონაჟის გულის ძახილი, ასე ოსტატურად ჩავვახედო მისი სულის სარკეში, რომლიდანაც ჩვენი სულის ძახილიც გვესმის.

მამია ვარშანიძემ ბევრი ლექსი მიუძღვნა დედას. აქაც ორიგინალობასა და

საკუთარ თვალთახედვას ავლენს. ეს ბუნებრივიცაა. მისი მგრძნობიარე გული უამრავ ადამიანურ ფიქრს იტევს. ეს ის ფიქრებია, რომლებიც უთუოდ იმსახურებენ განვითარებას, რადგან არაფერია ჯვეჭნაღ დედაპეტილურ სიყვარულზე უფრო წმინდა და მაღალი. ყველას ერთნაირად და სხვადასხვაგვარად განგვიცდია იგი. შვიდი წლის იყო მაშინ ვარშანიძე, დედა რომ დაკარგა. ერთხელ, გულისტკივილით მითხრა - ბედნიერი კაცი ვიქნები ქვეყანაზე, დედაჩემის სახე რომ მახსოვდესო. მზრუნველი მამაც ადრე დაკარგა. მოხდა ისე, რომ მის დაკრძალვასაც ვერ დაესწრო. აჭაც ცხოვრების ბედუკუღმართობა. ამ ფონზე სრულიად ბუნებრივია, რომ პოეტს გამორჩეულად უყვარს მისი სიჭაბუკისდროინდელი ლექსი „დედის ბაღია“. პოეტი ეალერსება და ეფერება ლიმონებს, რომლებიც დედის ხელებმა დარგეს და ახსოვთ მათი სითბო:

შენს შემდეგ ეს ბაღია რამდენჯერ აფშვინდა,
ვეხვევი და გვოცნი შენს დარგულ ლიმონებს.
ო, შენი ალფასის მწყურვალე ბავშვი ვარ,
მე შენი ხატება მაწამებს, მიმონებს.
მგონია, კელაპტრით გზას ისევ მინათებ,
მგონია, საფლავი ისევაც თბილია.
ვინ იცის, ეს გული რამდენჯერ გინატრებს
და ცრემლით ბაღიაში რამდენჯერ მივლია.
გინატრე, რომ გნახო, მაგრამ ეპ, სადა ხარ,
სადა ხარ, ღვთაებავ, ვარ შენი მლოცველი.
შენს შემდეგ რამდენი ყვავილი გადახმა,
მე დღენი გავლიე სულ შენზე ოცნებით.
დავწოხსავ ტრფივით ყვავილებს ეშხიანს,
ყველაზე უნაზესს სულ შენთვის შევკონავ.
შენ საით წასულხარ, შენ გზები შეგშლია.
დედილო, სადღაც შორს გეძინა, მეგონა.
ამ მთაში, ამ ბარში აყვავდნენ ნერგები.
და ჟონავს ნარინჯის საამო სურნელი.
ნეტავ, შენც გეხილა, დედი ეს დღეები
საფლავეში, რომ ჩაგყვა დარდები უღვეი.

თუ „დედის ბაღია“ ინტიმურ-ელემენტური ხასიათისაა, სამაგიეროდ, მეორე ლექსში („დედა“) გადმოცემულია დედის ფიქრები, რომელსაც შვილი გარდაეცვალა, ყოველგვარ ამინდში, ქარსა თუ წვიმაში მიაკითხავს შვილის საფლავს, აღარ ახსოვს სიცოცხლე და შიმშილი, ჩაცმა და დახურვა. მისი შემყურე, მაღალ მუხებზე კი ათრთოლებს: „დაჭრილს გულს ვინ დაუშუშებს, დღეც დარდობს და ღამეც დარდობს, კოკისპირულს რომ დაუშენს, მიწა რაა, კლდეს გაადნობს“. ამიტომაც, ეს მძიმე სურათი რომ აღარ განმეორდეს, პოეტი შესთხოვს ღმერთს:

დედის დარდი გაიტაცე -
ჰე, გრიგალო, დაუბერე,
ამდენ ნაღველს ნუ მოასვე.

ღმერთო, ღმერთო, ყველა დედას
ყველა შვილი დაუბერე,
შვილის სიკვდილს ნუ მოასწრებ!

1944 წლის აპრილში ბათუმის საზოგადოებრიობამ შემოქმედებითი საღამო გაუმართა გალაკტიონ ტაბიძეს. ამ საღამოზე თავის გამოსვლაში გალაკტიონმა ყურადღება გაამახვილა ზღვის თემაზე. მოიგონა არტურ ლაისტის წერილი „ქართველები და ზღვა“, რომელშიც სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ ქართულ პოეზიაში ზღვის თემა არააო ასახული. დიდმა პოეტმა ბოლოს დასძინა: „დღეს გვაქვს შესაძლებლობა, ვთქვათ, რომ ახალი ქართული ლირიკა ასახავს ზღვას, გაისმის ახალი მოტივები ზღვაზე. ნება მომეცით, მივესალმო ამ ახალ მისწრაფებას ქართულ ლიტერატურაში, ამ ახალ დაფუძნებას, ახალ პოეზიას, რომელშიც სწორედ ეს მოტივები ჟღერს“. ამ დროს ახალგაზრდა პოეტი მამია ვარშანიძე ფრონტზე იყო და მტერს ებრძოდა, ზოლო გზადაგზა, სანგარში ლექსებს წერდა. დამეთანხმება მკითხველი, რომ 50-იანი წლების შემდეგ, ისე, როგორც ბათუმში მოღვაწე ყველა მწერლის შემოქმედებამ, ასევე მამია ვარშანიძის ლირიკამაც ახალი შინაარსი შეიძინა. განსაკუთრებით კი ახლებურად და საინტერესო ფერებში იჩინა თავი ზღვის თემამ. მის ლექსებში ზღვა პოეტური რომანტიკის საგანი როდია, მას უკავშირებს უდიდეს სოციალურ მოვლენებს, ლამაზ ფერებში გვიხატავს ზღვასთან დაკავშირებული ადამიანების სულიერ სამყაროს. ჩემის აზრით, ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი საანთოლოგია - ლექსი „გემი“ „საქართველო“ უახლოვდება სანაპიროს:

ზღვას მღელვარეს, ზღვას მღელვარეს მინდა გავეხმინო.
ნაპირისკენ რომ მოფრინავს, არ გეგონოთ ციცარი,
მოხველ, ჩემო „საქართველო“, ჯარისკაცი ფხიანო,
„საქართველოს“ კაპიტანო, შორიდანვე გიცანი.
გრიგალივით აშარ ფიქრებს ყელარ მოკდე ქამანდა,
შეგარდნსაც დაუწყე ჩემი სიტყვა ფრთამალი...
გემი მოდის, გემი მოდის, გზა უტიეთ, ჰაბარდა,
„საქართველოს“ ეკიპაჟო, გამარჯვება, საღამო!

...
მის ვარდისფერ ბაიარლებს მზე უმატებს, მზე ზიმზიმს,
თავს გვირგვინად დადგომია ცა კრიალი, ფირუზი,
თითქოს ისევ ცოცხალია და შემოდის ზეიმით
გრიგალებთან ნაოშარი გენერალისიმუსი.

პოეტს თითქოს გადასდებია ზღვის დაუდგრომლობა, მის ბოზოქარ ტალღებში ჯანსაღ განწყობილებებს კითხულობს, იმედის სხივით განათებული სტრიქონები გვიხბლავს სოციალური გააზრებითა და შორეულ სამყაროებში წვდომით:

დაუდგრომლობა შენ შთამაგონე
და მე სიჩუმე მტრულად გავწირე.
ჟამს ეინიანად ლოკავ, აგორებ,
მერე ქვესკნელში გადააწილე.

ხან თუ ჩუმი ხარ, როგორც თოლია,
ხანაც მჭუხარე, ლომი აშარი,
შენი მარილი გამოწყალია,
შენი სუნთქვით და ქარით გავშავდი.

...
უთვალავ ფერთა დედა საწუთროს
ლოკავ და ლოკავ ჟინით, უწყალოდ,
იქნებ მით გვიყვარს საწუთრო უფრო
და მით გვებრალვის მიწა უწყალო,
შენი ქარებით, შენი წვიმებით,
რეკავს სიცოცხლე და არ თავდება,
ჩვენ წუთისოფელს სულ ვეწირებით,
შენ - უკვდავება გიდგას თავდებად.

მამია ვარშანიძე ზომავს მეტად ხელგაშლილია სიტყვასთან მიმართებაში. მისგან შორსაა სიტყვის ეკონომია, არ ცდილობს შეკუმშოს სათქმელის ლექსიკური ქსოვილი. მისი ტემპერამენტი ვერ იკუმშება კალაპოტსა და ინტელექტის ჩარჩოებს, წინასწარ როდი ზომავს და წონის სათქმელის სივრცესა და სიმაღლეს, არც პოეტური თემებისა და მოტივების განმეორებას ერიდება. სამაგიეროდ, არსად არ განიცდის გრძნობების სიღარიბეს, რაც მეტ გულწრფელობას და სისადავეს ანიჭებს მის ლექსებს.

3

მამია ვარშანიძის სიტყვას სხვა მაღლი აქვს. მას მავანივით არასოდეს უღანძლია სხვათა ეკვდერი. ყველგან და ყოველთვის საკუთარი ტაძარი და სამლოცველო აქვს, რომელშიც მშობლიური ზატი უსვენია. საქართველოა მისი პოეტური სათავეც და შესართავიც. ქართულმა მიწამ აწოვა ძუძუ და პოეტად აკურთხა: „და ჩამითქვა მე სათქმელი მიწამ ვაზიანმა, ჩემო მიწავ, მშობლიურო, მიგყვები შენს ძახილს, პოეზიის, ოცნებების მაღლს რომ მაზიარა, ჩემი წმინდა ტაძარია ეს პატარა სახლი“.

პოეტი რამდენიმე ათეული წელია ამ ტაძარში ლოცულობდა, ეჭიდებოდა სიტყვას, პროზაშიაც მოუსინჯავს ძალები. მისმა მხატვრული ქრონიკების წიგნმა „ჩემი დედუღეთი“, რომელიც სრულიად მოულოდნელი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის, ბევრ საინტერესო ფაქტსა და მოვლენას ახალი სიცოცხლე მიანიჭა, ასევე მოულოდნელად, ლტერატურული წერილებითა და საინტერესო მოგონებების წიგნით წარმოსდგა ჩვენს წინაშე. აქაც აღნუსხულია აქარის ლიტერატურული სამყაროს უამრავი დეტალი, რომელიც ამ წიგნის გარეშე დავიწყებას მიეცემოდა. ამ შემთხვევაში ჩემს შესაძლებლობებს აღემატება მათს ღირსებებზე საუბარი. აქ მხოლოდ იმისათვის ვახსენე, რომ მკითხველისათვის ახლოს მეჩვენებინა პოეტის შემოქმედებითი ინტერესების არეალი, მას უნდა დაეუმატოთ მთარგმნელობითი საქმიანობაც. მკითხველი იცნობს მიკოლა ბაქანის, ნიკოლოზ ტიხონოვის, მუსა ჯალილის, ნაზიმ ჰიქმეთის, ალექსანდრე პოლუეჟაევის, ივანე ნეზოდას, ბაგრატ შინკუბას, მელიქ ჯევედეთ ანდაის და სხვათა ლექსების მისეულ თარგმანებს.

ეს არცთუ ისე ცოტაა. იგი მძიმე შრომას მოითხოვს - ფიზიკური და სულიერი ძალების სრულ დაძაბვას, რომლის გარეშე არ არსებობს ნამდვილი შემოქმედება.

მამია ვარშანიძეს ვერასდროს ვერ ნახავდით მოცლილს, მისთვის არ არსებობდა თავისუფალი დრო, დასვენების დღე. თავის უახლოეს ადამიანებთან განკუთვნილ დროშიც კი საქმეზე მსჯელობს. ყველაფერს პასუხისმგებლობით ეკიდება, არცერთ საქმეში არ ჩვევია გულგრილობა და ზერელე დამოკიდებულება. მწერალთა კავშირში თუ სხვა საკრებულოში ყოველთვის დაწერილი სიტყვით გამოდიოდა. ესეც მის უდიდეს პასუხისმგებლობაზე მეტყველებს. მის წერილებისა და მოგონებების წიგნში ვკითხულობს: „...როცა შენს გარშემო შენივე მისწრაფების, პროფესიის ადამიანი უმარავია, იოლია საკუთარ ქურაში ჩაბერვა და გრდემლზე უროს ცემა, მეტია შინაგანი პათოსი. მაგრამ ეს მთლად ასე რომ იყოს, მაშინ ბევრს კალმის ხელში ალება ბოლოს სანანებლად არ ექნებოდა. თუ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში, დიდი ილიას ენით რომ ვთქვათ, ივერიაში, მგოსანთა რიცხვი ბევრია, სამაგიეროდ, იოლად გასაჭრელი გზა როდია, ყველას როდი შეუძლია ავიდეს ამ სიმაღლეზე, რომ მას ყოველი მხრიდან ხალხი ზედადეს. ეს იმიტომ, რომ საქართველოში ლექსის განვითარების კულტურა, მის შესრულების შემოქმედებითი ოსტატობა უზენაეს სიმაღლეზეა აყვანილი... და მერე ქართული ლექსი ამ სიმაღლისაკენ მუდამ ილტვოდა და ილტვის ყოველი საუკუნის მონაკვეთებში განახლებული სულით... და თუ დღეს თავისი შემოქმედებით, რომელიმე მგოსანი აღწევს იმ ბედნიერ სიმაღლეს, რომ თვალსაჩინო გახდეს, იგი ლექსის ჭეშმარიტი ოსტატი უნდა იყოს“. ამპოზიციიდან განიხილავს მამია ვარშანიძე გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ლექსთა კრებულს „ელადის ყვავილები“. ასევე დიდ მოწიწებასა და პატივისცემას იმსახურებს მისი მოგონებები სამამულო ომში დაღუპულ ახალგაზრდა პოეტ შალვა იოსელიანზე. უთუოდ ძვირფასი შესაძენია მოგონებები გიორგი ლეონიძეზე.

მამია ვარშანიძის გვერდით გატარებული სამი ათეულწლიანი წელი მაძლევს იმის უფლებას, რომ მკითხველის წინაშე გამოვიტანო მისი ზოგიერთი პიროვნული თვისებები, უპირველეს ყოვლისა კი, საოცარი გულუბრყვილობა. ამ თვალსაზრისით, უთუოდ საგულისხმო და ბევრის მანიშნებელია მისდამის მიძღვნილი მეგობარი პოეტის ზურაბ გორგილაძის ლექსის სტრიქონები: „მნათი წინაპრული ისევ დაგვღრიალებს, გზებზე შენი ნუსხით დახვალ... რად ხარ ეჭვიანი, რად ხარ ნაღვლიანი, თქვი, რა მოგივიდა ახლა. შვილთა სხვა მხირონით ნათლავს და ეუფლებს შენი ზვატია თუ გრილო, რამდენი შენს ტახტზე ასვლას და მეფობას შენი დავიწყებით ცდილობს“.

რვა ათეულ წელს გადაცილებული პოეტი საოცრად მიმნდობი და თანამდგომი იყო. ასეთი იყო ორმოცი წლის წინათ, როცა პირველად გავიცანი, ასეთივე იყო ბოლო წლებშიც. ჩვენმა პირადმა ურთიერთობამ დროის წინაშე წარმატებით ჩააბარა ყველა გამოცდა. ასეთი იყო რამდენიმე წლის წინათ, როცა დაბადების 60 წლისთავის იუბილე გადავუხადეთ და განვლილ შემოქმედებით გზას დიდი გულმოდგინებითა და სიფრთხილით ზომავდა და აფასებდა, ასეთი იყო 80 წლისთავის იუბილარიც.

მამია ვარშანიძემ რბილი ხასიათი და ბავშვური გუნება-განწყობილება ბოლომდე შეინარჩუნა. სულ მალე ეწყნებოდა, თითქოს კიდევ დაგმედურებოდა, მაგრამ სულ მალე აღარ ახსოვდა. მე იგი მინახავს ზომაზე მეტად აღელვებული და წონასწორობადაკარგულიც. ასეთ დროს მისმა მეგობრებმა ვიცოდით, რა იყო საჭირო. როცა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, გვემადლიერებოდა კიდევ. გულმზურვალე მეგობრობა იცოდა. ამიტომ იყო, რომ სჯეროდა ჩვენი. ჩემზე მთელი ოცდახუთი წლით უფროსი იყო, მაგრამ პირველი გაცნობიდანვე წაიშალა ასაკობრივი ბარიერი. მეოთხედი საუკუნეა ჩემი თაობის მწერლების დამრიგებელიც იყო და

ცოდნა-მადლის გამკითხავიც. - ახალგაზრდა კაცი, ზოგჯერ შეიძლება შეცდეს, ამაზე ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, ნიჭიერ კაცს ზოგი რამ უნდა ვაპატიოთ, ისე, რომ პატიება ბოროტად არ გამოიყენოსო. ზომაზე მეტად უბრალოც იყო და პირდაპირიც. თუ რამ არ მოეწონებოდა, პირში გეტყოდა, ხოლო პირსუკან - უკაცრავად. ჭირივით ეჯავრებოდა დამსმენი ადამიანები. ხშირად იტყოდა - დამსმენს ვინც უსმენს, დამსმენზე უარესიაო. ასეთებს სულმდაბლებს უწოდებდა. საკუთარი ძალების იმედი არ აქვთ და ფონს გასვლას ხელმძღვანელთა გულის მოგებით ლამობენო. ასეთები ბევრი ჩამოწერა ცხოვრებამ და კიდევ ბევრს ჩამოწერსო.

ჩვენი მწერლობის მეტწილად ტრადიციული ხვედრი მამია ვარშანიძემაც გაიზიარა, მემკვიდრეობით მხოლოდ და მხოლოდ პატიოსნება და სამშობლოს ერთგულება მიიღო. სხვა მხრივ, როგორც იტყვიან, ცხოვრება ნული წერტილიდან დაიწყო. მკაცრი ხელმოკლეობის ჟამსაც კი მატერიალური კეთილდღეობისაკენ თვალი არასოდეს გაქცევია. მისი ოჯახის უპირველესი განძი და სამკაული იყო მშვენიერი ბიბლიოთეკა, რომელიც საკუთარი ხელით შექმნა. ამ ბიბლიოთეკაში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრ ახალგაზრდა შემოქმედს უგემნია სულის საზრდო. ყოველთვის ერთსა და იგივეს ჩაგვძახოდა, რაც შეიძლება ბევრი იკითხეთ, შემდეგ გვიანლა იქნებაო. ზანდაზან იოსებ გრიშაშვილის ლექსის „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“ სტრიქონებსაც იშვილიებდა:

ასეთი იყო ეს გზა რთული
მე რომ ვიხილე,
შემოვიჭერი ხმით ქართულით
ლექსის მეხილე.
მაგრამ ვიდოდი მტკიცე რწმენით,
ნაბიჯით მძიმედ
და შევხაროდი „დედა ენით“
მომავლის იმედს.

.....

მე ავამღერე ტკბილ შაირად
ქართლის ყანები.
მე ყველა მართალს ერთნაირად
ვეთაყვანები.
მიყვარდა კითხვა, წიგნს ვსაზავდი
მე თვალის ჩინად,
მიყვარდა კითხვა, და ამ კითხვამ
გაღამარჩინა.

P. S.

ვალმოხდილი მხცოვანი პოეტი 1998 წლის 5 აპრილს მიიბარა დედუღეთის მიწამ. გული მტკივა, რომ მაინც ვერ გავატანეთ ის სიყვარული, რაც დიდი ხანია დამსახურებული ჰქონდა თავისი შემოქმედების და ცხოვრების წესით.

ზოომორფიზმი და მითოლოგიური პერსონაჟები

მითოლოგიაში და შესაბამისად მითოლოგიზირებულ ლიტერატურაში, კულტურული გმირების გვერდით ფიგურირებენ და დიდ როლს ასრულებენ ცხოველები, რომლებიც უძველესი დროიდან შეადგენენ ადამიანის მითოსშემოქმედების საგანს. „ცხოველებს, საერთოდ ანიმალურ (ზოომორფულ თუ ტერიომორფულ) ელემენტებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ მითოლოგიაში“. (Мифы народов мира მ. 1987, ტ. 1, გვ. 440) ეს როლი განპირობებულია იმ მდგომარეობით, რომელიც ცხოველებს ეჭირათ ადამიანის განვითარების საწყის საფეხურებზე. თავდაპირველად კონტაქტი „ადამიანი - ცხოველი“ განიხილებოდა სინქრონიკულ ასპექტში, რომელიც გულისხმობს ცხოველის არამხოლოდ სოციალურ იერარქიაში შეყვანას, არამედ ზოგჯერ მის იერარქიის სათავეში მოთავსებასაც. შემდეგ გაჩნდა საკითხისადმი დიაქრონიკული მიდგომა, რომელმაც ცხოველი სულაც კონკრეტული კოლექტივის წინაპრად, მის პროტომშობელად გამოაცხადა და საფუძველი ჩაუყარა ისეთ მძლავრ წინარელიგიურ მოვლენას, როგორც ტოტემიზმი. ადამიანი-ცხოველის ინტერაქციის მესამე რაკურსია ონთოლოგიური ასპექტი, რომელიც წარმოგვიდგენს ცხოველს, როგორც ადამიანის ერთ-ერთ, განსაკუთრებულ იპოსტასს. (იქვე, გვ. 441)

ამ თავისებურებათა გამო, ცხოველები დიდ დროის მანძილზე წარმოადგენდნენ ერთგვარ პარადიგმას, რომლის ელემენტთა ურთიერთობებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საზოგადოებისა და ბუნების თანაცხოვრების მოდელად.

მითოსპოეტურ შეგნებაში ცხოველები გამოდიან მითოლოგიური კოდის ერთ-ერთ ვარიანტად და მცენარეული, საკვების, ქიმიური, ფერისმიერი და ა.შ. კოდების მხარდამხარ შეადგენდნენ მთლიან ინფორმაციულ სურათს მითის ან მითოლოგიზირებული ზღაპრის სახით. ეს უკანასკნელნი კი, როგორც წესი, რაღაც ეტაპზე, მხატვრული სახეებით მასშტაბური აზროვნების ძირითად წყაროდ იქცევიან.

იმდენად, რამდენადაც ხსენებული, ზოომორფული კოდების ცალკეულ ელემენტებს გააჩნიათ გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება აგრეთვე სხვა კოდის მეშვეობითაც გადაიცეს, იქმნება სხვადასხვა კოდების იზოფუნქციონალური ელემენტების ურთიერთშეფარდების სისტემა. (Мифы народов мира მ. 1987, ტ.1, გვ.443) ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ზოომორფული კოდის ცალკეული ელემენტები იქცევიან ცენტრალურ კლასიფიკატორებად, რომლებიც მოიცავენ ყოფის სფეროთა მთელ კომპლექსებს. ასეთი კლასიფიკატორული ჯაჭვები გვხვდება როგორც არქაულ მითოსშემოქმედებით და პოეტურ ტრადიციებში, ასევე შედარებით გვიანდელ მხატვრულ შემოქმედებაში. მკვლევარები თვლიან, რომ განსაკუთრებით ხშირია მაგალითები, როცა ცხოველის მხატვრულ სახედ გადაქცევა ხდება მისი გაიგივებას რომელიმე ქვეყანასთან, წელიწადის დროსთან ან რაიმე სტიქიასთან.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ პროცესს, როცა მითის ანიმისტური ტენდენციისაგან განთავისუფლებისა და დემიურგის ირგვლივ კულტურული გმირების ჩამოყალიბების პარალელურად, ვითარდება ცხოველის კულტიც, და სინქრონული, დიაქრონიკული და ონთოლოგიური საფეხურების გავლის

შემდეგ, ნაწილობრივ პერსონიფიცირებულ მხატვრულ სახედ იქცევა.

აქვე გვინდა ყურადღება ერთ გარემოებას მივაპყროთ. საქმე იმაშია, რომ მითოლოგები, ლიტერატურის უშუალო წყაროდ გადაქცევამდე, თუ შეიძლება ასე ითქვას „ქმინდენ“ მხოლოდ ზეპირსიტყვიერებას, ანუ თხრობით მხატვრულ კულტურას. ცხოველები კი, გარდა იმისა, რომ ისინი აქტიურად ფიგურირებდნენ დამწერლობამდელ ლეგენდებსა და მითებში, ამასთანავე, შეადგენდნენ უძველესი მხატვრების „საფარელ ნატურას“ და მათი ასახვის ძირითად საგანს. „ა. ლერუა-გურანის მონაცემებით, პალეოლითური ხანის ყველა გამოსახულების 80%-ს საფრანგეთსა და ესპანეთში ცხოველები შეადგენენ“ (იქვე, გვ. 442) საინტერესოა იგივე მეცნიერის მონაცემები იმის შესახებ, რომ ფრანკო-კანტაბრიულ რაიონში ნაპოვნ კლდის რელიეფზე გამოსახულია 986 ცხოველი, რომელთაგან 313 ცხენია, 209 – ბიზონი, 79 – მამონტი-78 – ვაცი, 71 – ხარი, 68 – ირემი, 64 – შველი, 36 – ჩრდილოეთის ირემი, 24 – დათვი, 23 – კატა, 7 – თევზი, 5 – ფრინველი და არც ერთი ადამიანი.

ჩვენამდე მოღწეული ჩამოყალიბებული მითოლოგიური სისტემები, საწყის ეტაპზე მკვეთრად გამოხატული ზოომორფულობით გამოირჩეოდნენ. დროთა განმავლობაში, ლეგენდარულმა ისტორიებმა ანთროპომორფული იერი მიიღეს, თუმცა ცხოველები კვლავ მნიშვნელოვან ფიგურებად დარჩნენ. ასე მაგალითად, სამეცნიერო წრეებში საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ბერძნული მითოლოგია მკვეთრად გამოხატულ ანთროპომორფულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მასში მრავლადაა ცხოველთა სახეები. ეს მითოლოგიური პლასტი სხვადასხვა წყაროებითაა ნასაზრდოები. მათგან მთავარია „ღმერთების სპორადიული გარდაქმნა ცხოველებად“, (Мифы народов мира მ. 1976, გვ. 79). მაგალითად ზევსის გადაქცევა ხარად, არწივად, გედად, ჭიანჭველად და ა.შ. დიონისესი – ხარად, ვაცად, ლომად და ჭიქად, პოსეიდონისა – ცხენად, ღემეტრასი – ფაშატად და მრავალი სხვა.

ქართული მითოლოგია არ ატარებს აშკარა ზოო ან ანთროპომორფულ ხასიათს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ სახეზეა პარიტეტული ინტერაქცია მითოსშემოქმედებით გმირთა და ცხოველთა შორის. ჩვენი მითოლოგიის კულტურული, ზებუნებრივ იერარქიულ კიბეზე განლაგებული ღმერთებისა და გმირების გვერდით ფიგურირებს იზომორფული ცნება – ცხოველი, რომელიც ხან ჭიხვის, ხან ყურშას, ხან კრავის, ხან ბრწყინვალე არწივის, ხან ლომის, ხან კიდევ ქტონური გველეშაპის ან ურჩხულის სახით ვლინდება ხოლმე. ქართული მითის თვითმყოფადობა და თავისებურება, რომელმაც, საფიქრებელია, წარმოიქმნა ქართული ლიტერატურის განსხვავებული და თვითმყოფადი ხასიათი, ერთ სიბრტყეზე მოაქცია მოაზროვნე პეროიკული და ანიმალურიგმირი. ასე მაგალითად, ყურშა უბრალოდ ამირანის თანმხლები ცხოველი კი არა, პერსონიფიცირებული კეთილშობილებისა და ძლიერების თანმხლები პერსონიფიცირებული ერთგულებაა. არწივი უზენაესი ძალის კეთილი ნების მოციქულია, ყვავი – იგივე ძალთა ბოროტი ნების აღმასრულებელი და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულმა მითოსშემოქმედებამ იცის ზემოხსენებული „სპორადიული გარდაქმნის“ შემთხვევებიც. ასეთად ჩაითვლება საჭიროების შემთხვევაში ნადირობის ქალღმერთის დალის ჭიხვად გარდაქმნის შემთხვევები.

გვინდა მკითხველის ყურადღება ისეთ პოპულარულ ზოომორფულ მითოლოგებზე შევაჩერებთ, როგორიცაა ვერძი. „განსხვავებულ მითოსპოეტურ სისტემაში ვერძის სიმბოლური მნიშვნელობა გამოირჩევა დიდი მდგრადობითა და ერთიანობით“ (Мифы народов мира მ. 1987, ტ. 11, გვ. 237) რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ

ვერძის დამახასიათებელ თვისებებზე მის ყველა გამოხატულებაში გვევლინება თავმდაბლობა, სიმორცხვე, უწყინარობა, მოთმენის უნარი, უბრალოება, მორჩილება, უმანკოება, სინაზე, სიყვარული და სხვა. საერთოდ, ზოგადსაკაცობრიო მითოს შემოქმედებაში ვერძის მრავალი სახე არსებობს. მაგალითად ძველ ეგვიპტეში ვერძი ღმერთის საკუთრებად ითვლებოდა, ზოგჯერ ამ ღმერთს ვერძის სახითაც გამოხატავდნენ. ამ ეგვიპტური მოტივის გამოძახილია, ალბათ, ზევსის „ვერძისებრობა“. იგივე ბრძნულ მითოლოგიაში ვერძი აფროდიტესადმი მიძღვნილ ცხოველთა რიგშია. აგრეთვე ყველასათვის კარგად ცნობილია ასტრო მითოსთან ვერძის კავშირი: მან სახელწოდება მისცა ერთ-ერთს ე.წ. „მითოლოგიზირებული თანავარსკვლავედებიდან“. ყველაზე პოპულარული ვერძი მაინც ოქროს საწმისის პატრონია, ის ზომორფი, რომელიც არგონავტების შესახებ მითის ღერძულ სახედ იქცა.

მითოლოგიური წყაროები მოგვითხრობენ, რომ ორქომენის მეფეს ათამანტსა და ღრუბელთა ქალღმერთს ნეფელეს ჰყავდათ ორი შვილი – ფრიქსე და ჰელე. ნეფელეს ცადასვლის შემდეგ, ათამანტმა მეორედ იქორწინა ინოზე, ბოროტ ქალღმერთზე, რომელმაც გერების დაღუპვა განიზრახა. მან დაარწმუნა ქმარი, რომ ქვეყანაში უმოსავლობა საბრალო ომლების ბრალი იყო და მათი მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა. სამსხვერპლოზე მიყვანილ შვილებს ნეფელემ თავისი მფრინავი ვერძი გამოუგზავნა. ბავშვები შესხდნენ ვერძზე და დაღუპვას გადაურჩნენ. ვერძი კი გაფრინდა და მაინცდამაინც კოლხეთისკენ აიღო გეზი. ერთგან ჰელე, რომელიც ფრიქსეზე ნაკლებად მარჯვე აღმოჩნდა, ვერძიდან ჩამოვარდა და ზღვაში ჩავარდა. ამ ადგილს ჰელესპონტი ეწოდა. ფრიქსემ მშვიდობით მიაღწია კოლხეთის ნაპირებს. ნეფელეს ვერძს ოქროს ბეწვი ჰქონდა. ვერძის სიკვდილის შემდეგ მისი ძვირფასი ტყავი კოლხეთში ინახებოდა. სწორედ მის მოსატანად გააგზავნა ტახტის მემკვიდრედ დაბადებული იაზონი ბიძამისმა, მეფე პელიასმა, რომელსაც ძმისწულის ამ გზით თავიდან მოშორების დიდი იმედი და სურვილი ჰქონდა. კოლხეთის მეფის, ძლევა მოსილი აიეტის ქალიშვილის დახმარებით იასონი ოქროს საწმის იბრუნებს და გამარჯვებული ბრუნდება სამშობლოში. ვერძის ტყავი იქცევა იმ საკვანძო მომენტად, იმ განხეთქილების გაშლად, რომელიც ფაქტიურად ქმნის „არგონავტიკის“ სიუჟეტურ კონფლიქტს, ამიტომ ვერძი, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური მითოსპოეტური სახე, ფიგურირებს არგონავტების შესახებ მითის ყველა ვარიაციაში.

ოთარ ჭილაძის მიერ შექმნილ მხატვრულ მითში არგონავტების შესახებ – რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ისეთი ზომორფული მითოლოგიები, როგორებიცაა ოქროს ვერძი, მითიური ლომი თუ მითოლოგიური თხა (აქ – ამალთესს ალუზიური სახე), ქართული მითოს შემოქმედების ფსიქო-ფილოსოფიური თავისებურების პრიზმაშია გატარებული. ამ რომანში როგორც ანთროპომორფული არქეტიპები, ისევე ზომორფებიც სრულიად ახალ ასპექტში წარმოგვიდგებიან. მწერალი საშუალებას გვაძლევს საუკუნეთა სვლის ბურუსი ჩამოვაშოროთ წარსულს და ისე დავინახოთ არქეტიპი, როგორც ამას ეროვნული სამწერლობო გონის ფოკუსი ითხოვს „ყველაფერი კი იმ დღეს დაიწყო, როცა ბედიამ თავის ნაეში ცოცხალმკვდარი ბიჭი და ვერძი ამოათრია“. (გვ. 04) ასე შემოდის ჭილაძის ნაწარმოებში ცნობილი მითოლოგიური ვერძი, რომელიც მითის ამ ინტერპრეტაციის მიხედვით არაფრით განსხვავდებოდა სხვა ვერძებისაგან, ზომების გარდა ვერძი უჩვეულოდ დიდი იყო. ახლახან გადატანილ მოგზაურობას აშკარად შეეშინებინა იგი, მაგრამ ბიჭზე ადრე, მაინც იგი გამოერკვა, „...ფეხზე წამოხტა, რამდენჯერმე დააბოყნა, ბეწვი შეიბერტყა და განაწყენებული კაცივით გვერდზე გაიხედა“. (გვ. 14) იგი ბიჭთან ერთად 6. ლიტერატურული აჭარა, №3, 2000 წ.

მიზგვარეს აიეტს, კოლხეთის ძღვემოსილ მეფეს. ამგვარად მისგან დამოუკიდებელი შოკლენების გამოისობით იგი გმირად ქცეულიყო. კოლხები (აქ - ვანელები) განაცვიფრეს ციდან ჩამოფრენილი უფლისწულის უცნაურმა თავგადასავალმა და ვერძმა, რომელმაც ფრენა იცოდა. საოცარი იყო, მაგრამ ფაქტი: ტრივიალურმა ერკემალმა მისთვის უჩვეულო გონიერება და შემართება გამოიჩინა, ფრთები გამოისხა და სასიკვდილოდ განწირული ბავშვები სიკვდილს გადაარჩინა. ამ ოფიციალური ვერსიის პარალელურად მწერალი გვაძლევს მოვლენათა ე.წ. „ნამდვილ“ სურათს. აჰყავს რა მითოს შემოქმედებითი პოეტიკა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე, იგი ქმნის მითს მითზე, მითს მითში, გვაჩვენებს მხატვრული ტილოს უკუღმა პირს.

ტილაძისეულ მითში ბიჭიც და ვერძიც ნაპირთან ახლოს მოსული ბერძნული გემიდან გადმოგდებული „სახუქარია“. ისინი ბერძენთა მეფის ძალზე შორსმჭვრეტელური მიზნებისა და ღიდი ტყუილის მსხვერპლად ქცეულან. სამყაროსათვის მოხუცმა და ბრძენმა ღვინის ვაჭარმა ბახამ თქვა კიდევ: „კარგად ვიცნობ მაგ ბერძნებს, ერთ ცხვარს შემოგიგდებენ და მთელ ფარას მოგთხოვენო“. (გვ. 23) მაგრამ ეს მხოლოდ ბახამ თქვა, დანარჩენებმა გული აიჩუყეს, უძლეველმა აიეტმა შეილაღ მიიღო დედინაცვლის მიერ დაჩაგრული საბრალო ბიჭი, ხოლო ვერძი გზად ოქრომჭედლების უბანში გაატარეს. ამ უბანში „... ერთმანეთზე გადაბმული სახელოსნოებიდან ოქროს იმდენი მტვერი გამოდიოდა, სპილოს ჯოგი რომ გაგეტარებინათ, თავ-ფეხიანად მოოქროვდებოდა“. (გვ.14) ამ ზეედრს ვერც ვერძი აცდა. ოქროს უბანში ჩავლის შემდეგ მის ხუტუტა ბეწვში იმდენი ოქრო დარჩა, რომ სასახლეში მისთვის განკუთვნილი სადგომი გადააკაშა. ოქროს მტვერს იგი ისე დაემძიმებინა, რომ ძლივსა მოძრაობდა, თუმცა არც რაიმე აუცილებლობა ჰქონდა მოძრაობისა. მან საპატიო ადგილი დაიკავა კოლხეთის (ვანის) ცხოვრებაში და მანამ ფრიქსე, აიეტის შვილობილი და სიძე იცოცხლებდა, მასაც არაფერი ეშუქებოდა.

როცა ფრიქსე გარდაიცვალა, აიეტმა ბრძანა ვერძი დაეკლათ - „ერთად მოვიდნენ და ერთადაც წავლენო“. „საოცარი კია, ვინც გადავარჩინე იმის გულისთვის მკლავენო“ - ფიქრობდა ვერძი“. (გვ. 63) თანაც სასწაულს ელოდა, რადგან „არ სჯეროდა, ღმერთები თუ დაივიწყებდნენ“. (გვ. 64) ის ხომ უბრალო ვერძი არ იყო, თავის დროზე ის გამოერჩიათ თანამომეგებში განსაკუთრებული მისიისთვის, სწორედ მას ემოგზაურა გემით, მას ეტყუმალაფა ზღვაში, მას გადაერჩინა უფლისწული და ბოლოს მხოლოდ მას ჰქონდა ისეთი გიდაჩახახებული, ოქროთი გადახუნძლული ბეწვი, როგორიც არავის ღირსებია მანამდე. ვერძის ერთადერთი სურვილი ის იყო, რომ მისი არაჩვეულებრივი სიცოცხლე არაჩვეულებრივად დამთავრებულიყო. მან თავად დაიჭერა ბახას სარდაფში ნათქვამი უკუნი ხუტუტობა, თუ გარედან არ უჩანს, დუმის ქვეშ ნახეთ იქ ექნება ფრთებიო. და რადგან სადღაც, თუნდაც დუმის ქვეშ, მაგრამ მაინც ფრთები ჰქონდა, იგი ვერ მისცემდა თავს უფლებას „ჩვეულებრივი ცხვარივით“ მომკვდარიყო. მიუხედავად ამისა, ყასაბმა მას ჩვეულებრივი დანით ჩვეულებრივად გამოჭრა ყლი. მერე ამბობდნენ, ვანის უბედურებები ამ ვერძის დაკვლით დაიწყო, ზოგი ამბობდა, დაკვლით კი არა, წყლიდან ამოყვანილიო. ფაქტი კი ის იყო, რომ როცა ყასაბმა ფეხით დაკიდულ ვერძს ტყავი გააძრო, „მკლავები მოსწყდა, მუხლიც შეაშველა, მაგრამ მაინც ვერ დაიმავრა და თვითონაც ქვეშ მოყვა ჩამოშვებულ ტყავს. „მიშველეთ, გავიწყლითო“, - აყვირდა ბოლოკივით გაწითლებული ყასაბი. ვერძის ტყავი მართლაც ოქროს ზოდივით დამძიმებულიყო. ოცმა კაცმა ძლივს აუწია პირი, ყასაბს ჩაჩქვილი ფეხები რომ გამოეთრია. „იქნება არ უნდა

დამეკვლევენივინაო“ – ... გაიფიქრა აიეტმა“. (გვ. 66) თუმცა ფიქრი უკვე გვიანი იყო, სიტუაცია მოქმედებას მოითხოვდა და მეფემაც სასახლეში შეატანინა უცნაური ტყავი, მერე განჯინა გაატრევინა, შიგ შეკიდა საწმისი, კარი ჩაუკეტა, ფარდაგი ჩამოაფარა და ზედ სამეფო ტახტი მიაღდა, – აქაოდა ფრიქსეს საჩუქარია და ღირსეულად უნდა მოვუაროთო. ყოველი შემთხვევისათვის ამ განჯინის გასაღები კეფაზე, თავის ლომისებურ ფაფარში ჩაიწნა, რადგან უფრო საიმედო სამალავი არსად ეგულებოდა.

სიძის ქელებში აიეტს მარილი დაეპნა და უსიამოვნება რომ აეცილებინა, წესისამებრ, პეშვით შექამა მარილი. „მარილის ჭამის შემდეგ აიეტს გუნება დაუმიძმა. ასი კოკა წყალი დალია, ასი კოკა ღვინო დააყოლა, მაგრამ არ იქნა და არ გადნა მარილის ხორკლიანი ლოდი“. (გვ. 79) დანაღვლიანდა დიდი მეფე, რადგან ყველაფერი უბედურების მოსალოდნელობაზე მიუთითებდა მას.

ყველა და ყველაფერი უძლური აღმოჩნდა სიყვარულისა და გრძნეულების, ან უფრო ზუსტად სიყვარულის გრძნეულების წინაშე. მედემ, იაზონით მოხიბლულმა, მამას საწმისი მოპარა და იაზონთან ერთად გაიპარა. გაქცეულ ბერძნებს ვანელებმა მღევარი ზომალდებით დაადევნეს, მაგრამ ვანელებმა დამარცხება იწვნიეს. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ მედეას ძმა, აფრასიონი, იმ შეტაკებაში დაიღუპა, რომელსაც მედეა და ვერძის ტყავი უკან უნდა დაებრუნებინა.

ბერძენმა გმირმა კი უკან, საბერძნეთში დააბრუნა უცნაური საწმისი. ეს სწორედ ის ცხვარი იყო, რომელიც დიდი ხნის წინ „შემოუგდეს“ ბერძნებმა აიეტს და მერე, ცხვრის ფარას ვინღა ჩივის, ყველაზე ძვირფასი – თავისი შვილები მოსთხოვეს სანაცვლოდ. ვერძი პირველი სუსტი ტალღა იყო იმ უზარმაზარი ტაიფუნისა, რომელსაც აიეტის უძლეველი სამეფო უნდა დაემხო. ეს ტალღა ცოტა ხნით უკან გაბრუნებულიყო, ძალას იკრეფდა და ნგრევისთვის ემზადებოდა.

ამგვარად, ვერძი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა მითში არგონავტების შესახებ. მისი სახე სერიოზულ ადგილს იკავებს როგორც ადრეულ მითოსშემოქმედთა, ისე მომდევნო პერიოდის მწერლების შემოქმედებაში. არსებობს სამეცნიერო აზრი იმის შესახებ, რომ ლაშქრობა ოქროს ვერძისათვის, სიმბოლურად, იმაგინატიურად, არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიული სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად მხოლოდ კოლხეთში იყო შემონახული. არსებობს აგრეთვე ფრიად საინტერესო აზრი იმის შესახებაც, რომ მედეა (რომლის სახელიც ასე ახლოა ჟღერადობით ტერმინ „მედიუმ“-თან) იქცა სწორედ იმ შუა რეოლად, იმ მაკავშირებლად, რომელმაც ხელი შეუწყო „ოქროს ვერძში“ განხორციელებული სულიერი კულტურის ფასეულობის კოლხეთიდან საბერძნეთში გადასვლას. და საერთოდ, „ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში გრაალი და ფილოსოფიური ქვა... ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არამედ სულიერი ინიციაციის ძიება, ღვთის ძიება, სულიერი ცნობიერების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო, როგორც ოქროს საწმისის ძიება“. (ზ. გამსახურდია „წერილები, ესსეები“. თბ. 1991, გვ. 201-203)

ასე რომ, ვერძს ოდესღაც უბრალო ერკემალს, რომელიც მითოსშემოქმედებამ კულტურული გმირის კატეგორიაში აიყვანა, ცოტა მოგვიანებით კაცობრიობის უდიდესი ღირებულების – სულიერი ინიციაციის გამოვლენების ფუნქცია დაეკისრა, რითაც საბოლოოდ გამოიკვეთა მისი, როგორც ზოომორფის როლი და დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის მხატვრული ნააზრების გარკვეულ ნაწილში.

სახელდების პრობლემა და მიჯნულების (ენის) წარმოშობის თეორიები

სახელდების პრობლემა ერთ-ერთი უძველესი პრობლემათაგანია. მიუხედავად ამისა, სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთთან დაკავშირების საფუძვლის საკითხი დღემდე წარმოადგენს ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, ენათმეცნიერების და სხვათა დისკუსიის საგანს.

ანტიკური პერიოდიდან დღემდე სახელდების პრობლემის გადაწყვეტაში ორი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: 1. კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის კანონზომიერია, სახელი განსაზღვრულია საგნის ბუნებით (თეორია ფესვი ბერძნ. *physei* „ბუნებით“) 2. სახელი შერჩეულია ადამიანთა შორის შეთანხმების გზით. მოცემული ბგერათა კომპლექსი შეიძლება ნებისმიერი შინაარსის აღმნიშვნელად იქნეს გამოყენებული (თეორია თესეი, ბერძნ. *tesei* „დაწესებით“).

ამ საკითხთან დაკავშირებით ანტიკურ პერიოდში აზრი გამოთქვეს: პერაკლიტემ, დემოკრიტემ, პროტაგორამ, ეპიკურიელმა, სტოელმა და სხვებმა. ზოლო პლატონის დიალოგ „კრატილში“ ეს პრობლემა საკმაოდ საინტერესოდ გაშუქებული. ამ დიალოგში მონაწილეობენ პერმოგენე და კრატილი. პერმოგენე „თესეის“ თეორიის მომხრეა, კრატილი „ფსეის“ თეორიისა.

პლატონი სოკრატეს სახელით არბიტრის როლში გვევლინება. იგი არ იზიარებს იმ აზრს, რომ სახელი ყოველთვის ასახავს საგნის არსს, თუმცა მოჰყავს რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგია, რომელიც დაკავშირებულია საგნის დამახასიათებელ თვისებებთან. იგი უარყოფს იმ თვალსაზრისსაც, რომლის მიხედვითაც კავშირი სახელსა და მნიშვნელობას შორის შემთხვევითია, რადგანაც თვლის, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა შორის ურთიერთობა. მისი აზრით, სიტყვის ბგერითი მხარესა და ცნებას შორის თავდაპირველად არსებობდა რაღაც შინაგანი კავშირი (ბგერითი სიმბოლიკა, ონომატოპიური პრინციპი). ასეთი თავდაპირველი სიტყვებიდან ადამიანებმა აწარმოეს სიტყვათა ისეთი სიმრავლე, რომ დღეს უკვე შეუძლებელია დავინახოთ ბგერებსა და მნიშვნელობებს შორის არსებული შინაგანი კავშირი.

სახელდების პრობლემა მნიშვნელოვან კავშირშია მეტყველების (ენის) წარმოშობის საკითხთან. „გავარკვიოთ ენის წარმოშობის საკითხი, ეს ნიშნავს, გამოვავლინოთ ის პირობები, რომლებშიც შეიძლებოდა გაჩენილიყო ენა, რომლებშიც ადამიანს შეეძლო ლაპარაკის დაწყება“ (ა. ჩიქობავა „ენათმეცნიერების შესავალი“, თბ. 1952 გვ. 122). ამ საკითხით იყვნენ დაინტერესებულნი უძველესი პერიოდშიც. ჰეროდოტეს გადმოცემით ეგვიპტის ფარაონმა ფსამეტიქმა VI საუკ. ჩვ. წ.-აღრიცხვამდე ენის წარმოშობის საკითხის გასარკვევად თურმე ასეთ ცდას მიმართა: ორი ბავშვი ისე აღზარდეს, რომ მათ არ გაუგონიათ ადამიანის მეტყველება. ბავშვები მაინც ალაპარაკდნენ და პირველად წარმოთქვეს, როგორც შემდგომში გაირკვა, ფრიგიული სიტყვა „ბეკოს“ - პური. აქედან გამომდინარე ფარაონმა ფრიგიული აღიარა უძველეს ენად, რადგანაც ამ

ენაზე ალაპარაკდნენ ბავშვები, რომლებსაც არავითარი ენა არ უსწავლიათ. მაშასადამე, ამ ენაზე უნდა ალაპარაკებულიყო ადამიანი, რომელსაც მანამდე ენა არ ჰქონდაო. რამდენად კანონზომიერია ამ ექსპერიმენტიდან გამოტანილი დასკვნა (თუკი ეს ფაქტი ნამდვილად ქეშმარიტია) ეს სხვა საკითხია, მაგრამ ეს გადმოცემა მოწმობს, რომ ენის წარმოშობის საკითხი ძვ. ბერძნებზე აღრე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ანტიტერესებდათ.

ენის წარმოშობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა აზრი. ინგლისელი ფილოსოფოსი ბ. რასელი ფიქრობს, რომ ჩვენ არ გვაქვს ფაქტები იმის დასამტკიცებლად ბგერითი ენა იყო პირველადი თუ დამწერლობა, რადგან ორივე მათგანის წარმოშობის სათავეები პრეისტორიულ ხანაშია.

გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ადამიანმა ლაპარაკი ქვესტებისა და მიმიკის საშუალებით დაიწყო, „ბგერითი მეტყველება მეორეულ მოვლენას წარმოადგენს“. ამ შეხედულების გავრცელებას ხელი შეუწყო გერმანელი ფსიქოლოგის ვუნდტის ნაშრომმა „ხალხთა ფსიქოლოგია“. ვუნდტმა პრინციპში ერთმანეთს გაუტოლა ქვესტი და ბგერა. მისი აზრით, ფუნქციის მიხედვით ქვესტები წარმოდგენებს აღნიშნავდნენ, ბგერები კი პირველად მხოლოდ გრძნობებს გამოხატავდნენ, წარმოდგენათა გადმოცემა მათ მოგვიანებით იკისრეს.

ქვესტების თეორია არაერთგზის გამხდარა კრიტიკის საგანი და დღეისათვის უკვე სახელდების საკითხის კვლევაში განვლილ ეტაპადაა მიჩნეული. „ქვესტების ენა არ შეიძლება გვერდში ამოვუყვნოთ ბგერითს ენას... თავდაპირველად ენა შეიქმნა ბგერითი მეტყველების სახით, პირველადია ა ბგერითი ენა“. (ჩიქობავა, გვ. 132). თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვესტის ენის პირველადობის თეორიას დღესაც იცავს ზოგიერთი მკვლევარი.

ქვესტების (კინეტოკური) ენის თეორიას იცავდა ნ. მარტი. მისი მსჯელობის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენდა დებულება: ადამიანურ მეტყველებას საფუძვლად უდევს ოთხი თავდაპირველი ელემენტი (სალ, ბერ, ღონ, როშ). ყველა ენა კი ამ მასალისაგან წარმოიშობა. ესელებენტიები ნ. მარტი ტომთა სახელწოდებების მიხედვით გამოჰყო: სალ-ფე-სალ-ები: ბერ-ი-ბერ-ები, ღონ-ი-ონ-ელები, რომ-რას-ენები (ეტრუსკები ოავის თავს რასებებს უწოდებდნენ). ბგერითი ენა, ნ. მარტის აზრით, „შეიქმნა კლასობრივად დიფერენცირებულ საზოგადოებაში, მისწების წრეში, მაგრამ არა როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება. ურთიერთობის საშუალება იყო ენა. პირველი სიტყვები მაგიურ საშუალებას წარმოადგენდა. სიხელდობრ, მისწების ურთიერთობის საშუალებას ტომის ტოტემთან. ტოტემთან ურთიერთობა მიზნად ისახავდა უზრუნველყო ტოტემის მხრივ ხელის შეწყობა სათანადო ტომის ადამიანთა შრომითი საქმიანობისათვის“ (ნ. მარტი, რჩ. შრ. ტ. II, გვ. 85, 129, 130).

ნ. მარტის თეორია გაკრიტიკებული და უარყოფილი იქნა 1950 წელს ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის დროს.

მეტყველების (ენის) წარმოშობის თეორიები გვიანტერესებს სახელდების საკითხთან დაკავშირებით, ენის წარმოშობის საკითხის გადაჭრა კი დამოკიდებულია მეორე მნიშვნელოვანი პრობლემის, ადამიანის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტაზე. ბიბლიის თანახმად „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაცად შექმნა ისინი“ (დაბადება 1. 27). თავდაპირველი სახელდების პრობლემის გადაჭრა ადამს ხვდა წილად. „და მიჰგვარა ადამს, რომ ენაზა რას დაარქმევდა, რომელ სულდგმოუს რას რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა (დაბადება თ.

1. მ. 19) ოლონდ უფალი გვევლინება ამ პროცესის დამკვირვებლად და ზეციურ ხელმძღვანელად (მანამდე ღმერთმა სახელები უწოდა: ღღეს, ღამეს, ცას, მიწას ზღვას).

ენის ლეთიური წარმოშობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ სენ-სიმონი, თ. პოპსი, ჯ. ლოკი და მიუთითებდნენ, რომ ურთიერთობის აუცილებლობამ აიძულა ადამიანები გამოეგონებინათ ენა და ენის წარმოშობა პირობითი შეთანხმების გზით მოხდა.

საწინააღმდეგო აზრს ანვითარებენ ბიბლიის კომენტატორები: „სახელდების ეს პირველი პროცესი არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს, არამედ სახელის ფუძე მიუთითებდა მისი მომავალი მატარებლის დამახასიათებელ თავისებურებაზე. ეს ფაქტი კი მოწმობს პირველი ადამიანის გონებრივი განვითარების შედარებით მაღალ დონეს“ (Толковая Библия. Стокгольм, 1987, გვ. 23).

ბაბილონის გოდოლის დაცემით დაიწყო ენათა აღრევა ანუ დიფერენცირება (ბაბილონი - „ბალალ“ ძვ. ებრაულად შერევის პროცესს ნიშნავს, „ბაბ-ილუს“ კი ბაბილონურ ენაზე „ღვთის კარს“) „და აღრიგეთ ენანი მათნი, რათა არა ესმოდეს კაცად-კაცადსა ენა მოყვასისა მისისა“ (დაბადება თ. XI მ. 7.), მანამდე კი კაცობრიობა ერთ საყოველთაო ენაზე საუბრობდა.

ნ. მარის აზრით, „პროტო-ქართული ანუ იაფეტური ფუძე-ენა არის ერთიანი, გლოტოგონიური ფენომენი, საერთო საფუძველი ყველა ენებისა, რომელიც წარმოიშვნენ მისგან დიფერენციაციის პროცესში“ (ა. ლოსევი, „ნიშანი, სიმბოლო, მითი, მოსკოვი, 1956).

იზიარებს რა ნ. მარის შეხედულებებს ზ. გამსახურდია ცდილობს შეუქი მოკ ფინოს ყველასათვის ცნობილ სიტყვებს იოანე ზოსიმეს თეოსოფიური მწერლობის ძეგლიდან „ქებაჲ და ღიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. „დამარხულ არს ენაჲ ქართული ღღემდე მეროდ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. „იოანე ზოსიმეს გაგებით, „ყოველი საიდუმლო“ ქართულ მოღვმაში და მის ენაში „დამარხულ არს“ ჯერ კიდევ იმ პრეისტორიული ხანიდან, როდესაც ქართული ენა იყო მოგვთა ენა, პირველადი მისტერიების ენა, ღმერთებთან ურთიერთობისათვის შექმნილი. ამიტომაც არის შემონახული მისტერიების „ყოველი საიდუმლო“ ქართულ ენაში, ქართულ კულტურაში. ამიტომ ქართული ენა ღაზარეა ყველა ენას შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე „რომელიც უყვარდა იესოს“ და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი. იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა, ისევე, როგორც საქართველო ღვთისმშობლის წილხედრილი“. (ზ. გამსახურდია, „წერილები, ესეები“, ხელოვნება, თბილისი, 1991 წ.)

წინარე ენა არის ცალკეულ სტრუქტურათა ის ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა სახითაა ტრანსფორმირებული ისტორიულად დამოწმებულ მონათესავე ენებში. ენათა ნათესაობის საკითხის გასარკვევად გამოიყენება ისტორიულ- შედარებითი მეთოდი. ენათმეცნიერების მიერ აღდგენილი წინარე ენა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ზუსტად დაემთხვეს ისტორიულად რომელიმე რეალურ ენას, მაგრამ იგი ზოგადად მაინც ასახავს იმ ენის სტრუქტურას, რომელიც შესაძლებელია თანამედროვე მონათესავე ენათა წინაპარი იყო.

ზოგიერთი მეცნიერი თავდაპირველ სიტყვებად მხოლოდ ხმაბაძვით სიტყვებს მიიჩნევს. ხმაბაძვითი თეორია ვარაუდობს, რომ საგანს სახელი ერქმეოდა იმის მიხედვით, თუ რა ხმას გამოსცემდა იგი. კავშირი სიტყვასა და მნიშვნელობას შორის

არსებითია, მოტივირებულია. ეს თეორია ჯერ კიდევ ძვ. ბერძნებმა წამოაყენეს. ა. ბაინდურაშვილი მიუთითებს, რომ ხმაბაძვის თეორია ძველად არც იმდენად პრიმიტიული იყო როგორადაც დღეს გამოჰყავთ „როგორც წესი, როდესაც ხმაბაძვის თეორიას ეხებიან, მიუთითებენ, რომ ამ თეორიის მიხედვით პირველყოფილი ადამიანის პირველი სიტყვები წარმოადგენს ამ სიტყვებით აღნიშნული საგნებისა და მოვლენების მიერ გამოცემულ ბგერების იმიტაციას, წაბაძვას და ემყარება ყველა ენაში ისეთი კატეგორიის სიტყვების არსებობის ფაქტს, როგორიცაა მაგ: ქართულში - ჭრიჭინი, გუგული, ყიყინი, შრიალი, შიშინი, კაკანი და სხვა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ფორმამ ასეთი პრიმიტიული და გულუბრყვილო სახე უფრო გვიან მიიღო და თავდაპირველად ასე გულუბრყვილოდ არ გამოიყურებოდა (ა. ბაინდურაშვილი, „სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია“, თბ. 1971, გვ. 13) და მაგალითად მოჰყავს „კრატელში“ გამოთქმული მოსაზრება, რომ „მართებული სახელი არის ის, რომელიც ცხადყოფს ჩვენთვის საგნის არსს; ასე რომ სახელები გვასწავლიან. სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელი გამოიყენება საგნისათვის და ეს სახელები ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ისინი საგნის არსს შეესატყვისებიან“.

არანაკლებ გავრცელებულია მეტყველების წარმოშობის ე.წ. შორისდებულების ანუ წამოძახილების თეორია, რომელსაც ჯერ კიდევ ეპიკურელები იცავდნენ. შორისდებულების თეორია პირველ სიტყვებად თვლის უნებლიე წამოძახილს (ძლიერი ტკივილით, შიშით, აღტაცებით ან სხვა ძლიერი განცდით გამოწვეულს). ამ წამოძახილებს უნდა გაეკვლიათ გზა დანარჩენი სიტყვების შექმნისათვის. ამ თვალსაზრისზე იდგნენ რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი, ნეოკანტიანელი ფილოსოფოსი ლ. ნუარე და სხვები.

აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული კანონზომიერი კავშირის თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ენაში მოიპოვება პიქტორალური სიტყვები ე.ი. ისეთი სიტყვები, რომლებშიც აშკარად ჩანს შესატყვისობა სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის. ამ თეორიის მოწინააღმდეგენი პიქტორალური სიტყვების არსებობას აღიარებენ, მაგრამ ანგარიშს არ უწევენ, რადგანაც მათი რაოდენობა უმნიშვნელოდ მიაჩნიათ. თანაც, დასძენენ, რომ ამ სიტყვათა უმრავლესობა გვიანდელი წარმოშობისაა და შედეგია შემდგომი ფონეტიკური ცვლილებების. ეს არგუმენტი ა. ბაინდურაშვილს საკმარისად არ მიაჩნია „თუ სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობა ენისათვის სპეციფიკური არ არის, რატომ წარიმართა ფონეტიკური ცვლილებები ამ მიმართულებით? თუ სახელის ფუნქცია მხოლოდ აღნიშვნაა და არა გამოხატვა, რატომაც, რომ თავდაპირველი, თუნდაც მხოლოდ აღმნიშვნელი ბგერათა კომპლექსი, შემდგომ გამოხატველადაც გადაიქცევა. თუ არა სახელისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის საჭიროებით, სხვანაირად მხოლოდ შემთხვევითობით ვერ ავხსნით ასეთ ფონეტიკურ ცვლილებებს“ (ა. ბაინდურაშვილი, „სახელდების ექსპერიმენტული საფუძვლები, თბ. 1971 წ. გვ. 268).

3. გერნერის მტკიცებით ბგერები არ წარმოადგენენ სიტყვების აგების მასალას, სიტყვებში ბგერების მნიშვნელობა იცვლება იმ ფუნქციონალური ურთიერთობის საფუძველზე, რომელშიც იგია ჩართული. ნიშანი მნიშვნელობას წარმომადგენლობს, საგნის გამოხატულება კი ნიშნისაგან განსხვავებით ისეთი ობიექტური წარმონაქმნია, რომელიც თავის მნიშვნელობას უშუალოდ თავის რაობაში წარმოადგენს. ენა თავისი ელერითი სუბსტანციით გამოხატავს მნიშვნელობას და ლინგვისტიკა სწორედ ამ ელერადობის გარეშე განიხილავს სიტყვებს.

სახელდების კანონზომიერი ხასიათი გამოვლინდა დ. უზნაძის, ა. ბაინდურაშვილის, ჩ. ფოქის, რ. დევისის, ირვინის, ნიულენდის და სხვათა ექსპერიმენტულ გამოკვლევებში. ამ ავტორთა გამოკვლევებმა დაადასტურეს, იმისათვის, რომ ბგერათა კომპლექსი და მნიშვნელობა ერთმანეთს დაუკავშირდეს სახელმძღვანელო ისინი ურთიერთშესაფერისად უნდა განიცადოს.

დ. უზნაძე ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნიდა „სიტყვასა და მნიშვნელობას განწყობა აშუალებს, მათ სინთეზს განწყობა უღევს საფუძვლად“, „სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ ღებულობს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ, ჩვეულებრივ, სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენათა მიმართების მონაცემ შესაფერისობას ემყარება, რომელშიც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ზედება“ (დ. უზნაძე, შრომები, ტ. 1, 1956, გვ. 25).

სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ნებისმიერი ურთიერდაკავშირების თეორია ფ. დე სოსიურის შემდეგ ენობრივი ნიშნის პრობლემას დაუკავშირდა. სახელდების პრობლემის გადაჭრის ორთავე მიმართულებას გააჩნია ნაკლოვანი მხარეები, რომელთაც ახლა ვრცლად ვერ შევხებით.

არსებობს მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული შედეგები და ენობრივი ფაქტები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ სახელდება კანონზომიერი და არა შემთხვევითი ხასიათისაა, მაგრამ ცალკეული ფონემის სიმბოლიზმის კვლევისას ენობრივი მასალების ანალიზისა და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ ორი გზით წარმოებულ კვლევის შედეგებს შორის არსებული განსვლის მიზეზი საგარაუდოა, რომ გამოწვეულია ექსპერიმენტული მეთოდის პრობლემისადმი არა რელევანტურობით. კერძოდ, ექსპერიმენტული კვლევების დროს არ არის გათვალისწინებული კოარტიკულაციის შესაძლებლობა, მარცვალში ფონემები ურთიერთზემოქმედებენ და კოარტიკულაციის ფაქტის უგულვებელყოფას არაერთარ შემთხვევაში არა აქვს ვამართლება და ექსპერიმენტული მასალის ჯეროვანი შერჩევის შედეგად შესაძლებელია მოიხსნას შეუსაბამობა კვლევის ამ ორ მიმართულებას შორის.



3000-ქართული სახელმწიფო-3000

იური ბიბილეიშვილი

ჯვრის სიმბოლიკა აჭარაში მოღვაწე მხარალთა შემოქმედებაში

*„როდესაც საქართველომ მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს
სარწმუნოება მიიღო და ახალ კულტურულ ცხოვრებაში გაერთო, ახალი
ცხოვრების პირობებმა მას ახალი კულტურული სახე მისცა“
მემედ აბაშიძე*

ქრისტიანული ჯვრის მხატვრული სიმბოლიკა ჩვენ გააზრებული გვაქვს როგორც ყოველთა ქართველთა სულიერი ერთობისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმტკიცის საფუძველი. ქართველთა უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე საქართველოს გადარჩენისა და დღევანდლობამდე მოღწევის ერთ-ერთ მთავარ ძალად ქრისტეს სარწმუნოებისადმი ერთგულებას აღიარებდა: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მართო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქეთიკრიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ჩვენი ისტორიის დასაბამიდან სასურველი ერთობა დაედგინა („აი ისტორია“).

ისტორიული ფაქტია, რომ აქარა ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში ეზიარა ქრისტიანულ ცივილიზაციას, მიიღო ქრისტეს ნათელის და პირველმა აუგო ტაძარი ქართულ მიწაზე. XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ნაშრომი „ცხოვრება ქართველ მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა უძველესი დროიდან V საუკუნემდე“ – სარწმუნოდ არის აღწერილი ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში. ანდრია პირველწოდებული „შევიდა ქუყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაქარა ეწოდების და იწყო ქადაგებად სახარებისა... ყოველნივე მოაქცევინა და მოიკანა სარწმუნოებად, რამეთუ ადგილისა, რომელსაც დასვენა ზატი ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისა... დაადგინა მღვდელნი, დიაკონნი, დაუდგა წესი და საზღაური სარწმუნოებისა და აღაშენნეს ეკლესია შეუენიერი სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღვთისა მშობლისა“. აქედან ანდრია პირველწოდებული გადავიდა სამცხეში, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში.

მკვლევარი იოსებ ბეჭირიშვილი ნაშრომში „ქრისტიანობა აჭარაში“ მრავალ საგულისხმო ფაქტს გვთავაზობს ქრისტიანული აჭარის კულტურული დაწინაურების წარმოსადგენად. მთავარი, მათ შორის, ის არის, რომ ქრისტიანობის მახარობლები და მქადაგებელნი თავიანთ სამოღვაწეოდ მხოლოდ მაღალი კულტურის, განვითარებული მეცნიერებისა და მწერლობის მხარებს ირჩევდნენ, რადგან ქრისტიანობა იმდენად მაღალი დონის წიგნური რელიგიაა, რომ მისი იდეების მისაღებად მრევლი, მეტადრე ელიტა მაინც, წიგნიერი და განათლებული უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს სწორედ ზემოთდამოწმებული ერთი ფრაგმენტი ქრისტიანობის გავრცელების ისტორიიდან:

ახლა, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურისა და მწერლობის ისტორიის შესწავლისადმი ყურადღების გამახვილება მოიტანა დრომ, ვფიქრობთ, ამ ისტორიის შესწავლით, სრულად უნდა აღსდგეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში ინტელექტუალური ცხოვრების სურათი. მაგალითად, პროფესორ რამაზ სურმანიძის გამოკვლევით დადგენილია, რომ მე-12 საუკუნის აჭარაში მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის თანამედროვე პოეტი მილისეველი, რომელმაც ზოტბა მიუძღვნა თამარ მეფეს. ის იმდენად მნიშვნელოვანი მოღვაწე ყოფილა, რომ ისტორიული თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიერ დამოწმებულ იოანე ჭიმჭიმელის ლექსში სავანგებოდ არის იგი აღნიშნული: „თამარსა მილისეველმან სფერო შეასხა შამისისი“ ე.ი. თამარი შეჭებულა, როგორც მნათობი (შამისისი - ე.ი. მზე) (რ. სურმანიძე - იშნელი, მერისელი და მილისეველი - ვინ არიან ისინი? - „აჭარა“, 27 თებერვალი, 1999 წ.).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაიბადა, აღიზარდა და ჩამოყალიბდა რუსთაველის უმცროსი თანამედროვე XIII საუკუნის ქართველი მწერალი, ასტრონომი, მოაზროვნე და საეკლესიო მოღვაწე აბუსერისძე ტბელი. ის ნიხათა (აჭარის) ერისთავთერისთავების დიდი საგვარეულო ოჯახის წევრი იყო. აბუსერისძენი XI საუკუნიდან მოცილებული აჭარის ერისთავები იყვნენ.

აბუსერისძე ტბელი ქრისტიანული იდეოლოგიის ადვოკატია, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ აბუსერისძე ტბელი არის საქართველოში „ღვთის მხედრისადმი (წმინდა გიორგი) მიძღვნილი პირველი ორიგინალური თხზულების ავტორი“ (იოსებ ზალვაში - გ. „აღორძინება“ 1 დეკემბერი, 1998 წ.). მისი რელიგიურ-ისტორიული თხზულებაა „სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძი... მოქმელისაი“. ამ ნაშრომს და მის ავტორს მაღალ შეფასებას აძლევს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე და წერს: „ის ნიჭიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალი იყო“. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ტბელის შერქმედებას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

წმინდა გიორგისადმი თავიანთი ცემა და რწმენა მისი ძლევაში სიღვთისა ქართველი ზალხის ისტორიულ ცხოვრებიდან მომდინარეობდა. წმ. გიორგის კულტი საქართველოში ეროვნული ფენომენის ტოლფასია. სწორად შენიშნავს მკვლევარი იოსებ ზალვაში: „სამშობლოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებისათვის სწრაფვის, მისთვის თავდადებისა და მსხვერპლის გაღებისათვის მუდმივი მზადყოფნის რწმენისადმი ერთგულება შეადგენს წმინდა გიორგის კულტის მთავარ შინაარსს. ასე ჰქონდა გაცნობიერებული წმინდა გიორგის კულტი ტბელ აბუსერისძესაც“ („აღორძინება“ 1 დეკემბერი 1998 წ.).

ეს იყო დიდი საქართველოს სეპტენტიერი ხანა. შემდეგ მოვიდა დიდი მტრობა, დიდი დანაკარგები. 1877 წელს ილია ჭავჭავაძე გულისტკივლით წერდა საქართველოს იმ მხარის შესახებ, რომელსაც უკვე „ოსმალის საქართველო“ ერქვა. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღფრთოვანდა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქევნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულობის აკვანი და იგივეა სამარცხ ჩვენი ყოფილის ადამიანობისა“ (ილ. ჭავჭავაძე - თხზ. თბ. 1957 წ. გვ. 31).

„ამ ჩვენი სულის ძლიერების აკვანში“ სამსი წლის მანძილზე აჭარაში თითქმის ჩაკედა ინტელექტუალური ცხოვრება. მიუხედავად ამისა, როგორც პროფესორმა რამაზ სურმანიძემ გამოიკვლია, ზალხის ისტორიულ მესხიერებას შინაც შემორჩა

სახელი და საქმენი მოღვაწისა, რომელიც ისტორიაში ცნობილია მარკოზ აქარელის სახელით. იგი XVII საუკუნეში მოღვაწეობდა როგორც გადამწერი და მღვდელმონაზონი. მარკოზ აქარელი დაახლოებული იყო ქართლის მეფის როსტომის №1632-1658) კარზე. მეფის მეუღლე მარიამ დაუღალავად იღვწოდა მწიგნობრობისა და მხატვრობის განვითარებისათვის. მარიამ დედოფლის დავალებითა და ხელშეწყობით მარკოზმა გადაწერა პაგიოგრაფიული და აპოკრიფული თხზულებათა კრებული. სასწაული იოანე ღვთისმეტყველისა და მახარებლისა, ცხოვრებაში „შიშველ-მართალთა, ალექსის კაცისა ღვთისა, დედისა თეოდორიასი, მარიამისა, ეფროსინესი, სინანული ტასიასი, წამება წმინდა ეკატერინესი და სხვა. პროფ. რამაზ სურმანიძე თვლის, რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ მესამე გადამწერი მარკოზ აქარელი უნდა იყოს.

სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ ქართველობა დიდხანს იცავდა წინაპართა ქრისტიანულ ტრადიციებს, ქრისტეს ნათელს, ტაძრებს და მონასტრებს. ეს ისტორიულად კანონზომიერი მოვლენა იყო. ხალხს, რომელმაც 1200 წლის მანძილზე ატარა ქრისტიანული სარწმუნოება, არ შეიძლება ერთბაშად დაეთმო იგი. ამის შესახებ საინტერესო მასალებს იცნობს ქართული ისტორიოგრაფია. მიუხედავად ამისა, დღესაც არ წყდება ამ მიმართებით მეცნიერული კვლევა-ძიება. ამაზე მეტყველებს პროფ. რამაზ სურმანიძის უახლესი გამოკვლევები და განსაკუთრებით წერილი „ლომსანიძე და ეფფრატელი“ („აქარა“ 20 მარტი, 1999 წ.) ვრცელი ექსკურსის შემდეგ მკვლევარი დაასკვნის რომ მრავალი ისტორიული საბუთით დასტურდება, რომ „მაჭახლის ხეობის სოფელ ეფფრატში“ არსებობდა დიდი საეკლესიო ცენტრი, სადაც მოღვაწეობდა ჩვენთვის დღემდე უცნობი პიროვნება სვიმონ გიორგის ძე ეფფრატელი. რომელმაც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე გაბრიელ ლომსანიძესა და ამბროსი კარგარეიშვილთან ერთად დაწერა 960 ფურცლიანი „გულანი“ და მათთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა ქართულ ასკეტიკურ-პოპოლექტიკური და ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის „შექმნაში“.

ამრიგად, უცხო ძალით დათრგუნულ აქარაში აქა-იქ კვლავ ინარჩუნებდა სიციცხლეს ქართული ეკლესია და ქართული სიტყვა. დევნა-შევიწროვებასა და მონობაშიც მშობლიური ქართული სიტყვისადმი ერთგულება აქარელი კაცის ცხოვრების ურყევი წესი და უმაღლესი ზნეობრივი პრინციპი იყო. ამ თვალსაზრისით ვაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მაჰმადიანური რელიგიის სამსახურში მყოფი ჩვენებურები ტრადიციულად ერთგულობდნენ ქართულ ენას და, შესაბამისად, ქართულ ცნობიერებას. „ბევრი ქართველი მუსლიმანი, – წერდა ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი, – ცდილობდა გადაერჩინა ქართული ენა და იგი შთამომავლობისათვის შეუღალავად გადაეღოდა. XIX ს. დასაწყისში ერთ-ერთი ქართველი ხოჯა ისმაილ ეფენდი ხალიფაშვილი ყოველნაირად ცდილობდა, რომ მედრესეებში და ჯამეებში ყურანის კითხვა და სწავლება ქართულ ენაზე მაინც ყოფილიყო. მართლაც, აქ ერთ ხანს სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით ხოჯებმა ქართულად სწავლება შეწყვიტეს („ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათ. 1948 წ. გვ. 53).

ანალოგიურ ფაქტს ასახელებს ზაქარია ქიქინაძეც: „ზოგიერთი ჩვენებურები უკმ დღეებს ინახავდნენ, მაგალითად, 20 ივლისს. ეს იყო წმინდაელიაობა. ერთ ალაგას აქაური ხოჯა იყო, გვარად კობალაძე და მან თქვა: ვინც დღეს იმუშავებს, იმას ყანა ვაუხმებია. ხოჯა კობალაძე მოითხოვდა სკოლის გახსნას ქობულეთში და

თვითონ აცხადებდა – მეც შევისწავლიდი ქართულს, ბიბლიას და სახარებას. არაბულად კითხულობთ და უკეთესი იქნება, რომ ქართულად წავიკითხოთო“.

სრულიად ახალი ისტორიული ვითარება წარმოიქმნა დედასაქართველოსთან აჭარის სამუდამოდ დაბრუნების შემდეგ. აჭარა მშობლიურ გარემოში აღმოჩნდა, მაგრამ მოსახლეობის მასობრივი ცნობიერება დიდხანს საჭიროებდა მემედ-ბეგ აბაშიძის, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა და მათი თანამებრძოლების წინამძღოლობას და საბედნიეროდ, მათ ეს ისტორიული მისია წარმატებით შესარულეს. ისინი დაბეჭდვითი შთაგონებდნენ მასებს, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ქრისტიანულ საქართველოსთან ერთობაშია, რომ ეროვნება მაღლა დგას სარწმუნოებაზე, რომ ეროვნება სხვაა და სარწმუნოება სხვა. ყოველივე ამას კი ქართველთა სულიერი ერთობა უნდა მოეტანა.

ქრისტიანული ჯვრის, როგორც ქართველთა ეროვნული სულის გადამრჩენელი ძალის, დაფასების საუკეთესო ნიმუშებია მოცემული ქართულ პუბლიცისტიკაში. აჭარაში მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მას ახალი იმპულსი შესძინა მემედ აბაშიძის მოღვაწეობამ. მემედ აბაშიძემ, როგორც ილია ჭავჭავაძის სულიერმა მემკვიდრემ, დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში პირველმა წამოაყენა იდეა სარწმუნოებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების შესახებ. პირველმა თქვა: „როდესაც საქართველომ მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს სარწმუნოება მიიღო და ახალ კულტურულ ცხოვრებაში გაერთო, ახალი ცხოვრების პირობებმა მას ახალი კულტურული სახე მისცა“. მემედ აბაშიძე ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით ლაპარაკობდა გაქირავების ჟამს მაჰმადიანი ძმებისადმი ქრისტიანთა მზრუნველობის შესახებ. „მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებულობისა, – წერდა მემედ აბაშიძე, – საერთო უბედურების დროს, თავის დედა-ქვეყნის შვილებს, მაჰმადიან ძმებს დიდიან პატარამდე ქრისტიანმა ქართველობამ მშური ნუგეშის ხელი გაუწოდა და შეძლებისდაგვარად შესაფერისი დახმარება აღმოუჩინა... ჩვენამდე მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების. განა შესაძლებელია დაიფასოს შობილმა მშობლის ამაგი და მზრუნველობა? შეუძლებელია. შვილი მშობლის ამაგსა და მზრუნველობას ვერ დააფასებს, ვერ გადაიხდის იმ დრომდე, ვიდრე ის თავის შვილს არ გაუწევს მსგავს მზრუნველობას. ასე, ჩვენც მხოლოდ ამისთანა პირობებით შევძლებთ დაფასებას, როცა ჩვენს მომავალ თაობას გაუწევთ იმგვარ ამაგსა და მზრუნველობას, როგორც გაგვიწიეს ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა“.

მემედ აბაშიძის ტრადიცია გრძელდება დღევანდელ აჭარაში. იგი ორი მიმართულებით ვითარდება: 1. აღორძინებას განიცდის ქრისტიანული საკულტო დაწესებულებები აჭარაში და 2. მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები ახალი შინაარსით ავსებენ და ამდიდრებენ ქრისტიანული ჯვრისა და სარწმუნოების ეროვნულ ღირებულებას. დავიწყოთ პირველი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო 7 წლის მანძილზე (1993-1999 წ.წ.) აშენდა, ან განახლდა და ამოქმედდა 27 ეკლესია-მონასტერი.

ამჟამად შენდება ახალი ქრისტიანული ეკლესიები და მალე შეიღებოს მრევლი მათ კარებს ხულოში-ხარების, ხელგაჩაურში – წმ. ეკატერინეს, ქობულეთში – წმ. გიორგის სახელობის და თეთროსნის ტაძრებში.

ბათუმის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარიაში სწავლობს 105 სტუდენტი. ხულოს წმ. ანდრი პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებელში 356 სტუდენტი. იქვე აბუსერიძე ტბელის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში 24 მოსწავლე ირიცხება. იმავე კომპლექსში არის საშუალო

სკოლა, სადაც 108 მოსწავლე ეუფლება საღვთო სჯულს.

ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში სწავლობს 475 მოსწავლე.

ამრიგად, ქრისტიანული წესი ცხოვრებისა და აზროვნებისა მყარად მკვირვდება დემოკრატიულ აჭარაში. იგი არ უპირისპირდება სხვა რელიგიებს. მათი თანაარსებობა ცივილიზებული ცხოვრების წესით რეგულირდება. ამასთან, არ შეგვიძლია აქვე ერთ ფრიად საინტერესო ფაქტზეც არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ეს იყო 1995 წლის იანვარში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეზე ბატონ ასლან აბაშიძეზე მორიგი ტერიტორიული აქტის ორგანიზატორმა რეციდივისტმა დ. ასანიძემ ალყაში მოაქცია ასლან აბაშიძის დაცვის უფროსის ოჯახი იმ მიზნით, რომ დაცვის უფროსის ხელშეწყობით განეხორციელებინა დაგეგმილი ავი ზრახვები.

5 იანვარს დაიწყო ეს პროცესი. იმავე დღეს ტერორისტები თავად მოაქციეს ალყაში სამთავრობო ძალებმა. 6 იანვარს უკიდვრესად დაიძაბა სიტუაცია. საკმარისი იყო ერთი გაუფრთხილებელი ან წინდაუხედავი ნაბიჯი რომელიმე მხრიდან და საბედისწეროდ აგორდებოდა სისხლის ტალღა. 7 იანვარს, დილით, შობის დღეს, ასლან აბაშიძე თავისი ოჯახის წევრებისა და თანამოაზრეთა თანხლებით ეწვია ქრისტიანულ ტაძარს, ანთო სანთლები და შეევედრა ღმერთს – ნუ დაიღვრება სისხლი ნურც აქეთ, ნურც იქით... იმავე დღეს, საღამოთი ტერორისტებმა დაყარეს იარაღი და ჩაბარდნენ ხელისუფლებას.

ეს იშვიათი მოვლენაა. თანდათან რეალური ხდება უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შეფასება აჭარაში ქრისტიანული მოძრაობის აღმავლობის შესახებ – აჭარა მოაქცევს სრულიად საქართველოს.

ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა შორის სულიერი ერთობის აღდგენის მთავარ საშუალებად მემედ აბაშიძე აღზრდას და განათლებას მიიჩნევდა 1916 წელს სარწმუნოებრივ განსხაგებულობის საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობოდა. ამასთან დაკავშირებით წერილში „გაზეთი „თანამედროვე აზრი“ და სამაჰმადიანო საქართველო“ მემედ აბაშიძე წერდა: „სამაჰმადიანო საქართველოს ერთმა ნაწილმა თუ სთქვა „მე ქარაველი არ ვარ და თურქი ვარო“, ეს მათს შეუუვნებლობას უნდა მივაწეროთ და ჩვენი მშობლიური მზრუნველობა არ უნდა მოვაკლოთ. უნდა შევიტანოთ მათში ეროვნული თვითშეგნება და მეტყუელობა“.

„ეროვნული თვითშეგნებისა და მეტყუელების,, დანერგვისათვის ხალხში მემედ აბაშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ცოდნის გავრცელებას. „უნდა შევასწავლოთ სამშობლო ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა და გეოგრაფია, წერდა მემედ აბაშიძე,–უნდა შევქმნათ ისინი ჩვენი ქვეყნის ღვიძლ შვილებად და ქირში და ღვინში გამოვიყვანოთ,, ამავე იდეას ანვითარებს მემედ აბაშიძე წერილში „დედანა,, და სამაჰმადიანო საქართველო,, ამავე იდეას ემსახურება ფრიდონ ხალვაშის პროზაული ნაწარმოებები და განსაკუთრებით რომანი „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი,,. მწერალი თვლის, რომ აღზრდისა და სწავლების მეშვეობით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ თურქეთის საქართველოშიც მოქმედი მაჰმადიანობა შეიძლება ჩავაყნოთ საქართველოს სამსახურში.მე პირადად ადამიანურად მწამს ამ იდეის სიცოცხლისუნარიანობა. დღეს ჩვენი სამხედრო ძალით ერთ გოჯ მიწას ვერ დავიბრუნებთ, ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებით დღევანდელი საქართველო ვერ შესძლებს ისტორიული საზღვრების აღდგენას. ამიტომ, ახლა მეტად უნდა

ვენდოთ სახალხო დიპლომატიას. ერთმა ჩვენებურმა, სტუმრად რომ მეწვია, ჩემს კითხვაზე: „როდის გვეღირსება თქვენი დაბრუნება დედასაქართველოში?–გაიღიმა და მიპასუხა–ჩვენ ახლაც ქართულ მიწაზე ვცხოვრობთ, ოღონდ გვაკლია ქართული „დედენა“, ქართული სკოლა, ქართული რადიო და ტელევიზია. თქვენ გადმოსწიეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ჩვენც ერთად ვიქნებითო..“

ამ ორი პირობიდან დღევანდელ საქართველოს საზღვრის საკითხის დასმა ნამდვილად არ შეიძლება, მაგრამ ქართული სიტყვისა და ქართული სკოლის, რადიოთი და ტელევიზიით მისვლა ჩვენებურებთან, ალბათ შესაძლებელია.

მეშველ აბაშიძის ტრადიციებს პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში აგრძელებენ და ამდიდრებენ პარმენ რურუა, პარმენ ლორია, ნესტორ მაღაზონია, იუსუფ ფაღავა, ფრიდონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი. მამია ვარშანიძე, ნანა გვარიშვილი, ჯემალ ქათამაძე, რამაზ სურმანიძე, ზურაბ გორგილაძე, შოთა ზოიძე, თეიმურაზ კომახიძე, შუშანა ფუტყარაძე, დავით თედორაძე, ამირან ხაბაზი, ეუფუნა ხაჩიშვილი და სხვ.მათ შემოქმედებაში ხაზგასმულად არის წინა პლანზე წამოწეული ეროვნული პრობლემატიკა. სიტყვამ მოიტანა და უნდა შევნიშნოთ, რომ ეროვნულ მოტივებს აჭარაში მოღვაწე მწერლები თითქმის დედის რძესთან ერთად ითვისებენ. *იმ დროს, მსედველობაში გვაქვს ცნობილი სამოცდაათწლიანი საბჭოთა პერიოდი, როცა სახელმწიფო დოქტრინის ხარისხში იყო წარმოდგენილი სოციალური მოტივები, ხოლო ეროვნული პრობლემატიკა მეორე მესამე რიგში იყო გადაწველებული, აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებაში მაშინაც წინა პლანზე იყო წამოწეული ეროვნული მოტივები* დღეს კიდევ მითუმეტეს. ამაზე მეტყველებს ჯვრის სიმბოლიკის მხატვრული გააზრება, რომელშიც ჩვენი წარსული და თანამედროვე ტკივილები ხშიანობს.

დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ფართო მოსახლეობის ეროვნული ცნობიერება მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. სამასი წლის გაუცხოებას უკვალოდ არ ჩაუვლია, არანაკლები ძალის ბოროტება აღმოჩნდა მუჰაჯირული მოძრაობა, რასაც ავი ზრახვებით აძლიერებდა მეფის რუსეთის სატრაპები, ყოველივე ეს ქართველ პატრიოტებს დიდი სიფრთხილით, მოთმინებითა და წინდახედულ მოღვაწეობას ავალბებდა. ეს კარგად ჩანს მეშველ აბაშიძის, ჰაიდარ აბაშიძისა და მათი მომდევნო თაობის მწერლებისა და პუბლიცისტების მოღვაწეობიდან.

პარმენ რურუა და ნესტორ მაღაზონია სარწმუნეობრივ მოტივებზე მხოლოდ მინიშნებებით ლაპარაკობდნენ და აქცენტი გადაჰქონდათ ხალხის თავდადებაზე ქართველობის შესანარჩუნებლად. იყო რისხვა და სისხლის ღვრა ქართული ტრადიციების დაცვისათვის. მტერი არ ცხრებოდა, მაგრამ ხალხი კი სულით ვერ დაამონეს, ქართული ტრადიციები ვერ ჩაკლეს. ამ მომენტებს წამოსწევს წინ პარმენ რურუა ლექსში „ვაზი ისევ ახელს თვალებს“.

„მზეჩაუქრობ აჭარაში

ვაზი ისევ ახელს თვალებს,

სიხარულის ცრემლი დასდის

ამდენი ხნის ნაფერმკრთალებს.

ვამაყობ, რომ ტურტა მხარე

მტერმა ძალით ვერ მოხარა,

ვერ გატეხა ქართველები

და ფუძიდან ვერ მოთხარა.“

ასევე ღირსეულს მიუზღავს პოეტი ნესტორ მალაზონია თავის ხალხს იმისათვის, რომ მტერმა იგი ვერ დაამონა:

„უღელდნენ ბარელს და მთიელსაც
მხეცთა ველური ურდონი
ჭოროხს სხვა ფერი მიეცა,
შიგ სისხლი იყო იმდენი,
მაგრამ არ გახდნენ მონებად,
თუმცა სულს ტანჯვით ლაფავდნენ,
მათი კვნესა და გოდება
ქარებს მიჰქონდა ქართლამდე.“

ქრისტიანული ჯვრის სიმბოლიკის მხატვრული გააზრებით ფართო შინაარსის ეროვნული პრობლემები წამოჭრა და გადაწყვიტა მწერალმა იუსუფ ფალავა თავის არაერთ რომანში. მწერალი ქრისტიანულად აზროვნებს და ორიენტირდება ეროვნულ პრობლემატიკაში ქრისტიანული ორიენტაცია აქვს შემუშავებული.

ეროვნული კერის საიმედო ბურჯად იუსუფ ფალავა სამართლიანად სახავს ჩვეულებრივ რიგით მშრომელ ადამიანს. ასეთ ადამიანს რომანში განასახიერებს გიორგი გობრონიძე. გადაგვარებული ბეგის რისხვას გიორგი არ შეუშინდა და საჯაროდ განაცხადა: „ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენ. ქრისტეს ჯვრის და მამულის დასაცავად ბევრი სისხლიც დაღვრილია. ჩვენ რომ ქართველობაზე ხელი ავიღოთ და ისლამი მივიღოთ, ეს იმას ნიშნავს ნამუსი ფეხქვეშ გავთელოთ... წინაპრების ძეგლები დაგვწყველიან: მიწა არ მიგვიღებს,... გლეხკაცი გიორგი გობრონიძის ღრმა ჩწმენით, „ნამდვილი ქართველი მამულსა და ქრისტეს არ უღალატებს... ამ სიტყვებისათვის საქართველოს მტრებმა გიორგი გობრონიძეს თავი მოჰკვეთეს. მამის სისხლისათვის შურისძიების გრძნობამ ნოდარ გობრონიძე ფირალად აქცია. მისმა სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა და გობრონიძეების კერა ისევ გათბა. ამ მხატვრულ მეტაფორაში გაცოცხლებულია იდეა აჭარაში ეროვნული სულისკვეთების უკვდავებისა. მთელი აჭარა მწერალს ჩაუმჭრალ კერად აქვს წარმოდგენილი.

იუსუფ ფალავა იშვიათ ზომიერებას იჩენს ისტორიული სინამდვილის გააზრებასა და მხატვრულ ასახვაში. ამის დადასტურებას წარმოადგენს მისი ყველა რომანი, განსაკუთრებით კი „ჩაუმჭრალ კერა“, იმ დროს, როცა ქართულ მწერლობაში თავადიშვილი აუცილებლად ეროვნული საქმისაგან ან განდგომის ან მოღალატის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (ამის კლასიკურ ნიმუშად გვესახება მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“). იუსუფ ფალავა კარგი თავადიშვილების სახეებსაც ხატავდა. „ჩაუმჭრალ კერაში“ თავადი დარისპან შერვაშიძე ქრისტიანობისა და ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგას. მწერალი მას ასე ალაპარაკებს: „თუ დავიღუპები, დავიღუპო, მტერს როგორ ვაფიქრებინო თავად შეშინდა და ჩემთან ვერ მოხედო. ხალხის საქმე მოგვარდეს ოღონდ და მე რაც დამემართება, დამემართოს...“

რომანი „ქედუხრელნი“, ორიგინალური პოზიციიდან ასახავს ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული თვითშეგნებისათვის მებრძოლ გმირთა სახე-ხასიათებს. თუ „ჩაუმჭრალ კერაში“, ამ ბრძოლას ეროვნული სარწმუნოების-ქრისტიანობის პოზიციაზე მტკიცედ დარჩენილი გობრონიძეები ეწვეიან, „ქედუხრელნი“ რჯულშეცვლილი ნუგზარ ავალიანი განაგრძობს ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ,

ეკლესიის კართან მისული აჭარელი ნუგზარ ავალიანი კითხვაზე „ლოცვა იცი, ამაწვილო,?–მიუგებს: „რჯული შემიცვალეს, თორემ,... ეს ახალი სახეა. ფორმალურად რჯულშეცვლილი ჭაბუკი კვლავ განაგრძობს ქართველობას. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესო სახეა ვამეხ ფაშის მეუღლის-მარიამის მხატვრული სახე. ის ისევე ქრისტიანულად განაგრძობს ლოცვას და ღმერთს ყოველთვის შვილების კეთილდღეობასა და ქმრის ქრისტიანობისაკენ მობრუნებას ევედრება.

მწერალი ერთგული რჩება თავისი საზოგადო კონცეფციისა, რომლის მიხედვით სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა საყოველთაო სახალხო საქმეა. ამ საქმეში ერთად იბრძვიან გლეხი და ბეგი. რომანში „ქედუხრელნი,, დამაჩერებლად არის წარმოდგენილი ბეგი როდამის სახე. იგი ქვეყნისათვის ეროვნული სულის მატარებელი და ანტიოსმალური მოძრაობის თავკაცია.

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ძნელი საქმეა. ყველას არ შეუძლია ამ ბრძოლაში მაქსიმალურად გაიხსნას და გამოვლინდეს. მწერალი იუხსუფ ფაღავა კი თითქმის აქებებს თავის მკითხველს და „ქედუხრელნი,, გვიჩვენებს, რომ ავბედობასთან ბრძოლა ყველას შეუძლია, ვისაც თავმოყვარეობა და მტკიცე ნებისყოფა გააჩნია.

ჯვრის სიმბოლიკა მრავალმხრივ და მრავალფეროვნად არის ასახული ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში (პუბლიცისტიკა, პროზა, პოეზია). პუბლიცისტიკაში ფრიდონ ხალვაში შემოქმედებითად ანვითარებს მემედ აბაშიძის ტრადიციებს.

ფრიდონ ხალვაშის პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეროვნულ პრობლემატიკას, აჭარის ისტორიული წარსულიდან მომდინარე ტკივილიან ფიქრებს. ამ პრობლემებს შორის განსაკუთრებული სიმწვავეით სარწმუნოებრივი თემა გამოირჩევა. ეს ურთულესი და უსათუთესი თემაა, რასაც ფრთხილად მოპყრობა ეგების. პუბლიცისტი ფრიდონ ხალვაშიც სიფრთხილით ეკიდება მას და მკითხველს დინჯი და დახვეწილი ტონით შეახსენებს ისტორიას წერილში „რწმენა არსებულისა თუ რწმენა არარსებულისა,, რომელშიც ნათქვამია:

„ძველ ტაძართა შენებაში წინაპარმა მთელი თავისი სული, გენია და ეროვნული სიყვარული ჩადო. მაგალითად, სხალთის ტაძარს მარტო სამლოცველოდ როდი აშენებდა. იგი ეროვნულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. იქ ითარგმნებოდა და იწერებოდა წიგნი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ საერო, ე. ი. სამეცნიერო, მხატვრული, პედაგოგიური.

მეთორმეტე საუკუნემ, სხვა უკვდავ ქართულ სიდიადეთა შორის, აჭარიდან ისტორიას მისცა ისეთი მრავალმხრივი მეცნიერი და მწერალი, როგორიც ტბელ აბუსერისძე-ამისი იყო სხალთა, მისი იყო ხიზანი, დიხა, ტბელი სასულიერო მოღვაწე იყო, მაგრამ იგი ქრისტიანობის პროპაგანდაში კი არ ზარჯავდა მთელ ნიჭს, - ერის კულტურული ამაღლებისათვის, მეცნიერებისა და მწერლობის განვითარებისათვის იღწვოდა,, შემდეგ პუბლიცისტი თანამედროვე ისტორიულ რეალობას ეხება და აღნიშნავს, რომ „მემედ აბაშიძე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს,, რედაქტორობდა,, მემედი თავისი დროის პროგრესული პიროვნება იყო და იცოდა, რას აკეთებდა. ქართულ ენაზე აღნიშნული გაზეთის ბეჭდვასთან ერთად იგი ცდილობდა მორწმუნე მუსლიმანი თანამემამულეებისათვის „ყურანიც,, ჩვენს ენაზე გამოეცა, მაგრამ ეს როგორ გახდებოდა, წარმოიდგინეთ, ამისათვის კი, მემედს ისლამური სამყაროს მაშინდელი ლიდერები და მათი აგენტები ამიერკავკასიაში წყევლა-კრულვით, შეჩვენებით, მუქარით სიცოცხლეს უწამლავდნენ“.

ფრიდონ ხალვაში შექმნილ ვითარებაში ყველა რელიგიაზე მაღლა აყენებს მშობლიურ ქართულ ენას და ეს მისი დიდი დამსახურებაა. ის წერს: „მე ყოველთვის იმით მომწონს თავი, რომ თუ წარსულში ბევრი რამ წამართვეს, ყველაზე დიდი სიმდიდრე, ეროვნულობის ნიშანი და ერთადერთი ჩემი რელიგია - ენა ქართული არ დამიკარგავს...“

ენისა და სარწმუნოების, ენისა და ეროვნების ურთიერთდამოკიდებულებას და ენის უზენაესობას ყოველმხრივ იცავს წერილში „ჩემო აჭარავ“, („ლიტერატურული საქართველო“, 23 დეკემბერი, 1988 წ.). მწერალი მკითხველს წარმოუდგენს ტრაგიკულ სამსახუროვანი ისტორიის დეტალებს, რომელშიც ვლინდება აჭარის მკვიდრთა თავდადება ეროვნული მრწამსისადმი. წერილში ნათქვამია: „ათასოთხას წელიწადს წმინდა ერთგულებით ატარებდი ქრისტიანობის მაღალ დროშას და სხვა მომიგნავე უგანათლებულეს, უძველეს ქართულ მხარეებთან ერთად, წინ მიუძღოდი ჩვენს ცივილიზაციას.“

ვინაც შეძლო და მოასწრო, აიყარა მამა-პაპათა ცრემლით მორწყული ალაგებიდან, რომ რწმენა წმინდა მოძღვრებისა, რაც მისი ეროვნული მრწამსის სიმკაცრედ იქცა, შეენარჩუნებინა, სხვა ქართულ კუთხეებში გადაიხვეწა.

ნახევარზე მეტი მოსახლეობა მაშინდელი აჭარისა ასე წავიდა. ხოლო ვინც დარჩა, ძალით, წამებით აზიარეს უცხო, დამპყრობელ რელიგიას,...

ამ სათუთ თემას ისევ მიუბრუნდა ფრიდონ ხალვაში ქურნალისტ მ. მათიაშვილთან საუბარში, რომელიც გაზეთ „აჭარის“, 2000 წლის 26 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა და თქვა: *„ჩემმა კუთხემ ისეთი ისტორია გამოიარა, რომ ტკივილი და ცრემლი გენეტიკურად გადმოინერვა ჩემშიც, ადრე შედრესშიც დავლიოდი, მაგრამ უცხო რელიგია დარჩა ჩვენი ქართული სულისათვის, ენისათვის, ვერ შევეთვისე. ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი სკოლის აღმზრდელი ქრისტიანობაა ჩვენ ასეთი მწერლობის შეილება ვართ.“*

ფრიდონ ხალვაშმა რჯულის სისმბოლიკა ფართოდ ასახა თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც (პროზა, პოეზია, დრამატურგია).

ფრიდონ ხალვაშის რომანი „ჩემი და შენი“, ეროვნული სულისკვეთებით ზრდის მკითხველს. იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში იწერებოდა და პირველ რიგში მაშინდელ ჭირვარას დასტრიალებს რომანის მთავარი გმირის ხალილის საფიქრალი. მაგრამ მწერალი თავის გმირს, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული ტრადიციებიდან მომდინარეს გვიხატავს. რომანის გმირის შეგნება სამშობლოს ისტორიის წიაღიდან მოდის. ამიტომ ფრიდონ ხალვაში ფართოდ მიმართავს ისტორიულ ასპექტებს და ხაზგასმულად ლაპარაკობს იმ ძალაზე, რომელიც ყოველთვის ასაზრდოებდა ქართველი მამულიშვილის ცნობიერებას. ეს ძალა, მწერლის წარმოდგენით, ქრისტიანული სარწმუნოება იყო და არის. ამის უფულებელყოფა დღეს ისევე ზიანის მომტანია, როგორც თავის დროზე ტაძრების მასობრივი ნგრევა-დარბევა იყო. რომანის გმირი კი სწორ პოზიციაზე დგას და ამბობს: „პირველი ეკლესია პირველმა ქრისტიანებმა სწორედ აჭარაში ააგეს...“ ამ ცოდნიდან მომდინარე შეგნების პოზიციებიდან აფასებს რომანის გმირი ურთიერთობებსაც ადამიანებთან. ამ მხრივ მრავლისმთქმელია ეპიზოდები ურთიერთობისა ბასკ გოგონასთან: „კვლავ გადამწერდა პირველს. მეგონა შიგნიდან ვნაიდებოდი, იმნაირი იყო ის გულმადლიანი ბასკი გოგო. ტკივილი სულ დამავიწყდა. იყო სუფთა, ღრმა, უებარი იყო ციური ალერსი, მეგონა ოდესღაც წართმეულ ქრისტეს რწმენაში აღმადგინა, ჩემს უძველეს ტაო-კლარჯეთში დანგრეული

ტადრები კვლავ აღმიშენა, ყველა დაკარგული ერის შვილი აღმიდგინა და არა მარტო ჩემი თავი, მორჩენილ-გამთელელები, ერთიანი მამულიც სამარადისო მოსაველეად ჩამაბარა-მეთქი.“

ქრისტიანული მოტივის სიუხვით გამოირჩევა ფრიდონ ხალვაშის რომანი „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, რომანის მთავარი გმირი შუქრი შავაძე ეროვნული ცნობიერებით გამსჭვალული პოეტი და მწიგნობარია. იგი აზროვნებს ისტორიული კატეგორიებით, ყველაფერში ზოგადქართულის კვალსა და ნიშანს ეძებს და კითხულობს. მისი სიტყვებია: „აჭარაში, ზემომთის სოფლებში ახლაც ბლომად იპოვება უძველესი ვერცხლის ქართული, ქრისტიანული ნაკეთობები, სამკაულები და საოჯახო ჭურჭლის სახმარი ნივთები...“

სევედისა და სინანულის გრძნობებით ხატავს მწერალი რელიგიაშეცვლილი მესხი და აჭარელი მეგობრების ლოცვის ეპიზოდს: „დგას ორი ქართველი-მესხი და აჭარელი შოთას, ტბელის და სხვა უკვდავთა ახლობელთა მიწათა შვილნი, ნათესავნი იმ სულმნათთა ოპიზრის, ხანძთის, სხალთის, ტბეთის, შატბერდის აღმაშენებელნი, ვაზის ჯვრის პირველნაზიარებნი, ერთგულნი, ბოლოს იმ ჭირთა მიერ იავარქმნილნი, მოუდრეკელნი, მაგრამ უღმობელი, გაუთავებელი, უსაშველო დაწოლია მანც გაბზარულ-გატეხილნი, სულში, პირში, ხახაში დამპყრობლის რელიგიაჩაჩრილნი... დგას ორი ძველი ქართველი და თავის მშობლიურ სალოცავზე ზურგმეკცეული და იმუხლება...“

მწერალი ფრიდონ ხალვაში მშობლიური რუდუნებით დასტრიალებს მისი ხალხის სულის მოძრაობის ისტორიას და შენიშნავს: „გამუსლიმანებულმა ჩვენებურმა ჯვარი მანც ვერ დაივიწყა. ხეს ხეწავს, ძაფით ქსოვს თუ ჭადს აკრავს, ყოველთვის ნახატ-ნახაზებში, სტიქიურად ჩახლართულ ფიგურებში შემაჯამებელი, გამაერთიანებელი ცენტრალური მანც ჯვარია,“ („წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“).

ჯვრის სიმბოლიკის პოეტური სახეები შექმნა ფრიდონ ხალვაშმა ათეულობით ლირიკულ ლექსში. პოეტის წარმოსახვაში ეს თემა ვარიაციებით გამოირჩევა. ჯვარი და ტაძარი, ვაზი და ღვინო, ნატაძრალი და ნამონასტრევი ქმნის ერთიან პოეტურ სამყაროს, სადაც ქართველი კაცის ნამდვილი ცხოვრება იხატება. ნამდვილი ქართული ხასიათის ბეჭედი აზის ლექსს, რომლის გმირს, მართალია სხვა სარწმუნოებრივ სივრცეში უხდება ცხოვრება, მაგრამ ბოლომდე ეროვნული ტრადიციების ურყევ ერთგულად რჩება. მის ოჯახში კვლავაც ცხვება „ვეზერთელა მჭადი, (ზაფხულივით ცხელი,) ზედ რომ ჯვარი ჩანდა (დღეაჩემის ხელით,“ ასევე ტრადიციების ერთგულმად რჩებიან ჩუქურთმის მჭრელები, რომლებიც მიიწვიეს „დაქცეულ ეკლესიასთან (ყირილით, კვნესით, ხველებით). უთხრეს ქ. ჯამე იქნება, ალაპი რასაც ელოდა, ამ წმინდა სამლოცველოსთვის) გვჭირია თქვენი ხელობა“.

„ერთურთს უსიტყვოდ გახედეს,
მერე კი, შეუჩერებლივ
მეჩეთში საჭრეთელებით
ჩადგნენ ჩუქურთმისმჭრელები.
ლურჯ გრეხილებში თბებოდა
ჭერის ცრეცილი ეთერი,
ხაზი სიმივით მღეროდა
კედელში გამოკვეთილი.
სული ჩაუდგეს მოხვეწილ

ხეს ხელის ერთი შევლებით.

სვეტებს მუხლებზე მოხვეს

ვაზი და მწიფე მტევნები,,

ჯვრის სიმბოლიკის ვარიაციულ მრავალსახეობას გვითხულობთ ლექსებში „ჩიხანის ეკლესია,, „სამი სიმონეთი,, „ვაზი,, „ჯამე,, „სტამბულის ქართული კათოლიკური ეკლესია,, „ტბელობა,, „თხილვანის ნატაძალი,, „სხალთის მარანი,, „ქრისტე და მუჰამედი,, „სვეტიცხოველი,, „ბალადა მეჩონგურეზე,, და სხვ.

აქარამ საბედისწერო განსაცდელი გამოიარა. მისი ისტორია თითქოს გამოცდაა ეროვნული ცნობიერების სიმტკიცისა და ენის გამძლეობისა. სამი-ოთხი საუკუნის გაუცხოების შემდეგ ბევრი ხალხი ვერ დაუბრუნდა თავის ეროვნულ ძირებს. აქარა დაუბრუნდა. ლექსში „იავნანა,, ფრიდონ ხალვაშმა ეს თემა საგანგებოდ წარმოგვიდგინა:

„იავნანავ,

ფრთებით გარწევს ჩვენებური ჟამთაღენა

ზოგჯერ ღმერთიც შეიცვალა

ვერ შეცვალეს შენი ენა,,

ვერ შეცვალეს იმიტომ, რომ ქართული ენა და კულტურა არა მხოლოდ ეროვნული ფენომენია, არამედ იმიტომაც, რომ იგი სრულყოფილია, მაღალი დონის, გამძლე და სიცოცხლისუნარიანია: ენის შესახებ ამბობს პოეტი:

„მტერმა მოსრა სრა-ტაძარი,

ერთს კი ველარ შებედეა.

იქ ანბანი ნახანძრალი

ქართველს ესვა მეფედა,,

ახლა ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი ეროვნული ტრადიციის ძალა. ცნობილია აქარაში შემოსული უცხო ძალა და რელიგია ქართველს უკრძალავდა ღვინის სმას და ამიტომ აუჭრა ვაზიც. მაგრამ სულიდან ვერ ამოძირკვა ისინი. ადგილის მკვიდრი მოძალადის შიშით გარეგნულად იცავს ახალ წესს, მაგრამ შინაგანად ცხოვრობდა ტრადიციული, ქრისტიანული მრწამსით. ლექსში „აიშე,, ფრიდონ ხალვაში ხატავს დედა-შვილის სახეებს სწორედ ამ ძველი და ახალი წეს-ტრადიციების დაპირისპირების ფონზე. დედას არ მოსწონს, რომ შვილი ღვინით დათვრა: „ეწყნა, როცა ღვინით დავთვერი, ცოდვაა შვილო, ნუ იქმ ამასო,, ეს გარეგნულად. სულის სიღრმეში კი სხვა ფიქრებით ცხოვრობს იგივე დედა და იგი ასე გამოხატა პოეტმა: „მაგრამ მღეროდა ღვინობის თვეზე ერთ ძველ სიმღერას მალულ კაეშნით“.

ამ გარეგანი და შინაგანი წინააღმდეგობების შეურიგებლობა დამთავრდა იმით, რომ აქარა დედასაქართველოს დაუბრუნდა. დადგა თავის ეროვნული საწყისების ფუძეზე და ახალი ძალით აღორძინდა ტრადიციული კულტურა გამოხატული ვაზისა და ჯვრის სიმბოლოებში:

„მინც წამოდგა მიწიდან ვაზი

და მისი ცეცხლით ძარღვები თბება.

მამულო ტკბილო, ნაჟური მასგი.

პაპის ფიალა მომეცი, დედავ.

იმ ძველ ყორეში ფიალა იდო.

გამოგვალული უწვიმო წლებით,

შენ, ჩემო ვაზის მტევანო დიდო,

მესროლე შენი წითელი წვეთი“.

აღორძინებულ აჭარაში აღორძინებული რწმენისა და ტრადიციების უკვდავების ნიშნით ყოველწლიურად შემოდგომაზე ტარდება სახალხო დღესასწაული ტბელობა. აბუსერისძე ტბელი, შოთა რუსთაველის უმცროსი თანამედროვე მე-13 საუკუნის მწერალი, მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე სახეა აჭარისა, რომელიც მოწინავე სადროშოს როლს თამაშობდა ერთიანი ეროვნული კულტურის მშენებლობა-ჩამოყალიბებაში. ტბელობის ახლანდელი დღესასწაულები იმის მაჩვენებელია, რომ თანამედროვე აჭარა განაგრძობს თავის ისტორიულ ტრადიციას - აღორძინოს, გააძლიეროს, გაამდიდროს ქართული სულიერი კულტურა. სამართლიანად ამბობს აკადემიკოსი როინ მეტრეველი: თუკი კულტურა ქვეყანაში იქნება მაღალ დონეზე, თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან, ლამაზ და კარგ კუთხეში, როგორიც აჭარაა, ეს გადაარჩენს ეკონომიკას, ხალხს, კუთხეს, მთელ საქართველოს. აი, ეს არის ჩემთვის სწორედ ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასი, „ტბელობის“ შემოქმედი პოეტი სწორედ ამ აღორძინებისა და მომავლის ღრმა რწმენით ამბობს:

„ტბელობა არის დღეის დღეობა,
ესაა ჩვენი სულის რთველობა,
რვაასი წელი ამას ელოდა
ჩვენი მეობა და გამძლეობაა,
ტბელობა არის არა დღეობა,
არა რაიმე ძველის ტყვეობა.
ესაა, ხიხან-სხალთის ხეობას
რომ მოემატოს მზე და მხნეობა...“

ფრიდონ ხალვაშის, როგორც ეროვნული პოეტის, კრედოს კარგად გამოხატავს ლექსი „სვეტიცხოველი...“ პოეტის წარმოდგენით, სვეტიცხოველი არ არის მხოლოდ ერთი ნაკეობა, იგი სიმბოლოა ქართველთა სულიერი ერთობისა. ამ ერთობას უფრო ახლოს და ეფერება პოეტი და ამის ღრმა შეგნებით არის ჩამოქნელი ეს სტრიქონებიც:

„პეშვი დუღაბით მეც მიგლესიხარ,
შენა ხარ ჩემი მკვიდრი საგანე.
დიდო ტაძარო, დიდო მესიაჲ,
შენ მომარჩინე, შენ მინანავე.“

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში ქრისტიანული ცივილიზაცია გააზრებულია, როგორც ეროვნული ფენომენი სრულიად საქართველოსათვის.

გემალ ჯაყლი, როგორც მწერალი და პუბლიცისტი, თავს დასტრიალებს აჭარის ისტორიასა და თანამედროვეობის. მისთვის ქართველი მწერლობის კლასიკოსთა საიუბილეო თარიღებიც აჭარასთან მიმართებაში გაიზარება და ავტორი მას მტკივნეულ პრობლემებში სიცხადის შეტანას უკავშირებს, რაც განსაკუთრებით აწუხებს და აღელვებს მკითხველს. ამ თვალსაზრისით არის დაწერილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი „ერის უკვდავი თანამდევი სული...“

დიდი ილია ჭავჭავაძის ღვაწლი აჭარის მიმართ, წერს გემალ ჯაყლი, მისი განათლებისა და კულტურის შემდგომი ამაღლების, განსაკუთრებით კი მისდამი სწორი შეხედულებებისა და ფაქიზი დამოკიდებულების შესახებ ის სიტყვები, რაც მან აჭარა-მესხეთის, ტაო-კლარჯეთისა და, საერთოდ, ზემო ქართლის შესახებ ბრძანა, დღესაც მთელი აქტუალობით ეხმიანება ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. ძალიან ბევრი, ვისაც განსაკუთრებით დიდად განათლებულ და კულტურულ პიროვნებად

მოაქვს თავი, არ იცნობს აჭარას, მის წარსულს, გულის სითბოს, საუკუნეებში შენახულ მონატრებას და სიწმინდე-სიყვარულს დედასაქართველოს მიმართ, გარკვეული კომპლექსებითა და სტერეოტიპებით შეპყრობილთ, რომელიც ღიმილისმომგვრელ სიტყვას აჭარის მიმართ ისე წამოისვრიან, როგორც მონარდენი კამათლებს და უტიფრად შეგაციცინდებიან თვალებში ეფექტის მოლოდინში, იმათ ავიწყდებათ მთავარი-აჭარა-მესხეთი, საერთოდ ზემო ქართლი ტაო-კლარჯეთიანად არის ისტორიული საქართველოს შუაგული და მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის, როგორც ერის კულტურისა და განათლების ცენტრს და ამასთანავე, სტრატეგიულ ბასტიონს, რომელმაც თვითდამსხვრევით იხსნა მთლიანად საქართველო და სწორედ ის სარწმუნოება, რომელიც პირველად „ქვეყანასა ქართლისასა, ნათლის სვეტად აღნთო ანდრია პირველწოდებულმა.

დასახელებულ რეგიონს რომ ეხებოდა, განაგრძობს ავტორი, ილია ქავჭავაძე ბრძანებდა: მას დიდი პატივისცემა და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში. დიდი შრომა გაუწევია, მრავალი სისხლი დაუწმენდებია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისათვის... მაშინ ის, საქართველოს ნაწილი... მედგრად იბრძოდა ჩვენი სარწმუნოების, განათლების, ერთმთავრობის დადგინებისათვის და მათ და ჩვენდა სასახელოდ ძლევეთაც მოსილი იქნენ“.

შემდგომ ამ აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს და სხვ. უფრო დიდ ღირსებებზე მიუთითებს ილია: „საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში. ზემო საქართველო (აჭარა, მესხეთი, ტაო-კლარჯეთი) თავის მომხრეებით განამძლავრებდა ქართველებს თვითარსებობის დასაცავად... მაშინ მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა,“.

რაც შეეხება სარწმუნოებას, შენიშნავს ჯემალ ჯაყელი, ილია ქავჭავაძე დიდი სიყვარულით იხსენებს დავით აღმაშენებლის პოზიციას ყველა სარწმუნოების მიმართ დიდი შემწქნარებლობის შესახებ. ილია ამბობს: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომ ჩვენს ისტორიაში არ არის მავალითი, რომ ქართველს საურეზიუტო ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა, დევნა... ქართველი თავის პატიოსანს და ღმრთიერს გულზე ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიზარულის ცრემლმორეული...“.

ეს ამონაწერი დასკვნის პუბლიცისტი-იმიტომ კი არ მოვიტანე, რომ თითქოს დიდ პატივს მივაგებ მაჰმადიანურ სარწმუნოებას და მის დასაცავად დიდი ილიას სიტყვებს ვიმოწმებ. არა, ბატონებო! ეს ასე სრულებითაც არ არის და თუ მაინც ვიმოწმებ, ეს იმიტომ, რომ სწორედ საუკუნეების უკან ძალდატანებით, სისხლითა და მახვილით გამაჰმადიანებული ისტორიული ცენტრი საქართველოსი აჭარა-მესხეთი-ტაო-კლარჯეთი ამ სარწმუნოების გამო თათრად იხსენიება საქმეში ჩაუხედავი ზოგიერთის მიერ, არადა „თათარი, გაჩნდა მეზუთე-მეშვიდე საუკუნეებში ბაიკალის ჩრდილო-აღმოსავლეთით,“ მცხოვრები მომთაბარე ხალხის აღსანიშნავად, ეს ერთი, მეორეც, რატომ არ ფიქრობს ის მაგანი, ვინც აჭარელი არაქართველთა ჩამონათვალში მოიხსენია, რომ უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა თვით ილიას, შოთა რუსთაველს და მთლიანად საქართველოს, ქართველ ერს, („აჭარა,“ 26 ივლისი, 1997 წ.).

ჯემალ ჯაყელის შემოქმედებაში ქრისტიანული ტაძარი ეროვნული იდეებისა და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული. ტაძარი ქართველთა სულიერი ერთიანობისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიმბოლოდ

არის გააზრებული. „მუჰაჯირის“, მეორე ნაწილში პერსონაჟების დავით გობრონელი და ზაბითა ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობის დროს ქრისტიანული ტაძარი მიჩნეულია როგორც უტყუარი ისტორიული არგუმენტი. დავით გობრონელი ეროვნული სახე-ხასიათია. მისი რწმენით „ქართველის საქმე საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი... ქვეყანა თუ ხარ, სახელმწიფო თუ ხარ და ქვეყნის პატრონი თუ ხარ, ასე უნდა ჰქნა, თუ არა უნდა გაჩერდე“...

ზაბითამ დავითს თანაგრძნობით შეხედა, დავითს უნდოდა ეთქვა რომ საქართველოს საკუთარ მხრებზე რუსის თავი აღვას და იგი ასეთ დიდ საქმეებს ვერ გადაჭრისო, მაგრამ თავი შეიკავა. ზაბითა თითქოს მიუხედა სათქმელს და დავითის ნაცვლად თქვა: „ხალხო, ეს მიწები ქართულია ტრაპიზონამდე და იმის იქით. ეს ციხეები, ქილისეები, ტაძრები, ხიდები ქართველის აშენებულაა, ჩვენია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გურჯისტანში ვერ ჩვენთვის არ სცალიათ, მას სხვა ბრძანებლობს... ეს სიტყვები საბჭოთა კავშირის ძლიერების წლებში იწერებოდა და მწერალს სსრკ შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის ფაქტი აქვს მხედველობაში. მისი ღრმა რწმენით, სანამ ქვეყანა მოკლებულია რეალურ ეროვნულ სუვერენიტეტს, იგი ვერც ერთ ეროვნულ პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

ჯემალ ჯაყლის რომანი „მზე მობრძანდება, ადამ,“ ფრიად საგულისხმო დეტალებზეა აგებული. რომანს საფუძვლად ბიბლიური მოტივები უდევს. ბიბლიური მითის მიხედვით ადამიანთა უზნეობის გამო ღმერთმა ქვეყანას წარღვნა მოუვლინა და პირისაგან მიწისა წარხოცა კაცობრიობის პირველი ცივილიზაცია და მას მოჰყვა სოციალისტური წესი ცხოვრებისა, რომელსაც ზნეობრივად უფრო მყარი საზოგადოება უნდა ჩამოეყალიბებინა, მაგრამ ვერ შეძლო. საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების წლებში მწერალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა კომუნისტურ ზნეობას და მეორე ცივილიზაციის დაქცევის იდეა წამოაყენა. ახლა კომუნისტური ზნეობა და იდეოლოგია ისტორიის საკუთრებაა და რომანის იდეა წინ გახედვას კარნახობს მკითხველს. ქრისტიანული მორალის ტრადიციების აღდგენით საზოგადოება უფრო მყარი და ჯანსაღი ზნეობრივი პრინციპებით უნდა ცხოვრობდეს.

ჯვრის სიმბოლიკა კიდევ უფრო ფართო შინაარსითა და თვალსაზრისებით არის წარმოდგენილი ჯემალ ჯაყლის პოეტურ შემოქმედებაში.

ცნობილი სამსაუკუნოვანი ტყეობა აჭარისა ჯემალ ჯაყლმა სწორად გამოსახა მეტაფორით – მზის მარბულობა, – „სამასი წელი – მზის მარბულობა... იმ ხნის მანძილზე მთავარი იყო ხსოვნა იმისა, რომ დედსაქართველოს არ დაეწიებოდა დაკარგული შვილი-აჭარა, და შვილს-აჭარას მუდამ ხსოვებოდა დედა-საქართველო, რომელთანაც ადრე თუ გვიან უნდა დაბრუნებულიყო პოეტმა ეს იდეა ქრისტიანული ატრიბუტის გამოყენებით ასე ჩამოაყალიბა:

„იქნებ შენც გესმის ჩემი ძახილი,

ჩემო მზეო და ჩემო ბატონო,

–სვეტო ნათლისავ

ცისფერო სულო,

არ დამივიწყო, არ მიმატოვო...“

დედასაქართველოსთან დაბრუნებული აჭარის სახეს პოეტი ცნობილი სხალთის ქრისტიანული ტაძრის მეტაფორით გამოხატავს. დაბრუნებულ აჭარაში გადარჩენილი ეროვნული სული და მშობლიური ქართული ენა მიაჩნია პოეტს იმ მთავარ საუნიკედ, რაც ხალხმა, გაჭირვების მიუხედავად, არასდროს არ უნდა დაკარგოს. აჭარამ არ დაკარგა და პოეტურად ეს ასე წარმოგვიდგინა ჯემალ ჯაყლმა.

„სხალთის ტაძარი-თეთრი საუნჯე,
გადარჩენილი სულის მცველადო...“

სამსაუკუნოვანი გაუცხოება აჭარისა ეროვნული ტრაგედია იყო სრულიად საქართველოსათვის, მაგრამ ასევე ტრაგიკულად განიცდის ქართველი პოეტი დაბრუნებულ აჭარაში ნატაძალებისა და ნამონასტრეების სიმრავლეს. პოეტს ღრმად სწამს, რომ ქვეყნის სიძლიერეს და ხალხის მაღალზნობრივ სახეს საფუძვლად დიდი ჭეშმარიტება უნდა ედოს, საბედნიეროდ აჭარის ნამონასტრეებში ისევ დგას სინათლის სვეტი. „ნამონასტრეებში სინათლის სვეტი და დანდალოში ძველი ქვევრები...“ საგულისხმოა, რომ ჯვრის სიმბოლიკა, როგორც ეროვნული შეგნების მხატვრული სახე გარდა ქრისტიანული რწმენის თემისა, თავისთავში მოიცავს ქართველთა ტრადიციული ყოფის ისეთ ატრიბუტებსაც, როგორიცაა ვაზი, ღვინო, ქვევრი. მტერი ამასაც ებრძოდა, ვაზს სჩენდა, ქვევრებს ამსხვრევდა. აჭარელმა კაცმა ვაზიც გადაარჩინა და ქვევრიც დაიცვა.

და სამასი წელი გასძელ ულამპრო,
არ ყოფილხარ უოცნებო, უზღაპრო.
და ოცნებაც და ზღაპარიც აგისრულდა,
ხელზე აგდის სურნელება ჩინჩხალ მაჭრის.
ნარინჯების ნანაობაც გათბობს ისე
ყველა კაი, სასურველი სტუმრისათვის
აგიყვავდა ზღაპრადქცეულ ხელადაზე.

ჯემალ ჯაყელის პოეზიაში მრავალი განზომილებითაა წარმოდგენილი ხალხის სულიერი სამყაროს ფასდაუდებელი ღირებულებები-გმირობა, მამულიშვილობა, რწმენის სიმტკიცე, წარსულის ხსოვნა და ა.შ.- მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ის, რომ პოეტი თავის სამშობლოს მომავალ აღორძინებას ოცდამეერთე საუკუნეში ქართველთათვის ეროვნულ სარწმუნოებად ქცეულ ნათელს უკავშირებს ლექსში „მონატრება“, ეს იდეა ასე არის გამოხატული:

„ასი იყო, ასე არის, ახლაც ასე ვფიქრობ
და იმედის თეთრი ხვითო მირონივით წვეთავს
ეშმა ტაძარს მიკეტავს და კელაპტრებს მიჭრობს,
მაგრამ დილა მაინც აღმებს, რასაც იგი კეტავს.
მაშ, მობრძანდი განთიადო, დღევ ოცდამეერთის,
შენი დიდი სამრეკლოდან ზართა რეკვა მესმის.
ჩემთან არის, შენთან არის, ჩვენთან არის ღმერთი,
უკდავების გამრიგე და მეოზე და მწყემსი...“

ქრისტეს ნათელი, როგორც იმედის სიმბოლო, წარმოდგენილია ჯემალ ჯაყელის მრავალ ლექსში. მათ შორის „ახლო წელო“, განზოგადებულ ხასიათს აძლევს მას.

„ახლო წელო, დაგინახე
ლოცვად იწერდი -
„ამაღლეო, მაცხოვარო
მზემდე ქართველი...“
შეიწყარეო სანუკვარი
ძმობა,გაგება
ქვეყნისა, ვისაც თავზე ადგას
მზის ანგელოსი“.

ქრისტიანული ჯვარი, როგორც იმედის სიმბოლო, ჯემალ ჯაყელის პოეზიაში გაბატონებული პოეტური აქსესუარია: „შეჰკარით ჯვარი ახალი ვაზის, ყველაზე ახალ იმედს რომ მომკის,, „რომ საქართველოს, მის დიდების მზეს და მის მომავალს ეწეროს ჯვარი,, „ჯვარი გეწეროს, გაგიმართლოს ზენამ ფანჯრები, ჯვარი გეწეროს, შენს კურთხევად თავი დაგხარე,, „და გული ჩემი, როგორც ტაძარი რეკავს დიდ სათქმელს შენი გულისას,, ამ კონტექსტში იკითხება სვეტიცხოვლის ზატებაც. ისიც სიკეთისა და ბოროტს შორის ბრძოლაში ნათლის იმედია: „განვედ სატანავ ბნელის, მოდი ნათელო ერის, ნათელო სვეტიცხოვლისავ, სულო ცხოველო ძელის,,

საქართველოს სასიკეთოდ ქართველი კაცის შემართებასაც ქრისტიანული ტაძრის ნათელს უკავშირებს პოეტი.

„დრო მიდის, როგორც ალერსი,
შვილი წარსულის დადის,
ტაძარს ააგებს, ტაძარს
გულით მშვიდით და წმინდით.

...

და ჩემი გული, როგორც ტაძარი
რეკავს დიდ სათქმელს შენი გულისას“.

(გაგრძელება იქნება)

წერილები

თეიმურაზ კომასიძე

ქალაქ ბათუმის კულტურის ისტორიის საკითხები

ნებისმიერი ერის უკვდავების გარანტიაა მისთვის დამახასიათებელი ტრადიციების შეუზღურებელი განვითარება და მიღწეულის შენარჩუნება-განმტკიცება. ამ მხრივ აჭარელთა წინაპრების ღვაწლი ქართველი ერის წინაშე დიდია. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აჭარაში არ ფუნქციონირებდა ქართული სკოლები, კულტურული დაწესებულებები და გარკვეულწილად იდევნებოდა ქართული წერა-კითხვა, მაინც აჭარელთა ძალისხმევით აქ იქმნებოდა ახალი ქართული სიმღერები (ნადური, მაყრული და სხვა) და ცეკვები, რაც განპიროვნებული იყო ყველა ოჯახში ქართული ენისა და საყოფაცხოვრებო ტრადიციების შენარჩუნებით.

აჭარის დედასამშობლო-საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ (1878 წ.) მოკლე დროში აჭარაში აღორძინდა კულტურისა და ხელოვნების დარგები, რაც განპიროვნებული იყო აჭარელთა ერთიან მშურ ოჯახში დაბრუნებით. სწორედ ერთობის სიძლიერის შედეგების გამოჩნატველია აღნიშნული სტატიაც.

წერილობითი წყაროები აჭარული ხალხური მუსიკის შესახებ გვხვდება მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ მხრივ საყურადღებოა დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის ჩანაწერები.

პირველი მკვლევარი, რომელმაც აჭარის ხალხური მუსიკის შესახებ მეცნიერული მოსაზრებანი გამოთქვა იყო კომპოზიტორი კოტე ფირცხალაიშვილი. მას 1916 წელს აჭარელი მომღერლებისაგან რამდენიმე სიმღერა და საცეკვაო მელოდია ჩაუწერია.

დიდი ღვაწლი დასდო აჭარული სიმღერებისა და საცეკვაო მელოდების ჩაწერა-შემონახვის საქმეს მე-20 საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში კომპოზიტორებმა შალვა შველიძემ, ვ. კეკელიძემ და ა. ფარცხალაძემ, რომელთა ჩანაწერები გადატანილია ნოტებზე. აჭარაში ფიქსირებულია ქართული ხალხური სიმღერების ოთხხმიანობა, რაც მსოფლიო ხალხურ მუსიკალურ საუნჯეში უნიკალურია. მისი არსებობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართული ხალხური სიმღერების მოამაგეს კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს. 1952 წელს დიმიტრი არაყიშვილმა აჭარის მაღალმთიან რაიონებში ჩაიწერა 97 აჭარული სიმღერა და ცეკვა. (ქურნ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1968, №3, გვ. 96)

აჭარის ხალხური მუსიკის შესწავლასა და მუსიკალური ფოლკლორის შეგროვება - კვლევა-ძიებას დიდი ვასაქანი მიეცა მას შემდეგ, რაც 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის საქმეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან შეიქმნა ფოლკლორის განყოფილება, რომლის თანამშრომლებმა მდიდარი მასალები შეაგროვეს აჭარის მუსიკალური ფოლკლორიდან.

აჭარის სამშობლოსთან შემოერთების პირველი დღიდანვე ქართველი საზოგადო მოღვაწენი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დღენიადაგ იღწვოდნენ ბათუმში კულტურის აღორძინებისათვის: ხსნიდნენ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, მართავდნენ კონცერტებსა და თეატრალურ წარმოდგენებს.

პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენა ბათუმში 1879 წელს გამართეს.

მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ქალაქის პოლიცემისტერის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი. მათი ბინა ბათუმში ჩამოსული ყველა ქართველი ინტელიგენტის თავშესაფრის ადგილად იქცა. ქალაქის საკრებულოში (ახლანდელი ოფიცერთა სახლი) და სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში, სადაც მოწყობილი იყო მცირე სცენა, იმართებოდა ქეთევან ჟურულის მიერ ორგანიზებული თეატრალური წარმოდგენები. 1882 წელს ქეთევან ჟურულის ინიციატივით ბათუმში ჩამოყალიბდა სცენის მოყვარულთა წრე, რომელიც მოგვიანებით ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დავით კლდიაშვილმა დრამატულ თეატრად გადააკეთა.

დავით კლდიაშვილი თავის ნაშრომში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ გადმოგვცემს: „დღემდ მიმავალ ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ჩამომსვლელი ქართველი არტისტები. თეატრი არ იყო მაშინ ბათუმში. წარმოდგენები სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ პატარა შენობაში იმართებოდა. ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა და ამით კმაყოფილდებოდა საზოგადოება.“

ამ დროს ერთ-ერთ ჩამოსვლაზე გავეცანი ქართველ არტისტებს: მარია საფაროვა-აბაშიძეს, ქეთო ანდრონიკაშვილს, ვასო აბაშიძეს, სანდრო (ალექსანდრე) ჭაბუკაძეს და ლადო მესხიშვილს, ჩემს სიხარულს იმათი გაცნობის გამო საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ სცენაზეც კი გამოვედი მათთან.

...გაგეჟებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სამაგიეროდ ლეკურის ვასაოცარი მოთამაშეა“. (დავით კლდიაშვილი „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმი, 1984, გვ. 25.)

მუდმივი ქართული დასი თბილისში 1879 წელს ჩამოყალიბდა. იგი იმავე წლის ზაფხულში ბათუმში ჩამოვიდა საგასტროლოდ. თბილისში მუდმივი თეატრალური დასის ჩამოყალიბებას დაუკავშირდა 1893 წ. პირველი სახალხო თეატრის დაარსებაც.

თბილისში შექმნილმა მუდმივმოქმედმა თეატრალურმა დასმა ღიდი დანტერესება გამოიწვია ბათუმელი საზოგადოებისა, რამაც განაპირობა 1884-1887 წლებში ბათუმში „საოჯახო თეატრის“ დაარსება, რომლის მებატრონე იყო ვინმე თამარი. თეატრი მოთავსებული იყო ხის შენობაში, რომელიც იდგა იქ, სადაც ეჭლა კაცთი სადალაჭოა (კონსტანტინე გამსახურდიას და ა. მელიქიშვილის ქუჩების კვეთა).

1888-1890 წლებში „საოჯახო თეატრის“ დახურვის შემდეგ. ფუნქციონირებას შეუღდა ასევე „საოჯახო თეატრი“ ცნობილი ბათუმელი ვაჭრის ანანიევის სახლში, რომელიც იდგა მემედ აბაშიძის და ვაჟა ფშაველას ქუჩების კვეთაში.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ბათუმში თავისი დასით ჩამოვიდა ანტრეპრენიორი ტომსკი, მან ანანიევის თეატრი დაიწუნა და გადაწყვიტა საკუთარი კლუბის დაარსება, რისთვისაც დაიჭირავა ყოფილი რკინის ნაკეობების შესანახი საწყობი. იგი ეკუთვნოდა ბელგიელ კომერსანტს ი. მარშოს. ეს იყო ბათუმში პირველი კლუბი 900 ადგილზე. ტომსკის წასვლის შემდეგ კლუბი იჯარით აიღო ადვოკატმა იურკევიჩმა, რომელმაც შენობას გაუკეთა რემონტი და იქ თეატრი მოაწყო; ბათუმელებმა მას „რკინის თეატრი“ შეარქვეს – შენობის პირვანდელი სახელწოდების მიხედვით. (გაზეთი „აქარა“, 1994 წ. 15 იანვარი)

1916 წ. სტამბის მფლობელმა შმავესკიმ ბათუმის ოლქის გუბერნატორის ბ. რომანოვსკის ნებართვით ახლანდელი ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო თეატრის ადგილზე ააგო ახალი შენობა, სადაც სისტემატურად იმართებოდა თეატრალური დადგმები, კონცერტები და საღამოები.

შმავესკის თეატრმა ბათუმში თურქებისა და ინგლისელების ყოფნის პერიოდში

1921 წლამდე შეწყვეტა ფუნქციონირება. 1921 წელს ამ თეატრთან შეიქმნა პრაფესიული თეატრალური დასი ვასო ურუშაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც მოგვიანებით აკადემიური თეატრი ეწოდა.

ვასო ურუშაძე ენერგიულად შეუდგა თეატრის აღორძინების საქმეს. დასში მონაწილეობდნენ იმ დროისათვის ცნობილი მსახიობები; აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, ემანუელ აფხაიძე, ნატალია ჯავახიშვილი, კირილე მაჭარაძე, ცაცა ამირეჯიბი, მიხეილ გელოვანი და სხვები.

1922 წელს ბათუმის აკადემიურ თეატრთან შეიქმნა საოპერო დასი, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შედიოდნენ მოწვეული მომღერლები, ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნულია: „სასცენო ხელოვნების სფეროში განსახკომმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ზამთრის სეზონისათვის მოწვეულ იქნენ საქართველოს და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ქართული და რუსული დრამის და ოპერის ცნობილი მსახიობები, რომელთა წარსული მოღვაწეობა ხელოვნების აღნიშნული დარგების წინსვლის გარანტიას გვაძლევდა მიმდინარე სეზონში“. (ჟურნ. „დროშა“, 1925 წ. №90.)

რაც შეეხება ოპერის გუნდსა და ორკესტრს. იგი დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი ძალებით, რომელთა უმეტესი ნაწილი რუსეთისა და საქართველოს რეგიონებიდან სხვადასხვა დროს ბათუმში ჩამოსახლდა საცხოვრებლად.

ამგვარად, ბათუმში ოპერის თეატრი ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა. მას აქ დაზღა ნოყიერი ნიადაგი.

ბათუმში სხვადასხვა ქვეყნიდან საგასტროლოდ ხშირად ჩამოდიოდნენ მომღერლები, მოცეკვავეები, საოპერო და თეატრალური დასები.

1889 წელს მუსიკის მოყვარულთა თაოსნობით ბათუმში იხსნება მუსიკოსთა პირველი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი კაველ-მანტიერი და მუსიკოსი ალექსანდრე ვეტეშნიკოვი, სწორედ აქედან იწყება აჭარის მუსიკალური საზოგადოების ისტორია. წრე ეწევა ფართო მასშტაბის საქმიანობას. მან შეიმუშავა წესდება და მიზნად დაისახა მოსახლეობის განათლება მუსიკის სფეროში. იწყება ქართული, რუსული და ევროპული მუსიკის პოპულარიზაცია. სისტემატიური ზასიათი მიეცა ხალხური და კლასიკური მუსიკის საღამოების მოწყობას, სიმფონიური კონცერტების ჩატარებას და სხვა. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ადრინდელი მდიდარი ტრადიციები, რამდენადაც ადგილზე მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძველს ძირითადად ქართული ეროვნული კულტურა და ხელოვნება განსაზღვრავდა.

ბათუმში თანდათანობით მატულობს სხვადასხვა ენარის გუნდები, რასაც სტიმულს აძლევს ის გარემოება, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მკვიდრი ნიჭიერი ლოტბარები და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები.

დღის წესრიგში დგება მუსიკალური საზოგადოების შექმნის საჭიროება, რომელიც უხელმძღვანელებდა, გაერთიანებდა და შეუერთებდა გაუშვებელ კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის საქმეს.

სწორედ (ამ მიზნით) 1921 წელს აჭარაში წრეობრივი გაერთიანების ბაზაზე იქმნება „აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოება“, რომელმაც ხელი შეუწყო მუსიკალური ხელოვნების აღორძინებას.

მუსიკალური საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ ლოტბარები მ. კუხიანიძე და დ. ყუბანეიშვილი. უკანასკნელი ბათუმში ქუთაისიდან ჩამოვიდა სპეციალური მოწვევით და მუსიკალური საზოგადოების დაფუძნებით ჩამოაყალიბა შერეული გუნდი.

საქმის უკეთ წარმართვის მიზნით ყუბანეიშვილმა ჩამოაყალიბა მუსიკალური საზოგადოების ორგანიზაციები და გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: მელიტონ კუხიანიძე, დიმიტრი ყუბანეიშვილი, გიორგი ხმალაძე, ნიკოლოზ გიორგაძე, ალექსანდრე ჩიხლაძე, გიორგი კაპანაძე და აკაკი ცხომელიძე. (აჭარისტანის სახელმწიფო აკადემიური გუნდის 10 წელი, ბათუმი, 1932 წ.)

დ. ყუბანეიშვილის რეკომენდაციით დაარსების დღიდან გუნდის ხელმძღვანელად ქუთაისიდან მოიწვიეს ცნობილი ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე. თავდაპირველად გუნდი დაკომპლექტდა არაპროფესიონალი მომღერლებით, რომლებიც ბათუმის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში მუშაობდნენ.

მომღერალთა გუნდის მთელი შემადგენლობის დაუღალავმა შრომამ და მისი ხელმძღვანელის ძალისხმევამ, სულ რაღაც ორი წლის მუშაობამ დიდი შედეგი გამოიღო.

1924 წელს გამართულმა საჩვენებელმა კონცერტმა დიდი მოწონება დაიმსახურა. კოლექტივის წარმატებაში ლომის წილი მიუძღოდა მის ხელმძღვანელს მ. კუხიანიძეს, რომელსაც ახასიათებდა საქმისადმი უჩვეულო სიყვარული, დაუმრეტელი ენერგია, სანაქებო დისციპლინა და ნებისყოფა.

სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადაზე 1929 წელს ქალაქ თბილისში რომ ჩატარდა, აჭარის გუნდმა დაიმსახურა პირველი ადგილი და ჯილდო.

მიღწეული წარმატებებისათვის 1939 წელს აჭარის აკადემიურ გუნდს მიენიჭა აჭარის სახელმწიფო კაპელის სტატუსი.

1944 წლიდან კაპელა გარდაიქმნა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად. ამასთან დაკავშირებით ძირფესვიანად გადახალისდა ანსამბლის რეპერტუარიც.

ანსამბლის პირველი ქორეოგრაფიული ჯგუფის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ქართველ ქორეოგრაფს დავით ჯაგრიშვილს. მისი უშუალო ძალისხმევით დამუშავდა ახალი ცეკვები, რომლებმაც პრაქტიკული განხორციელება პპოვეს სცენაზე.

1928 წელს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების მ. ბალანჩივაძისა და შ. თაქთაქიშვილის ძალისხმევით მოხერხდა ბათუმში სამუსიკო სასწავლებლის დაარსება.

თავდაპირველად სასწავლებელში ფუნქციონირებდა შემდეგი სპეციალობები: საფორტეპიანო, ვოკალური, საგუნდო-სადირიჟორო და თეორიული.

აჭარაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლუბებისა და კულტურის სახელების ზრდამ განაპირობა მუსიკალური განათლების მქონე მასწავლებლების, დირიჟორებისა და ქორეოგრაფთა ნაკლებობა. ყველა სკოლაში იქმნებოდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, რომელთა მუშაობის სწორად წარმართვა პროფესიონალურ ხელმძღვანელობაზე იყო დამოკიდებული.

ამ გარემოებამ მოითხოვა ბათუმში სასწრაფოდ შექმნილიყო კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, მართლაც 1956 წლის აგვისტოში ბათუმში გადმოტანილი იქნა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. (აჭარის ცენტრალური საბ. არქივი, ფონდი 972, ანაწერი 1, არქივის №155.)

1957 წლის პირველ სექტემბერს ბათუმში გაიხსნა დამოუკიდებელი კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, კონტიგენტი განისაზღვრა 50 ადგილით.

ახალგაზრდა სპეციალისტთა პირველი გამოშვება 1959 წელს შედგა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა დაუბრუნდა მშობლიურ რაიონებს და სასწავლებელში

მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გადასცემდა ახალგაზრდებს.

აჭარაში განათლების სისტემის განვითარების პარალელურად დიდი მოთხოვნილება შეიქმნა საშუალო განათლების მქონე მხატვართა კადრებზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხატვას ასწავლიდნენ არასპეციალისტები. ამავე დროს ბევრ ახალგაზრდას სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა სამხატვრო აკადემიაში. მაგრამ სათანადო მომზადების უქონლად, ამას ვერ ახერხებდნენ. ამან განაპირობა 1936 წელს ქ. ბათუმში სამხატვრო სასწავლებლის გახსნა, სადაც პირველ ხანებში ისწავლებოდა მხოლოდ სპეციალური საგნები. 1939 წლიდან შემოღებული იქნა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებაც. სასწავლებელი დაიხურა 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

1970 წელს აჭარის კულტურის სამინისტროს ძალისხმევით სამხატვრო სასწავლებელი აღდგა და მას გამოჩენილი ქართველი მხატვრის ნ. კანდელაკის სახელი მიენიჭა. ამჟამად სასწავლებელი ამზადებს ხატვა-ხაზვის პედაგოგებს, კერამიკის, ქსოვილებისა და მხატვრული გაფორმების სპეციალისტებს.

სასწავლებელი ყოველწლიურად ამზადებს ოცდაათზე მეტ სპეციალისტს, რომლებიც სამუშაოდ იგზავნებიან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

სასწავლებელმა დღემდე მოამზადა ზუთასამდე კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთაგან ბევრმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია.

კულტურის განვითარების აუცილებლობამ დააყენა ბათუმში კონსერვატორიის გახსნის საკითხი, რადგან უმაღლესი მუსიკალური განათლების კადრები ბათუმს ყოველთვის აკლდა.

თბილისის ერთადერთი კონსერვატორია ვერ აუდიოდა მსურველთა მოთხოვნას და, აი, 1995 წლის 29 სექტემბერს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ბათუმში ხელოვნების ინსტიტუტის დაფუძნების შესახებ, ინსტიტუტში წარმოდგენილი იქნება კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია და თეატრალური ხელოვნება. აღნიშნული დადგენილებით ბათუმელთა სამი ოცნება ერთდროულად ასრულდა.

ინსტიტუტის სასწავლო ბაზის გამართვისათვის გამოიყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახლი, რომელსაც გააჩნია მრავალადგილიანი დარბაზი შესაბამისი სასცენო აღჭურვილობით, რაც სუშუალებას იძლევა გაიმართოს ნებისმიერი სასცენო დადგმა, ბრწყინვალე ბიბლიოთეკა შესაბამისი ვრცელი სამკითხველო დარბაზითა და საკლასო ოთახების გამართვისათვის საკმარისი ფართობი.

• დებულების თანახმად ინსტიტუტში მიიღებიან ახალგაზრდები საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან. პედაგოგთა წამყვანი შემადგენლობა ტრადიციულად მოწვეულნი იქნებიან თბილისიდან, ისევე როგორც ეს 110 წლის წინ ბათუმის პირველი ქართული სკოლების პრაქტიკაში იყო. ერთი საუკუნის წინ აბა ვინ იფიქრებდა, რომ იმ ქალაქში, სადაც ერთი ქართული სკოლაც არ ფუნქციონირებდა, გაიხსნებოდა სხვადასხვა მიმართულებისა და პროფილის ინსტიტუტები.

* * *

20-იან წლებში ბათუმში დიდი მოთხოვნილება იყო კინოთეატრებზე, რომელიც გართობისა და ინფორმაციის მიღების პირველადი წყარო იყო.

• 1924 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა ოთხი ეინო-თეატრი: „სელექტორი, „პალასი“ „აპოლო“ და „ტრიუმფი“. ყველა კინო-თეატრი ექვემდებარებოდა აჭარის

განათლების კომისარიატს, რადგან მაშინ კულტურის სამინისტრო არ არსებობდა. იგი შეიქმნა 1953 წელს, რის შემდეგ ყველა კინო-თეატრი გადავიდა მის დაქვემდებარებაში.

1953 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა 5 კინო-თეატრი. აქედან 2 საზაფხულო.

უფრო მოგვიანებით გაიხსნა კინო-თეატრი „ქრონიკა“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აღნიშნულ კინო-თეატრში ერთდროულად უჩვენებდნენ როგორც მხატვრულ ასევე დოკუმენტურ-საინფორმაციო ფილმებს.

60-იან წლებში კინო-თეატრებში მნახველთა იმდენად დიდი მოზღვაგება იყო, რომ 1961 წელს დამატებით კიდევ ერთი მრავალადგილიანი კინოთეატრ „თბილისის“ მშენებლობა დაიწყო.

მუზეუმები

მუზეუმები კულტურის, განათლებისა და ერის ტრადიციების შენახვა-გამრავლების განუყოფელი ნაწილია, იგი მოწოდებულია შეაგროვოს, დაიცვას და შეისწავლოს კულტურის ძეგლები, გამოიყენოს ისინი პატრიოტული აღზრდის მიზნით.

სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობით მუზეუმი ხელს უწყობს სამშობლოსადმი სიყვარულის განმტკიცებასა და პიროვნების პატრიოტული მუხტის განვითარებას.

1912 წლის 15 ოქტომბერს ქალაქის სათათბირომ გამოიტანა დადგენილება ს. ს. კლდიაშვილის დამფუძნებელი ბავშვთა სასწავლო მუზეუმი გადაკეთებულიყო სამოქალაქო მუზეუმად, რომლის გამგედც 1913 წლის პირველ იანვრიდან დაინიშნა აღნიშნული მუზეუმის ფუძემდებელი ნ. ნ. გომანი. (სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978 წ. გვ. 6.)

მან ამ თანამდებობაზე 1937 წლამდე იმუშავა. იგი შეცვალა ხარიტონ ახვლედიანმა, რომელიც გარდაცვალებამდე მუშაობდა.

1925 წლიდან მუზეუმი გადააკეთეს აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად. იმავე წელს მუზეუმი გადაუტანიათ სამხედრო ტაძარში, სადაც განთავსდებოდა უფლები იყო 1930 წლამდე. იქიდან კი მუზეუმი „ხაზინის“ შენობაში მოუთავსებიათ, სადაც დღემდეა განლაგებული. (სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1975 წ. გვ. 11.)

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი დიდხანს დასავლეთ საქართველოს ზონის მეთაურ მუზეუმად ითვლებოდა.

დღეისათვის მუზეუმში 6000-მდე ექსპონატია. მისი ფონდები წლების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით იესებოდა. 1913 წლისათვის მუზეუმში ყოფილა 536 ექსპონატი, 1915 წლისათვის კი - 872, ხოლო 1955 წელს თითქმის - 60000.

მუზეუმს გააჩნია მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ამჟამად აჭარის სახ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში 30000-მდე ნაბეჭდი ერთეულია დაცული. მათი რაოდენობა სისტემატურად იზრდება. წიგნად ფონდში შენახულია ათობით უნიკალური გამოცემა. აქვე ინახება „ივერიის“, „კვალის“, „დროების“, „ცნობის ფურცლის“, „ბათუმის გაზეთის“ „ჩვეჩილის“, „თეატრი და ცხოვრების“, „ნიშადურის“, „ნაკადულისა“ და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები.

ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა აგრეთვე რევოლუციის მუზეუმი, ხოლო 1966 წლის 26 მაისს გაიხსნა განათლებისა და კულტურის მუზეუმი.

ბათუმში ფუნქციონირებს აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის მემედ აბაშიძის სახლ-მუზეუმი.

ბიბლიოთეკები

მოსახლეობაში დიდ კულტურულ მუშაობას ეწევა აჭარის აკ. წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც აჭარის ეროვნულ სახელმწიფო წიგნსაცავს წარმოდგენს. იგი მოწოდებულია შეავროვოს და დაიცვას უნივერსალური პროფილის ბეჭდვითი პროდუქცია. ბიბლიოთეკა თავს უყრის აგრეთვე უცხოურ ენებზე გამოცემულ იმ ბეჭდვით ნაწარმოებებს, რომლებიც აჭარასა და ბათუმს შეეხება. ბიბლიოთეკის ფონდში, გარდა ქართული წიგნებისა, დაცულია ლიტერატურა უცხოურ ენებზე.

გარდა რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა ბათუმს ემსახურება №1 ბიბლიოთეკა (ამჟამად ცენტრალური ბიბლიოთეკა), რომელიც 1948 წელს დაარსდა.

1966 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ მას დააყისრა ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფუნქცია. იგი კოორდინაციასა და მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს ქალაქის ბიბლიოთეკას.

თეატრი და ოპერა

1921 წლის პირველ დეკემბერს საბჭოთა თეატრი გამოცხადდა აკადემიურ თეატრად. (აჭარის ცენტრალური სახ. არქივი. ფონდი 5, აღწერა 1, საქმე 8.) ბათუმში პროფესიული თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა 1921 წლის 11 დეკემბერს ვალერიან გუნიას ცნობილი პიესით „აღლუში“.

აღნიშნულმა თეატრმა სამი სეზონი იმუშავა. 1924 წელი გამოცხადდა შესვენების წლად.

უმოკლეს დროში ბათუმის თეატრმა უდიდეს წარმატებას მიაღწია, რაც გამოწვეული იყო კარგად შერჩეული რეპერტუარითა და დადგმაში მონაწილე მსახიობთა მაღალი პროფესიონალიზმით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1924 წლისათვის ქართულმა დასმა ფუნქციონირება შეაჩერა, რამაც საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბათუმში ჩამოყალიბებული ახალგაზრდა მსახიობთა მოსამზადებელი სტუდიაც იმედებს ვერ ამართლებდა.

ბათუმში ქართული დრამის ჩავარდნამ განაპირობა 1924-25 წლებში სხვადასხვა დანიშნულების კლუბების დაარსება, რომლებმაც წარმატებით წარმართეს მუშაობა და შეაღეს თეატრის წარუმატებლობით შექმნილი ვაკუუმი. საკეთესო ქართული დრამატული წრე შეიქმნა მოსამსახურეთა კავშირის კლუბთან, რომელიც ხშირად კარგ თეატრალურ წარმოდგენებს ღვამდა.

ბათუმში არსებობდა აგრეთვე რკინიგზისა და აჭარელ ქალთა კლუბი. ისინი განლაგებულნი იყო ქალაქის სხვადასხვა უბნებში, რათა ნორმალურად მომსახურებოდა მოსახლეობას. კერძოდ: გოროდოკში, ჭაობში, ბარცხანაში და ქალაქის ცენტრში. ასე, რომ კულტურული ცხოვრება ბათუმში აღნიშნული პერიოდისათვის თუმცა ეტაპობრივად, მაგრამ მაინც ვითარდებოდა.

ბათუმის საოპერო დასის სულისჩამდგმელნი და დამაარსებელნი იყვნენ ცნობილი ხელოვნების მუშაეები: ვლადიმერ კორშინი და ევგენი ვრონსკი.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორშინმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე შეკრიბა ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მუსიკოსები და ჩამოაყალიბა მაღალი დონის სიმფონიური ორკესტრი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა საოპერო თეატრი.

ვლადიმერ კორშინის მიერ ჩამოყალიბებული საოპერო დასის დაარსებიდან ათი

წლისთავზე 1931 წ. 1 დეკემბერს, ბათუმში გაიხსნა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბათუმის ფილიალი, რომელმაც მხოლოდ ერთი სეზონი იარსება. მიუხედავად ამისა, საოპერო დასმა ბრწინვალე დადგმები განახორციელა. დასის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო გამოცდილი ქართველი მომღერალი სანდრო ინაშვილი. სანდრო ინაშვილმა შესძლო ბათუმში ძლიერი საოპერო დასის შედგენა, რომლის დირიჟორადაც ვ. კორშინი მიიწვია, ხოლო მეორე დირიჟორად დაინიშნა ვ. ტრახიმოვიჩი, მხატვრად კი - ი. მარკვეიჩი.

დასის გუნდი და ორკესტრი დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მომღერლებითა და მუსიკოსებით.

სოლისტებად მოწვეული იყვნენ: ტონიდა, გრომოვა, მოსკოვსკაია, დანიელიანი, ლისოვსკაია, ვაგნერი, ნოვალსეტი, კლიონსკაია, ნიკიტენ კოვიმანი, დავით ანდოულაძე, შემსკი, ნაიდენოვი, ვალერიან ქაშაკაშვილი, ტროპინინა და სხვები.

საბალეტო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ე. სეკრეჟინსკი.

საოპერო დასმა შესძლო სეზონის განმავლობაში დაედგა შემდეგი წარმოდგენები: „აიდა“, „პიკის ქალი“, „ეგგენი ონეგინი“, „ლემონი“, „დუბროვსკი“, „ტრაგიატა“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „ჯამბაზები“, „ფაუსტი“. დასში მონაწილეობდა პრიმა - ბალერინა კოზლოვა და ბალეტმეისტერი ე. სეკრეჟინსკი. (ვახეთი „აჭარა“, 2, 1993 წ. 25 სექტემბერი).

მიუხედავად იმისა, რომ საოპერო დასი მხოლოდ ერთი სეზონი ფუნქციონირებდა, მან უდიდესი სიახლე შემოიტანა ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში.

* * *

ახლად დაარსებულ ბათუმის ოპერის თეატრში ოპერა „აბესალომ და ეთერი“-ზე შეჩერდა არჩევანი.

და, აი, 1993 წლის 3 ოქტომბერს ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა ქართული ეროვნული საოპერო ხელოვნების შედეგად - „აბესალომ და ეთერი“, რომელსაც მოჰყვა თანამედროვე ქართული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის რევაზ ლალიძის „ლელა“ და მსოფლიო მუსიკალური კულტურის ნიმუში ვერდის „აიდა“ და „ოტელო“ (იტალიურ ენაზე).

ასე რომ, 63 წლის შესვენების შემდეგ ბათუმში კვლავ აღსდა საოპერო თეატრი, რითაც ბათუმში იქცა საქართველოში საოპერო თეატრის მქონე მესამე ქალაქად (თბილისი, ქუთაისი). დასაწყისი კარგია, ჩიყარა მტკიცე საფუძველი, რაც გარანტიაა შემდგომი დიდი წარმატებისა.

1932 წლის ზაფხულში ბათუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელსაც სათავეში ედგა ს. ახმეტელი. დაიდგა 25-ზე მეტი სპექტაკლი. რუსთაველის თეატრის გასტროლებმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც განპირობებული იყო მსახიობთა უბადლო აქტიური შესრულებით, რაც რეჟისორის მაღალპროფესიონალიზმზე მეტყველებდა.

ს. ახმეტელის ინიციატივით ადგილობრივი კადრების მომზადების მიზნით რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში შეიქმნა „აჭარელთა სექცია“, სადაც ჩაირიცხა 22 მსმენელი. მათ სასწავლო კურსი 1935 წელს დაასრულეს. კურსდამთავრებულები ერთი წლის განმავლობაში სტაჟირებისათვის დატოვებულნი იყვნენ რუსთაველის თეატრში.

1936 წელს კი მათი მონაწილეობით რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული იქნა სპექტაკლები: კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ და გ. მდიანის „ბრმა“

1937 წელს ბათუმს დაუბრუნდნენ თეატრალური განათლების მისაღებად მივლინებული მსახიობები, რომელთა რაოდენობა 21 იყო.

აჭარის სახელმწიფო თეატრში პირველი სპექტაკლი („ბრმა“) ადგილობრივი კადრებით დაიდგა 1937 წლის 18 მარტს. ეს დადგმა განახორციელა რეჟისორმა დ. ალექსიძემ და მას დიდი წარმატება ჰვდა. აღნიშნულ პერიოდში ბათუმის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ტყო ცნობილი თეატრმცოდნე არჩილ ჩხარტიშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის თეატრის წინაშე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „სოფოკლეს ტრაგედია“, „ოიდიპოს მეფის“ დადგმა, რომელიც 1947 წელს განახორციელეს რეჟისორებმა ალ. ჩხარტიშვილმა და შ. ინასარიძემ.

აღნიშნულ სპექტაკლს 20 წლის განმავლობაში საპატიო ადგილი ეკავა ბათუმის სახ. თეატრის რეპერტუარში. თეატრალურმა კრიტიკამ და პრესამ მას მაღალი შეფასება მისცა.

ამგვარად, ერთი საუკუნის მანძილზე ქ. ბათუმში მოხდა უდიდესი ძვრები განათლებასა და კულტურულ მშენებლობაში. ამისი რეალური გამოხატულებაა ის უცილებელი ფაქტი, რომ ქალაქი ბათუმი მაღალგანვითარებული ქვეყნის ერთ-ერთ დაწინაურებულ ცენტრად იქცა. სწორედ ამ პროცესების ჩვენება იყო ჩვენი ძირითადი მიზანი.



გავშვთა უფლებების დაცვა ავტონომიურ რესპუბლიკაში

ადამიანთა უფლებების დაცვის კონტექსტში უპირველესად მოისაზრება ბავშვთა უფლებების დაცვა. ადამიანთა უფლებების დეკლარაციის მიღება არ ჩათვალა საკმარისად ცივილიზირებულმა მსოფლიომ და თერთმეტი წლის შემდეგ, 1959 წლის 20 ნოემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო „ბავშვთა უფლებების კონვენცია“, დოკუმენტი, რომელსაც უდიდესი ძალა გააჩნია მსოფლიოს საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში შესაძლებელი გახდა ადამიანთა და ბავშვთა უფლებების განათლებაზე, ამ უფლების დაცვაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვა მსოფლიოს მიერ აღიარებული პრინციპების დამკვიდრებისათვის - საქართველოს განათლების სისტემაში პირველად 1993 წლიდან შემოღებულ იქნა სასწავლო დისციპლინა - „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. ამ გზით ახალგაზრდობა ადრეული ასაკიდან ეცნობა იმ ფუძემდებლურ პრინციპებს, რაც ადამიანის უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული.

განათლება არის სფერო, სადაც ხდება ბავშვთა ერთი უპირველესი უფლების - განათლების უფლების რეალიზაცია. რა მდგომარეობაა ამ მხრივ აქარის ავტონომიურ რესპუბლიკაში?

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სასკოლო ასაკს მიღწეული თითქმის ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლაში. განათლების ორგანოების ძალისხმევით, ზორცის ისხამს საქართველოს კონსტიტუციური მოთხოვნა სავალდებულო დაწყებითი განათლების მიღების შესახებ. სამისოდ შექმნილია საგანმანათლებლო ქსელი, რომელიც სრულებით აკმაყოფილებს ამ მხრივ საზოგადოებრივ მოთხოვნას. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სამსახურშია 402 სკოლა, მათ შორის 2 სკოლა-ინტერნატი, 1 მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა სახლი, 5 სასკოლო ინტერნატი.

სწორედ ინტერნატების ქსელის და ბავშვთა სახლის არსებობაში ვლინდება სახელმწიფოებრივი ზრუნვა ბავშვთა უფლებების დაცვისადმი. სკოლა-ინტერნატებში მცხოვრები ბავშვების შენახვის ხარჯებს მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი აფინანსებს. აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებში ძირითადად, მატერიალურად ხელმოკლე ოჯახების შვილები სწავლობენ, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ სახელმწიფოს დახმარება არსებობისა და სწავლისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ერთ სკოლა-ინტერნატს განათლების სამინისტროს საბჭოსა და ქობულეთის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით სპეციალური ფუნქცია დაეკისრა. კერძოდ, ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში გაიხსნა სპეციალური ჯგუფები მიუსაფარი და მაწანწალა ბავშვებისათვის. ბუნებრივია, იგი მთლიანად ვერ

მოხსნის მიუსაფარი ბავშვების სოციალურ პრობლემებს, მაგრამ ამ საქმეში უდაოდ დადებით წვლილს შეიტანს იმ ღონისძიებებთან ერთად, რაც აჭარაში ტარდება. ღონისძიებები კი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. მაგალითისათვის მოვიყვანო შემდეგს: საერთაშორისო ასოციაციას „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომლის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეა ქალბატონი მაგალი გოგიტიძე-აბაშიძე, ბათუმში, ხელვაჩაურისა და ქობულეთის ზღვისპირეთში გახსნილი აქვს მიუსაფარი და მკვრივად ბავშვებისათვის 5 სპეციალური სასადილო, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ქველმოქმედებისა და სათნოების სასადილოები, რომლებიც ასეთ ბავშვებს აპურებენ და უნარჩუნებენ რწმენას ადამიანებსა და ადამიანურობაზე.

ვფიქრობთ, დიდი ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული საბავშვო სახლის ფუნქცია. დღეისათვის ამ საბავშვო სახლის 100-მდე აღსაზრდელის მოვლა-პატრონობისა და სწავლა-განათლების მთლიანი ხარჯები ბიუჯეტით არის უზრუნველყოფილი. ბიუჯეტის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საბავშვო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსირება აჭარაში შეუფერხებლად ხორციელდება, რაც მიგვაჩნია ბავშვებისადმი, მათი უფლებებისადმი ზრუნვის სახელმწიფოებრივ თვალსაჩინო გამოხატულებად.

ავტონომიურ რესპუბლიკაში გამორჩეული მზრუნველობის ქვეშ ცხოვრობენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ბავშვები. მეოთხე სასწავლო წელია, ქალაქ ქობულეთში მუშაობს ლტოლვილ ბავშვთა სკოლა, სადაც მოსწავლეებს სწავლისათვის ნორმალური პირობები გააჩნიათ. დასაქმდნენ ლტოლვილი პედაგოგებიც. ბათუმში აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვები სხვადასხვა სკოლებში არიან განაწილებული. სკოლებს მიეცათ დავალება, უზრუნველყონ ისინი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. გასულ წელს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივით, ლტოლვილი მოსწავლეებისათვის შექმნილ იქნა ტანსაცმელი და საჩუქრად გადაეცა ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დადგომასთან დაკავშირებით.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ბავშვთა ფიზკულტურულ-სპორტულ, შემოქმედებით და ესთეტიკურ აღზრდა-განვითარებას 11 სპორტული სკოლა, 5 სკოლისგარეშე დაწესებულება ემსახურება, რომლებშიც ათასობით ბავშვია გაერთიანებული. თითოეულ მათგანში საინტერესო აღმზრდელობით-პედაგოგიური მუშაობა მიმდინარეობს, მომავალ მოქალაქეებს საკუთარი ნიჭის, უნარისა და ენერგიის გამოვლენის შესანიშნავი საშუალება ეძლევათ.

ავტონომიურ რესპუბლიკაში გამორჩეული მზრუნველობით სარგებლობენ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვები. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა განათლების სამინისტროს წინადადება და სწავლაში განსაკუთრებულად გამორჩეული მოსწავლეებისათვის სახელობითი სტიპენდია დააწესა, რომელიც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გემედ აბაშიძის სახელს ატარებს. სტიპენდია გახდა რეალური მხარდაჭერა ნიჭიერებისა და სწავლაში უკეთესი შედეგების მიღწევისათვის.

უყურადღებოდ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას არც სხვა ბავშვები და მოსწავლე ახალგაზრდობა რჩება. ტრადიციად დამკვიდრდა საახალწლოდ საბავშვო ბაგა-ბაღის, სკოლების, საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებების ბავშვებსა და ახალგაზრდობისათვის პირადად ბატონ ასლან

აბაშიძისაგან საჩუქრების გადაცემა. მათი რაოდენობა 100 ათასს აჭარბებს.

ზემოთ ხსენებული ბავშვთა უფლებების კონვენცია აღიარებს ავადმყოფი და ინვალიდი ბავშვების უფლებას განსაკუთრებულ ზრუნვასა და აღზრდაზე. რთული ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, სახელმწიფოს ხარჯზე ბათუმში ფუნქციონირებს ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა პანსიონის ტიპის საბავშვო ბაღი. უახლოეს პერიოდში გაიხსნება ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სპეციალური სკოლა-ინტერნატი.

თავის დროზე საბჭოთა პედაგოგიკის მოთხოვნას წარმოადგენდა გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთათვის სპეციალური სკოლების არსებობა. ასეთი სკოლა ბათუმშიც მუშაობდა. ჩვენ გავეცანით სხვა ქვეყნების გამოცდილებას, კერძოდ, ამ საკითხისადმი ამერიკისა და ცივილიზებული სამყაროს დამოკიდებულებას, გავიზიარეთ მათი პუბლიკური მიდგომა ამ კატეგორიის ბავშვებისადმი. მივიჩნიეთ, რომ მდგომარეობით ისედაც დაზარალებული ბავშვების გამოცალკევება და თავმოყრა არის მათი დისკრიმინაცია, უფლებების შელახვა და განვითარების ხელშეშლის შეფერხება, რის გამოც 4 წლის წინ დავხურეთ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა ჯგუფები და ისინი ჩვეულებრივ სკოლებში, თანატოლებთან გადავანაწილეთ. ამ გზით, გონებრივი გადახრის მქონე ბავშვებს საზოგადოებრივი ადაპტაციისა და თანატოლებთან ურთიერთობის შედეგად განვითარების უკეთესი პირობები შეექმნათ.

უნდა ითქვას, რომ ბავშვთა უფლებების განათლება და დაცვა ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემის ყურადღების ცენტრშია. განათლების სამინისტროს საბჭოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე სასწავლო წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადეთ, რასაც წინ უძღოდა სხვადასხვა ორგანიზაციული და მეთოდური მუშაობა. სამინისტროს საბჭოს გადაწყვეტილებით, შექმნილია და ფუნქციონირებს ბავშვთა უფლებების დაცვის რესპუბლიკური ცენტრი. ბავშვთა უფლებების დაცვის სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბებულია განათლების რაიონულ რგოლებში.

ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებების განათლებასა და რეალიზაციას. ცენტრი ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის პერიოდულ მიზნობრივ შესწავლას, გამოიმუშავებს რეკომენდაციებს მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ხელს უწყობს ბავშვებში საკუთარი უფლებების გაცნობიერებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. თავისი ამოცანების განსახორციელებლად ცენტრი აწყობს და მომავალში გააგრძელებს სემინარების, დისკუსიების, ტრენინგების, კონფერენციების გამართვას ბავშვთა უფლებების დაცვის აქტუალურ საკითხებზე. ბავშვთა უფლებების დარღვევის შედეგად აღმოცენებული ვაკუუმის სარეაბილიტაციოდ ქმნის ამ კატეგორიის ბავშვთათვის ტრენინგ ჯგუფებს და სხვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბავშვთა უფლებების განათლების საქმეში არის ხელის შემშლელი ფაქტორები. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის სრულყოფილი სახელმძღვანელოები აღამიანთა უფლების დეკლარაციისა და ბავშვთა უფლების კონვენციის შესასწავლად. იმის გამო, რომ უმაღლეს სასწავლებელში არ ხდებოდა ამ ცოდნით მასწავლებელთა მომზადება, დაბალია იმ პედაგოგთა კვალიფიკაცია, ვინც ამ დისციპლინას ასწავლის, ხოლო მათი მიზნობრივი გადამზადების მექანიზმი დამუშავებული არ არის.

როდესაც საუბარია ბავშვის უფლებაზე, უპირველესად, იგულისხმება განათლების

უფლება, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის ერთი უმთავრესი პრინციპთაგანია და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მიერ. ამავე დროს, საქართველოში სწავლების მესამე საფეხურზე – X-XI კლასებში შემოღებულია ნაწილობრივ ფასიანი სწავლება. მიგვაჩნია, რომ ფასიანი სწავლების გრადაცია არ შეესაბამება კონსტიტუციურ უფლებას უფასო განათლების მიღების შესახებ. ფასიანმა სწავლებამ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ჩამოაცილა სკოლას, აღზრდა-განათლების ორგანიზებულ გარემოს და ქუჩის ანაბარა დატოვა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ვერ გასწავდა სწავლისათვის დამატებით ხარჯებს. სწორედ ამ მომენტების გათვალისწინებით, ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების გამგეობებმა მიიღეს გადაწყვეტილება და თვითონ იტვირთეს სწავლების საფასურის გადახდა.

საქართველოს განათლების სისტემაში არის სხვა მომენტები, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვას უკავშირდება. გადატვირთული საგანმანათლებლო სტანდარტები და სასწავლო გეგმები, რის გამოც ბავშვების დატვირთვა არანორმირებულია. საგაკვეთილო ბაღში საგანთა მრავალრიცხოვნება პრაქტიკულად, მოზარდების ასაკობრივი და ფიზიოლოგიური თავისებურებების უგულებელყოფას წარმოადგენს. ხუთდღიან სასწავლო კვირაში უფროსკლასელთა დღიური დატვირთვა 7-8 გაკვეთილს შეადგენს.

ამიტომ, მიმდინარე განათლების რეფორმამ უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ეს მომენტი და დროა, რომ სწავლების მესამე საფეხურზე შემოღებულ იქნას საგანთა თავისუფალი არჩევის პრაქტიკა იმ სავალდებულო საგნების შემდეგ, რასაც სახელმწიფო განსაზღვრავს მისი იდეოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელთა მიზანიც იქნება სასწავლო გარემოს ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა. ბოლო წლებში გატარებული მასიური შემცირებების შედეგად სკოლებში არ დარჩა ფსიქოლოგიის საშტატო ერთეული. ეს იმ დროს, როდესაც არსებული მდგომარეობა სტრესულია ყველა ასაკის ადამიანისათვის. სკოლებში მოზარდები ფსიქოლოგიური დაკვირვებისა და დახმარების გარეშე არიან დარჩენილი.

მეფედ აკანოძე და ბათუმის თოჯინების თეატრი

აჭარის ა.რ. ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა საკმაოდ მდიდარი და მეტად საინტერესო მასალა ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრზე, რომელიც ოფიციალურად ჯერ კიდევ 1936 წელს გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის (ახლა მინისტრთა საბჭოს) გადაწყვეტილებით. თბილისში ასეთი თეატრი დაარსდა 1936 წლის 26 მაისს ე. მიქელაძის ინიციატივით. მანამდე 1936 წლიდან თბილისში არსებობდა თოჯინების რუსული თეატრი.

ბათუმში 1936 წელს ახლადდარსებულმა თოჯინების სახელმწიფო თეატრმა პირველად უჩვენა ქართული პიესა „კაკოს ოინები“, რომელიც რეჟისორმა გრიგოლ კორტავამ დადგა. თუმცა სჯობს მოვლენებს წინ არ გავუსწროთ და თანმიმდევრობით მივყვეთ ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მიჩქმალულ და საკმაოდ დრამატულ თავგადასავალს.

1935 წელს ბათუმში არსებობდა თოჯინების მოყვარულთა თვითმოქმედი თეატრი, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრი. საქართველოში თოჯინების თეატრის დაარსების იდეა წარმოიშვა მოსკოვში სტალინთან საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიღებაზე, რომელიც შედგა 1936 წლის 19 მარტს. ამ დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: პავლე ინგოროყვა, იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, მიხეილ ნიორაძე, ალიო მირცხულავა, მამია გველესიანი, თამარ ჭავჭავაძე და სხვები. სწორედ ამ უკანასკნელმა დასვა საკითხი საქართველოში თეატრალური ხელოვნების ძირეულ გარდატეხასა და განვითარებაზე. (იხ. „საბჭოთა აჭარისტანი, 1936, №70) ამ დელეგაციაში მიხეილ ნიორაძე და თამარ ჭავჭავაძე აჭარის ასსრ-დან იყვნენ წარგზავნილები. (ამ დროს ისინი ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოღვაწეობდნენ. თ. ჭავჭავაძე - მსახიობად, მ. ნიორაძე - დრამატურგად) როგორც ჩანს ამ გამოსვლას მოჰყვა შესაბამისი ორგანოების მხრიდან რეაგირება და შეიქმნა საფუძველი დრამატული ხელოვნების განვითარებისათვის, მათ შორის თოჯინების თეატრების ჩამოყალიბებისათვის. თ. ჭავჭავაძემ და მ. ნიორაძემ ოპერატიულად აცნობეს აჭარის სახალხო კომისარიატს და ხელოვნების კომიტეტს თოჯინების თეატრის დაარსებაზე მხარდაჭერის შესახებ. ეს საქმე ითავა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარმა ილია ქათამაძემ. ამის დასტურია ხელშეკრულება, რომელიც მან დადო რეჟისორ გრიგოლ კოსტავასთან. გთავაზობთ ამ ხელშეკრულების სრულ ტექსტს სტილის დაცვით: „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი ილ. ქათამაძე და მეორეს მხრივ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ტიკინების (თოჯინების- ლ.ჩ.) თეატრის რეჟისორმა (გრ. კორტავა) შევკარით ხელშეკრულება შემდეგზე: 1. ტიკინების თეატრის რეჟისორი ამხ. გრიგოლ კოსტავა ლეზულობს თავის თავზე ქალაქ ბათუმში ტიკინების თეატრის ჩამოყალიბების ორგანიზაციის საქმეს და იძლევა ერთ დადგმას „კაკოს ოინები“, რისთვისაც საჭირო დეკორატიული, ბუტაფორული და სამხატვრო სრული გაფორმება განისაზღვრება შემდეგში: ა) 1-ლი ივლისისთვის ამხ. კოსტავა ვალდებულია ჩაიბაროს აჭარის ტიკინების

თეატრის 1 დადგმის „კაკოს ოინების“ სრული გაფორმება, როგორც არის ტიკინები, შირმები, ბუტაფორა, პარიკები, განათება და სხვა. ბ) 15 ივლისისთვის ვალდებულია მისცეს საჩვენებელი I წარმოდგენა. აჭარის ცაკ-თან არსებული სახალხო კომისარიატის ვალდებულია I დადგმისათვის უზრუნველსაყოფად მისცეს წინასწარი ხარჯთაღრიცხვა 4,600 მანეთი. პირველი 2000 მანეთი, რომელიც საჭიროა მუშაობის დაწყებისთვის. დარჩენილი 2600 მანეთი ეძლევა ამხ. კოსტავას არაუგვიანეს 2 ივლისისა“. ხელშეკრულება რომელიც დათარიღებულია 1936 წ. 9 ივნისით ხელს აწერენ აჭარის განათლების სახალხო კომისარი ილია ქათამაძე და რეჟისორი გრიგოლ კოსტავა. (აჭარის ა.რ. სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი 190, ამონაწერი 1, საქმე 2 ფურც. 7) თეატრის შენობა მდებარეობდა ბათუმში, კომინტერნის ქუჩაზე №26-ში (ახლანდელი მემედ აბაშიძის პროსპექტი) 1938 წელს თეატრი გადაჯანყილი იქნა კომინტერნის №37-ში.

ეს იყო სახელმწიფო სტატუსის მქონე თეატრი, ერთ-ერთი „Крупный театр“, როგორადაც მოხსენიებულია იგი ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, თავისი მოწესრიგებული შინაგანაწესით, ორგანიზაციით, თეატრალური ატრიბუტიკით და ა.შ. თეატრს ჰყავდა მთავარი დირექტორი და დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, ადმინისტრატორი, რეჟისორები, მხატვარ-დეკორატორები, მუსიკალური ნაწილის გამგე და კომპოზიტორი, პირველი და მეორე კატეგორიის მსახიობები. (იხ. ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 3, ფურც. 47) ყოველი სეზონის ბოლოს ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს ცენტრალურ ბუღალტერიას უგზავნიდა წლის ფინანსური შედეგების ანგარიშს.

ბათუმში თოჯინების სახელმწიფო თეატრის გახსნა მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აჭარის კულტურულ ცხოვრებაში, რომელსაც მოწონებითა და ინტერესით შეხვდა აჭაური საზოგადოება. ილია ქათამაძე მიმართავს ახლადშექმნილ კოლექტივს: „ყოველმხრივ შეიცვალა აჭარელის ცხოვრება იგი ოდნავადაც არა ჰგავს უწინდელს, დარწმუნებული ვარ თქვენი, ტიკინების ახლადშექმნილი თეატრი, გამოაბიჯოს ჰპოვებს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში. მხურვალე საღამო ტიკინების თეატრის კოლექტივს“. („საბჭოთა აჭარისტანი“, 1936 №154).

ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის პირველი პრემიერა გაიმართა 1936 წლის 20 ივლისს. ამის შესახებ გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ (1936 №200) წერს: „ახლო წარსულში აჭარაში, ქალაქ ბათუმში ჩამოყალიბდა ტიკინების თეატრი. მისი უმთავრესი დანიშნულებაა კულტურულ-თეატრალური მსახურება გაუწიოს მრავალრიცხოვან მოწაფეობას და სკოლამდელი პასაკის ბავშვებს... აჭარის თოჯინების თეატრმა შესანიშნავი წარმოდგენა დადგა, პირველმა წარმოდგენებმა ბავშვებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ შემდეგი სპექტაკლები კიდევ უფრო უკეთესად იქნება დამუშავებული“.

ბათუმის თოჯინების თეატრის დასში ირიცხებოდნენ: მთავარი დირექტორი მადლენა კავუჩიანი, დირექტორი კოწო დოლონაძე, ადმინისტრატორი - დავით ნოზაძე (1936-37 წწ) და სარა სამსონია (1938 წ.) მუსიკალური ნაწილის გამგე და კომპოზიტორი - ვლადიმერ კორშონი, რეჟისორი: მიხაილოვი, მხატვრები: ივან ეფრემოვი, ოლეგ ერომერი, დასის ინსპექტორი - ოლღა ჩხიკიშვილი, მსახიობები: ტასო შარაბიძე, თამარ თავდიშვილი, ლუიზა ანჯელო, გალია ბულმაკოვა, სოგოი ბოლოხინი, თამარ თოდრაძე, ევდოკია ნებოლსინი, ეკატერინა რადცევიჩი, მარინა ერემიანი, შალვა ხორავა, დ. კალანდაძე, მ. მოსკოვეცი, ფ. ბალოხინი (ფონდი 190,

ნაწერი 1 საქმე 4, ფურც. 35) შემდეგში თეატრის დასის დაემატნენ: ბევუზაშვილი, ი. ფატლაძე, ფროიდ უსტიაშვილი, თოფურია, კაფულინი დასი ძირითადად პროფესიული მსახიობებით იყო დაკომპლექტებული, თუმცა იყო შემთხვევები, როცა სპექტაკლებში არაპროფესიონალები იღებდნენ მონაწილეობას თეატრი ორგნოვანი იყო. სპექტაკლები იმართებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. თეატრის დირექტორი კოწო დოლონაძე იხსენებს: „ჩვენს თეატრში 2 სექცია იყო: ქართული და რუსული, აქარელ მსახიობებს არ უჭირდათ რუსული სპექტაკლების თამაში, რუსებს კი უჭირდათ ცოტა და ხალხი იცინოდა დარბაზში (ფონდი 190, ანონაწერი 1, საქმე 1, გვ. 63).

თეატრის რეპერტუარი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. აქ იდგებოდა, როგორც ქართველ, ისე რუს და ევროპელ მწერალთა და დრამატურგთა ნაწარმოებები. თეატრის რეპერტუარში იყო შემდეგი სპექტაკლები: „კაკოს ოინები“ (1936 წ.), „პატარა ჯემალი“ (1936 წ.), „ცოდვები“ (1936 წ.), „ჯადოსნური სატუცავი“ (1936 წ.), „კაცია ადამიანი“ (1936 წ.), „პიკან-ამინ“ (1937 წ.), „გოჭების წიგნი“ (1937 წ.), „ჯადოსნური ფლეიტა“ (1937 წ.), „სამი გოჭი“ (1937 წ.). 1938 წელს დაიდგა მხოლოდ ორი ახალი სპექტაკლი: „კოლა კეთილი“ და „ადლიელი კეთილი ბებია“ (ფონდი 190, ანონაწერი 1, საქმე - “Всесоюзный комитет по делам искусства при союз народный комисариатов ссср, центральная бухгалтерия, управление по дела искусств. годовой отчет по основной деятельности за 1936-1938 год”) როგორც ჩანს, თეატრის საკმაოდ შემოსავლები ჰქონდა. თეატრის ფინანსური შემოსავლები ცალკე საუბრის თემაა, რომელზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

აქარის პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრს, ხშირად აქვეყნებდა სტატიებსა და რეცენზიებს, აუწყებდა ხოლმე მაყურებელს, მოსახლეობას თეატრის სამომავლო გეგმებს. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „საბჭოთა აქარისტანში“ (1937 №81) გამოქვეყნებული ერთი ინფორმაცია „აქარის თოჯინების თეატრი - 1937-38 წლების სეზონს იწყებს 20 აგვისტოს, (სეზონი იხსნებოდა ზაფხულში და მუშაობდა ექვს თვეს, 1937 წლის ბოლოს გაიზარდა სეზონის ხანგრძლივობა 8 აგვისტოდან - ლ. ჩ.) თეატრი წარმოდგენებს გამართავს ბათუმის ბაუმშთა პარკში, თოჯინების თეატრის რეპერტუარი ამ სეზონზე საგრძნობლად გამდიდრდა, რეპერტუარში შეტანილია მთელი რიგი საბავშვო პიესები, იდგება საბავშვო პიესა „სიზმარი“, თეატრმა უკვე აჩვენა „კაცია ადამიანი““. რომელიც სპეციალურად ამ თეატრისათვის გადაკეთდა, პიესა „სამი გოჭი“ და სხვა. ახალ სეზონში თეატრი 6 ახალ სპექტაკლს დგამს, დადგმების მხატვრული ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თეატრმა მოსკოვიდან მოიწვია კვალიფიციური მუშაკები“.

ბათუმის თოჯინების თეატრს ჰქონდა ვასელიანი სპექტაკლებიც, სპექტაკლებს მართავდა, როგორც ბათუმის სხვადასხვა უბნებში, ისე აქარის რაიონებში. თეატრი ემსახურებოდა ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონებსაც. გასტროლები დიდი წარმატებით გვირგვინდებოდა. 1936 წელს გასტროლების შემოსავალმა 42602 მანეთი შეადგინა. 1937 წლის საშემოსავლო ნაწილში, რომელსაც ხელს აწერს აქარის ცაკთან არსებული ხელოვნების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის უფროსი - ხუსეინ ნაკაიძე, აღნიშნულია, რომ თეატრი 1937 წელს 70-ზე მეტად გავიდა ქალაქიდან და 130 სპექტაკლი გამართა. საშუალო შემოსავალი ერთი საგასტროლო სპექტაკლისა შეადგენდა 500 მანეთს.

ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ მუშაობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კომპოზიტორი და დირიჟორი ვლადიმერ

კორშონი. მას ეკუთვნის სპეციალურად სპექტაკლებისთვის დაწერილი მუსიკა. კერძოდ, დადგმებისათვის „სამი გოჭი“, „ადლიელი კეთილი ბებია“, „პატარა ჯემალი“, „კაცია ადამიანი?“, „ჯადოსნური ფლეიტა“. 1938 წლის 15 მარტიდან იგი გათავისუფლებულია ბათუმის თოჯინების თეატრის კომპოზიტორის თანამდებობიდან და მის სახელზე გაცემულია 7200 მანეთი. თუ რის საფუძველზეა იგი გათავისუფლებული სამსახურიდან, საარქივო მასალებში არ ჩანს. (ფონდი 190, ამონაწერი 1, საქმე 4 გვ. 37).

ბათუმის თოჯინების თეატრის წარმატებულმა მუშაობამ შორს გაუთქვა სახელი მის სპექტაკლებს. ამას მოწმობს მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოთა კავშირის კულტურის კომისარი – ი. რუმინანცევი და საბჭოთა კავშირის თოჯინების თეატრების მეთოდისტი – მალინიესკაია. აი, რა წერია ამ წერილში: „თეატრალური კომბინატი, რომელიც გაეცნო რა თქვენს ნამუშევარს, თვლის რომ თეატრალური მუშაობის დიდი გამოცდილების წყალობით, თქვენ შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ თოჯინების თეატრის მეთოდიკური თეატრები. წარმოდგენებში დაკავებული მსახიობების მცირე რაოდენობა, უბრალო გაფორმება სპექტაკლებისა, შირმების დამზადება იძლევა შესაძლებლობის ამ მუშაობის ფართოდ გაშლისა მცირე დანახარჯებით. ჩვენ გავიწვევთ დახმარებას თოჯინების თეატრის ორგანიზაციაში, ჩაგიტარებთ მუდმივ დაუსრულებელ კონსულტაციას, მოგიყვებით როგორ იშოვოთ თოჯინები და რა ფასად, როგორ იმუშაოთ თოჯინების თეატრის პეისაზე და ა.შ. ჩვენ სიამოვნებით დაგეხმარებით. (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 1, ფურც. 14) წერილი დათარიღებულია 1937 წლით. საყურადღებოა, რომ ასეთი წერილები საბჭოთა კავშირში არსებულ მხოლოდ მსხვილ თეატრალურ კოლექტივებს გაუგზავნეს.

რაც შეეხება ბათუმის თოჯინების თეატრის ფინანსურ შესაძლებლობებს უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ მდიდარ თეატრს წარმოადგენდა. სპექტაკლების შემოსავალი მოსალოდნელზე მეტი იყო. მაგალითად სპექტაკლიდან „ჯადოსნური სატუცავი“ ვარაუდობდნენ 4000 მანეთის შემოსვლას და შემოუვიდათ 7975 მანეთი, სპექტაკლის „ჯადოსნური ფლეიტა“ დადგმა 950 მანეთი დაჯდა, ვარაუდობდნენ 2000 მანეთის შემოსვლას და შემოუვიდათ 3300 მანეთი, სპექტაკლი „სამი გოჭი“, რომლის პრემიერა ახალ წელს დაემთხვა (1937 წლის 1 იანვარი) 4000 მანეთის შემოსვლას ვარაუდობდნენ და 4000 მანეთის საფასური ბილეთი გაიყიდა. არ გამოვრიცხავთ იმასაც რომ თეატრს ჰქონდა ჩაგარდნებიც, ხელფასების გაუცემლობაც.

ბათუმის თოჯინების თეატრში ინახებოდა 82 დასახელების 236355 მანეთის ღირებულების ინვენტარი, მათ შორის 35 თოჯინა. თეატრს ჰყავდა საკუთარი ავტობუსი, ორკესტრი, რომელსაც ვლ. კორშონი ხელმძღვანელობდა. თეატრი მდიდარი იყო სპეციალური ლიტერატურითაც. აქ ინახებოდა 160 ც. პიესა, 4000 ცალი ნოტების წიგნი. თეატრი ამ წიგნებს თავისი ხარჯებით ყიდულობდა: „1938 წლის 31 მარტს შევიძინეთ 34 ცალი ნოტების წიგნი, ამავე წლის 27 აპრილს და 26 მაისს 288 მანეთის საფასური კომპოზიტორთა წიგნები, 15 ცალი პრესა“ (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 3 ფურც. 220.)

1938 წლის შედეგების შეჯამებისას თეატრს ბიუჯეტში შეუტანია 52 374 მანეთი, მსახიობებზე გაიცა 54100 მანეთი. სახელმწიფო ორგანიზაციებიდან თოჯინების თეატრს აფინანსებდა ცაკ-თან არსებული აჭარის ასსრ ხელოვნების კომიტეტი, განათლების სახალხო კომისარიატი, თეატრისათვის 1938 წლის 20 და 31 იანვარს 250 მანეთი ორჯერ გადარიცხული აქვს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, 1938 წლის 9 მაისს ქარხანამ თეატრში გადარიცხა 900 მანეთი.

ბათუმის თოჯინების თეატრის ფინანსურ ოპერაციათა წიგნით ცნობილია, რომ

თეატრს 1938 წლის 27 მარტს მახინჯაურის ბავშვთა სახლისათვის გადაურიცხა 1500 მანეთი. ამ პერიოდისათვის თეატრის დირექტორი იყო კოწო დოლონაძე.

ცნობილია, რომ აჭარაში 1919 წელს ჩამოყალიბდა „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე იყო მემედ აბაშიძე. ეს საზოგადოება დახმარებას უწევდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. აჭარის ა.რ. სახელმწიფო ცენტრალურ არქივში მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ ამ საზოგადოებას არა ერთხელ გაუწევია დახმარება თოჯინების თეატრისათვის. კერძოდ, 1936 წლის 11 მარტს მემედ აბაშიძის სახელით ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრს გადაერიცხა 773 მანეთი. გარდა ამისა მსახიობები გათავისუფლებულები იყვნენ ე.წ. „კულტურული გადასახადიდან“, მათ ნაცვლად იხდიდა მემედ აბაშიძე. ამ მიზნით 1936 წლის 11 მარტს გადარიცხა 730 მანეთი. (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 3. ფურც. 30). ეს უკანასკნელი შეღავათი რომ ცოტას არ ნიშნავდა, ჩანს ერთი დოკუმენტიდან. კერძოდ, თეატრის კოლექტივის საერთო კრების ოქმიდან. მსახიობი მარინა ერემიანი აღნიშნავს რა მსახიობთა მატერიალურ გაჭირვებას, ამბობს: „მე დამეხმარებოდა 100 მანეთი, რომელიც არ მომცენ, კიდევ კარგი, რომ ჩვენ მსახიობები გადასახადებს არ ვიხდით, იმ საზოგადოების გადაწყვეტილებით, რომელსაც მემედ აბაშიძე უფროსობდა, ახლა კი ისევე ვიხდით და გამწარებულები ვართ მთელი მსახიობები“. (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 1, გვ. 54)

ზემოთმოყვანილ მემედ აბაშიძის მიერ გადარიცხული თანხების თარიღებს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ეს თანხები გადარიცხულია თეატრის გახსნამდე, ამავე წლის 22 მაისს მემედ აბაშიძემ თეატრში გადარიცხა 664 მანეთი „3а постановку“, ხოლო შენობის რემონტისათვის 813 მანეთი 1936 წლის 25 მაისს (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 3, №330 გვ. 85). უეჭველია, რომ თეატრს ბევრი თანამგზავობი და გულშემატკივარი ჰყავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მემედ აბაშიძის ღვაწლი ამ მხრივ მაინც განსაკუთრებული იყო, რადგან თოჯინების თეატრმა მემედ აბაშიძის საპატივცემულოდ სპეციალური თოჯინაც კი დაამზადებინა. ამ ფაქტს ვეიდარსტურებს 1936 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული თოჯინების თეატრის დირექტორის მადლენა კავუჭიანის ბრძანება №03/17.04, რომელშიც წერია: „შეიკეროს და დამზადდეს თოჯინა „მემედი“, რომლის ფასი აღემატებოდეს 150 მანეთს“ (ფონდი 190, ანაწერი 2, საქმე 2, გვ. 13) გარდა ამისა თეატრის საინვენტარიზაციო ოქმების ჩამონათვალში გვხვდება თოჯინა „მემედი“, რომელიც შეფასებულია 150 მანეთად. თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა თოჯინების ფასი 5 მანეთიდან 25 მანეთამდე მერყეობს, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ 150 მანეთად შეფასებული თოჯინა, სწორედ ის არის, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი იხ. (საინვენტარიზაციო წიგნი ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრისა. ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 5 №05 გვ. 14).

1937 წელს ბათუმის თოჯინების თეატრში შეიქმნა კომისია, რომელიც თეატრში არსებულ დარღვევებს შეისწავლიდა. კომისიაში შედიოდნენ: ხ. ბაბუჩოკლი, მ. კომახიძე და ქ. თოფური, კომისიამ 1937 წლის 20 ნოემბერს გააკეთა საბოლოო დასკვნა თოჯინების თეატრისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის კოწო დოლონაძის მუშაობის ირგვლივ, რომელშიც ნათქვამია: „... გამოძიდა, რომ თოჯინების თეატრში სრულად ჩაშლილი იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა, თეატრი დარჩა ერთი ადამიანის ზეგავლენის ქვეშ... იყო შემთხვევები სიგნალებისა მსახიობების მიერ ხელოვნების სამმართველოში და ლოთობის შესახებაც... მან სცემა მსახიობები ერემიანი და თოდრაძე, აგრეთვე სვამდა ღვინოს სარეპეტიციო ზალაში, დადასტურდა ის ფაქტიც, რომ კოწო დოლონაძემ ხელი აიღო თეატრში მუშაობაზე, პიესა უნდა

წასულიყო 7 ნოემბრისათვის და დღესაც არ არის მზად... ყოველივე ამის მიუხედავად კომისია დაასკვნის, რომ მან ვერ გაუძღვა თეატრს ისე, როგორც საჭირო იყო, ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ლაქობას, ამიტომ კომისიამ შედეგები უნდა აცნობოს ცაგ-ს, აგრეთვე შემოწმებულ უნდა იქნას თეატრის ადმინისტრატორი სარა სამსონია პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან ის მასწავლებელთა კონფერენციაზე იქნა დამუშავებული №-ის მიერ, კავშირი აქვს ხალხის მტერთან №-თან. აგრეთვე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გამორკვეული იქნას თოჯინების თეატრის წინა წლის გადამორიცხვები საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარისა". (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 1, გვ. 59-63).

საგამომიებო კომისიის დასკვნაში საყურადღებოა რამდენიმე მონაკვეთი „ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ლაქობას“, „იყო შემთხვევები სიგნალებისა“, „შესამოწმებელია პოლიტიკური თვალსაზრისით“, „იგი დაამუშავეს“, „კავშირი აქვს ხალხის მტრებთან“, „კომისიას მიაჩნია გამორკვეულ იქნას თეატრის წინა წლის გადამორიცხვები“... აქედან ირკვევა, რომ თეატრს ამზადებენ ლიკვიდაციისათვის პოლიტიკურ ნიადაგზე, თუმცა საბაბად ალბათ სხვა რამ დაუდეს.

იმის მიუხედავად, რომ „საგამომიებლო კომისიამ“ მეტად მძიმე და მკაცრი დადგენილებები მიიღო, თეატრს არსებობა არ შეუწყვეტია, მაგრამ 1937 წლის 24/XII მოწვეულ იქნა ბათუმის თოჯინების თეატრის აჭარის სახელმწიფო თეატრისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის ერთობლივი კრება. თოჯინების თეატრიდან ესწრებოდა შემდეგი პირები: იარალიშვილი, დოლონაძე, ნოზაძე, თავდიშვილი, ერემიანი, რადცევიჩი, ნებოლსინა, თედორაძე. მოისმინეს მოხსენება „თოჯინების თეატრის მუშაობის შესახებ“, ილაპარაკეს ბიუჯეტის წარმატებით შესრულებაზე, თეატრის მენობის რესტავრაციასა და მუსიკალური ინსტრუმენტების ნაკლებობაზე, თეატრს გამოეცა სპეციალური კრიტიკოსი გ. ნიორაძე, დადგინდა: მსახიობის ნიორა სამჯერ არასაპატიო მიზეზით რეპეტიციების გაცდენის შემთხვევაში დაითხოვონ სამსახურიდან. ეთხოვა ხელოვნების სამმართველოს სამტატო ერთეულის გაზრდის შესახებ. (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 1, გვ. 58).

დაისახა მომავლის გეგმები; მსახიობთა პროფესიული დაოსტატებისთვის, ინვენტარის განახლებაზე, დისციპლინის განმტკიცებაზე, პროფესიონალობის ამაღლებაზე, არაფერი მიაჩნებდა დასასრულს... და უცებ...

აჭარის არ. სახელმწიფო ცენტრალურ არქივში არ მოიპოვება ცნობა თუ რისთვის, რა მიზეზით დაიხურა თეატრი, მაგრამ დასკვნის გაცემა ალბათ შეიძლება, თეატრის ისტორიაში ტრაგიკული ფურცელი გადაიშალა... 1938 წელს შეიქმნა „Продликидком“-ი, ანუ სალიკვიდაციო კომიტეტი ლადო შარაშიძის ხელმძღვანელობით, აღიწერა თეატრის მთელი ქონება და შეიქმნა დოკუმენტი: „Опись имущества Батумского государственного кукольного театра переданного на хранение гостеатру Аджарии“. ამ საქმეებს აწარმოებდა სახელმწიფო თეატრის მთავარი ბუღალტერი მელენტი ჯაყელი. (ფონდი 190, ანაწერი 1, საქმე 5 გვ. 16)

მართალია, 1938 წლის ბოლოს ბათუმის თოჯინების თეატრი გაუქმდა, მაგრამ 1940 წელს იგი ისევ აღსდგა და კვლავ იქ დაიდო ბინა (კომპინტერნის №37), სადაც 1936 წელს არსებობდა. 1958 წელს ბათუმის თოჯინების თეატრი კვლავ დაიხურა ფინანსური ჩავარდნების გამო.

1980 წელს კვლავ გაიხსნა აჭარის არ. მასწავლებელთა სახლის შენობაში და დღესაც წარმატებით მუშაობს.

მეხედ აბაშიძე და „ვეფხისტყაოსანი“

ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის თავგამოდებული ქომაგი მემედ აბაშიძე დიდად იყო დაინტერესებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“. იგი მას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მსოფლიო გენიად“ მიიჩნევდა და პოემის ავტორს ყოველთვის მოიხსენიებდა სიტყვით – „უკვდავი შოთა“.

მემედ აბაშიძე რომ „ვეფხისტყაოსნის უბადლო მცოდნე იყო, უპირველეს ყოვლისა, იმ უძველესი ტრადიციებიდან გამომდინარეობდა, რომელიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული და ფესვებგადგმული ძირძველ ქართულ ოჯახებში – მწიგნობრობისადმი უზომოდ დიდი სიყვარული და პატივისცემა. განათლებული საზოგადოება „ვეფხისტყაოსანს“ უპირველეს წივნად თვლიდა და იგი თითქმის საღვთო წერილის რანგში იყო აყვანილი. ეს განსაკუთრებით ითქმის სამხრეთ საქართველოს იმ დიდებულ ქართველებზე, რომლებსაც, მიუხედავად საშინელი ძნელებელობისა, წმინდად შეინახეს სიყვარული და მოწიწება შოთა რუსთაველის ამ გენიარული ქმნილებისადმი, რომელიც მათთვის საქართველოს ძველი დიდების განსახიერება იყო. ბუნებრივია, აბაშიძეების ძირძველ ქართულ ოჯახში „ვეფხისტყაოსნის“ კულტი არსებობდა, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების, მისი ხატოვანი გამოთქმების ცოდნა, ადამიანის განსწავლულობის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი იყო. მემედ აბაშიძე ბავშვობიდანვე ეზიარა „ვეფხისტყაოსანსა“ და მისდამი განუზომელი სიყვარული და მოწიწება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

როდესაც შოთა რუსთაველის იუბილის 750 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდნენ, მანამდის გაცილებით უფრო ადრე, ქართველ მოღვაწეთაგან მემედ აბაშიძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე იყო, ვინაც შეეცადა „ვეფხისტყაოსანი“ სხვა ხალხებისათვის გაეცნო. კერძოდ კი გაეცეთებინა მისი თურქული თარგმანი, რაც ხელმისაწვდომს გახდიდა ქართველი კულტურის ამ შედევრს აღმოსავლეთის ხალხებისათვის (მანამდე არსებობდა პოემის არასრულყოფილი თარგმანი რუსულ ენაზე, ინგლისურად (უორდროპისეული) გერმანულად (არტურ ლაისტი). სამწუხაროდ, ამ დიდებული ჩანაფიქრის განხორციელება მემედ აბაშიძეს არ დასცალდა; მან მოასწრო „ვეფხისტყაოსნის მხოლოდ ორი მესამედის თარგმნა. 1937 წელს მემედ აბაშიძე დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო თარგმანის ხელნაწერი მწერლისა და შემოქმედის ბიბლიოთეკასა და სხვა ხელნაწერებთან ერთად უგზოუკვლოდ გაქრა, რითაც ყოფილმა სისტემამ კიდევ ერთი გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქართულ კულტურას. „ვეფხისტყაოსანი“ მემედ აბაშიძის სულის განუყოფელი ნაწილი იყო. ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ მემედ აბაშიძე ყოველთვის შეძლებისდაგვარად მონაწილეობას ღებულობდა იმ კამათში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო წამოიჭრებოდა ხოლმე. ამას მოწმობს ჯერ კიდევ 1916 წელს „სახალხო ფურცელში“ გაგრძელებებით გამოქვეყნებული მისი ორი წერილი: „ვეფხისტყაოსანის“ საკითხის გარშემო“ და „მცირე განმარტება“. ამ საგაზეთო წერილებში მემედ აბაშიძე წარმოგვიდგა, როგორც „ვეფხისტყაოსნისა“ და აღმოსავლურ მაჰმადიანური კულტურის უბადლო მცოდნე, ამ დროისათვის სამწუხაროდ საქართველოში ისლამურ კულტურას სუსტად იცნობდნენ. ქართველი მოაზროვნეებიდან მემედ აბაშიძე ერთადერთი პიროვნება

იყო, ვინც აღმოსავლეთის ისლამური კულტურის ისტორიას სრულყოფილად ფლობდა...

საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ 1915 წელს დაწყებული პოლემიკის ისტორია ასეთია: 1915 წელს ჟურნალ „განთიადში“, №№11-16 რომელიც ქუთაისში გამოდიოდა, დაიბეჭდა მირიანაშვილის სტატიები სათაურით „სალაზხო წერილები“. ასევე გაზ. „სახალხო ფურცელი“ გამოქვეყნდა მისივე წერილები „სწავლა და მამულიშვილობა“ (1916 წ. №№589-590), ასევე იგივე გაზეთში 1916 წლის №620-ში გამოქვეყნდა მისივე სტატია „ცოტა დაბლა დავიხედოთ“. „ვეფხისტყაოსანს“ მიუძღვნა ასევე წერილები გიორგი გვაზავამ, სათაურით „რუსთაველი“, რომელიც გაზ. „საქართველომ“ გამოაქვეყნა 1916 წ. №№149-151. მისივე სტატია „კიდევ რუსთაველზე“ იგივე გაზეთმა „საქართველომ 1916 წლის №178-ში გამოაქვეყნა.

მირიანაშვილისა და გვაზავას წერილებში პოლემიკის საგანს წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მაჰმადიანობის საკითხი, ქალთა თანასწორობის იდეა, „ვეფხისტყაოსანში“ ზოგიერთი არაბულ-სპარსული სიტყვების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც შოთა რუსთაველს ჰქონდა გამოყენებული.

მემედ აბაშიძე, როგორც ჩანს, გულდასმით გაეცნო კამათის შინაარსს და რადგანაც ბევრ საკითხში, კერძოდ აღმოსავლური კულტურის ურთიერთობასთან დაკავშირებით, სტატიის ავტორებს (განსაკუთრებით კი ბატონ გიორგი გვაზავას) საკმაო ცალსახა წარმოდგენა ჰქონდა, გადაწყვიტა საკითხის გასაშუქებლად და გარკვევისათვის გამოეყენებინა თავისი მოსაზრება. ამ მიზნით მემედ აბაშიძე ბეჭდავს წერილებს გაგრძელებებით: „ვეფხისტყაოსნის“ საკითხის გარშემო“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“ №№627-628) და კიდევ „მცირე განმარტება“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“ №№ 655, 659, 665, 670).

თავის წერილებში მემედ აბაშიძე პირველ რიგში გ. გვაზავას ეკამათება პოემაში ქალთა თანასწორობის იდეის წყაროს შესახებ. გვაზავა ამტკიცებს, რომ რადგანაც ქალთა თანასწორობის იდეა მარტოოდენ ქრისტიანული სარწმუნოებიდან გამომდინარეობს, შეუძლებელია, შოთა რუსთაველის გმირები მაჰმადიანები იყვნენ. მემედ აბაშიძე, ძალზე დინჯი ტონით, როგორიც ზოგადად მისი წერის მანერისათვის არის დამახასიათებელი, ასეთი მოსაზრების წინააღმდეგია და წერს: „... ტარიელ-ავთანდილისა და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გმირთა სარწმუნოების შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით და ამასთან ამ ნაწარმოებში განსაზღვრებული დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის დიად იდეათა განმარტებაც ჩვენს ძალას აღემატება“... მაგრამ მემედ აბაშიძე წერილის ავტორის მოსაზრებას არ ეთანხმება იმაში, რომ ეს იდეა მხოლოდ და მხოლოდ უშუალოდ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის არის დამახასიათებელი, რაც შეეხება ამ კუთხით მაჰმადიანობის შეფასებას გ. გვაზავა დიდ ლაფსუსებს უშვებს, ჯერ ერთი აცხადებს, რომ „არ წამიკითხავს და არ გამიგონია, რომ სამუსლიმანო ქვეყანაში დედაკაცი ყოფილიყო მეფედ“ - დინჯად საუბრობს მემედ აბაშიძე და სტატიის ავტორს თავაზიანად უსწორებს „მეცდომასა და აღნიშნავს ...ბეჭითად ვართ დარწმუნებული, რომ ბატონ გვაზავას მაჰმადიანების ისტორიაც აქვს წაკითხული, მაგრამ როგორც ზემოდ ვსთქვით, ჩვენი მწვობრისათვის მესხიერებას უღალატნია და სხვა: არაფერი“. მემედ აბაშიძეს მოჰყავს ისლამური ქვეყნების ისტორიიდან საკმაო მაგალითები, რომელიც გვისაბუთებს რომ მუსლიმანურ სამყაროში ქალები საკმაოდ ხშირად იკავებდნენ მეფის ტახტსა და ასევე სხვა მაღალ თანამდებობებს.

ასეთი პიროვნება იყო დედოფალი „სებიჰე“, ანდალუზიის მეცხრე მეფის, მუსთენ სირაუნ ბილლაჰი ჰეჩემის მეუღლე, რომელიც თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თავისი პოლიტიკური ნიჭითა და უნარით განაგებდა მთელს ანდალუზიას და რომლის პიჭრიდან 398-ში გარდაცვალებამდე შავი ზეწრით შემოსა მთელი

ანდალუზია". „ან კიდევ – მოაქვს მეორე მაგალითი მემედ აბაშიძეს, ეს არის კულტუდინ შაჰის ასული, პოეტი „ხათუნის“ ისტორია, რომელმაც ჰიჯრიდან 690-ში, მოჰკლა თავისი ძმა, სამეფო ტახტი წაართვა და სიკვდილამდე „სამეფო ტახტს განაგებდა“. მემედ აბაშიძე ისტორიიდან სხვა მუსლიმან მეფე ქალებსაც იხსენებს, როგორც იყო თავრიზის მეფე, „მელიქე“ და „შირაზის მეფე „ასეიდე“. მემედ აბაშიძე, როგორც ისლამის რელიგიის ღრმა მცოდნე, ასაბუთებს, რომ მაჰმადიანური რელიგია არსებითად არ არის ქალის წინააღმდეგი, მაჰმადიანური კულტურა არ აკნინებს ქალის როლს. მემედ აბაშიძე თავის წერილში სწუხს, იმაზე რომ ასეთ სერიოზულ თემაზე კამათი მიმდინარეობს და უმთავრეს პრობლემასთან დაკავშირებით კი საოცარ ზედაპირულობას ამჟღავნებს ავტორი. მემედ აბაშიძის აზრით, თანასწორობის, ადამიანთა ძმობის იდეა ახალი არ არის. იგი უძველესი აზრია, რომელიც ჯერ კიდევ „წინასწარმეტყველის დიდებული მოსეს ათ მცნებაშია გადმოცემული და აგრეთვე ყოველივე წინასწარმეტყველის მიმდევართა მოძღვრებაშია“. ამავე დროს მემედ აბაშიძეს ისლამის ქვეყნების ისტორიიდან მოჰყავს უამრავი მაგალითები, თუ ვინ იყვნენ მუსლიმანურ სამყაროში ქალი მეცნიერები, პოეტები, მუსიკოსები და ამით ასაბუთებს, რომ „დედაცაცების ასე გრძნობა-გონებით ამალდება უნდა ჰგულისხმობდეს მამაკაცებთან უფლებრივად თანასწორობას“.

საერთოდ დასახელებული წერილიდან მემედ აბაშიძე გვევლინება როგორც ტოლერანტი, რომელიც იბრძვის ყოველგვარი ფანატიზმის წინააღმდეგ. ის აღნიშნავს, „ბატონ გვაზავს წერილი ყურადსაღებია თავის მხატვრულ თვისებითა, მაგრამ აჩქარებით ზოგიერთ ადგილას ეს დარბაისული სტილი ირღვევა. მაგ. იგი წერს: „ბატონმა მირიანაშვილმა მოინდომა ყურანის ჩაკეცება“-ო. ამისთანა სიტყვები სარწმუნოებისათვის მძულვარებით თვალაბნეულს – ვინმე ერთს ფანატიკოსს რომ ეთქვა, მიეტევებოდა, ბ-ნ გვაზავს კი არ შეჰფერის“, სხვათაშორის, სწორედ მემედ აბაშიძემ ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი გაგებისათვის აუცილებელია აღმოსავლური ტერმინების განმარტება და აღმოსავლეთის ისტორიის კარგი ცოდნა. იგი თავის აღნიშნულ წერილში მოწიწებით მიუთითებს ამის შესახებ: „ჩემი გამოსარჩლება ბატონს მირიანაშვილს არ ესაჭიროება. ჩემი გამოსვლა იმაში გამოიხატება, რომ ზემოთ ხსენებული ზოგიერთი არაბული, სპარსული სიტყვები განმარტა და ცოტაც მაჰმადიანთა ისტორიის შესახებ ცნობები მიეწოდებინა მკითხველისათვის და არსებულ კამათში ცოტა ნათელი შემოეტანა“.

მემედ აბაშიძის ეს მცირე ბეჭდებიც კი მოწმობს მისი ბუნების უმთავრესი თვისების შესახებ, ეს იყო მოკრძალება და უდიდესი ინტელიგენტურობა.

თავი და თავი, რაც გვაზავს წერილში მემედ აბაშიძეს ყველაზე მეტად ალელვებს და გულს სტკენს, არის ის, რომ ერთგან გვაზავა ამბობს მირიანაშვილის საპირისპიროდ „როგორ მოხდა რომ რუსთაველის გმირები მუსულმანები არიან, მტკიცედ ასრულებენ ისლამის წესებს და ამავე დროს ქართულად ცხოვრობენ და დროს ატარებენო“. აქ მემედ აბაშიძე გარკვევით პასუხობს, რომ „რუსთაველის გმირების მიერ მაჰმადის რწმენის აღიარებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ და იმავე კაცი მაჰმადის წესებს მტკიცედ ასრულებდეს და ქრისტიანული ქართულიც იყოს არ შეიძლება? ვიცით არაო ვერ იტყვიო“.

ამავე წერილში მემედ აბაშიძე თავის მეგობარს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა და მასწავლებელს უწოდებდა, მიანიშნებდა „დიდად პატივცემულო ბატონო პეტრე! განა არ შეიძლება, რომ არაბული მუსაფი მიიჩნიოს საფიქარ სიწმინდე და ამავე დროს ადამიანი ნამდვილი სისხლითა და ზოცით ქართველი იყოს? რასაკვირველია, შეიძლება“, – პასუხობს იქვე. მემედ აბაშიძის მთავარი იდეა მაინც ქართველობის

საკითხია, ამიტომ წერს: „კაცი მაჰმადის სარწმუნოების შეიძლება იყოს და ამავე დროს წმინდა წყლის ქართველი“.

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხზე გამართულ პოლემიკაში ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ მემედ აბაშიძემ კარგად მიუთითა პოემის აღმოსავლური ძიების შესახებ. ამავე დროს ხაზი გაუსვა მაჰმადიანური კულტურის მნიშვნელობას. აქ ერთი ძალზე საინტერესო საკითხია: თუ საქართველოში შუა საუკუნეებსა და მე-18 ს-ში კარგად ესმოდათ და იცნობდნენ მუსლიმანურ ცივილიზაციას, კერძოდ ირანულ და არაბულ აზროვნებას, მე-19 საუკუნისათვის და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველო თავისი პოლიტიკური მდგომარეობის გამო კულტურულ კონტაქტში აღარ იმყოფებოდა აღმოსავლეთთან, კერძოდ მუსლიმანურ სამყაროსთან. რუსეთის ბატონობამ საქართველოში გაწვიტა ქართული კულტურის განვითარების ის ბუნებრივი გზა, რომელიც წარმოადგენდა აღმოსავლური და დასავლური იდეებისა და სულიერი მემკვიდრეობის ქართულ პრიზმაში გადახარშვას, რის გამოც ქართულ კულტურასა და აზროვნებას, მეტად ორიგინალური და სპეციფიკური ხასიათი ჰქონდა. მემედ აბაშიძემ თავის წერილებში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის პრობლემატიკის ასე მეტად მარტივი და ცალმხრივი ახსნა შეუძლებელია. ის აღნიშნავდა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, თუ კი ჩვენ ვესურს „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობის მეცნიერული და არაზედაპირული ახსნა, სხვა კულტურებთან ერთად აუცილებელია მაჰმადიანური კულტურის ცოდნა. მანვე შესანიშნავად მოკლე მიმოხილვით გადმოსცა მაჰმადიანური აღმოსავლეთის კულტურის ძირითადი ასპექტი და მოგვცა „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ზოგიერთი არაბული და სპარსული სიტყვის მნიშვნელობა. („ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ძირების შესახებ ლაპარაკობდა ნიკო მარი, ხოლო იუსტინე აბულაძემ 1926 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ თან დაურთო იმ არაბული და სპარსული სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც პოემაშია გამოყენებული).

აღსანიშნავია, რომ ამ წერილებით მემედ აბაშიძე წარმოგვიდგა როგორც შესანიშნავი აღმოსავლეთმცოდნე, რომელიც ძირეულად ერკვეოდა აღმოსავლეთის ისტორიის საკვანძო საკითხებში. იგი ქართული აზროვნების ბრწყინვალე მცოდნეა. ამდენად მისი ზემოთაღნიშნული ორი წერილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ზოგადსაკაცობრიო საკითხების გარშემო წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართულ-აღმოსავლურ კულტურულ ურთიერთობათა გარკვევისა და შეფასების საკითხშიაც. რაც მთავარია, მემედ აბაშიძემ ამ წერილებში ხაზი გაუსვა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომ სარწმუნოება არ არის ეროვნების განმსაზღვრელი ფაქტორი. იგი დასკვნაშიც იმეორებს: „... ადვილი შესაძლებელია კაცი მაჰმადის სარწმუნოების იყოს და ამავე დროს წმინდა წყლის ქართველი“. ან კიდევ: „რადგანაც ქართველებს ადრევე ჰქონდათ დამოკიდებულება და კავშირი მაჰმადიანობასთან... ამიტომ რა საკვირველია, რომ მაშინაც ყოფილიყვნენ მაჰმადიანი ქართველები, ეროვნებით ქართველები სარწმუნოებით მაჰმადის რაჯულის მიმდევრები“. ამიტომაც იყო, რომ მემედ აბაშიძისათვის პირველ რიგში ეროვნულობის პრობლემის გადაწყვეტა იყო მთავარი. იგი ყველგან და ყველგან ქართულ ეროვნულ ძირებსა და ეროვნულ მეობას ეძებდა. ის კი არა, ისეთ ამაღლებულ საკითხზე, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მიმდინარე პრობლემა იყო, მემედ აბაშიძე მაინც ეროვნული ერთობისა და მისი მომავალი სიმტკიცის შესახებ ფიქრობდა. რაც მთავარია იგი ცდილობდა და ყველგან აკეთებდა იმისათვის, რათა ეროვნული საკითხის გარკვევისას სარწმუნოებრივი ფაქტორი გამოერიცხათ და იგი კერძო საქმედ გამოეცხადებინათ.

რეცენზია

აბესალომ ასლანიძე

მონოგრაფიული გამოკვლევა ქრისტიანობის გავრცელების ისტორიაზე

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აქტუალური და მეცნიერული თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო თემაა. ამასთან დაკავშირებით უკვე არსებობს არაერთი გამოკვლევა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული საკითხი სრულიად საქართველოს მასშტაბით ბოლომდეა შესწავლილი. ამის ნათელი დასტურია შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის ბ.-ნ. ბიჭიკო დიასამიძის მონოგრაფია „ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში“ (გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 1999 წ. რედ. პროფ. ა. კახიძე) გამოკვლევაში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით კომპლექსურად შესწავლილია ადრე შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორია.

გამოკვლევაში მთავარი ყურადღება გამახვილებულია დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის საკითხებზე.

ნაშრომში განხილულია 1 და 2 საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება საქართველოში მეზობელი ქვეყნებისა და კერძოდ რომის იმპერიაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით (გვ. 5-18). ამ დროის მთავარ მომენტად მიჩნეულია დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ ერთეულთა წარმოქმნა.

ავტორი იზიარებს ს. ჯანაშიასა და ნ. ლომოურის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩვ. წ.-ის 1 და 2 საუკუნეების მიჯნაზე პოლიტიკურ ერთეულთა წარმოშობის მთავარი მიზეზი ამ ქვეყნის შიგნით განვითარებული ტენდენციები (საზოგადოების მკვეთრი დიფერენციაცია, ცალკეულ სეპტუზთა გააქტიურება, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე) და გარეშე ძალთა გააქტიურება იყო. მაგრამ, ამ პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად ავტორი თვლის რომის იმპერიის დაკავებულობას თავისი პრობლემებით, ერთგვარ წაყრუებასა და შეგუებას აქ მიმდინარე მოვლენებისადმი, რაც არაპირდაპირ მათთვის დამახასიათებელი „DEVIDE ET IMPERA“- დაჰყავი და იბატონეს პოლიტიკას ნიშნავდა (გვ. 17) აღნიშნულ გარემოებებში კი ხელი შეუწევს ქრისტიანობის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში.

ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული რომის იმპერიაში არსებული ვითარება I საუკუნეში და ქრისტიანობის აღმოცენება - გავრცელების საკითხები. ფაქტოლოგიური მასალების ანალიზით ნაჩვენებია პირველმოციქულთა მოღვაწეობის უტყუარობა დასავლეთ საქართველოში. მაგრამ „ქრისტიანობის გავრცელება ამა თუ იმ ქვეყანაში, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში, იმდენად დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი დაკავშირება და ახსნა ერთი რომელიმე ფაქტით ან პიროვნების მოღვაწეობით შეუძლებელია. იგი

შემზადებული უნდა ყოფილიყო მრავალი ფაქტორით, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით“ (გვ. 25) და რომ „ქრისტიანობის ქადაგება, მისი იდეების მიღება-არ მიღება ამა თუ იმ ხალხის მიერ, არაიმდენად მოციქულებზე იყო დამოკიდებული, რამდენადაც ამ ქვეყნებსა თუ მხარეებში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე“ (გვ. 25-30).

სწორედ ამ კუთხითაა განხილული ნაშრომში ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში და ავტორისათვის მთავარ პრობლემად იკვეთება ქართული წყაროების დუმილი ქრისტიანობის პირველგამავრცელებლების შესახებ, თუ რატომ დარჩა ეს ფაქტი - პირველმოციქულთა საქართველოში ყოფნისა და ქადაგების ამბავი - ადრინდელი ქართული მწერლობისა და მემკვიდრეობის ყურადღების მიღმა?

ამ მხრივ მრავალრიცხოვან წყაროების გამოყენების საფუძველზე საინტერესოა ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ „საქართველოს პოლიტიკური წრეები და მემკვიდრეობი კარგად იცნობდნენ ბიზანტიის პოლიტიკას მეზობელი ქვეყნებისა და კერძოდ მათი ქვეყნის მიმართ, შეეცდებოდნენ, დუმილით აეცლოთ გვერდი ქრისტეს პირველმოციქულთა საქართველოში სამისიონერო საქმიანობის დამადასტურებელი ცნობებისათვის რადგან, საეკლესიო წესების თანახმად, ბერძნულ ეკლესიას უფლება ეძლეოდა ჩარეულიყო პირველმოციქულთა მიერ მოქცეული ქვეყნების ცხოვრებაში... როგორც ჩანს, ქვეყნის პოლიტიკურმა ინტერესებმა უკან დასწია და ჩრდილში მოაქცია წმინდა რელიგიურ-საეკლესიო ინტერესები“ (გვ. 33-34). ამავე დროს რითი უნდა აიხსნას ამ ამბებისადმი ქართული წყაროების დამოკიდებულების შეცვლა მე-9-10 საუკუნეებიდან, რატომ იწერება სწორედ ამ პერიოდში ბერძნულ ენაზე თხზულება, რომელშიც პირველმოციქულთა სამისიონერო საქმიანობაა აღწერილი, რატომ ჩნდება სწორედ ამ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი ცნობები პირველმოციქულთა საქართველოში ქადაგების შესახებ? აი საკითხია წრე, რომელსაც ავტორი განიხილავს იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გვერდით.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს, თუმცა ამ მხრივაც ავტორს სხვადასხვა საკითხებზე თავისი მოსაზრება გააჩნია. მკითხველის ყურადღება გვირდა შეგარეთ ბ-ნ ბ. დოსამიძის ერთ მოსაზრებაზე. რომელიც ვფიქრობთ, თანამედროვეობასთან პირდაპირ კავშირშია. კერძოდ, „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ეგრისის სახელმწიფომ საბოლოოდ გააცთა არჩევანი დასავლური, ევროპული ცივილიზაციისაკენ. ორიენტაცია რომაულ ბიზანტიურ სამყაროსაკენ, მსოფლმხედველობრივ-რელიგიურად მასთან დაკავშირება ნიშნავდა ქვეყნის მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებასაც, რომ ამიერიდან მას ფეხი უნდა აეწყო ამ დიდი და გლობალური ცივილიზაციისათვის“ (გვ. 62-63).

ნაშრომის მთავარ საკითხად უნდა ჩაითვალოს ქრისტიანული იდეის მსახურების ენის დადგენა დასავლეთ საქართველოში.

რელიგიას და ნებისმიერ რელიგიას, განსაკუთრებით კი მონოთეისტურ რელიგიებს სხვა ფუნქციებთან ერთად გააჩნიათ პოლიტიკურიც. ამიტომაც ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას გამოიყენოს რელიგია ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერების მიზნით (თუმცა რელიგიის პოლიტიზაციას ხშირად უარყოფითი შედეგებიც მოაქვს). ბუნებრივია მსგავსი სიტუაცია იქნებოდა დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ ხელისუფლება შეეცდებოდა ეკლესია სამეფოს პოლიტიკური

ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინა. ამ თვალსაზრისით კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, ქვეყანაში და მის ეკლესიაში ადგილობრივი ენა იქნებოდა გაბატონებული თუ ბერძნული.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაზიარებული თვალსაზრისის (რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან (მე-4 ს.) მე-9 საუკუნემდე დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო-საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენა იყო ბერძნული (საპირისპიროდ, კოლხეთის კულტურის ისტორიის მოკლე მიმოხილვით, ეგრისის სამეფოში განვითარებული მოვლენების ანალიზითა და წერილობითი წყაროების დამოწმებით, ავტორი დამაჯერებელს ხდის აზრს იმის შესახებ, რომ ეგრისის სამეფოში თავიდანვე სახელმწიფო-საკანცელარიო ენა იყო ადგილობრივი, ზანური, ან მისი განაყოფი ენა - ქართული, ზოლო ღვთისმსახურების ენა მე-4 საუკუნის დასასრულიდან მაინც იყო ქართული ენა. ავტორი მეცნიერული მგრძნობიარობითა და ალლოთი, უამრავ არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ ეგრისში ახ. წ-ის მე-4 საუკუნისათვის, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მომდევნო ათწლეულებში, მომზადდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ნიადაგი იმისათვის, რომ ქრისტიანული ეკლესია ეროვნულ საფუძველზე აშენებულიყო. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამაში დიდი როლი ითამაშა ქართლთან მჭიდრო თანამშრომლობამ, ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის ფართოდ გავრცელებამ და იმ შეუპოვებელმა დაპირისპირებამ, რომელიც არსებობდა ბიზანტიასა და ირანს შორის ქართლსა და ეგრისში ბატონობისათვის. ბიზანტია გადამწყვეტ მომენტში იძულებული იყო, ანგარიში გაეწია ეგრისელთა მისწრაფებებსა და სურვილებისათვის ირანელებთან ბრძოლაში მათგან მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ ყველაზე დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა ეგრისელებისათვის ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულება, რაც აქაურ ეკლესიას ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამსახურში აყენებდა (გვ. 96-97).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წიგნის გაცნობისას უპირველესად შეიმჩნევა ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილი წერილობითი თუ არქეოლოგიური წყაროების გვერდით სამეცნიერო ბრუნვაში ახალი მასალების შემოტანა, რაც დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველს. ვფიქრობთ ქართულმა ისტორიოგრაფიამ მეტად მნიშვნელოვანი მონოგრაფია შეიძინა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ის, რომ აღნიშნულ საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს მსგავსი სპეციალური ხასიათის გამოკვლევა. ბოლოს კი შევნიშნავთ, რომ გარკვეულ მოსაზრებათა გამო სასურველი იყო გამოკვლევაში უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს აჭარაში, რამდენადაც ამ საკითხებზე არსებული ლიტერატურა (ნუ გვიწყნენ მათი ავტორები) ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს. იმედია მომავალი მეცნიერული კვლევის დროს ავტორი გაითვალისწინებს ჩვენს სურვილს, თუმცა ჩვენი შენიშვნა ვერ აკნინებს განხილული მონოგრაფიის მეცნიერულ ღირებულებას.

სტატია მზად იყო, როცა ბ-ნ ბიჭიკო დიასამიძემ 1999 წლის 17 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, სადაც ჩვენს მიერ განხილული მონოგრაფიის ძირითადი დებულებები სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა.

შინაარსი

„ლიტერატურული აჭარა“, №3
2000 წელი

აოაზია, პროზა

1. გენო კალანდია — ლექსები	3
2. ამირან ხაბაზი — ნოულები	8
3. ბელა ქებურია — ლექსები	19
4. შაქრო ჩიკვაძე — მოთხრობა	24
5. ნელი გობრონიძე — ლექსები	50
6. თეა არაბული — ლექსები	53
7. საფო კობალაძე — მოთხრობა	55

თარგმანი

8. არტურ რემბო — ერთხელ ჯოჯოხეთში (ფრანგულიდან თარგმნა მ. მითაიშვილმა)	59
---	----

პრიზიკა, პუბლიცისტიკა

9. ჯემალ ჯაყელი — „დემონი“	65
10. რამაზ სურმანიძე — იოსებ იმედაშვილი	72
11. შოთა ზოიძე — სიცოცხლე პოეზიაში	79
12. ნათია მიქელთაძე — ზოოფორმები და მათი მითოლოგიური ვერში	95
13. მაია თოიძე — სახელების პრობლემა და მეტყველების (ენის) წარმოშობის თეორიები	100

3000-მართული სახელმწიფო-3000

14. იური ბიბილიშვილი — ჯვრის სიმბოლიკა აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებაში	105
--	-----

წარმლავი

15. თეიმურაზ კიმახიძე — ქალაქ ბათუმის კულტურის ისტორია	121
16. ნანი გუგუნივა — ბავშვთა უფლებების დაცვა აჭარისავეტონომიურ რესპუბლიკაში	130
17. ლამა ჩხარტიშვილი — მეშვიდე აბაშიძე და ბათუმის თეატრის ისტორია	134
18. იოსებ სანიკიძე — მეშვიდე აბაშიძე და ვეფხისტყაოსანი	140

რესანია

19. აბესალომ ასლანიძე — მონოგრაფიული გამოკვლევა ქრისტიანობის გავრცელების ისტორიაზე	144
---	-----

კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კოშხიძე

ოპერატორი – შანანა ჩაველეშვილი

კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 2. 03. 2000.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 7, 04. 2000.

ქაღალდის ზომა 70X108 1/16.

შირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,25.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,5.

შირობითი საღებავგატარება 10,25.

შეკვეთის № 41.

ტირაჟი 300.

ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამბა"ში
დ. თავდადებულის ქ. №16

სტ. 222/2

ინდექსი 78118

სასიგნალო

მაჩვენებელი

26 19

11